



ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

გარდაქმნისა და საჯაროობის კონცეპტის რეფრაქცია

ქართულ ბეჭდურ მედიაში

ავტორი: ქეთევან მუმლაძე

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი

თბილისი

2021

## აბსტრაქტი

საკვალიფიკაციო ნაშრომი (აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად) „გარდაქმნისა და საჯაროობის კონცეპტის რეფრაქცია ქართულ ბეჭდურ მედიაში“ ეხება გარდაქმნისა და საჯაროობის ასახვას/გამოვლენას ქართულ დარგობრივ ბეჭდურ მედიაში („ლიტერატურული საქართველო“, „ქართული ფილმი“) 1980-იანი წლების მეორე ნახევარში (1985-90).

თითქმის სამი ათეული წელიწადია, მიმდინარეობს გარდაქმნისა და საჯაროობის (Перестройка и Гласность) – საბჭოთა იდეოლოგიური პროდუქტის შესწავლა, როგორც დასავლეთში, ისე – პოსტსაბჭოთა სივრცეში. საერთაშორისო დონეზე გლასნოსტი/საჯაროობა, პერესტროკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელი, განიხილება როგორც ბოლო დროის ცვლილებებისა და განვითარების მედიური მოდელის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი. ისტორიის ამ მონაკვეთის, 1980-იანი წლების მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის შეუსწავლელად შეუძლებელია დამოუკიდებლობის პერიოდის მედიის საფეხურებრივი განვითარების ანალიზი და ზოგადი, ისტორიული კონტექსტის მქონე სურათის შექმნა, ურთიერთ-განპირობებულობისა და მიზეზ-შედეგობრიობის ახსნა, ემპირიული ცოდნის სისტემაში მოყვანა. ამიტომაც, ძალზე მნიშვნელოვანია აღნიშნული პერიოდის მედიის შესწავლა, რაც წინამდებარე ნაშრომის მიზანია.

საგაზეთო ტექსტების კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი (სინთეზური) კონტენტანალიზის მეთოდით.

საკვლევი პოპულაცია 1980-იანი წლების მეორე ნახევრის ორი ქართულენოვანი გაზეთის მედიატექსტებზე ფოკუსირდა და მოიცავს ისეთ აქცენტებს, როგორებიცაა: მედიატექსტების ტიპოლოგია, მედიადისკურსი, მედიანარატივი „ზემოდან დაშვებული“ თავისუფლების პირობებში, დაშვებულობის ზღვრები მედიადისკურსში, საგაზეთო თემების დივერსიფიცირება ცენზურის შერბილების/გაქრობის პერიოდში,

სარედაქციო პოლიტიკის გადასხვაფერება, კომუნიკაცია მედიასა და მკითხველს შორის, უკუკავშირი და ა.შ.

კვლევამ გამოკვეთა და მეცნიერულად დაადასტურა მედიის შინაარსობრივი, თემატური, ჟანრობრივი სახეცვლილებები დეკლარირებული გარდაქმნის შედეგად, შექმნა მეცნიერული ცოდნის სისტემატიზაციის საშუალება საკითხთან მიმართებაში და გასცა პასუხი უმთავრეს შეკითხვას – როგორ შეიცვალა მედიაკონტენტი გარდაქმნის პერიოდში.

კვლევა განკუთვნილია როგორც მედიის ისტორიის სპეციალისტებისათვის, ისე სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებულთა ფართო სპექტრისათვის.

## Abstract

*Refraction of the Concepts of Perestroika and Glasnost in the Georgian Print Media*, a qualification work seeking the award of a doctoral degree, is dedicated to the coverage/exposition of Perestroika and Glasnost in the Georgian discipline-specific print media (*Literaturuli Sakartvelo*, *Kartuli Filmi*) of the second half of the 1980s (1985-1990).

For over three decades now, the Soviet ideological products of Perestroika and Glasnost have been studied in both the West and the post-Soviet space. On an international level, Glasnost, as one of the key components of Perestroika, is considered the most vivid example of the media model for recent change and development. Without studying the Georgian periodicals from this period in history — that is, the second half of the 1980s — it is impossible to analyze the incremental development of the post-independence media, draw a full picture based on historical context in general, explain mutual interdependence and cause and effect relations, and systematize empirical knowledge. Consequently, delving into the media of said period is of crucial importance, which is precisely the goal of this thesis.

The study of newspaper texts built on the quantitative and qualitative (synthesis) content analysis method.

The research population focused on the media texts by two Georgian-language newspapers in the second half of the 1980s, to accentuate such aspects as typology of media text, and media discourse and media narrative amid freedom “allowed from the top“, also the boundaries of acceptability in media discourse, diversification of newspaper topics in the period of relaxed/removed censorship, reshaping of editorial policy, communication between media and readers, feedback, and others.

The research identified and scientifically confirmed content, thematic, and genre changes as a result of declared Perestroika, also creating a possibility for systematizing scientific knowledge on the issue in discussion, and answering the main question at hand: How much did media content change throughout Perestroika?

The study is intended for media history specialists, students, and wider audiences interested in this topic.

## შინაარსი

გარდაქმნისა და საჯაროობის კონცეპტის რეფრაქცია ქართულ ბექდურ მედიაში ....	I
აბსტრაქტი .....	II
Abstract.....	IV
შინაარსი.....	VI
ცხრილებისა და დანართების ნუსხა.....	VIII
პირობითი აღნიშვნები, შემოკლებები.....	X
თავი 1. შესავალი .....	1
1.1. საკითხის განმარტებისათვის.....	1
1.2. ისტორიული კონტექსტი და ტერმინთა დამკვიდრება.....	2
1.3. გარდაქმნის დეკლარირებისას არსებული ვითარება .....	4
1.4. გარდაქმნა და საჯაროობა საქართველოში .....	9
1.5. მთავლიტი და ცენზურა გარდაქმნის პერიოდის საქართველოში.....	11
თავი 2. საკითხის შესწავლა (თეორიული არგუმენტები).....	16
2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები .....	16
2.3. კვლევის ჰიპოთეზები.....	18
2.4. თეორია.....	19
2.5. კვლევის დიზაინი (კვლევის ფილოსოფია) .....	19
თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი.....	20
3.1. საკვლევი საკითხის აქტუალობა/საკითხის შერჩევა.....	20
3.2. რატომ „ლიტერატურული საქართველო“ და „ქართული ფილმი“?.....	21
3.3. პოპულაცია, მონაცემთა შერჩევა და დამუშავება კვლევის რაოდენობრივი ნაწილისათვის .....	22
3.4. საკვანძო სიტყვები.....	24
3.5. ანალიზის ერთეული .....	24
კოდირების ბარათი.....	25
3.6. მონაცემთა შეკრება და დამუშავება კვლევის თვისებრივი ნაწილისათვის....	26
თავი 4. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა .....	27
4.1. გარდაქმნის პერიოდიზაციისათვის.....	27
4.2. უცხოელი ავტორები გარდაქმნის შესახებ .....	31
4.3. ქართველი ავტორები გარდაქმნის შესახებ.....	61
თავი 5. „ლიტერატურული საქართველო“ და „ქართული ფილმი“ (საკვლევი პოპულაციის ზოგადი მიმოხილვა).....	67
თავი 6. შედეგები და მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი .....	71
6.1. ჰიპოთეზების ტესტირება .....	71
ჰიპოთეზები N1 და N2 .....	71

ჰიპოთეზა N3 .....	75
ჰიპოთეზა N4 .....	78
6.2. გარდაქმნისა და საჯაროობის აღქმა/შეფასება .....	81
6.2.1. „ლიტერატურული საქართველო“ .....	81
6.2.2. „ქართული ფილმი“ .....	85
6.3. ფაქტორული ანალიზი .....	92
6.3.1. შინაარსობრივი კატეგორიები წლების მიხედვით .....	92
6.3.2. შინაარსობრივი კატეგორიები წყაროების მიხედვით.....	95
თავი 7. განხილვა/ინტერპრეტაცია .....	98
7.1. ტაბუს ახსნა.....	98
7.1.1. ფაქტორი 1: სხვა რაკურსი.....	98
7.1.2. ფაქტორი 2: პრესის „გასოციალურება“ .....	110
7.1.3. ფაქტორი 3: ინტერაქცია//მოლოდინების გადანაცვლება და ჩანაცვლება .....	135
7.2. ჟანრობრივი კატეგორიები.....	146
7.2.1. ჟანრობრივი მეტამორფოზა .....	150
7.3. რუბრიკები.....	151
თავი 8. კვლევის თვისებრივი ნაწილი.....	154
8.1. თვისებრივი კვლევის სტატისტიკა .....	154
8.2. განზოგადება კვლევის თვისებრივი ნაწილისათვის .....	163
8.3. გარდაქმნის ადრეული ეტაპი (1985-87 წლები) .....	164
8.4. 9 აპრილის ტრაგედია – გარდაქმნის მეორე ეტაპი .....	169
8.5. ვითარება 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ .....	171
თავი 9. შემაჯამებელი დასკვნა .....	173
ბიბლიოგრაფია .....	177
დანართები.....	181
დანართი N1 – კითხვარი თვისებრივ კვლევაში მონაწილე ექსპერტებისათვის (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ).....	181
დანართი N2 – თვისებრივ კვლევაში მონაწილე ექსპერტების ნუსხა .....	183

## ცხრილებისა და დანართების ნუსხა

ცხრილი N1 – შინაარსობრივი კატეგორიების ცხრილი („გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ კონოტაცია/ანალოგი ტექსტში ორი წყაროს გაერთიანებული რეპრეზენტატიული მასალიდან) .....	72
ცხრილი N2 – ხი კვადრატის ტესტი (1) .....	72
ცხრილი N3 – შინაარსობრივი კატეგორიები „ლიტერატურული საქართველოდან“ .....	73
ცხრილი N4 – ხი კვადრატის ტესტი (2) .....	73
ცხრილი N5 – შინაარსობრივი კატეგორიები („ქართული ფილმიდან“) .....	74
ცხრილი N6 – ხი კვადრატის ტესტი (3) .....	74
ცხრილი N7 – ჟანრობრივი კატეგორიები (ორი წყაროს გაერთიანებული რეპრეზენტატიული მასალიდან) .....	75
ცხრილი N8 – ხი კვადრატის ტესტი (4) .....	75
ცხრილი N9 – ჟანრობრივი კატეგორიები „ლიტერატურული საქართველოდან“ .....	76
ცხრილი N10 – ხი კვადრატის ტესტი (5) .....	76
ცხრილი N11 – ჟანრობრივი კატეგორიები „ქართული ფილმიდან“ .....	76
ცხრილი N12 – ხი კვადრატის ტესტი (6) .....	77
ცხრილი N13 – „გადაქმნისა“ და „საჯაროობის“ შეფასებითი ასპექტები ორი წყაროს გაერთიანებული რეპრეზენტატიული მასალიდან... 78	78
ცხრილი N14 – ხი კვადრატის ტესტი (7) .....	78
ცხრილი N15 – „გადაქმნისა“ და „საჯაროობის“ შეფასებითი ასპექტები „ლიტერატურული საქართველოდან“ .....	78
ცხრილი N16 – ხი კვადრატის ტესტი (8) .....	79
ცხრილი N17 – „გადაქმნისა“ და „საჯაროობის“ შეფასებითი ასპექტები „ქართული ფილმიდან“ .....	79
ცხრილი N18 – ხი კვადრატის ტესტი (9) .....	79
ცხრილი N19 – საშუალო, მოდა, მედიანა (1) .....	80
ცხრილი N20 – საშუალო, მოდა, მედიანა (2) .....	80
ცხრილი N21 – ბარტლეტის ტესტი .....	92
ცხრილი N22 – შინაარსობრივი ფაქტორების ვარიაცია .....	92
ცხრილი N23 – როტაციული კომპონენტების მატრიცა (1) .....	93
ცხრილი N24 – შინაარსობრივი ფაქტორები წლების მიხედვით .....	93
ცხრილი N25 – საშუალო, მოდა, მედიანა (3) .....	94
ცხრილი N26 – როტაციული კომპონენტების მატრიცა (2) .....	95
ცხრილი N27 – შინაარსობრივი ფაქტორები წყაროების მიხედვით .....	95
ცხრილი N28 – საშუალო, მოდა, მედიანა (3) .....	97



ცხრილი N29 – 1-ლ ფაქტორში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „ა“ .....	99
ცხრილი N30 – 1-ლ ფაქტორში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „ბ“ .....	99
ცხრილი N31 – 1-ლ ფაქტორში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „დ“ .....	99
ცხრილი N32 – ფაქტორ N2-ში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „ვ“ .....	111
ცხრილი N33 – ფაქტორ N2-ში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „ზ“ .....	111
ცხრილი N34 – ფაქტორ N3-ში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების მოცულობის დინამიკა – „ე“ .....	135
ცხრილი N35 – საშუალო, მოდა, მედიანა (4) .....	147
ცხრილი N36 – როტაციული კომპონენტების მატრიცა (3) .....	148
ცხრილი N37 – ჟანრობრივი ფაქტორები წლების მიხედვით .....	148
ცხრილი N38 – საშუალო, მოდა მედიანა (5) .....	149
ცხრილი N39 – აქტუალიზებული ჟანრების დინამიკა .....	149
ცხრილი N40 – რუბრიკების დინამიკა „ქართულ ფილმში“ .....	152
ცხრილი N41 – რუბრიკების დინამიკა „ლიტერატურულ საქართველოში“ .....	152
ცხრილი N42 – ინტერვიუების სქემატირება .....	154
ცხრილი N43 – საკვანძო შეტყობინებები ექსპერტთა ნარატივში .....	162
დანართი N1 – კითხვარი თვისებრივ კვლევაში მონაწილე ექსპერტებისათვის .....	181
დანართი N2 – თვისებრივ კვლევაში მონაწილე ექსპერტთა ნუსხა .....	183

## პირობითი აღნიშვნები, შემოკლებები

სკკპ – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია

ცკ – ცენტრალური კომიტეტი

სსრკ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

აგიტპროპი – კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება

მთავლიტი – ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმეების მთავარი სამმართველო

„ლს“ – „ლიტერატურული საქართველო“

„ქფ“ – „ქართული ფილმი“

## თავი 1. შესავალი

### 1.1. საკითხის განმარტებისათვის

პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე მოქმედი თანამედროვე მედიის ბუნებისა და სპეციფიკის, მისი ფუნქციების ჩამოყალიბებისათვის გარდაქმნისა და საჯაროობის (რუს. Перестройка и Гласность)<sup>1</sup> როლი უმნიშვნელოვანესია.

რეალურად, 1980-იანი წლები, მიხეილ გორბაჩოვის მოსვლა საბჭოთა ხელისუფლების სათავეში ახალი ეპოქაა, როგორც ქვეყნის, ისე – ჟურნალისტიკის ისტორიაში. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება პრობლემებით იყო დატვირთული. დეკლარირებული ფასეულობები და ცხოვრების წესი, პარტიაში მიმდინარე რეალური პროცესები წინააღმდეგობრივი იყო.

მიხეილ გორბაჩოვს, უზენაეს პოლიტიკურ ლიდერს, საბჭოთა პოლიტიკურს მასიდან შედარებით გამორჩეულ, განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანს კარგად ესმოდა, რომ საბჭოთა კავშირი გარდაუვალი კრაზისაკენ მიემართებოდა. საჭირო იყო გარდაქმნები, მაგრამ მას არ ჰქონდა კონკრეტული სტრატეგია, ტაქტიკა და, სავარაუდოდ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, როგორ შეიძლებოდა განხორციელებულიყო „ზემოდან“ დაშვებული გარდაქმნა. შედეგად მოხდა ის, რომ კარგი გათვლის გარეშე პროცესი თოვლის გუნდას დაემსგავსა, წონა აკრიფა და ზვავად იქცა, რაც ბოლო წვეთი გახდა საბჭოთა კავშირის ნელი კვდომის დასასრულებლად.

აღნიშნული პერიოდი დასავლელ მეცნიერთა და მკვლევართა დიდი ყურადღების საგანი გახდა.

უდავოა, მედიამ დიდი როლი ითამაშა გარდაქმნისა და საჯაროობის პროცესებში. მან დაიწყო იმ ნეგატიური მხარეების აქტიურად წარმოჩენა,

<sup>1</sup> საერთაშორისო სოვიეტოლოგიაში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, „გარდაქმნა“ და „პერესტროიკა“ იდენტური ტერმინებია ისევე, როგორც „საჯაროობა“ და „გლასნოსტი“. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის ტექსტშიც ისინი იდენტური მნიშვნელობისაა, იმისაგან დამოუკიდებლად ქართული შესატყვისით მოიხსენიება ისინი, თუ – ორიგინალის ენის.

რაზეც პარტია დუმილს ამჯობინებდა. და რადგანაც მედია მიჩნეულია პროპაგანდის მძლავრ იარაღად, მნიშვნელოვანია გლასნოსტისა და პერესტროიკის დანახვა/განხილვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონტექსტში, გარკვევა და დასაბუთება, რა ცვლილებები დადგა მედიაში გარდაქმნის შედეგად და რა ცვლილებები განაპირობა განახლებულმა მედიამ თავად.

## 1.2. ისტორიული კონტექსტი და ტერმინთა დამკვიდრება

ნიკოლას პაუელის (Powell, 2012) მიხედვით, ტერმინი „პერესტროიკა“ ჯერ კიდევ პეტრე დიდი დროს (1682-1721) გაჩნდა. ტერმინი სემანტიკურად მიუთითებდა პროგრესსა და მიღწევებს.

პაუელი აღნიშნავს, რომ პერესტროიკის მსგავსად, ტერმინი „გლასნოსტიც“ დიდი ხნის განმავლობაში იყო ცნობილი რუსულენოვანი მოსახლეობისათვის. თუმცა მისი პოპულარობა უფრო უკავშირდება ლიბერალიზაციის პირველი ტალღას – 1850-60-იან წლებს, როდესაც ჰუმანისტები და სლავოფილები იყენებენ მას, როგორც ღიაობის კონოტაციას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროში, როგორც მეტი პოლიტიკური გამჭვირვალობის აღმნიშვნელს მონარქიის აბსოლუტიზმის შენარჩუნების ფონზე.

„საჯაროობა“, როგორც პოლიტიკური დატვირთვის მქონე ცნება, მე-19 საუკუნის შუა პერიოდში გაჩნდა რუსეთის იმპერიაში მეფე ნიკოლოზ პირველის (1825-1855) მმართველობის პერიოდის ბოლოს და მეტად გააქტიურდა ალექსანდრე მეორეს (1855-1881) დროს, როდესაც დღის წესრიგში დადგა ბატონ-ყმობის გაუქმების საკითხი. ალექსანდრე მეორეს თანამედროვე, ვლადიმერ დალი „რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ საჯაროობას ასე განმარტავს: „Гласность – ж. известность, общеизвестность чего, оглашение, огласка.“ რა თქმა უნდა, საჯაროობა თავიდან არ ნიშნავდა მედიის ღიაობას. უბრალოდ, ალექსანდრეს ეპოქაში შედარებით ლიბერალმა ოფიციალურმა პირებმა სცადეს გაეფართოვებინათ საჯაროობის პრაქტიკა ცენზურის პირობებში.

ცნობილი რუსი პოეტი და ცენზორი თეოდორ ტიუტჩევი (1803-1873) მთავრობას სთავაზობდა ხელი მოეკიდათ ლიტერატურისა და ბეჭდვითი სიტყვისათვის და მათთვის „მიმართულება“ მიეცათ. მე-19 საუკუნის რუსეთში საჯაროობა თავისებური სახელმწიფო პოლიტიკა იყო, ხელმწიფის ერთგვარი წყალობა და ნება იმისთვის, რომ რეფორმების განხორციელებას ხელი არ შეშლოდა.

ტერმინი „საჯაროობა“ გვხვდება, როგორც საბჭოთა პარტიული ლიდერების, ისე – საბჭოთა დისიდენტების, ალექსანდრე სოლჟენიცინისა (1918-2008) და ანდრეი სახაროვის (1921-1989) ნაწარმოებებშიც და, რა თქმა უნდა, მისი აზრობრივი ტვირთი მძიმდება.

უზენაესი საბჭოთა ლიდერები თავისებურად ინტერპრეტირებდნენ საჯაროობას. ვ. ი. ლენინი ტერმინს ადრეულ სლავოფილებს უკავშირებდა. მას კომუნისტური საზოგადოების ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის თვითკრიტიკა აუცილებლად მიაჩნდა. სტალინმა, თავის მხრივ, გლასნოსტის სული საჩვენებელი სასჯელების საჯაროდ გასაშუქებლად გამოიყენა. ხრუშჩოვი და ბრეჟნევი სტალინის პოზიციას გარკვეულწილად იზიარებდნენ და ცდილობდნენ აღნიშნული პრინციპის ინტეგრირებას, როგორც საბჭოთა კონსტიტუციაში, ისე – ზოგად პოლიტიკურ იდეოლოგიაში და გასაკვირი არ არის, რომ ტერმინები „პერესტროიკა“ და „გლასნოტი“ მეტად სასურველი გახდა გორბაჩოვის ეპოქაში.

### 1.3. გარდაქმნის დეკლარირებისას არსებული ვითარება

რეფორმები საბჭოთა ქვეყანაში ყოველთვის ზემოდან იყო დაშვებული. პარტია ცხოვრების ყველა სფეროში შედიოდა, ყოვლისმომცველად ხელმძღვანელობდა ყველაფერს: სამეურნეო, სოციალურ საკითხებს, იდეოლოგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემატიკას. პერსონიფიცირებული ლიდერი ჩანდა მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელის სახით. მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების თუნდაც რაღაც ნაწილის მიჩნევა პოლიტიკურ პროცესად შეუძლებელია, მითუმეტეს, უალტერნატივო, კომუნისტური „არჩევნების“ ფონზე.

ქვეყანაში გამეფებული სტაგნაცია გადაუდებელ ღონისძიებებს მოითხოვდა და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, 1985 წლის 11 მარტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, მიხეილ გორბაჩოვმა წამოჭრა საკითხი რეფორმების, მათ შორის – ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და საჯაროობის გაფართოების, რეზერვების ამოქმედების შესახებ პარტიულ, საბჭოთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში.

1985 წელი ტრადიციულად გარდაქმნის პოლიტიკის გამოცხადების ათვლის წერტილად ითვლება. პარტიის 27-ე ყრილობის მომზადების კონტექსტში გორბაჩოვმა პარტიას რეფორმების დაჩქარებისაკენ კვლავ მოუწოდა (სკკპ ცკ 1985 წლის აპრილის პლენუმი). დაჩქარება იყო ეკონომიკის ადმინისტრირების ეფექტიანად წარმართვა, რათა დაძლეულიყო ქვეყანაში არსებული სტაგნაცია და დეფიციტი. სწორედ დაჩქარება (ускорение) გამოჩნდა პერესტროიკის პირველ კომპონენტად. ის არ ეხებოდა იდეოლოგიას, სოციალიზმის არსს, მისი სამიზნე მატერიალური იყო – ეკონომიკა.

მაშინ შეუძლებელი იყო საჯაროობისათვის პოლიტიკა დაგერქმიათ. საჯაროობა არ იყო თავისთავადი მიზანი იმ დროისთვის, ის იყო დამხმარე საშუალება სწორედ ე.წ. დაჩქარებისათვის, ანუ ეკონომიკური რეფორმისათვის.

პოლიტიკური ცვლილებების შესახებ მოგვიანებით გამოცხადდა, 1987 წელს, როდესაც გორბაჩოვი მიხვდა, რომ მხოლოდ ადმინისტრირება ვერ გამოასწორებდა ვითარებას. იანვრის პლენუმზე დეკლარირებული იქნა გარდაქმნა (პერსტროიკა), როგორც იდეოლოგია, როგორც საბჭოთა ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული და საყოველთაო ტრანსფორმაცია ღიაობის – საჯაროობის გზით.

პარტიამ გამოაცხადა გარდაქმნა და ყველა შეთანხმდა, რომ გარდაქმნა აუცილებელია, რომ ის დიდი ხანია მომწიფდა. შერბილდა ცენზურა და შესაძლებელი გახდა მანამდე ტაბუდადებული თემების (სტალინური რეპრესიები, სექსი და ძალადობა, ნარკომანია, ე.წ. „ცუდი ახალი ამბები“) განხილვა მედიაში, დაიწყო აკრძალული ავტორების გამოქვეყნება, დასაშვები გახდა კერძო მეწარმეობა, დასავლეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად დამკვიდრება დაიწყო „ახალმა აზროვნებამ“ (Новое мышление).

საყოველთაო ტრანსფორმაციის აუცილებლობას განამტკიცებდა პარტიის ლოზუნგები, რომლებშიც პედალირებული იყო ლენინური იდეალებისაკენ, ორთოდოქსული ფესვებისაკენ მიბრუნების აუცილებლობა.

1987 წლის იანვრის პლენუმზე თავად გორბაჩოვი გარდაქმნას ასე განმარტავს: „გარდაქმნა არის მოდუნების პროცესების მკვეთრი დამღევა, დამუხრუჭების მექანიზმის დამსხვრვევა, საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საიმედო და ეფექტიანი მექანიზმის შექმნა.“<sup>2</sup>

უკვე მე-19 პარტიული კონფერენციის რეზოლუციით (1988 წლის 1 ივლისი) ვხედავთ ახალი იდეოლოგიის არსის წარმოჩენის მცდელობას: „ავითარებს რა საჯაროობას, პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს იმ ლენინური მითითებებით, რომ მასებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ, ყველაფერი უნდა განსაჯონ და ყველაფერი შეგნებულად აკეთონ. კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს ესაჭიროება სიმართლე, სრული და ობიექტური ინფორმაცია ყოველივე იმის შესახებ, რაც საზოგადოებაში

<sup>2</sup>სკკპ ცვ იანვრის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27-28 იანვარი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987.

ხდება.<sup>3</sup> მე-19 პარტკონფერენციაზევე საჯაროობის შემდგომი განვითარება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად არის განსაზღვრული. ამ პერიოდში ფორმალურად ნარჩუნებოდა კონტროლი მედიაზე.

თუ საჯაროობა თავიდან ნიშნავდა მედიის მონაწილეობას კორუმპირებული ბიუროკრატის საქმიანობის მხილებაში, გარდაქმნის მეორე ეტაპზე ე.წ. ცუდი ინფორმაციის დამალვა მოძველებულ ტრადიციად ჩაითვალა და საჯარო-საკომუნიკაციო არხების ღიაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პერესტროიკის ქოლგით განხორციელდა თვისებრივი ცვლილებები პარტიული მენეჯმენტის ყველა საფეხურზე, მათ შორის – მედიაში. ცენზურამ – მთავლიტმა ლაგამი მოუშვა, მაგრამ ხელიდან არ უშვებდა სადავეს. ცენზურა საბჭოთა კავშირში ფორმალურად და ოფიციალურად მხოლოდ 1991 წლის 15 ოქტომბერს გაუქმდა. ცენზურის არარსებობა კი, როგორც ცნობილია, მიჩნეულია დემოკრატიული გარემოს ერთ-ერთ ნიშნად.

ცენზურის გაუქმებას წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ამერიკის ხმის“, „ბი-ბი-სის“, „რადიო თავისუფლებისა“ და სხვა მნიშვნელოვანი უცხოური რადიოგადაცემების სიგნალის ჩახშობის შეწყვეტის შესახებ (1986 წლის 25 სექტემბერი), მთავლიტის ხელმძღვანელობით ამუშავდა უწყებათშორისი კომისია, რომელმაც დაიწყო გამოცემების გადახედვა მათი სპეციალური ფონდებიდან ღია ფონდებისათვის გადასაცემად (1987 წლის დასაწყისი).

მიხეილ გორბაჩოვი, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების მოსურნე, შესაძლოა, ვერც კი წარმოიდგენდა, რით შეიძლება დასრულებულიყო პერესტროიკა. მას უფრო საშუალო პოზიცია ეკავა და უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ცნობიერების გარდაქმნას ცდილობდა, რაც ყველაზე მეტად კულტურისა და მედიის სფეროს უნდა დასტყობოდა. პერესტროიკა მართლაც აისახა მედიასა და კულტურაზე, მაგრამ იდეოლოგიის ჯებირიც გაარღვია და შეუქცევადი გახდა.

<sup>3</sup>სკკპ ცვ XIX საკავშირო კონფერენციის მასალები, 1988 წლის 28 ივნისი-1 ივლისი. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1988.



1985-86 წლების პრესას, პარტიულ დოკუმენტებსა და საყრილობო-საპლენუმო მასალებს თუ გადავხედავთ, ოფიციალურად, ზედმიწევნით განმარტებული არსად არის, როგორ უნდა განახორციელოს გარდაქმნა ადამიანმა/საზოგადოებამ/დარგმა და რა არის საჯაროობის კრიტერიუმები, ცვლილებების საზომ-საწონი. საბჭოთა მედიამ გარდაქმნა ტრადიციისამებრ, გარდაუვალ დოქტრინად მიიღო, შემდეგ კი ეცადა თავად გარკვეულიყო, რა უნდა გაკეთებულიყო გარდაქმნის სახელით.

მედიაში ფართოდ გაიშალა დისკუსია სხვადასხვა სფეროების რეორგანიზაციის შესახებ. სოციალიზმის ადამიანური სახით წარმოჩენის გორბაჩოვისეულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მედიაზე. მედია სულ უფრო და უფრო გაბედული ხდებოდა.

მედიამ დღის წესრიგში დააყენა უმნიშვნელოვანესი – აზროვნების წესის გარდაქმნის საკითხი. შეიცვალა ისეთი მნიშვნელოვანი საბჭოთა გამოცემების თვისებრიობა, როგორებიცაა: „იზვესტია“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „ოგონიოკი“. წარმოიშვა ალტერნატიული მედია, რომელიც დემოკრატიული პრინციპებით მოქმედებდა და ობიექტური საინფორმაციო სიახლის შექმნა-გავრცელებაზე მუშაობდა.

საინტერესოა გლასნოსტის პერიოდის მოქმედი ჟურნალისტებისა და მედიამენეჯერების შეფასებებიც. ყოველკვირეული „მოსქოუნისი“ და „ოგონიოკი“ მალევე გახდა გლასნოსტის საუკეთესო გამოხატულება. 1987 წლის სექტემბერში ვიტალი კოროტიჩი, პოპულარული საბჭოთა ჟურნალის, „ოგონიოკის“ რედაქტორი აცხადებდა, რომ პირველად ისტორიაში კონსერვატორები არიან უმცირესობაში. და ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი. კოროტიჩი (1988), ასევე აცხადებდა, რომ გლასნოსტამდელი „ოგონიოკი“ უინტერესო იყო და არავის სჯეროდა მისი პუბლიკაციების. კოროტიჩის აზრით, „ოგონიოკის“ პოპულარობა განაპირობა სტალინისტური ტერორის მსხვერპლთა შესახებ (მაგალითად, ბუხარინი, რასკოლნიკოვი, ტროცკი) სტატიების გამოქვეყნებამ. კოროტიჩის თქმით, ჟურნალმა უზარმაზარი მხარდაჭერა მოიპოვა სწორედ იმ სტატიებით, რასაც გლასნოსტის რეტროსპექტივა შეიძლება ეწოდოს, რადგან ინტერესი სამართლიანობისადმი ძალიან დიდი იყო.

ალექსანდრე პუმპიანსკი, „ნოვოე ვრემიას“ რედაქტორი კი მიიჩნევს, რომ გლასნოსტის საწყისი პერიოდი – 1985-88 უმნიშვნელოვანესი იყო. ამ პერიოდში მანამდე აკრძალული პუბლიკაციების, წიგნების გარდა ახალი ტიპის ჟურნალ-გაზეთები წარმოიშვა. პუმპიანსკის მიხედვით, 1985-88 წლებში ჯერ კიდევ ძალიან ლიმიტირებული თავისუფლება არსებობდა პრესისათვის და პუბლიკაციები „მოსქოუ ნიუსსა“ და „ოგონიოკში“ საზოგადოებისათვის ერთგვარი ტესტი იყო.

1986 წლის მარტში მიხეილ ნენაშევი, „სოვეტსკაია როსიას“ რედაქტორი აღნიშნავდა, რომ პრესის მუშაობა უფრო იოლი გახდა, რადგან ახლა პრესას უკვე მხარს უჭერდნენ. საოლქო კომიტეტების მდივნების, მინისტრებისა და სხვა მენეჯერული პოზიციების ხელმძღვანელებისაგან სატელეფონო დირექტივები თითქმის შეწყდა. ყველამ გაიგო, რომ კრიტიკა შესაძლებელია. მაგრამ ცენტრალური და რეგიონული გაზეთების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყო. თუკი „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ მნიშვნელოვნად იყო წახალისებული კრიტიკა, პერიფერიებში მედიისათვის, რომელიც ადგილობრივი პარტიული ორგანოების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, დახურული იყო საჯარო პირების კრიტიკის თემა. ამას ადასტურებდა „პრავდის“ ფოსტაც, რომელიც რეგიონებიდან იგზავნებოდა. ადრესანტები ხშირად მიუთითებდნენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ინტენსიურად ერეოდნენ კრიტიკულ მასალებში. კრიტიციზმის დაბლოკვას თან სდევდა ჟურნალისტების შეურაცხყოფაც კი. საჯაროობამ პრობლემები და საყოველთაო უკმაყოფილება მზის შუქზე გამოიტანა.

მარტინ უოლკერმა, რომელიც 1987 წელს, „გარდიანის“ კორესპონდენტი იყო მოსკოვში, საუკეთესო მეტაფორა იპოვა საბჭოთა მედიის შესაფასებლად. მისი აზრით, პრესის თავისუფლება არ იყო აღიარებული საბჭოთა კავშირში, ღვედები ოდნავ მოუშვეს, პრესას ნება მისცეს ეწერა ბიუროკრატიასა და კორუფციაზე, დაუშვეს იმ ტიპის კრიტიკა, რომელსაც კრემლი სასარგებლოდ მიიჩნევდა. ეს იყო მედიამენეჯმენტის ე.წ. რბილი ფორმა.

## 1.4. გარდაქმნა და საჯაროობა საქართველოში

პოლიტიკური ცხოვრება, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, წარმოიშვება მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ის უშვებს ინტერესთა ჯგუფების შეჯიბრს პოლიტიკური მეტოქეობის ფორმით. საქართველოში კი, პოლიტიკური ცხოვრება, პერესტროიკის მეორე ეტაპამდე ფაქტობრივად, არც იყო. მედიაში არ მიმდინარებდა მსჯელობა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე. მნიშვნელოვანი ამბავი ხშირად მხოლოდ ზეპირი გადმოცემით გადადიოდა და შემდგომ, სხვათა ნარატივში სახეცვლილებას მრავალგზის და მრავალნაირად განიცდიდა. მოვლენები ვითარდებოდა გეგმიურად, მდორედ, უინტერესოდ. ცხოვრების ერთფეროვნებას აქა-იქ არღვევდა ცალკეული მოვლენები და ფაქტები თავისი გამორჩეულობითა და კონტექსტიდან ამოვარდნილობით (გამოსვლა ქართული ენის დასაცავად 1978 წელს, თვითმფრინავის გატაცების მცდელობა 1983 წელს).

საპილოტე კვლევამ (1985-86 წლების ქართული ბეჭდური მედია) უჩვენა, რომ დასაწყისისთვის მედიას მკაფიოდ არ ესმოდა, რა არის „გარდაქმნა“ და „საჯაროობა“. შესაბამისად, მედია მოღვაწეობას აგრძელებდა მოლოდინის რეჟიმში, ძირითადად შემოიფარგლებოდა ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების გადმობეჭდვით, ამით თავიდან იცილებდა ახალი პოლიტიკის არასწორად ინტერპრეტირების პასუხისმგებლობას. მედიის სვლა დამოუკიდებლობისა და ობიექტურობისაკენ რთული და დროში გაწელილი პროცესი იყო.

გარდაქმნის დეკლარირებისთანავე პარტიამ სათანადო რეაგირებისაკენ მოუწოდა მედიას: „ფხიზლად უნდა შევაფასოთ ყველა ნაკლი, ნეგატიური მოვლენა, პირში ვუთხრათ ამხანაგებს ჩვენი შენიშვნები და სურვილები. ამას მოითხოვს ჩვენგან დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტი... ძალზე დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენს პრესაზე... პრესა, ტელევიზია და რადიო უდიდესი ძალაა“ (საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივნის, ჯ. პატიაშვილის დასკვნითი სიტყვა რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე 1985 წლის 3 აგვისტოს, „ლს“, 09.08.1985);

„ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს ისეთი საკითხები, როგორცაა წარმოების ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცება ყველა უბანზე და მუშაობის სტილის სრულყოფა“ (სკკპ ცკ პლენუმის დადგენილება საბჭოთა კავშირის კომპარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, საბჭოთა კავშირის კომპარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების შესახებ, „ლს“, 18.10.1985).

საქართველოში გარდაქმნა და საჯაროობა თავისებურად გაიგეს და აღიქვეს. დაშვებული თავისუფლება „ზემოდან“ მანამდე ტაბუდადებული თემების (სტალინი, 1924 წლის აჯანყება, 30-იანი წლები, აკრძალული ავტორები) გამოჩენით აისახა მედიაში. საზოგადოებაში დაგროვილმა პროტესტმა სწორედ მედიაში მოახდინა პირველი გარღვევა. ოდნავ მოგვიანებით, ეკოლოგია გახდა ის ასპარეზი, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვის პირველი ნიშნები გამოიკვეთა, ამ თემამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

გარდაქმნის ეს პროცესები სისტემური არ იყო. მედიას ამის გამო ძლიერ უჭირდა.

გარდაქმნისა და საჯაროობის შესახებ დისკუსია გაზეთის ფურცლებზე მოგვიანებით, 1988 წლისათვის დაიწყო. ყველა თანმხედება, რომ მეტამორფოზა, გარდაუვალია: „გარდაქმნა აუცილებელია ყოფნა-არყოფნამდეც კი“ (ზაურ კალანდია, „სანამ ილია ზუგდიდს ჩამობრძანდება“, „ლს“, 04.11.1988); „საჯაროობამ და დემოკრატიზაციამ ერთი დიდი სიკეთე მოგვიტანა. არც ისე შორეულ წარსულში ეროვნულ-პატრიოტული აზრის გამოთქმა, გინდაც ზეპირად და გნებავთ, წერილობით, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ ტონად ითვლებოდა, ამის გამხედავ კაცს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყოლოდა“ (ვაჟა გურგენიძე, „განსაცვიფრებლად არის მთავარი“, „ლს“, 16.09.1988); „ახლა, როცა რევოლუცია გრძელდება, როცა გზა გაეხსნა საჯაროობასა და დემოკრატიას, სიმართლე უნდა ითქვას, რაგინდ მწარე არ იყოს იგი (რევაზ ურუშაძე, „ვინც არ არის კახაბერი“, „ქვ“, 30.11.1988); „ნელა,

თანდათანობით მკვიდრდება საკუთარი აზრის დაუფარავად, საჯაროდ გამოთქმის უფლება, როცა ფეხს იდგამს დემოკრატიზმი, რაც იარლიყებისგან, შაბლონებისაგან, კლიშეებისაგან განთავისუფლებასაც გულისხმობს“ (პავლე ჩარკვიანი, „ვრცელი რეპლიკა ერთი მოკლე განცხადების გამო“, „ქფ“, 04.01.1989).

დაწყებული პერესტროიკა ნიშნავდა არა მხოლოდ პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლას, არამედ, ზოგადად, ცვლილებებს მენეჯმენტის ყველა სფეროში, მათ შორის – მედიაში. სწორედ ასეთი ცვლილებების შედეგად მივიღეთ თვისებრივად განახლებული გაზეთები: „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „თბილისი“, ასევე: რადიო- და ტელემუწყებლობა. დაიბადა ახალი გაზეთები: „ქართული ფილმი“, „მამული“...

1988 წლის ბოლოდან კი პერესტროიკამ და ახალმა ტენდენციებმა მთელს ქვეყანაში აკრიფა სიჩქარე. მრავალრიცხოვანი დისკუსიები არაფორმალურ წრეებში, ეჭვები, გარემოს კრიტიკული ანალიზი, ნაკლოვანებებზე საუბარი, თვითკრიტიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრდა. ჟურნალისტები იძულებულნი გახდნენ ოპერატიულად ემუშავათ, ბევრს გაუჭირდა თვითცენზურის ლიკვიდაცია საკუთარ პროფესიულ მოცემულობაში.

ამ პერიოდში საქართველოში დაიწყო ეროვნული ელიტის თვისებრივი ცვლილება, გადაჯგუფება მის შიგნით, წარმოიშვნენ ე.წ. არაფორმალური ლიდერები, რომელთა პოზიციებსაც ანგარიშს უწევდნენ ხელისუფლებაშიც და საზოგადოებაშიც. დგებოდა ახალი რეალობა.

## 1.5. მთავლიტი და ცენზურა გარდაქმნის პერიოდის საქართველოში

გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართული საბჭოთა მედიის კვლევა წარმოდგენელია, თუ არ გავითვალისწინებთ ცენზურის როლსა და პრაქტიკას საინფორმაციო საშუალებების მუშაობასთან მიმართებაში. ამერიკელი მკვლევარი ჯოზეფ გიბსი (Gibs, 1999) თავის ნაშრომში „საბჭოთა მედია გარდაქმნის პირველ ფაზაში“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მედია

კონტროლდებოდა ორი ძირითადი ორგანოს – კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებისა<sup>4</sup> და მთავლიტის<sup>5</sup> მეშვეობით. მთავლიტი იყო რუსული სამეფო ცენზურის გარდაქმნილი ორგანო, რომელმაც ბოლშევიკური კონტროლის ეპოქაში, 1922 წელს იცვალა სახე. ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმეთა მთავარი სამმართველო – მთავლიტი – სსრკ-ში მოქმედი ორგანო იყო 1922-დან 1991 წლამდე. დეკლარირებული გარდაქმნისას თანდათანობით შემცირდა მთავლიტის გავლენა, შემდეგ კი მოხდა მისი ლიკვიდაციაც.

80-იან წლებში მთავლიტი კვლავაც ფლობდა მონოპოლიას ინფორმაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ცენზურა ხორციელდებოდა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელით, მთავლიტის ცენზორთა საქმიანობის დიაპაზონი გაცილებით ფართო იყო – მათ ევალებოდათ ბეჭდვითი პროდუქციის დაცვა ე.წ. უიდეო და მავნებლური გავლენებისაგან. ცენზურა ხორციელდებოდა საიდუმლო დოკუმენტით – ღია მედიაში გამოსაქვეყნებლად აკრძალული ცნობების 1976 წელს დადგენილი ე. წ. სიით („Перечень сведений, запрещенных к опубликованию в открытой печати, передачах по радио и телевидению.“ Главное управление по охране государственных тайн в печати при совете министров СССР (Главлит СССР, ИНВ 75-р, Москва, 1976).

აღნიშნულით დოკუმენტით ხელმძღვანელობდა მთავლიტის საქართველოს განყოფილებაც – საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით მედიაში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მთავარი სამმართველო, რომელიც გარდაქმნის დასაწყისსა და შუა პერიოდშიც აქტიურად საქმიანობდა. საქართველოს ეროვნული არქივში დაცულ მთავლიტის ყველა დოკუმენტს ადევს გრიფი „საიდუმლო“.<sup>6</sup>

1985 წლისათვის, მთავლიტის საგაზეთო განყოფილებაში 9 ცენზორი მუშაობდა. იგივე 1985 წელს მთავლიტმა 63-ჯერ აღკვეთა პოლიტიკურ-

<sup>4</sup> Агитпроп (რუს.) – კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება საბჭოთა კავშირში.

<sup>5</sup> Главлит (რუს.) – ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმეების მთავარი სამმართველო, სახელმწიფო ცენზურის განმახორციელებელი ორგანო საბჭოთა კავშირში.

<sup>6</sup> საქართველოს სახელმწიფო არქივის ფონდი N301.

იდეოლოგიურად გაუმართავი ნაწარმოებებისა და ცალკეული ფრაგმენტების გამოქვეყნება. 1985 წლის მანძილზე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოდან“ ამოიღეს გივი გეგეჭკორის ლექსი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი წიგნი“, აღნიშნული ფაქტი მოხვდა მთავლიტის საკავშირო სამმართველოს მიერ მომზადებულ დასკვნაშიც, რომელიც საქართველოს მთავლიტის ანგარიშს ეყრდნობოდა. 1986 წლის ანგარიშში კი მითითებულია, რომ გაზეთების კონტროლისას აღმოჩენილია 30 შეცდომა, რაც წინა წლის შეცდომებს მნიშვნელოვნად სჭარბობს (1985 წელს 17 შეცდომა იქნა დაფიქსირებული). ამასთან, საკავშირო სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. პრიბიტკოვი დასკვნაში აღნიშნავს, რომ საქართველოდან გაგზავნილ ანგარიშში არ არის ასახული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელების რეაქცია მთავლიტის წერილებზე.

1987 წელს მთავლიტმა პრესიდან 738 ამოშლა განახორციელა. 1985-87 წლების ე.წ. შეცდომების ამოშლის დინამიკა ცხადყოფს, რომ საჯაროობის სახელით რედაქციები მეტ თავისუფლებას აძლევდნენ ავტორებს, სარედაქციო პოლიტიკა უფრო ლიბერალური გახდა.

თავად მთავლიტიც ცდილობდა გარდაექმნა საკუთარი მუშაობა 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე. ეს დოკუმენტურადაც დასტურდება. 1987 წლის მთავლიტის მუშაობის ანგარიშში (დოკუმენტი მომზადებულია რუსულ ენაზე) აღნიშნულია:

Коллектив Главлита Грузии в 1987 году работал с полным пониманием глубокого смысла перестройки, ее неотвратимости, политического значения, демократизации нашего общества и роли советской цензуры в условиях ускорения научно-технической революции... При активной поддержке ЦК КП Грузии и Совета Министров республики в Главлите полным ходом едет процесс перестройки (sic).<sup>7</sup>

1987 წელს მთავლიტის ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო უწყებათშორისმა კომისიამ საარქივო მასალების დახურული ფონდებიდან ღია ფონდებში გადასაცემად.

<sup>7</sup> იქვე.

1988 წელს მთავლიტის საქართველოს საგაზეთო განყოფილება აკონტროლებდა 11 რესპუბლიკურ, 2 სადამოს საქალაქო და 31 საუწყებო გაზეთს, ასევე, საქინფორმის, სახტელერადიოს მასალებს. განსაკუთრებული ყურადღება იყო მიმართული რუსულენოვანი რესპუბლიკური გამოცემების – „ზარია ვოსტოკასა“ და „მოლოდიოჟ გრუზიისადმი“.

1987-88 წლებში ინტენსიურად ხორციელდება უცხოეთიდან შემოტანილი ლიტერატურის კონტროლიც. მათ შორისაა გაზეთები და ჟურნალები: „ბედი ქართლისა“, „გუშაგი“, „ალია საქართველოდან“, „ხიდი“, „განთიადი“. ადრესატამდე ყველა გზავნილი არ მისულა, რადგანაც ცენზურამ არაკეთილსაიმედოდ ჩათვალა ისინი და „ამოიღო“. ანგარიშის მიხედვით, მაგალითად, „გუშაგი“, რომელსაც ქართული ემიგრაცია გამოსცემდა პარიზში, ანტისაბჭოთა ხასიათის გამოცემადაა მიჩნეული.

როგორც დარგის ექსპერტები და პრაქტიკოსი ჟურნალისტები აცხადებენ, 1989 წლიდან ცენზურა ფორმალურადღა არსებობდა, თუმცა მთავლიტი კვლავაც განაგრძობდა არსებობას.

1990 წლის მეორე ნახევრის საქმიანობის ამსახველ ანგარიშში, რომელიც 1991 წლის დასაწყისში საქართველოს მთავლიტიდან გაიგზავნა სსრკ მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის, ვ. ბოლდირევის სახელზე, ვკითხულობთ:

Обобщение первых результатов работы ГУОТ-а Грузии в условиях действия „Закона о печати и других средств массовой информации“ дает возможность сделать два вывода:

Первый – освобождение печати от всякой цензуры (общегосударственно-профессиональной, ведомственный, партийной), облегчило работу сотрудникам бывшего Главлита, так как они больше не отвечают за нарушения в области ортодоксально-общегосударственной идеологий, за правомочность издания литературы и за соблюдения „единых правил печатания“ предприятиями большой и малой полиграфии.

Второй – затрудняет нашу деятельность то, что резко падает престиж органов Главного управления. Все труднее становится выполнение его нового основополагающего документа „Положение о ГУОТ-е СССР“, правильно сосредоточившего внимание работников системы на организации охраны государственных тайн в печати и других средств массовой информации... Также практика работы в новых условиях показала, что многие работники средств массовой



информаций пренебрежительно относятся к нашим требованиям, потому что пресса в условиях гласности (особенно после упразднения последнего параграфа перечня, прикрывающего наши методы работы), подорвала веру многих в благородстве деятельности нашей организации. Многие работники печати не верят, что ГУСТ не тот же ГЛАВЛИТ, что наша консультация безкорыстна и необходима.<sup>8</sup>

1990 წლის 5 იანვრის საკავშირო მთავლიტის დადგენილების შესაბამისად განხორციელებული კომისიური მუშაობის შედეგად 1937-79 წლების საქმეებზე მოიხსნა შეზღუდვა და მეცნიერებს არქივებზე მუშაობის საშუალება მიეცათ. 90 წლის შემოდგომაზევე მთავლიტის რეკომენდაციით, განადგურდა მთავლიტის უწყებრივი მიმოწერის დოკუმენტები 1989 წლის ჩათვლით. 1990 წლის 1-ლ აგვისტოს ძალაში შევიდა სსრკ კანონი ნაბეჭდი და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ. 1991 წლის 13 აპრილს ცენზურა ოფიციალურად გაუქმდა სსრკ მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით. იმავე წლის მაისში მთავლიტის ხელმძღვანელმა ვ. ბოლდირევმა მიხეილ გორბაჩოვის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ: „Ослабление цензуры выразилось в декларировании руководством СССР с 25 февраля 1986 года политики «гласности»“.

ამ დროისათვის საქართველოში უკვე სხვა რეალობა იდგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავლიტის მასალები საქართველოს ცენტრალურ არქივში არასრულყოფილი სახითაა შენახული და უნდა იყოს შედეგი უწყებრივი დოკუმენტების/მიმოწერის შეგნებულად და მიზანმიმართულად განადგურების კამპანიისა, რაც 1990 წლის შემოდგომაზე მოხდა საკავშირო მთავლიტის მითითებით მისი ლიკვიდაციისას.

---

<sup>8</sup> იქვე.

## თავი 2. საკითხის შესწავლა (თეორიული არგუმენტები)

ისტორიული კონტექსტი, მოხმობილი ფაქტები და ციტატები ადასტურებს, რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის – პერესტროიკისა და მისი პროდუქტის – საჯაროობის გაშუქებისა და გავლენების შესწავლა მედიაში. საერთაშორისო დონეზე გარდაქმნის პერიოდის მედია შესწავლილია უმეტესად სოვიეტოლოგიური რაკურსით და თანაც, უფრო – რუსულენოვანი მედია.

ეს უახლესი ისტორია ქართულ კომუნიკატივისტიკაშიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული. ცოდნა ამ პერიოდის შესახებ საქართველოში უფრო ემყარება კოლექტიური მეხსიერების გამოცდილებას ჯერ კიდევ ქმედუნარიანი სპეციალისტების (ჟურნალისტების, ისტორიკოსების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების და ა.შ.) ნარატივში, ვიდრე კონკრეტულ შრომებსა და კვლევებს.

პერესტროიკის პერიოდის შესწავლა კომუნიკატივისტიკის პოზიციიდან კი აუცილებელია ისტორიის ამ მონაკვეთის შესაფასებლად და გასააზრებლად, უახლესი ისტორიის დინების „დასანახად“.

### 2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ ცოდნა 80-იანი წლების მეორე ნახევრის მედიის ცვლილების შესახებ სათანადოდ სისტემატიზირებული, გამდიდრებული და განზოგადებული ყოფილიყო კონკრეტული კვლევის საფუძველზე.

წინამდებარე კვლევა მოიცავს მცდელობას მეცნიერულად დადგინდეს და დასაბუთებული იქნას, თუ როგორ შეიცვალა მედია „დაშვებული თავისუფლების“, მკაფიო კრიტერიუმების არარსებობის პერიოდში (ძველი მითების მსხვრევა – ახლის გაჩენა, ცალკეული დისკურსული სტიმულები,

როგორც შეტყობინება შეტყობინებაში), რა მოიპოვეს ჟურნალისტებმა ტაბუს ახსნის პირობებში, რა შეტყობინებები გადასცეს აუდიტორიას.

კვლევის ამოცანაა პასუხი გაეცეს შეკითხვას, თუ როგორი ცვლილება განიცადა საგაზეთო შინაარსმა – მედიატექსტმა (თემები, კრიტიკის ხარისხი, ტაბუირებული თემების „გახსნა“: ისტორიის გადაწერა, მიმართებების შეცვლა) დაშვებული თავისუფლების პერიოდში, 80-იანი წლების მეორე ნახევარში.

საკვლევ მასალაში ძალზე საინტერესოა ისეთი სუბიექტების ურთიერთმიმართება, როგორცაა: სარედაქციო პოლიტიკის ცვლილება, ავტორისა და მკითხველის ურთიერთობა, ცენზორის ჩარევის ხარისხი, თემათა დივერსიფიცირება.

წინამდებარე ნაშრომის მნიშვნელობა იმითაცაა განპირობებული, რომ ფასეულია უახლესი ისტორიის, მედიის განვითარების აღსაქმელად, იმ სივრცის სისტემატიზაციისათვის, რასაც გარდამავალი პერიოდის ქართული პრესა ჰქვია.

ამდენად, წინამდებარე კვლევის მიზანია შეავსოს ჟურნალისტიკის ისტორიის გარკვეული მონაკვეთი ახალი მეცნიერული ცოდნით.

სწორედ ეს ხდის კვლევას აქტუალურს და ანიჭებს მას პრაქტიკულ მნიშვნელობასაც. ის მოწოდებულია წვლილი შეიტანოს მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრის მედიის შესახებ ცოდნის სისტემატიზაციის საქმეში.

**კვლევის მთავარი კითხვაა:** რა სახის გავლენა (ეფექტი) აქვს პერესტროიკასა და გლასნოტს ქართულ ბეჭდურ მედიაზე („ლიტერატურული საქართველო“, „ქართული ფილმი“, 1985-1990).

**კვლევის სხვა კითხვები** – როგორ შეიცვალა გაზეთების „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ქართული ფილმის“ შინაარსი (როგორც კულტურული და პოლიტიკური პროდუქტი) გარდაქმნის პერიოდში? როგორ იცვლება მედიატექსტი, გაზეთის თემატიკა, ჟანრობრივი დივერსიფიცირება პერესტროიკის სხვადასხვა ეტაპზე? როგორ აისახება საჯაროობა მედიურ შინაარსზე? რა თემები და პრობლემებია

აქტუალიზებული საკვლევ პერიოდში? როგორია რაკურსი და დისკურსი?  
როგორია კომუნიკაცია მკითხველთან?

### 2.3. კვლევის ჰიპოთეზები

საპილოტე პროექტის განხორციელებისა და კვლევის დაგეგმვის დროს გამოიკვეთა საგაზეთო ტექსტების მასივების მოცულობის მასშტაბი და მრავალპლანიანობა. ტექსტების შინაარსის, ემოციური შეფერილობის, თვისებრივი ცვლილებების დასადგენად ბევრ სხვადასხვა მახასიათებელზე მოგვიხდა ყურადღების გამახვილება, რაც სათანადოდ აისახა შერჩევის კრიტერიუმებსა და კოდირების ბარათში. წინამდებარე კვლევის რაოდენობრივი ნაწილი მრავალცვლადიანია, ცვლადები – დივერსიფიცირებული და თავიანთი არსით – სხვადასხვა ტიპოლოგიისაა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება გვემუშავა 4 ჰიპოთეზაზე. ჰიპოთეზების ტესტირებასთან ერთად მივმართეთ ფაქტორულ ანალიზს. დასკვნებამდე მივედით მოცულობითი საკვლევი მასალის მრავალმხრივი, მრავალპლანიანი და მრავალცვლადიანი კვლევის შედეგად.

ჰიპოთეზები ფორმულირდა შემდეგნაირად:

1. „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „ქართულ ფილმში“ მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებები არ მომხდარა გარდაქმნის დასაწყისში (1985-1987);

2. 9 აპრილის (1989) ტრაგედიის შემდეგ მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგაზეთო თემებისა და კონტენტის დივერსიფიცირებით, ტაბუს ახსნით, გამოიხატა საჯაროობა;

3. გარდაქმნის დეკლარირებას მოჰყვა დიალოგური ჟანრების ხვედრითი წილის ზრდა „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „ქართულ ფილმში“;

4. გარდაქმნისადმი პოზიტიური მიდგომა გარდაისახა მისდამი ჯერ ინდიფერენტულ, მოგვიანებით – ნეგატიურ დამოკიდებულებაში.

## 2.4. თეორია

- მკაფიო განმარტებებისა და ინსტრუქციების გარეშე დარჩენილმა მედიამ გამოიმუშავა საკუთარი დამოკიდებულებები/კონცეფციები და აღქმა გარდაქმნისა და საჯაროობის მიმართ, რაც გამოიხატა მანამდე აკრძალული თემების გაშუქებაში: მთავრობის კრიტიკა, ეროვნული საკითხი, დამოუკიდებლობის თემა, ისტორიის რევიზია, აკრძალული ავტორების გამოჩენა და საბოლოოდ მედიის თავისუფლებად დაიწყო ჩამოყალიბება.
- დაკვირვებადი შედეგები: ემპირიულმა კვლევამ დაადასტურა სამუშაო ჰიპოთეზებისა და დაშვებების მართებულობა – მედიის კონტენტი, ტექსტების ჟანრობრივი ორგანიზებულობა და ავტორთა არეალი მნიშვნელოვნად შეიცვალა მრავალფეროვნების გაჩენისა და კრიტიკის განვითარების ხარჯზე. საჯაროობის პიკი მოდის გარდაქმნის გვიანდელ პერიოდზე – 1989-90 წლებში და შემდგომში გრძელდება, როგორც მედიის კლასიკური ატრიბუტიკა.

## 2.5. კვლევის დიზაინი (კვლევის ფილოსოფია)

კვლევის ფილოსოფია – პრაგმატიზმი. პრაგმატისტული პარადიგმა უპრიანია მედიატექსტების კვლევისათვის. საკვლევი მასალის დასამუშავებლად საჭიროდ ჩავთვალეთ როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება. კრესუელის (Creswell, 2013) მიხედვით, პრაგმატისტული პარადიგმისათვის კვლევის კითხვა ცენტრალურია და ვრცელდება პრობლემის გაგების ყველანაირი მიდგომისადმი. ის მნიშვნელობები, რასაც ქმნიდა, წარმოშობდა და განავითარებდა გლასნოსტი, სოციალურად და პოლიტიკურად წონადი იყო სწორედ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ აღიქმებოდა იგი საზოგადოების მხრიდან, ანუ მისი პრაგმატიკული ასპექტების მიხედვით (Peirce და Morris).

## თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი

### 3.1. საკვლევი საკითხის აქტუალობა/საკითხის შერჩევა

კვლევის საკითხის შერჩევას ვიხელმძღვანელოთ სამი მნიშვნელოვანი ფაქტორით: 1. საკითხი არ არის კარგად შესწავლილი და გამდიდრებული მეცნიერული ცოდნით, 2. გასული საუკუნე 80-იანი წლების მეორე ნაწილი თავისი არსით უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილების პერიოდია და ამ პროცესში მედიის როლის შეფასების გარეშე შეუძლებელია ისტორიის შემდგომი დინების გააზრება, 3. შესასწავლი გარემოს ისტორიულ და კონტექსტუალურ ფაქტორებს კარგად ვიცნობდით.

წინამდებარე სინთეზური კვლევა საგაზეთო ტექსტების ანალიზსა და ექსპერტულ მოსაზრებებს ეფუძნება. მივმართეთ კონტენტანალიზის ქვეტიპს – ჩარჩო-ანალიზს, ვიმერისა დომენიკის (Wimmer, Dominick) პარადიგმის მიხედვით.

საპილოტე კვლევაში განხორციელდა 1985-87 წლების ქართული გაზეთების: „კომუნისტის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „ლიტერატურული საქართველოს“, „ქართული ფილმისა“ და „თბილისის“ მარტივი ფრონტალური მონიტორინგი. საპილოტე პროექტის განხორციელების შემდეგ დაისახა კვლევის სტრატეგია და ტაქტიკა.

საკვლევ პოპულაციად განისაზღვრა „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ქართული ფილმის“ შესაბამისი დროითი ჩარჩო – 1985-1990 წლები.

რადგანაც საქმე ეხება სუბიექტური თვისებების მატარებელ ისეთ სუბსტანციას, როგორც ტექსტია, მიზანშეწონილად ჩაითვალა ინტეგრირებული მიდგომა. კვლევა შედგება როგორც რაოდენობრივი, ისე – თვისებრივი ნაწილისაგან. რაოდენობრივი და თვისებრივი ტექნიკები გაერთიანდა ერთ, სინთეზურ კონტენტანალიზში და მედიანიმუშები გაანალიზდა კონტენტანალიზისა და/ან დისკურსანალიზის მეთოდით.

კვლევა ინდუქციის გზით განხორციელდა. სპეციფიკური მაგალითების კლასიფიკაციით მოხდა განზოგადება და ჩამოყალიბდა კანონზომიერება, როგორც კვლევის შედეგი. ემპირიულმა მასალამ, ვარაუდებმა და ინტუიციამ მიგვიყვანა სამუშაო ჰიპოთეზამდე. შეჯერებისა და კვლევის გზა: დაკვირვება – ვარაუდი, ჰიპოთეზა – თეორია, ხანგრძლივი იყო, რადგანაც ემპირიული მასალა ძალზე მოცულობითია.

### 3.2. რატომ „ლიტერატურული საქართველო“ და „ქართული ფილმი“?

საკვლევ პოპულაციად აღნიშნული ორი გაზეთის შერჩევა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა:

1. ორივე გაზეთი შემოქმედებითი კავშირის (მწერალთა კავშირი, კინემატოგრაფისტთა კავშირი), ე.წ. პრივილეგირებული ინტელიგენციის, ინტელექტუალური ელიტის ორგანოა;
2. გამოდის ერთი და იგივე პერიოდულობით;
3. კონტენტი ხშირად მიახლოებულია მხატვრულ ტექსტთან;
4. ავტორები ხშირად არიან საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები, მათ შორის – ე.წ. არაფორმალური ლიდერები;
5. 80-იანი წლების მეორე ნახევარში აღნიშნულმა გაზეთებმა იტვირთეს საზოგადოების არა მხოლოდ მაინფორმირებელი, არამედ მაკონსოლიდირებელი ფუნქცია და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პლატფორმებად ჩამოყალიბდნენ, ამ ორი გაზეთის გარშემო და მათი მეშვეობით ხდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების ფორმირება.

ამასთან, კვლევა მიზნად არ ისახავს ამ ორი გაზეთის შედარებით ანალიზს, თუმცა შედარების გარკვეული კომპონენტი წარმოდგენილია. საკვლევად აღებულია გაერთიანებული ნიმუში.

### 3.3. პოპულაცია, მონაცემთა შერჩევა და დამუშავება კვლევის რაოდენობრივი ნაწილისათვის

მთლიანი საკვლევი პოპულაციის დროითი ჩარჩოს შერჩევისა და საპილოტე პროექტის განხორციელების შემდეგ განისაზღვრა: 1. შერჩევის პარამეტრები სპეციალური კრიტერიუმებით; 2. საკვანძო/სადიებო სიტყვები; 3. ანალიზის ერთეული (სტატია); 4. მახასიათებლები/კატეგორიები, რომელთა მიხედვითაც ანალიზის ერთეულის სტრუქტურირება მოხდა ჟანრობრივად და შინაარსობრივად; 5. შედგა ანალიზის ერთეულის (სტატიის) შეფასების სამასპექტიანი სისტემა (დადებითი; უარყოფითი/სკეპტიკური; ნეიტრალური); 6. შემუშავდა სპეციალური კოდირების ბარათი (8 ჟანრობრივი, 8 შინაარსობრივი, 3 შეფასებითი კატეგორია); 7. მოხდა შესაბამისი კრიტერიუმებისა და საკვანძო სიტყვის საფუძველზე შერჩეული ყოველი საგაზეთო სტატიის პასპორტიზაცია კოდირების ბარათში წარმოდგენილი მახასიათებლების/კატეგორიების მიხედვით; 8. მოხდა საბოლოო მონაცემების დათვლა/კლასიფიკაცია, შედგა სტატისტიკური ცხრილები; 9. გამოიყო ცვლადები; 10. შემდეგ მოხდა ცვლადების კოდირება; 11. მიღებული მონაცემები დამუშავდა შესაბამისი სტატისტიკური ოპერაციებით: ხი კვადრატის ტესტით, ფაქტორული ანალიზის ტექნიკით.

შემდეგ კი მოხდა შედეგების ინტერპრეტირება.

საკვლევი სტატიების შერჩევისას სახელმძღვანელო პრინციპი გახდა პასუხი შეკითხვაზე – შესაძლებელი იქნებოდა, თუ არა მოცემული სტატიის გამოქვეყნება აქტიური ცენზურის პირობებში. სტატიები შეირჩა 8 თემატური ნიშნის მიხედვით (ა. გარდაქმნა/საჯაროობა – როგორც ისტორიის რევიზია/ახალი ისტორიის დაწერის სტიმული/ სტალინის დემისტიფიკაციის პოლიტიკური კამპანია; ბ. გარდაქმნა/საჯაროობა – ცუდი ახალი ამბისთვის ტაბუს ახსნა; გ. გარდაქმნა/საჯაროობა – როგორც საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმული; დ. გარდაქმნა/საჯაროობა – როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი/მრავალპარტიულობა; ე. გარდაქმნა/საჯაროობა – მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტისთვის ან



ჯგუფისთვის; ვ. გარდაქმნა/საჯაროობა – ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება, დამოუკიდებლობის იდეა; ზ. გარდაქმნა/საჯაროობა – პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა; თ. სხვა.) და შეეხება მედიისათვის მანამდე ისეთ დახურულ საკითხებს, როგორებიცაა: სტალინური რეპრესიები, ემიგრანტული ცხოვრება და ლიტერატურა, ხელისუფლების/კომპარტიის კრიტიკა, დამოუკიდებლობა და ისტორიის გადაწერა, ნეგატიური სტატისტიკა და ა.შ.

გარდაქმნის საწყის ეტაპზე (1985-86 წლები) საჯაროობა იმდენად გამომხატული არ არის მედიაში და მითითებული თემატიკის სტატიების რაოდენობა ამ პერიოდში უმნიშვნელოა. შესაბამისად, ეს აისახა კიდევ შერჩევის მოცულობაზე. მოგვიანებით, 1987-88 წლებში ზემოთ მითითებული თემატიკის მქონე სტატიების რაოდენობა მატულობს და შერჩევის მოცულობაც იზრდება. 1989 წლისათვის ფიქსირდება ე. წ. გარდამტეხი მომენტი, სწორედ ამ პერიოდზე მოდის თემათა განსაკუთრებული დივერსიფიცირება საჯაროობის გამომხატვის თვალსაზრისით და მეტია შერჩევის მოცულობაც.

„ქართული ფილმისა“ და „ლიტერატურული“ საქართველოს“ თითოეული საგაზეთო ნომრიდან შეირჩა 1-2 სტატია წინასწარ განსაზღვრული თემატური კრიტერიუმების მიხედვით. 2-2 სტატია შეირჩა უმეტესად „ლიტერატურული საქართველოს“ ნომრებიდან, რადგან ამ გაზეთის ფორმატი მნიშვნელოვნად (2-ჯერ და ხანდახან მეტადაც) აღემატება „ქართული ფილმის“ ფორმატს.

„ლიტერატურული საქართველოსათვის“ საკვლევი პოპულაცია შეადგენს დაახლოებით 300 საგაზეთო ნომერს (1985-1990), „ქართული ფილმისათვის“ (1987-1990) – 200 საგაზეთო ნომერს. „ლიტერატურული საქართველო“ გამოდის 16-გვერდიანი ფორმატით, „ქართული ფილმი“ – 8-გვერდიანი ფორმატით, ორივე – კვირაში ერთხელ.

გაერთიანებული საკვლევი პოპულაციიდან შერჩევის ნიმუში (sample) შედგება 842 ბარათისაგან, „ლიტერატურული საქართველო“ – 519, „ქართული ფილმი“ – 323.

აღნიშნული მასალა კვლევის რაოდენობრივი ნაწილის მდგენელია.

### 3.4. საკვანძო სიტყვები

საკვანძო სიტყვები და სიტყვათა ჯგუფები შერჩევისათვის: გარდაქმნა, საჯაროობა, დაჩქარება, სამეურნეო ანგარიში, რეპრესიები, ემიგრანტები, ეროვნული საკითხი, დამოუკიდებლობა, ერთა თვითგამორკვევა, სტალინიზმი, აკრძალული ავტორები, ეროვნული მოძრაობის ლიდერები; ასევე ჩამოთვლილი სიტყვებისა და სიტყვათა ჯგუფების კონოტაციის მატარებელი ერთეულები.

### 3.5. ანალიზის ერთეული

ანალიზის ერთეულად აღებულია ორი დონე:

1. საგაზეთო სტატია/სტატიის კონტენტი, რომელიც წარმოაჩენს გლასნოსტისა და პერესტროიკის, როგორც კონცეპტის არსს, შეფასებას და/ან მიემართება მას.

2. საგაზეთო ერთეული (ერთი ნომერი).

საგაზეთო ნომრების ანალიზისას მოხდა ჟანრობრივ-თემატური კონტენტის კლასიფიკაცია, რითაც მივიღეთ დივერსიფიცირების დინამიკის სურათი 1985-90 წლებისათვის).

საკვლევი ერთეული – სტატია გაანალიზდა სპეციალური კოდირების (საიდენტიფიკაციო) ბარათის მეშვეობით

### კოდირების ბარათი

ბარათის ნომერი:

წყაროს დასახელება:

გაზეთის ნომერი/თარიღი:

რუბრიკა:

სტატიის სათაური:

ავტორი (შიდა ავტორი//გარე ავტორი):

პუბლიკაციის თანრიგი:

- ა. საინფორმაციო შენიშვნა;
- ბ. ნარკვევი;
- გ. ღია წერილი;
- დ. წერილი რედაქციას//რეპლიკა//გამოხმაურება//მოსაზრება;
- ე. საგაზეთო პოლემიკა;
- ვ. ედიტორიალი//სარედაქციო სტატია//მოწინავე;
- ზ. ინტერვიუ//ანკეტა//მონოლოგი.
- თ. სხვა

ცნება „საჯაროობის“/“გლასნოსტის“ კონოტაცია/ანალოგი ტექსტში:

- ა. გარდაქმნა - როგორც ისტორიის რევიზია//ისტორიის გადაწერის სტიმული//სტალინის დემისტიფიკაციის პოლიტიკური კამპანია;
- ბ. გარდაქმნა - ცუდი ახალი ამბისთვის ტაბუს ახსნა;
- გ. გარდაქმნა და საჯაროობა, როგორც ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმული;
- დ. გარდაქმნა, როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი//მრავალპარტიულობა;
- ე. გარდაქმნის მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტისთვის;
- ვ. ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება, დამოუკიდებლობის იდეა;
- ზ. პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა;
- თ. სხვა.

გარდაქმნისა და საჯაროობის შეფასებითი ასპექტი:

- ა. დადებითი; ბ. უარყოფითი/ სკეპტიკური; გ. ნეიტრალური.

ნიშანდობლივი ციტატა//გარდაქმნის განმარტება (ციტატა სტატიიდან)

რეზიუმე

### 3.6. მონაცემთა შეკრება და დამუშავება კვლევის თვისებრივი ნაწილისათვის

მონაცემთა შეკრება კვლევის თვისებრივი ნაწილისათვის მოხდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების მეშვეობით. კითხვარის შედგენისას (როგორც ღია, ისე – დახურული კითხვები, იხ. დანართი N2) გათვალისწინებული იქნა 80-იანი წლების ისტორიული კონტექსტი და საპილოტე კვლევისას მიღებული ზოგადი სურათი.

შედგა 8 ინტერვიუ (იხ. დანართი N2) ექსპერტებთან: 1985-90 წლების პერიოდის მოქმედ ჟურნალისტებსა და მედიამენეჯერებთან, მათ შორის – საკვლევი გაზეთების რედაქტორებთან.

ჩანაწერები გაიშიფრა, მოხდა ტექსტების კონდენსირება, გამოიყო ძირითადი შეტყობინებები. შეტყობინებები დაითვალა და კლასიფიცირდა. შემდეგ მოხდა ანალიზი და ინტერპრეტაცია, რაც საფუძვლად დაედო ანალიტიკურ ანგარიშს კვლევის თვისებრივი ნაწილისათვის.

ინტერვიუებმა ექსპერტებთან მოგვცა როგორც გაზომვადი, ისე ექსპერიმენტული მონაცემები. მივიღეთ პასუხები კითხვებზე როგორ და რატომ შეიცვალა მედიაკონტენტი, რამაც კვლევას სისრულე შესძინა. მივიღეთ ღრმა და გაშლილი ინფორმაცია თემის შესახებ, გამოჩნდა ექსპერტების დამოკიდებულება საკვლევი საკითხისადმი. შერჩეული რესპონდენტების სტატუსმა და კომპეტენციამ განაპირობა მათ მიერ შემოთავაზებული სპეციფიკური ინფორმაციის ვალიდურობა შესასწავლ საკითხსა და პერიოდთან მიმართებაში, შექმნა სივრცე სამუშაო ჰიპოთეზების ფორმირებისათვის. ნაკლებად ფორმალიზებული ინტერვიუების წყალობით, ექსპერტთა ნარატივში კარგად გამოჩნდა ე.წ. რბილი მონაცემების («soft data») მრავალმნიშვნელობა: აზრი, განწყობა, დამოკიდებულებები, ემოციური შუქ-ჩრდილები.

ექსპერტთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია გახდა გასაღები სურათის ფართო დიაპაზონში აღსაქმელად და იმ ემპირიული მონაცემების დამატებით ინტერპრეტაციისათვის, რაც მედიაკონტენტის რაოდენობრივი ანალიზისას შეჯერდა.

## თავი 4. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ცნობილია, გარდაქმნის/პერესტროკისა და საჯაროობის/გლასნოსტის განხილვა ფართო დისკურსში ხდება ისეთ დოქტრინალურ პლატფორმებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: ფილოსოფია, იდეოლოგია და სიგნიფიკაცია, სოციოლოგია. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის უმეტესად შეირჩა წყაროები კომუნიკატივისტიკის რაკურსით.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა სადისერტაციო ნაშრომისათვის შედგება სამი ნაწილისაგან:

- გარდაქმნის პერიოდიზაციისათვის;
- უცხოური (ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი) წყაროები გარდაქმნის შესახებ;
- ქართული წყაროები გარდაქმნის შესახებ.

გარდაქმნისა და საჯაროობის მედიაკონცეპტთან მიმართებაში ქართული სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოდ მწირია. ეს ქმნის ერთგვარ შეზღუდვას კვლევაში. ამიტომ ლიტერატურის მიმოხილვისას, აქცენტი გაკეთდა პერესტროკისა და გლასნოსტის უცხოელ მკვლევრებზე.

### 4.1. გარდაქმნის პერიოდიზაციისათვის

სამეცნიერო ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია პერესტროკის პერიოდის შემდეგი ძირითადი ტიპის პერიოდიზაცია:

1. გარდაქმნის პერიოდს ყოფენ ორ ეტაპად;
2. გარდაქმნას ყოფენ სამ ეტაპად;
3. გარდაქმნას ყოფენ ოთხ ეტაპად.

ვიაზემსკი (Вяземский, 2003) 1986-87 წლებს საჯაროობის პირველ ფაზად მიიჩნევს, 1988-91 წლებს – მეორე ფაზად. მკვლევარი აცხადებს, რომ მეორე ფაზაში დისკუსიას ისტორიული წარსულის შესახებ ჩაენაცვლა სოციალისტური სისტემის ღია გამობა.

მაკნაირი (McNair, 1991) გამოყოფს საჯაროობას 1990 წლამდე და შემდეგ, მეორე ეტაპს – 1990-91 წლებს. მისი მიდგომით, სოციალისტური პლურალიზმის კონცეპტი ჩანაცვლდა ლიბერალური პლურალიზმით მეორე ფაზაში და გაიზარდა კრიტიკის სპონტანურობა. და თუ საჯაროობა უნდა ჩაითვალოს საბჭოთა პოლიტიკის ნაწილად, ის დასრულდა საბჭოთა კავშირის ნგრევასთან ერთად.

სამეტაპიან პერიოდიზაციას ემხრობა ბევრი რუსი მეცნიერი და საკუთრივ რუსული წყარო: 1. 1985-87 წლები, რომელიც ე.წ. „დაჩქარების“ ლოზუნგით მიმდინარეობდა; 2. 1988-89 წლები, რომელიც გარდაქმნითა და საჯაროობით იყო ნიშნული; 3. 1990-91 წლები – რეფორმების გაღრმავება.<sup>9</sup>

გლასნოსტის პროცესს სამ ეტაპად ყოფს მიურეიც (Murray, 1990): 1. 1985-88 – კომპარტიის აპრილის პლენუმზე გლასნოსტი ფორმალურად იქნა აღიარებული, 1988 წლის დასაწყისისათვის კი, ჟურნალისტებმა მოახდინეს რეალიზება, რომ გლასნოსტი კიდევ ერთი ცარიელი განცხადება არ იყო, რომელსაც მხარს უჭერდა გორბაჩოვი და პროგრესულად მოაზროვნე სხვა ლიდერები; 2. 1988-90 – პრესამ დაიწყო საკუთარი სიძლიერის შეგრძნება, გაქრა შიში კონსერვატიული ელემენტებისადმი პარტიაში, რომლებიც გამუდმებით გამოხატავდნენ საკუთარ უკმაყოფილებას გლასნოსტის დესტრუქციული ბუნებისადმი; 3. 1990 წლის აგვისტოში მესამე ფაზა დაიწყო, ძალაში შევიდა კანონი პრესის შესახებ. კანონმა მედიას მიანიჭა დაცულობა პარტიის ჩარევისაგან და გაუქმდა ცენზურა.

გლასნოსტის დამაგვირგვინებელი ეს მესამე ეტაპი, მიურეის აზრით, უკვე დასასრული იყო. მიუხედავად კანონის ძალაში შესვლისა, პარტია კვლავ ინარჩუნებდა კონტროლს ბეჭდვით ინდუსტრიაზე, არაპირდაპირ კონტროლს – არაპარტიულ პრესაზე.

მიურეის ეს მიდგომა, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ ჯოზეფ გიბსისაგან განსხვავებით, მიურეისეული დაყოფა ნაკლებად არის ნიშნული საკვანძო მომენტებით, მიურეის ფოკუსი უფრო ზოგადია, დაყოფა – ნაკლებად სტრუქტურირებული კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით.

<sup>9</sup> <https://histerl.ru/lectures/85/etapy-perestrojki-v-sssr.htm>

ჯოზეფ გიბსი (Gibbs, 1999) საჯაროობის ოთხეტაპიან პერიოდიზაციას გვთავაზობს. მისი პოზიციით, ჩერნობილის კატასტროფა საკვანძო მოვლენა და რადიკალური ცვლილებების მომენტია. გიბსისეული ოთხსაფეხურიანი პერიოდიზაცია ქმნის კარგად სეგმენტირებულ, მკაფიოდ გამიჯნულ სურათს:

1. 1985 – საჯარო კრიტიკა საკმაოდ ხშირია, ქვეყნდება ნეგატიური მასალები და მონაცემები ცუდი მმართველობის შესახებ;

2. 1986 – 1987 შუა პერიოდი – საჯაროობა ფართოვდება, იწყება ისეთი ლიტერატურული მასალის გამოქვეყნება, რაც მანამდე აკრძალული იყო, რედაქტორებსა და გამომცემლებს თეორიულად მიეცათ უფრო მეტი დისკრეცია შინაარსთან დაკავშირებით; ჩერნობილის კატასტროფა და ალმა-ათის არეულობა უმნიშვნელოვანესი მოვლენები იყო.

3. 1987 დასაწყისი – 1988 – გორბაჩოვმა დესტალინიზაციის კამპანია გამოაცხადა. ტაბუირებული ისტორიული თემების არეალი ოფიციალურად გაფართოვდა, ნინა ანდრეევას მანიფესტი<sup>10</sup> ამ ეტაპის სიმბოლო-სტიმული იყო.

4. 1988 წლის შუა პერიოდი, პარტიის მე-19 კონფერენცია - 1990 – საჯაროობა, როგორც კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, დადასტურდა თავისი განსაზღვრული ლიმიტებით; მთავლიტსა და აგიტპროპს ნიადაგი გამოეცალათ. გორბაჩოვის მიერ დეკლარირებული საჯაროობა, როგორც ლენინისტური კონცეპტი, ჩანაცვლდა.

პარალელური მიდგომებს გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს მედიაში მიმდინარე გარდაქმნაც თეორიულად შეიძლება დავყოთ ორ, სამ ან ოთხ ეტაპად.

ჯოზეფ გიბსის მიდგომის პარალელური თარგი ქართული მედიისათვის დაახლოებით ასე გამოიყურება:

1. 1985 – ქართულ მედიაში ეს ეტაპი არ ხასიათდება მნიშვნელოვანი ცვლილებებით; მედია მოლოდინის რეჟიმშია, საჯაროობა

<sup>10</sup> «Не могу поступаться принципами» — 1988 წლის 13 მარტს გაზეთ „სოვეტსკაია როსიაში“ ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პედაგოგის, ნინა ანდრეევას მიერ გამოქვეყნებული წერილი, რომელიც პარტიის კურსს აკრიტიკებდა.

და გარდაქმნა ძირითადად, ცენტრალური გაზეთებიდან გადმობეჭდილ ოფიციალურ ქრონიკებში დაიკვირვება;

2. 1986 – 1987 შუა პერიოდი – ქართული მედია იღვიძებს, დაარსდა ახალი გაზეთები;

3. 1987 დასაწყისი – 1988 ქართულ მედიაში დაიწყო მანამდე აკრძალული თემების გამოქვეყნება (ემიგრანტული ლიტერატურა, რეპრესიები, სტალინიზმი და ა.შ.)

4. 1988 დასაწყისი – 1990 – ქართულ მედიაში ჩნდება ისეთ საკრალური თემები, როგორებიცაა: ეროვნული საკითხი, დამოუკიდებლობა. მკვიდრდება აზრის გამოხატვის თავისუფლება, საგაზეთო პოლემიკა. 9 აპრილის ტრაგედია გარდამტეხი მომენტი ხდება მედიისათვისაც.

პარალელური პერიოდიზაციის მიხედვით, პირველი ორი ეტაპი განსაკუთრებით საინტერესო არ ყოფილა ქართული მედიის სინამდვილეში. უფრო მეტიც – ის თითქმის არ ყოფილა გამოხატული. გიბსისეულ მიდგომასთან ქართულ საჯაროობას ანათესავებს გარდამტეხი მომენტის – 9 აპრილის ტრაგედიის ფაქტი.

ქართველი ავტორები (თათარაშვილი, იბერი, მასიაშვილი) იზიარებენ მოსაზრებას, რომ გარდამტეხი მომენტი საქართველოში სწორედ 9 აპრილის ტრაგედიით დადგა, რასაც მოჰყვა სიტყვის სრული თავისუფლება. აღნიშნულს ადასტურებს ემპირიული კვლევებიც და ექსპერტული მოსაზრებებიც. საგაზეთო შინაარსის ცვლილება მნიშვნელოვანი და თვალშისაცემია 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილის ტრაგედიის მედიარეფრაქციის დიალექტიკა ძალზე ენათესავება ჩერნობილის კატასტროფის ისტორიას (ტრაგედია – დუმილი – ოფიციალური ვერსია – ბრძოლა ჭეშმარიტებისათვის – სიმართლე მომხდარის შესახებ), ჩერნობილის ტრაგედიისაგან განსხვავებით, 9 აპრილის ტრაგედიის დამალვა შეუძლებელი იყო, თუნდაც ცოტა ხნით. თუმცა ჩერნობილის ტრაგედიის მსგავსად დასაწყისში ვრცელდებოდა ტრაგედიის ორი პარალელური ვერსია – ხელისუფლებისა და სამხედროების მონათხრობი და მეორე – ჭეშმარიტად რეალური ისტორია. ოფიციალურმა ვერსიამ დიდხანს ვერ გასტანა.



ამდენად, მკვლევართა პოზიციების გათვალისწინებითა და არსებული ვითარების შეჯერებით, უპრიანია „ქართული გარდაქმნის“ დაყოფა ორ ეტაპად:

1. 9 აპრილის ტრაგედიამდე (1985-89);
2. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ (1989-90).

## 4.2. უცხოელი ავტორები გარდაქმნის შესახებ

ჰოპკინსის (Hopkins, 1970) მიხედვით, მედია ფუნქციას კარგავს, როდესაც ის გადაჭარბებულადაა კონცენტრირებული წარმატებულ ამბებსა და მიზნებზე. ჰოპკინსის ეს პოსტულატი კარგად ხსნის სტაგნაციის პერიოდის საბჭოთა მედიის უსახურობას.

ნიკოლას პაუელის (Powell, 2012) მიხედვით, 1985 წელს, როდესაც გორბაჩოვი კომუნისტრი პარტიის სათავეში მოვიდა, საბჭოთა კავშირი საკუთარი თავის აჩრდილიდა იყო, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა სტაგნაციას მოეცვა, ავღანეთის ომს კი ათასობით ჯარისკაცი ეწირებოდა. ამ დროს გორბაჩოვმა აღიარა ეკონომიკური კრიზისი და დაიწყო საკუთარი გეგმის, გარდაქმნის/პერესტროიკის განხორციელება, რაც ეკონომიკურ რესტრუქტურისაციას ნიშნავდა თავდაპირველად. პროგრამა მოწოდებული იყო გამოესწორებინა წინა თაობების შეცდომები. პერესტროიკის განხორციელება ნიშნავდა ფერმების პრივატიზაციას, მრეწველობის ეფექტიანობის ამაღლებას, იმპორტის შემცირებას.

პაუელი აცხადებს, რომ გორბაჩოვს სურდა, ნდობა მოეპოვებინა, რომლის მეშვეობითაც ის შეძლებდა განეხორციელებინა პერესტროიკა – ეკონომიკური გარდაქმნა.

საჯაროობა/გლასნოსტი სწრაფად გავრცელდა. მოულოდნელად გათავისუფლებულმა უმცირესობის ჯგუფებმა დაიწყეს თვითგამორკვევის მოთხოვნა. გორბაჩოვმა და მისმა მოკავშირეებმა ვერ გათვალეს, რომ ლიბერალური პოლიტიკა ნაციონალისტური მენტალიტეტის მქონე ჯგუფებს აღვირს ახსნიდა.

გლასნოსტს მაშინვე არ გამოუწვევია მასობრივი პროტესტები. თუმცა გლასნოსტმა აზროვნების ცვლილებას მისცა დასაბამი. დაისვა შეკითხვა – თუკი კომუნიზმს დრამატული ცვლილებები ესაჭიროებოდა ქმედუნარიანობის გასაგრძელებლად თუნდაც საბაზისო დონეზე, მაშინ როგორ შეიძლებოდა მისი, როგორც იდეოლოგიის ნდობა? გორბაჩოვს არ განუცხადებია, რომ წარსულთან კავშირს წყვეტდა. მაგრამ ახალმა იდეოლოგიამ გაზარდა სკეპტიციზმი, დაასუსტა კავშირი ცენტრსა და პერიფერიას შორის.

საჯაროობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გორბაჩოვის პოლიტიკურ შეზღუდვაშიც. კლიმატი, რომელშიც გლასნოსტი ამოქმედდა, ეკონომიკური არეულობა და სოციალური თავისუფლების დაპირება – მიზნად ისახავდა მკაცრი შეზღუდვების დაწესებას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. სწორედ ამიტომ, გორბაჩოვის ტაქტიკა განსხვავდებოდა წარსული საბჭოთა ლიდერების ტაქტიკებისაგან. გორბაჩოვს არ შეეძლო დაეშვა, რომ „ცუდი პრესა“ ჰქონოდა.

პაუელი მიიჩნევს, რომ მყარი კავშირების დარღვევა გლასნოსტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეფექტი იყო. ეს მოხდა ყველგან, ბალტიისპირეთში, კავკასიაში, ციმბირში. პერიფერიების კავშირი ცენტრთან ძლიერი რომ ყოფილიყო, ნგრევა არ იქნებოდა მოსალოდნელი.

დაშლა გახდა პერესტროიკის შედეგი გლასნოსტის მეშვეობით. გლასნოსტმა არა მხოლოდ დაშალა საბჭოთა კავშირი, არამედ მისი შემოქმედის, გორბაჩოვის კარიერაც დაასრულა.

“- It was the collateral outcome of perestroika through glasnost that brought about the end of Soviet Communism. The system did not collapse, as is sometimes understood. A collapse would indicate a sudden and complete fall from grace. Instead it crumbled gradually, and certainly not from a high position. It really is one of history's great paradoxes: to survive, Soviet Communism had to compromise, but if it compromised, it could not survive,” – აღნიშნავს პაუელი (Powell, გვ.123).

პერესტროიკა, რობერტ გროგინის (Grogin, 2000) მიხედვით, გამოცხადდა, როგორც ქვეყნის ეკონომიკის გასაუმჯობესებელი, ბიუროკრატის დასადღევი იარაღი, რათა ქვეყანა კონკურენტული

გამხდარიყო გლობალურ პროცესებში. მკაფიო ფილოსოფიური საფუძვლის, შესაბამისი გეგმისა და სტრატეგიის არქონის გამო პერესტროიკა არაპროგნოზირებადი მიმართულებით განვითარდა, რამაც მთელი რიგი ნეგატიური თანმდევი მოვლენები გამოიწვია და საბჭოთა კავშირი დაშლამდე მიიყვანა.

ლაგერსპეტცის (Lagerspetz, 1996) აზრით, 80-იანი წლების საბჭოთა კავშირში დაიკვირვებოდა ტენდენცია, რომ პრობლემები წარმოეჩინათ, როგორც ინდივიდუალური ფაქტორებით გამოწვეული ან როგორც ოფიციალური პირების უუნარობა. სოციალური პრობლემების წარმოჩენის გზა საბჭოთა მედიაში იყო ოფიციალური დისკურსის ნაწილი, რაც არაოფიციალურ დისკურსს სრულად ეწინააღმდეგებოდა. სწორედ კონფლიქტმა საღ აზრსა და ოფიციალურ დისკურსს შორის გამოიწვია სისტემის დანგრევა.

ჰაფი (Hough, 1988) აცხადებს, რომ საჯაროობის პერიოდში აზრის გამოხატვის თავისუფლებამ ნიშნულზე აღწერა საბჭოთა ლიდერებმა. პრესა ეკონომიკურ პრობლემებს გადაჭარბებით წარმოაჩენდა. ეს ერთგვარ ისტერიას დაემსგავსა. პუბლიკაციები ოფიციალურ მედიაში წარმოადგენდა ოფიციალურად სანქცირებულ საჯარო დისკურსს.

ელისაბედ თიგი (Teague, 2013), რომელიც სამართლიანად მიჯნავს გარდაქმნას საჯაროობისაგან, აღნიშნავს, რომ გლასნოსტი, რომელიც გორბაჩოვს ხელიდან გაექცა, უფრო მეტად წარმატებული იყო, ვიდრე პერესტროიკა. საბჭოთა ხალხი მას ჩაეჭიდა, რათა თვითგამორკვევა მიეღო. საბოლოოდ გორბაჩოვის რეფორმებმა კოლაფსამდე მიიყვანა კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირი.

ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკის რეაქცია გლასნოსტზე ეთნიკური არეულობა იყო – საჯაროობამ საზოგადოებას უბიძგა ხმამაღლა ელაპარაკა საკუთარ სატკივარზე.

პერესტროიკის პირველ ფაზაში გორბაჩოვის მთავარი იდეა იყო პასუხისმგებლობის ზრდისა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის სტიმულირება, ადამიანური ფაქტორის გააქტიურება ინტენსიფიკაციისა და დაჩქარების ადრეულ პოლიტიკაში.

თავისი მოღვაწეობის დასასრულისას საბჭოთა ლიდერის პოსტზე გორბაჩოვმა საბჭოთა ეკონომიკის რეფორმირების თავისი პირვანდელი მიზანი ჩაანაცვლა უფრო მეტი წნეხით, რათა გადაერჩინა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური არსებობა. 1991 წლის საახალწლო მიმართვაში მაგალითად, მან საზოგადოებას მოუწოდა საკრალური მიზნის, საბჭოთა კავშირის შენარჩუნების ძალისხმევისაკენ.

თივის აზრით, თანამედროვეობის უდიდესი პარადოქსია ის, რომ გადასარჩენად საბჭოთა კომუნიზმი დათმობაზე უნდა წასულიყო, მაგრამ რომ დაეთმო, ვერ გადარჩებოდა.

ელისაბედ თიგი ნაშრომში „Worker’s Reaction to *Perestroika* and *Glasnost*“ აღნიშნავს:

“Activating the human factor was therefore an integral feature of Gorbachev’s early policies of “intensification“ and “acceleration“, that is achieving enhanced economic growth by more efficient use of inputs (manpower in particular) and the of the modern technology in the workplace... By the outumn of 1986, Gorbachev had apparently become convinced that opposition to economic reform was so strong and deeply entrenched, until it was overcome, any improvement in the country’s economic would be impossible. It was then that he switched the focus to political reform. During the next phase of Gorbachev’s leadership (1987-89), much greater political openness (*glasnost*) permitted“.

ბალსისისა და მაკეის (Bulsys & Makay, 1989) აზრით, გლასნოსტმა ხელი შეუწყო იდეოლოგიურად მოქნილი, პოლიტიკურად მიმტევებელი და სოციალურად პროგრესული რუსეთის იდეის კულტივირებას დასავლეთში. მეცნიერები თვლიან, რომ სპეციფიკური მნიშვნელობის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, გლასნოსტი გადაიქცა ღია საზოგადოებაში თავისუფალი სიტყვის კონდენსირებულ სიმბოლოდ. გლასნოსტის მცდარმა გააზრებამ გაზარდა საზოგადოების მოლოდინები საბჭოთა სისტემის ცვლილებისადმი და შესაბამისად, განხიზვლაც ღრმა და ყოვლისმომცველი იყო.

გლასნოსტის მეშვეობით გამოცხადებული ცვლილებები არ იყო ინსტიტუციონალიზებული. არ არსებობდა კანონმდებლობა ღია გამოხატვის დასაცავად. კრემლს შეეძლო გლასნოსტის პრივილეგიები გვერდზე გაეწია, როცა კი ამას საჭიროდ ჩათვლიდა. ცენზურა კონტროლის მოძველებულ

ფორმად კი ითვლებდა, მაგრამ მოწინავე საბჭოთა ინტელექტუალების ნააზრევნი რედაქტირებას კვლავაც გადიოდა.

მიუხედავად ამისა, ახალ ამბებში გაჩნდა თემები, რომლებიც მანამდე ცენზურას ექვემდებარებოდა, მაგალითად, ავღანეთის ომი, მაგრამ პოლიტიკურ, საგარეო პოლიტიკის სტრატეგია კრიტიკის მიღმა რჩებოდა ან ლიმიტირებული იყო მისი კრიტიკა. დაიწყო დისიდენტების გამოქვეყნებაც. თუმცა დეკლარირებიდან სამი წლის შემდეგ ამოტივტივდა მთელი რიგი აკრძალვები, რომლებმაც გამოააშკარავა, თუ როგორ განსხვავდება გლასნოსტი ამერიკული/დასავლური ღიაობის ტრადიციებისაგან.

გლასნოსტი იღებდა „ეკონომიკური თავისუფლების“, გარანტირებული დასაქმების, საცხოვრებლითა და სამედიცინო დახმარების ვალდებულებებს და ნაკლებად – ჭეშმარიტად დასავლური ღირებულებების მქონე პოლიტიკური თავისუფლებების პასუხისმგებლობას.

ბალსისი და მაკეი თვლიან, რომ გლასნოსტის შინაარსს ბუნდოვანებასთან ერთად ერთგვარი ცალმხრივობაც ახასიათებდა და ამის დასტურად მოჰყავთ მაგალითი – მაშინ, როცა გორბაჩოვი ამბობდა, რომ ყველაფერი და ყველა ექვემდებარება კრიტიკას, სტალინი და მისი მემკვიდრეობა უფრო გახდა გადახედვის სამიზნე, ვიდრე – ლენინი.

შესაბამის ანალიზზე დაყრდნობით ავტორები მიიჩნევენ, რომ გორბაჩოვის რიტორიკაში გლასნოსტის მნიშვნელობა ვარირებდა, ის საკმარისად მკაფიო არ იყო და ამიტომაც დასავლეთში ბევრმა არასწორად აღიქვა გლასნოსტის მნიშვნელობა.

ავტორები, აღნიშნავენ, ასევე შემდეგს:

„First, while Gorbachev has proclaimed that the mass media are the major platform of glasnost, unfettered communication channels do not exist... Second, the changes advanced through glasnost have not been institutionalized. No legal code presently exists to protect rights of free and open expression, although such codification is reported to be under consideration... Third, glasnost is unevenly applied in the Soviet Union... Fourth, glasnost is bound to "economic liberties" of guaranteed employment, housing, and medical care, less to the political freedoms cherished by the West... Fifth, Gorbachev's definition of glasnost as "constructive criticism"

circumscribes public debate about political principles and the values upon which they rest (იქვე, გვ. 63).

საბჭოთა მედიის მკვლევარის, ჯოზეფ გიბსის (Gibbs, 1999) მიხედვით, მდგომარეობა ცენტრალიზებულ საბჭოთა მედიაში მნიშვნელოვნად შეიცვალა მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლისა (1985) და საჯაროობის დეკლარირების შემდეგ. გარდაქმნამდე საბჭოთა მედია მიმართული იყო – დასავლური კონტენტანალიზის ტერმინის მიხედვით – მიზანზე ორიენტირებულ, ინსტრუმენტულ კომუნკაციაზე. შეტყობინებები სისტემატურად ფორმულირდებოდა ერთი სახით – ადამიანის დასარწმუნებლად.

მეცნიერი ამბობს, რომ გორბაჩოვის საჯაროობა იყო პირობითი რეფორმა, რომელიც საშუალებას იძლეოდა ფართო და საჯარო, მაგრამ ჯერ კიდევ გულდასმით დაკვირვებად მედიადისკუსიის საშუალებას შერჩეულ თემებზე. საჯაროობა ზემოდან ქვემოთ მიმართული პროცესი იყო. არამედიურ გამოყენებაში (სადაც ის ფაქტობრივად, ჩაისახა ანდროპოვის დროს) საჯაროობა ნიშნავდა პარტიის საქმიანობის ალტერნატიულ მიმართულებებზე დისკუსიასა და სახელმწიფოსა და პარტიის ოფიციალური პირების კრიტიკის წახალისებას.

საჯაროობა იყო პოლიტიკური იარაღი საბჭოთა საკომუნიკაციო სტრატეგიის წასახალისებლად. გენგემა მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის მთავრობისა და საზოგადოების რეკონსტრუქციას.

გიბსის მიხედვით, როდესაც საქმე ეხებოდა მედიას, საჯაროობა არ ფუნქციონირებდა კონტროლის მექანიზმის განსაზღვრული სტანდარტებით, როგორც მაგალითად, მთავლიტი ან აგიტპროპი. ეს უკანასკნელნი უფრო სელექციურები იყვნენ კონტროლის განხორციელებაში მაშინ, როცა რედაქტორები და ჟურნალისტები თანდათან მეტ თავისუფლებას ანიჭებდნენ კონტენტს. 1988 წლის დასაწყისისათვის მთავლიტმა და აგიტპროპმა თითქმის დაკარგეს მედიაზე კონტროლი. პარტიაც თანდათან კარგავდა გავლენას. საჯაროობა, რომელიც გორბაჩოვმა, როგორც ლენინისტმა, წარადგინა, ჩანაცვლდა.

გიბსი თვლის, რომ მასმედიის სადავეების დაკარგვა „მგრძნობიარე ექსპერმენტი“ იყო. გორბაჩოვმა წამოიწყო სერიოზული რეფორმები და დაუპირისპირდა ბრეჟნევი-ჩერნენკოს გერონტოკრატს. ამ სირთულის დასაძლევად მას სჭირდებოდა არა მხოლოდ ლენინიზმის მისაღები რედეფინიცია, არამედ მტკიცე მხარდაჭერა პარტიული ინსტიტუციების მიღმაც, რომლებიც აკონტროლებდნენ მის პოლიტიკურ ბედისწერას. საჯაროობამ მას მისცა უზარმაზარი ფორუმი, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ დაედგინა, რომელი ფაქტორები და რომელი ოფიციალური პირები არ იყო შესატყვისი/სწორი საბჭოთა საზოგადოებისათვის და მეორე – რომ დაემტკიცებინა საკუთარი ძალისხმევის სისწორე.

გიბსი საჯაროობას „ორლესულ მახვილს“ უწოდებს ტრადიციულად კონტროლირებადი მასმედიის პირობებში. გორბაჩოვმა თავის ოპონენტებს მედიის გააქტიურების მეშვეობით უპასუხა. ამ ძალისხმევას მოჰყვა პარტიის პრესტიჟის სულ უფრო და უფრო დაცემა. როდესაც 1990 წელს მძიმე ეტაპი დადგა, გორბაჩოვმა გააცნობიერა, რომ საჯაროობის უსისტემო გამოყენებამ დაანგრია მისი უნარი ემართა ქვეყანა, მაგრამ უკვე ძალზე გვიან იყო.

გიბსი ასკვნის:

„Glasnost had come full circle. In 1984-85 openness had been promoted as a way to end an "anything goes" atmosphere in government and party bodies. By 1988, the critics of glasnost – and quite a few of its supporters – were charging that its indiscreet use had made society completely permissive. although its course had been erratic and its use selective and often partisanm glasnost had altered Soviet life irreversibly (გვ. 87).

ჯონ მიურეი (Murray, 1990) აცხადებს, რომ გარდაქმნის პერიოდში საბჭოთა პრესის კონტენტში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა. თუ 1985 წლამდე საბჭოთა პრესაში კომუნისტური პარტიის ენა დომინირებდა, შემდეგ ის მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ამ სფეროს გასცდა. ახალი კონტენტისა და ენის კომბინაციამ საბჭოთა ჟურნალისტიკა შეცვალა.

მიურეის აზრით, გლასნოსტის ადრეული ეტაპი შეიძლება აღვწეროთ, როგორც ჟურნალისტიკის მიერ მანამდე აკრძალული ტერიტორიების თანდათანობით დაპყრობა. გლასნოსტის ამ პერიოდში ახალი პოლიტიკის ოპოზიცია თავად პოლიტიკურსა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის

სამდევნოში წარმოიშვა. მიურეის აზრით, გლასნოსტის საწყის ეტაპზე მკაფიო არ იყო, რომ პოლიტიკა, რომელსაც პრესის უდიდესი თავისუფლება მოჰყვა, გორბაჩოვის მიერ იყო წახალისებული. იმავდროულად, გორბაჩოვის გახშირებული შეხვედრები მედიის წარმომადგენლებთან მიუთითებს, რომ ის ძალიან იყო დაინტერესებული კომუნიკაციით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. 1987 წლის დასასრულისათვის აღქმა, რომ გლასნოსტი იყო მეტი, ვიდრე დროებითი ლიბერალური მოვლენა, რომელიც ახალმა გამოუცდელმა ლიდერმა დაუშვა, აშკარა იყო.

მკვლევრის აზრით, გლასნოსტის მეორე ეტაპზე (1988-1990) მკითხველებმა და რედაქტორებმა დაინახეს, რომ განსხვავებული, ავანგარდული პრესა, მაგალითად, „ოგონიოკი“<sup>11</sup> და „მოსქოუ ნიუსი“<sup>12</sup> არ დაიხურა და გადარჩა. და მიუხედავად იურიდიულად არამყარი პოზიციისა, ლენინის დროს დაწყებული პრესის იძულებითი კონფორმისტობა დასრულდა გლასნოსტის მეორე ეტაპზე. ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა არაოფიციალური მედიაერთეულების, ე.წ. სამზიდატების<sup>13</sup> გამოცემა, თუმცა განსხვავება ოფიციალურ და არაოფიციალურ პრესას შორის კვლავ დიდი იყო. მაგალითად, „სოვეტსტკაია როსია“<sup>14</sup> 1988 წლისათვის იყო არა მხოლოდ კონსერვატიული გაზეთი, არამედ გაზეთი, რომელიც აქტიურად ეწეოდა რეტროგრადული იდეების, გლასნოსტის დასრულების პრომოციას.

საჯაროობის განვითარებასთან დაკავშირებით სკეპტიციზმიც არსებობდა. მაშინ, როცა რადიკალური ოფიციალური პრესა აქვეყნებდა კრიტიკულ მასალებს წარსულზე, სვამდა კითხვებს ხელმძღვანელობის მოქმედი პოლიტიკის შესახებ, არაფორმალური პრესა, მათ შორის ე.წ. სამზიდატები აქვეყნებდნენ ისეთ პუბლიკაციებს, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა თავად საბჭოთა კავშირის ლეგიტიმურობასაც კი. არაფორმალური პრესა ახმოვანებდა დისიდენტური საზოგადოების ჯერ

<sup>11</sup> „Огонёк“ (რუს.) – რუსული და საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურულ-მხატვრული ილუსტრირებული ყოველკვირეული.

<sup>12</sup> „The Moscow News“ (ინგლ.) – საბჭოთა ინგლისურენოვანი გაზეთი.

<sup>13</sup> Самиздат (რუს.) – დისიდენტური საქმიანობის ფორმა საბჭოეთში, აკრძალული პუბლიკაციების კუსტარული რეპროდუქცია აქტივისტების მიერ.

<sup>14</sup> „Советская Россия“ (რუს.) – რუსული საბჭოთა გაზეთი.



კიდევ სუსტ ხმას და ამიტომაც განიხილებოდა, როგორც დივერსიულ, დასავლურ საზოგადოებრივ აზრზე ორიენტირებულად, რაც ლალატის ტოლფასი იყო.

1990 წელს პრესა უკიდურესად რადიკალიზებული შეიქნა. „კომსომოლსკაია პრავდასა“<sup>15</sup> და „არგუმენტი ი ფაქტის“<sup>16</sup> ტირაჟი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მოხდა პრესის დივერსიფიცირება და გაძლიერება. ცენზურის გაუქმებასთან ერთად აშკარა გახდა ისიც, რომ პარტიის აპარატი დაიშალა. მკაფიო აღარ იყო, რას აკეთებდა პარტიის იდეოლოგიური განყოფილება. მას აღარ ჰქონდა ყოველდღიური კავშირი იმ გაზეთებსა და ჟურნალებთან, რომლებიც პარტიის ორგანოებს არ წარმოადგენდნენ.

ამ დროისათვის საბჭოთა პრესა სრულად თავისუფალი თუმცა არ იყო, ნაბიჯი თავისუფლებისაკენ უკვე გადადგმული იყო. აღარავის ეშინოდა კონსერვატორების ან პარტიის ლიდერების საყვედურის. პრესა უფრო მეტად დელავდა სხვა საკითხზე – როგორ გაეძლო კონკურენციისათვის და როგორ მოეპოვებინა თავისი ადგილი ბაზარზე.

ბრაიან მაკნაირი (Brian McNair, 1989) კვლევაში „გლასნოსტი და რესტრუქტურირება საბჭოთა მედიაში“ აცხადებს, რომ გლასნოსტის კამპანია აუცილებელი და დაგვიანებულიც კი იყო იმ საშინაო და საგარეო მოვლენების პასუხად, რაც ემუქრებოდა საბჭოთა კომპარტიას შინ და საბჭოთა კავშირს, როგორც ზესახელმწიფოს პრეტენზიის მქონე ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე.

მაკნაირი გორბაჩოვის იდეოლოგიურ მიდგომებში საზოგადოების თვისებრივ ცვლილებასთან დაკავშირებით ხრუმჩოვისეულ პარალელებს ხედავს და მიიჩნევს, რომ გლასნოსტი დროებითი ფენომენია, რასაც მომავალში გარკვეულწილად მოჰყვება ნეოსტალინური ორთოდოქსიზმის დაბრუნება. როგორც ისტორიის დინებამ უჩვენა, მაკნაირის პროგნოზი არ გამართლდა, გლასნოსტი კომუნისმის დასასრულის დასაწყისად იქცა.

<sup>15</sup> „Комсомольская правда“ (რუს.) – რუსული საბჭოთა გაზეთი.

<sup>16</sup> „Аргументы и факты“ (რუს.) – რუსული საბჭოთა გაზეთი.

მაკნაირი გორბაჩოვის გლასნოსტის კამპანიას არ მიიჩნევს საბჭოთა მარქსიზმის ლიბერალიზმში მობრუნებად, როგორც ამას ხშირად მიუთითებენ მკვლევრები. საჯაროობა საბჭოთა ხალხს წარუდგინეს, როგორც შემობრუნება, როგორც ჭეშმარიტად ლენინური მიდგომა ინფორმაციისა და მედიისადმი, რაც სტალინიზმისა და ნეოსტალინიზმის გამო დაკარგული იყო.

მაკნაირის აზრით, კრიტიკული საჯაროობა და სოციალისტური პლურალიზმი საბჭოთა ჟურნალისტიკაში უნდა განვიხილოთ, როგორც ტრადიციული რუსული მარქსიზმის გარდაქმნის მცდელობა, ვიდრე მისგან განსვლა. საბჭოთა კავშირი სხვა ქვეყნების მსგავსად უპირისპირდებოდა გლობალური საინფორმაციო რევოლუციის დამანგრეველ ეფექტს. კომუნისტური პარტია მონოპოლისტი იყო მედიის წარმოებაში, დისტრიბუციასა და პროპაგანდაში ათწლეულების მანძილზე. 80-იანი წლებისათვის კომუნისტურმა პარტიამ ხელახლა აღმოაჩინა, რომ საინფორმაციო წყაროების მონოპოლიას ინფორმაციის ალტერნატიული წყაროები ანგრევდა – უცხოური ვიდეოკასეტები, უცხოური რადიოსადგურები, სამიზდატები და საბჭოთა მოქალაქეების უცხოელებთან კავშირის გაფართოებული შესაძლებლობა. ამან ინფორმაციისადმი საბჭოთა მიდგომას მნიშვნელობა დაუკარგა.

იგივე მაკნაირი მოგვიანებით, უკვე სხვა კვლევაში („გარდაქმნა, საჯაროობა და საბჭოთა მედია“, 1991) ამტკიცებს, რომ ყველა ახალი ამბავი იდეოლოგიურია, რითაც უარყოფს დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ საბჭოთა სივრცეში მედია პროპაგანდისტულია, ხოლო დასავლეთში – ობიექტური.

„მაშინ, როცა გორბაჩოვი ამტკიცებდა, რომ ეს მოძრაობა [გარდაქმნა/პერესტროიკა] არ უნდა განეხილათ, როგორც უკან დახევა, არამედ დაბრუნება „ავთენტურ“ მარქსიზმ-ლენინიზმში, აშკარად შესამჩნევია ჟურნალისტების ტენდენცია, აღარ შეეხედათ ყველა

მოვლენისათვის კლასობრივი თვალსაზრისით“<sup>17</sup> (თარგმანი ჩვენია), – აღნიშნავს მაკნაირი.

გლასნოსტის კვლევისას მაკნაირი აღნიშნავს, რომ პოლიტიკამ რეალურად შეცვალა საბჭოთა მედიის სტილი. 1985 წლიდან საბჭოთა მედიის დღის წესრიგი გაფართოვდა და მასში გამოჩნდა თემების ფართო სპექტრი, რაც მანამდე აკრძალული იყო კრიტიკისათვის. პირველი ასეთი ფურცელი ჩერნობილის კატასტროფა იყო.

მაკნაირი აცხადებს, რომ გლასნოსტის კამპანიისას დაიკვირვება მედიის შედარებითი თავისუფლება და ამისი მაგალითია, თუნდაც გაზეთი „პრავდა“, რომელიც ცდილობდა დასავლური გაზეთების მსგავსად მოქცეულიყო.

ვაიდაიარტის მოსაზრებით (Vidyarthi, 2008), მიხეილ გობრაჩოვის მისწრაფებამ, მოეხდინა სისტემის რეორგანიზაცია, კრახი განიცადა. ამის მიზეზად ვაიდაიარტი რამდენიმე ფაქტორს ასახელებს. პერესტროიკა ძალზე რთულ ეკონომიკურ პირობებში დაიწყო, თანაც პერესტროიკის ზუსტი პარამეტრები არ ყოფილა არტიკულირებული, ამან კი ხალხის უნდობლობა გაზარდა.

გორბაჩოვის ძალისხმევამ ბიძგი მისცა ხალხის პროტესტს და სხვადასხვა ფორმით მისი გამოვლინება წახალისა. იმავდროულად, გორბაჩოვს არ შეუცვლია კანონმდებლობა პერესტროიკის შესაბამისად და ამდენად, სათანადო ბაზისი პერესტროიკისათვის არ არსებობდა. სუსტმა ეკონომიკამ და ტექნოლოგიურმა სტაგნაციამ ხალხში კომუნიზმის სიძულვილი გამოიწვია, ამ სიტუაციაში გლასნოსტისა და პერესტროიკის გამოცხადებამ კი გაამძაფრა ხალხის უკმაყოფილება. გლასნოსტი და პერესტროიკა, ფაქტობრივად, ბოლო წვეთი გახდა, რამაც გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის ბედი.

ვაიდაიარტის პოზიციას გარკვეულწილად იზიარებს რიჩარდ რაკოსი (Rakos, 1991). რაკოსის მიხედვით, პერესტროიკა გრანდიოზული ექსპერიმენტი იყო, რომელმაც კრახი განიცადა. მას არ გააჩნდა საკმარისად

<sup>17</sup> McNair, Brian. (1991). *Glasnost, Perestroika and the Soviet Media*. Pg.169.

მკაფიო ღირებულებები, რათა გლობალური გამოწვევებისათვის ეპასუხა. გლასნოსტი კი პერესტროიკის ბიჰევიორალური ბაზისია ეფექტიანი და ეფექტური სოციალიზმის განვითარებისათვის. მიხეილ გორბაჩოვმა ის ეკონომიკური ეფექტიანობის გასაზრდელად წამოიწყო. გლასნოსტი, მეცნიერის აზრით, საშინაო პროგრამა იყო პირდაპირი გავლენის მოსახდენად ინდივიდუალურ ქცევაზე. გლასნოსტის მეშვეობით უნდა მომხდარიყო ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროების დემოკრატიზაცია, როგორცაა: სამუშაო ადგილები და სოციალ-პოლიტიკური გარემო. საბჭოთა კავშირში პერესტროიკის მეშვეობით სცადეს დემოკრატიზაცია და ამას მსხვერპლად ადამიანის უფლებები შესწირეს:

„Glasnost is the behavioral foundation of perestroika, in other words, the basis for the development of an efficient and effective socialism. Far from heralding the death of socialism, it signifies recognition that people must be directly involved in that which they own, that is, the country's resources (გვ. 92),“ – აღნიშნავს რაკოსი.

დევიდ ვეჯვუდ ბენი (Benn, 1987) მიიჩნევს, რომ 1986 წლისათვის საბჭოთა მედია ფოკუსირებული იყო ადგილობრივ შეცდომებზე ან მეორეხარისხოვან საკითხებზე, მედიის ორკესტრირება „ზემოდან“ ხდებოდა.

ბენის აზრით, პერესტროიკის მოცემულობაში ძველი იდეოლოგიური პრინციპები ახალი მიზნებისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მაგალითად, ბიუროკრატიასთან საბრძოლველად. შესაბამისად, ახალი კამპანია სიახლეს არ წარმოადგენდა თავისთავად. ის უბრალოდ, ახალი მიზნებისათვის იყო განსაზღვრული, კერძოდ, კონტროლისათვის ქვემოდან ზემოთ.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მეცნიერი 1987 წელს ვარაუდობდა, რომ 1988 წლისთვის საბჭოთა იდეოლოგიის მდგომარეობა უფრო ნათელი გახდებოდა. მისი აზრით, გლასნოსტი „სოციალური სამართლიანობის“ მნიშვნელობის აქცენტირება იყო.

თუკი მედია დაკარგავდა რეპუტაციას, დაკარგავდა გავლენას საზოგადოებრივ აზრზე. ამიტომაც, საბჭოთა ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, პოლიტიკის შეცვლას მძიმე უარყოფითი შედეგები ექნებოდა. იმავდროულად, მეტ გახსნილობას შეეძლო უფრო ფუნდამენტურად დაესვა კითხვა საბჭოთა სისტემის ბუნების შესახებ – როდესაც მასობრივი ტერორი დასრულდა, სისტემა არ დაარღვიეს.

1987 წლისათვის მიხეილ გორბაჩოვი უკვე აცხადებდა: „გარდაქმნის საქმე უფრო ძნელი აღმოჩნდა, საზოგადოებაში დაგროვილი პრობლემების მიზეზები კი – უფრო ღრმა, ვიდრე მანამდე გვეგონა“.<sup>18</sup>

ელენ მიცკევიჩი (Mickiewicz, 1988) მიიჩნევს, რომ გორბაჩოვის რეფორმის რიტორიკა დრამატული იყო, ცვლილებები რეალურად განხორციელდა და ეს პირველად მოხდა საბჭოთა კავშირში. მკვლევარი გლასნოსტის პოლიტიკას სარისკოდ მიიჩნევს, რადგან ღიაობის სტრატეგია ნიშნავდა მედიის მეშვეობით საზოგადოების მობილიზაციის პოლიტიკის განხორციელებას. მობილიზაციას კი მოლოდინების ამაღლება მოსდევს და ეს სიმტკიცეს მოითხოვს.

ავტორი გლასნოსტის მთავარ სიახლედ ღიაობასა და აზრის მრავალსახეობას მიიჩნევს.

მანამდე საბჭოთა ჟურნალისტიკაში უახლესი ამბები და მათზე სწრაფი რეაგირება ფასეულობად არ ითვლებოდა. გლასნოსტის პერიოდში აღნიშნული პრაქტიკა შეიცვალა. დღის წესრიგში დადგა ოპერატიულობა.

მიცკევიჩის აზრით, საბჭოთა ტელევიზიის მნიშვნელოვანი სიახლე, რაც გლასნოსტის დეკლარირებას მოჰყვა, იყო მონაწილეობითი გადაცემები, ე.წ. პირდაპირი ტელეხიდეები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. მსგავსი მასშტაბები მანამდე არავის ენახა. ტელეხიდეებმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ისინი ძალზე ეფექტიანი გამოდგა. გლასნოსტის თანმდევ ამ მოვლენას ელენ მიცკევიჩი უწოდებს „სატელევიზიო რევოლუციას“,

<sup>18</sup> სკკპ ცკ იანვრის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27-28 იანვარი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987.

რომელმაც საზოგადოების რემობილიზაცია მოახდინა, შეცვალა ადამიანების ორიენტაცია სამსახურში, საზოგადოებაში, ერთმანეთის მიმართ. ნამდვილობა და დროულობა – ამ ნიშანდობლივი თვისებების გამო შეიძინა სატელევიზიო ხიდებმა დიდი აუდიტორია. ტელეხიდები სიახლე იყო საერთაშორისო მედიაშიც და ბევრი მაყურებელიც ჰყავდა.

მკვლევარი, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „გარდაქმნის პროექტორს“ (რუს. „Прожектор Перестройки“), 10-წუთიან გადაცემას, რომელიც ეთერში გადიოდა ქვეყნის ყოველდღიური მთავარი საინფორმაციო გამოშვების, „ვრემიას“<sup>19</sup> დასრულებისთანავე. მასში გორბაჩოვისეული რეფორმების მიმდინარეობა შუქდებოდა. მიცკევიჩის აზრით, გადაცემა ახლოს იდგა აგრესიულ საგამომიებო ჟურნალისტიკასთან. ასეთი პროგრამების მეშვეობით ჟურნალისტების როლი აშკარად შეცვალა.

მიცკევიჩი აღნიშნავს, რომ გარდაქმნის პერიოდში სახეზეა ტელევიზიის მაინტეგრირებელი და იმავდროულად მაფრაგმენტირებელი როლი და გავლენა საზოგადოებაზე. მაგრამ, ადგილობრივი მაუწყებლობა რესპუბლიკების დონეზე მდარე ხარისხს ინარჩუნებდა. პროდუქცია არ იყო კონკურენტული. საჯაროობას ადგილობრივი მედია არათანაბრად მიმართავდა და იმდენად სანდოდ არ ითვლებოდა, როგორც – ცენტრალური მედია. ადგილობრივი მედია ცდილობდა თავი აერიდებინა ადგილობრივი მწვავე თემებისათვის, რეზისტენტული იყო გლასნოსტისადმი. ამ ფონზე ცენტრალურ ტელევიზიას უზარმაზარი ეფექტი ჰქონდა აუდიტორიაზე.

1988 წელს მიცკევიჩი სარისკოდ მიიჩნევდა გორბაჩოვისეულ დრამატულ ცვლილებებს, რადგან არ არსებობდა მეთოდები და ინსტიტუციები, სადაც პერესტროიკისა და გლასნოსტის ეფექტები და გავლენები რეგულარულად და კვალიფიციურად იქნებოდა შერჩეული და შესწავლილი.

მიცკევიჩი სწორედ გამოცხადებულ საჯაროობას უკავშირებს ეთნიკურ არეულობებს ყაზახეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, რადგან გლასნოსტმა წაშალა დაშვებული ქცევის ზღვარი, წაშალა იმგვარად,

<sup>19</sup> „Время“ (რუს.) – სსრკ ცენტრალური ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვება.

რაგვარადაც ქვეყნის ხელმძღვანელობა, მათ შორის – გორბაჩოვიც ვერ ივარაუდებდა.

მიცკევიჩი პროგნოზირებდა, რომ გლასნოსტის გამღიერების პროცესი არეული და წინააღმდეგობრივი იქნებოდა. რომ მოლოდინების ამალგების ნიადაგზე ცენტრალური ხელისუფლება პრობლემების წინაშე დადგებოდა.

1988 წელსვე მიცკევიჩი ვარაუდობდა, რომ გლასნოსტი მოახდენდა საბჭოთა საზოგადოების რემოზილიზაციასა და რევოლუციონიზაციას, გლასნოსტის შედეგები კომპლექსური და მოულოდნელი იქნებოდა, რაც მალევე გამართლდა კიდევ ბრაიან მაკნაირის პროგნოზისაგან განსხვავებით.

მოგვიანებით, უკვე მიცკევიჩი სწორედ გამოცხადებულ საჯაროობას უკავშირებს ეთნიკურ არეულობებს ყაზახეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, რადგან გლასნოსტმა წაშალა დაშვებული ქვეყნის ზღვარი, წაშალა იმგვარად,

ბევრი მეცნიერი თვლის ჩერნობილის კატასტროფას – ბირთვული რეაქტორის აფეთქებას უკრაინაში 1986 წლის აპრილში – საჯაროობის ტესტად. მიიჩნევა, რომ ჩერნობილი იყო კრიტიკული წერტილი, მნიშვნელოვანი შემობრუნება გორბაჩოვისა და საბჭოთა რეჟიმისათვის. ჩერნობილის თემის მედიაგაშუქების გარეშე წარმოუდგენელია საჯაროობის სრული სურათის დანახვა. მკვლევართა ნაწილი აცხადებს, რომ ჩერნობილმა წარმოაჩინა გლასნოსტის ბუნების სიცარიელე. ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ჩერნობილმა კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა, უბიძგა რა გორბაჩოვსა და საბჭოთა ხელმძღვანელობას ძალისხმევისაკენ ელიარებიანთ ცვლილებების აუცილებლობა.

ჩერნობილს გარდაქმნის საკვანძო მომენტად მიიჩნევენ მეცნიერები: ჯოზეფ გიბსი, რობერტ სტივენსონი, ბრეტ ტეილორი, მერილინ იუნგი, მაიკლ ლაუნერი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეცნიერების აზრით, ჩერნობილი რომ არ ყოფილიყო, გარდაქმნის პროცესები მშვიდად და განსაკუთრებული აქცენტების გარეშე წარიმართებოდა. ჩერნობილის შემდეგ კი საბჭოთა მთავრობამ დაკარგა პროცესების პოლიტიკური და რიტორიკული კონტროლი. შედეგად მედია გახდა უფრო მართლისმთქმელი.

თავიდან კატასტროფის თანმდევი მოვლენები საბჭოთა კავშირისათვის ტრადიციული ფორმით ვითარდებოდა – ინციდენტს ქვეყნის ხელმძღვანელობა არც კი იმჩნევდა, ვიდრე მასზე ზეწოლა დასავლეთის მთავრობებმა არ მოახდინეს.

ბრეტ ტეილორი (Taylor, 2013), რომელმაც ჟურნალ Soviet Life-ში<sup>20</sup> ჩერნობილის კატასტროფის გაშუქების საკითხი შეისწავლა, აღნიშნავს, რომ ჩერნობილის არსებული ინტერპრეტაცია, როგორც გლასნოსტის კრაზი ან წარმატება, არის გამოწვევა, რომელიც ეფუძნება გლასნოსტის განახლებულ გაგებას/შეცნობას. ტეილორი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა გლასნოსტი/საჯაროობა განსხვავდებოდა საჯაროობის ტრადიციული დასავლური გაგებისაგან. გორბაჩოვის განზრახვა სხვა იყო, დასავლეთის აღქმა – სხვა. საბჭოთა საჯაროობა/გლასნოსტი იყო გორბაჩოვისეული რესტრუქტურისა – პერესტროიკის ნაწილი, ზოგადი ნაბიჯი გამჭვირვალობისა და ლიბერალიზაციისაკენ მედიასისტემაში 80-იანი წლების მეორე ნახევარში.

ტეილორის მტკიცებით, Soviet Life-ის ანალიზი უჩვენებს, რომ ჟურნალის ნარატივი ჩერნობილის კატასტროფის შესახებ ოფიციალური ინტერპრეტაციის თანმხვედრი იყო. ჟურნალი ლოიალური იყო სახელისუფლებო ხაზისადმი.

ტეილორი მიიჩნევს, რომ საბჭოთა მედიის მიერ ჩერნობილის კატასტროფის გაშუქება იყო მარცხი ან შემობრუნების წერტილი. საბჭოთა მედიამ ჩერნობილი გააშუქა იმგვარად, რაგვარადაც გლასნოსტი იყო ჩაფიქრებული – ნახევრად სიმართლედ.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით გლასნოსტმა, როგორც საბჭოთა რეფორმამ შეიძინა იგივე ნიშან-თვისებები, რაც დასავლეთში კლასიკურადაა მიჩნეული საჯაროობად და ასევე, გაიზარდა მედიის დამოუკიდებლობა, ეს არ მომხდარა ჩერნობილის კატასტროფის გაშუქებისას.

მერილინ იუნგი და მაიკლ ლაუნერიც (Young & Launer, 1991) აღნიშნავენ, რომ პერესტროიკის კრიტიკული, გარდამტეხი მომენტი 1986

<sup>20</sup> „Soviet Life“ (ინგლ.) – საბჭოთა კავშირში გამომავალი ინგლისურენოვანი ჟურნალი.



წლის 26 აპრილი იყო, ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქება. ამ ტრაგედიის გაშუქება გახდა სწორედ საბჭოთა მედიისათვის წყალგამყოფი. „კონცეპტუალურად, როგორც მინიმუმ, საჯაროობას არ უნდა ჰქონოდა შემხებლობა ისეთ საკითხთან, როგორცაა ატომური ელექტროსადგურის აფეთქება უკრაინაში და არც იმას ისახავდა მიზნად, რომ განეხორციელებინა „დიადი მიზანი“ – მიეტანა სიმართლე ხალხამდე“ („ვაშინგტონ პოსტი“<sup>21</sup>, 6 მაისი, 1986, გვ. 103). კატასტროფამ უჩვენა ინფორმაციისა და საინფორმაციო პოლიტიკის ნამდვილი კრიზისი საბჭოეთში, როგორც შიდაპოლიტიკური, ასევე, საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით.

ჩერნობილზე თავდაპირველი ტრადიციული რეაგირების – გაჩუმების კვალად, დასავლურმა მედიამ უკვე 28 აპრილს შემოჰკრა განგაშის ზარი, ტრაგედიიდან მესამე დღეს, საბჭოთა მედია კი 4 მაისამდე დუმდა. თავად გორბაჩოვმა მხოლოდ 14 მაისს მიმართა საზოგადოებას პირდაპირი სატელევიზიო ეთერით, რაც, ასევე უპრეცედენტო მოვლენა იყო. საბჭოთა ტრადიცია – სახელმწიფო მეთაური აჯერებს ფაქტებს/მოვლენებს – სინთეზირებული იყო დაგვიანებულ ოპერატიულობასთან. შემდგომ კვირებსა და თვეებში მთავრობა და პარტია ცდილობდა ლენინისეული პოსტულატი მედიის საგანმანათლებლო ფუნქციის შესახებ შეეერთებინა საინფორმაციო ეპოქის მოთხოვნებთან – ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, პროპაგანდაც განეხორციელებინა. სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლამ პირდაპირი ეთერით ტელევიზიები წაახალისა და მეყსეული რეაგირებისაკენ უბიძგა, რაც მანამდე უცხო ხილი იყო საბჭოთა მედიისათვის.

იუანგი და ლაუნერი მიიჩნევენ, რომ ჩერნობილის კატასტროფამ გააიოლა საბჭოთა სისტემის კრიტიკა. მანამდე არსებული პრაქტიკის მიხედვით ხომ მიღებული იყო მხოლოდ იმ ინდივიდუუმების კრიტიკა, რომლებიც დაშორდნენ პარტიულ კონტექსტს.

იმავედროულად, მედიასისტემა თავისუფალი გახდა ტრადიციული შეზღუდვებისაგან, ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ავტორიტეტი და

<sup>21</sup> “The Washington Post” (ინგლ.) – ყოველდღიური ამერიკული ინგლისურენოვანი გაზეთი, გამოდის ვაშინგტონში (თარგმანი ჩვენია).

სანდოობა ინოვაციური გზებით, რომლებმაც გამოხატულა ჰპოვეს მცდელობაში ჩერნობილის კატასტროფას თავისი ადგილი მიჩენოდა ისტორიაში (რეალურად ჩერნობილის ტრაგედიის შეფასება და კატასტროფის დეტალების შესახებ საზოგადოების ინფორმირება მოგვიანებით, ტრაგედიიდან ნახევარი წლის შემდეგ დაიწყო). ჩერნობილის შემდეგ გორბაჩოვის მთავრობამ სცადა ატომური თემის (რომელიც შეიცავდა საინფორმაციო კრიზისის ნიშნებს) რეკონტექსტუალიზაცია. ეს ერთგვარი დასტური იყო იმისა, რომ ხელისუფლება კვლავაც აკონტროლებდა რიტორიკას/დისკურსს, თუნდაც შეცვლილს.

სარა ოუტსი (Oates, 2014) 80-ანი წლებსა და 90-ინი წლების დასაწყისს უმნიშვნელოვანეს პერიოდად მიიჩნევს ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში. ის აღნიშნავს, რომ საბჭოთა კონტროლირებულ მედიაში დომინირებდა ფრეიმი და ენა, რომელიც კომუნისტურ მესიჯებს ასახავდა. საბჭოთა მედია კომუნისტურ პარტიას ემსახურებოდა, ეწეოდა მოსახლეობის ინდოქტრინაციას, ხელს უწყობდა კომუნიზმისა და პარტიულ პროპაგანდას. მედიის როლი კომუნისტურ საზოგადოებაში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მედიისაგან სხვა სისტემებში (დემოკრატიული სისტემებისა და ავტორიტარული რეჟიმების ჩათვლით). საბჭოთა მედია უფრო ინდივიდუუმების კონტროლით იყო დაკავებული, ვიდრე კომუნისტური ფილოსოფიით. ის ემსახურებოდა პოლიტიკურ ელიტას და არა – საზოგადოების საჯარო ინტერესებს. მედიის საბჭოთა კომუნისტური მოდელი არა მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის მედიის აღწერაა, არამედ მედიასისტემის ერთგვარი ტიპოლოგიაც.

ოუტსის აზრით, მიხეილ გორბაჩოვის მიერ გასული საუკუნის 80-იან წლებში დეკლარირებული გლასნოსტი 90-იანი წლების დასაწყისისათვის უკვე მედიამრავალფეროვნებად გარდაისახა – შეიცვალა საბჭოთა მედიის ბუნება. გლასნოსტი მიჩნეულია მედიის როლის მნიშვნელოვან ცვლილებად მედიის პროპაგანდისტული როლიდან მედიის დასავლური გაგების როლისაკენ, რაც საზოგადოების დროულ ინფორმირებას გულისხმობს.

მკვლევარი თვლის, რომ საბჭოთა მედიამ სწრაფადვე აითვისა გლასნოსტის, ანუ გამჭვირვალობის ახალი პოლიტიკა. ამის დასტურია,

მაგალითად, იმ დროისათვის პუბლიკაციების გამოქვეყნება მთავარ საბჭოთა გაზეთ „პრავდაში“ ისეთ სენსაციურ თემებზე, როგორებიცაა: საუკეთესო საქონლის გაყიდვა ელიტურ კომუნისტურ მაღაზიებში, ფსიქიატრიის გამოყენება დისიდენტების კონტროლისათვის, მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ჯარისკაცების მიერ ჩადენილი მკვლელობები.

ოუტსი მართებულად არ მიიჩნევს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გლასნოსტი წარმოადგენს მედიის როლის ფუნდამენტურ ცვლილებას საბჭოეთში საჯარო ინტერესების გამოხატვის თვალსაზრისით. მკვლევარი მიიჩნევს, რომ მედია წაახალისეს ფრეიმების გაფართოებით. მედიას შეეძლო აესახა პოლიტიკური ვითარება, რომელიც განვითარდა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ ელემენტებში, რეფორმატორებსა და კონსერვატორებს, საბჭოთა სისტემის მომხრეებსა და ნაციონალისტებს, გორბაჩოვისა და ელცინის მომხრეებს შორის პერესტროიკის კამპანიის პერიოდში.

მედიას ჰყავდა თავისი პოლიტიკური პატრონები გლასნოსტის პერიოდშიც, თუმცა პოლიტიკური ელიტის მსგავსი ფრაგმენტაცია (რაც გლასნოსტის ბოლო ფაზებში მოხდა), არასოდეს დაფიქსირებულა ამ დონეზე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. შეიქმნა გარემო, რომელიც არა მხოლოდ თავისუფალი იყო სახელმწიფო კონტროლისაგან, არამედ დომინანტური ნორმებისა და ფრეიმების მიღმა იდგა. საბჭოთა მედია გლასნოსტის გვიანდელ პერიოდში თავისუფალი გახდა არა მხოლოდ საბჭოთა სისტემის კონსტრუქტისაგან, არამედ ნებისმიერი სისტემის ნორმატიული ფრეიმებისაგანაც. 1991 წლისათვის საბჭოთა მედიაში ისახებოდა უკვე ძალზე ფრაგმენტირებული სოციალური და პოლიტიკური პეიზაჟი.

ამდენად, ოუტსი მიიჩნევს, რომ გლასნოსტი, არა მხოლოდ მედიის თავისუფლების მხარდამჭერი პოლიტიკა იყო, არამედ, მედიის დივერსიფიკაციაც, რაც კონტროლის ნაკლებობის შედეგად წარმოიშვა.

შედეგად, საბჭოთა მკითხველმა მიიღო მრავალფეროვანი მედიაგარემო გლასნოსტის გვიანდელ ეტაპზე. კვლევები ადასტურებს, რომ საბჭოთა მკითხველმა აღნიშნული ცვლილება აღიქვა კაკაფონიად, რომელსაც ძალაუფლების საშიში წარმომადგენლები უჭერდნენ მხარს.

გლასნოსტმა დაარღვია ეფექტიანი სახელმწიფოს ფასადი. 80-იანი წლებსა და ცოტა მოგვიანებით ჩატარებული კვლევები უჩვენებს, რომ დემოკრატია (დასავლური გაგებით) იმ პერიოდში ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდა საბჭოეთში. საბჭოთა აუდიტორია უფრო შეწუხებული იყო კომპეტენციის დეფიციტით, რაც გლასნოსტის დროს აშკარა გახდა.

ოუტსის ხაზგასმით, საბჭოთა ისტორიის ერთ-ერთი კლასიკური მითი იყო ის, რომ გლასნოსტი მედიის თავისუფლების ტიპია. ფაქტი, რომ საბჭოთა მედიასისტემა არ გახდა დასავლურის მსგავსი გლასნოსტის პირობებში, საბჭოთა ლიდერებს არ ანაღვლებდათ. ის, რაც ე.წ. კაკაფონიურმა მოდელმა შექმნა, იყო ნდობის სიმცირე ცენტრალური ძალაუფლების სტრუქტურაში. საბჭოთა სისტემა მძიმედ დააწვა მედიას, მის იმიჯს. საბჭოთა ქვეყნის ნამდვილი სიმძლავრე გამოწვევის წინაშე იდგა, განსაკუთრებით დასაწყისში – მრავალი საშინაო და საგარეო ფაქტორის წყალობით. ილუზია დაიმსხვრა და მის ადგილზე ქაოსი წარმოშვა.

რობერტ ლიუსის სტივენსონი (Stevenson, Childers, West, Marschalk, 1988) თანავტორებთან ერთად მომზადებულ ნაშრომში წერს, რომ გლასნოსტი შეიძლება რევოლუციურიც კი იყო საბჭოთა სტანდარტებით, მაგრამ დასავლელი მკითხველებისათვის იმ პერიოდის საბჭოთა ჟურნალისტიკა უფრო ძველი დროის დასავლურ მედიას წააგავდა.

მკვლევრისათვის გლასნოსტი განისაზღვრება დაახლოებით ასე – გორბაჩოვმა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო სტაგნაცია ეკონომიკაში, მიზნად დაისახა ეფექტიანი დიქტატურა და არა – დასავლური ლიბერალიზმი. მასმედია კი ამ პოლიტიკის იარაღი იყო, ინსტრუმენტარიუმის ნაწილი მმართველი რეჟიმის ხელში.

მეცნიერის აზრით, გორბაჩოვისთვის გლასნოსტი ნიშნავდა ირიბ შეტევას პარტიასა და მთავრობის აპარატზე, რომლებიც ხეირობდნენ არსებული ვითარებით. გლასნოსტი, ასევე, ნიშნავდა იმ რიგითი მოქალაქეების მობილიზებას, რომლებსაც არასდროს უგრძვნიათ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და საშიშადაც კი მიიჩნევდნენ ენთუზიაზმის გამოჩენას რეფორმებისადმი, რომლებიც შეიძლება ისევე სწრაფად დასრულებულიყო, როგორც დაიწყო.

სტივენსონი თვლის, რომ გლასნოსტის ყველაზე ხელშესახები გავლენა საბჭოთა ჟურნალისტიკაზე იყო „კოსმეტიკური გრილი სიო“ – ტრადიციული მკაცრი კონტროლის მოდუნება. ჟურნალისტებისთვის გლასნოსტი ნიშნავდა შესაძლებლობას, შეესწავლათ თემები, რომლებიც მანამდე ლიმიტირებული იყო.

1987 წლის „პრავდისა“ და „ვრემიას“ ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ავტორები აღნიშნავენ, რომ ტელევიზია უფრო საერთაშორისო მაყურებელზე იყო ორიენტირებული, ვიდრე გაზეთი „პრავდა“ და უფრო მეტ აქცენტს აკეთებდა გლასნოსტზე. 1987 წლის დასაწყისში „პრავდა“ და „ვრემია“ წააგავდა 1977 წლის დასავლურ მედიას:

„Those who expect Soviet mass media to have assumed a glasnost role similar to that of the critical, watchdog Western media will be disappointed. Pravda and Vremya in early 1987 remain more like they were in 1977 than like today's Western media. But there are changes, important changes, that are evident even without the benefit of a detailed comparable assessment ten years earlier. There is open and critical reporting — up to a point, of course — and these two premier Soviet organs do seem to be on the cutting edge of great changes taking place in the Soviet Union“ (გვ.16).“

კვლევისას დადგინდა, რომ გლასნოსტის პერიოდის მედია უფრო მეტად კონცენტრირებული იყო საშინაო ამბების გაშუქებაზე. ე.წ. „ცუდ ამბებს“ დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ საერთაშორისო აუდიტორიისათვის განკუთვნილ მაუწყებლობაში. ეკონომიკის მძიმე ვითარების ხაზგასმა საშინაო ფენომენი იყო.

მკვლევარმა სამი მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა გლასნოსტის პერიოდის საბჭოთა მედიის შესახებ.

ისინი, ვინც საბჭოთა მასმედიისაგან გლასნოსტის პერიოდში ელოდებოდნენ იგივეს, რასაც კრიტიკული დასავლური მედიისაგან, განხიზღულები აღმოჩნდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები აშკარა იყო. რეპორტირება უფრო ღია და კრიტიკული გახდა. ცვლილება მოხდა ახალი ამბების გაშუქების ხასიათში და თავად გაშუქების ფორმაც შეიცვალა. შუქდებოდა ისეთი მოვლენებიც, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდებოდა საბჭოთა კავშირს ან მარქსიზმს. მეტი ყურადღება

ეთმობოდა ახალ ამბავს, ვიდრე ისტორიულ პერსპექტივას. საბჭოთა კავშირის ყურადღებამ აღმოსავლეთ ევროპელი მეზობლებისგან კონკურენტებზე – დასავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ გადაინაცვლა. „პრავდასა“ და „ვრემიაში“ აისახებოდა ერთგვარი აკვიატება, რომ ორი სუპერიმპერია – საბჭოთა კავშირი და აშშ თანასწორნი იყვნენ. „To talk of glasnost in Soviet journalism as revolution seems to be an overstatement. It is reform, significant but controlled reform“ (გვ.17), – ასკვნის ავტორი.

ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორი ნიკ ლამპერტი (Lampert, 1988) აღიარებს, რომ გორბაჩოვისეულ პერესტროიკას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა, როგორც საბჭოთა კავშირის შიგნით, ისე – მის გარეთ. მეცნიერი სამ ასპექტს გამოყოფს: მედიის კრიტიციზმი ოფიციალურად მიხედვით ხელმძღვანელობის შიგნით გააქტიურებული კონფლიქტის ფონზე; პლურალიზმის გაჩენა მედიაში და მისი მნიშვნელობა სახელმწიფო-ინტელიგენციის ურთიერთობებში; „ცუდი ამბების“ პრობლემა ტრადიციული საბჭოთა იდეოლოგიის ფონზე.

მეცნიერის ხაზგასმით, გლასნოსტმა და კრიტიკამ გააძლიერა სახელმწიფო ბიუროკრატის მტრული განწყობა, რომელსაც ბრალს სდებდნენ ბევრი ყოფილი პრობლემის შექმნაში. ეს შიდაპარატული კონფლიქტი მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის დაპირისპირებას ეფუძნება. ლამპერტი ამბობს, რომ კადრების დეფიციტისა და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში სახელმწიფომ ომი გამოუცხადა საკუთარ თავს. და სწორედ ეს არის გლასნოსტის მთავარი დილემა.

ცენზურის შერბილებასთან ერთად გაჩნდა შემწყნარებლობაც არაოფიციალური გამოცემებისადმი (ე.წ. სამიზდატები), მათ სწრაფად დაიწყეს გამრავლება არაფორმალური ჯგუფების მეშვეობით. ზოგიერთი ეს გამოცემა, მაგალითად, უკავშირდება ლიტერატურულ ჯგუფებს, რომლებიც უკვე არსებობდა ბრეჟნევის პერიოდში, ზოგიერთები – როკმუსიკოსებს ან პოლიტიკური და ეკოლოგიური ინტერესებით გაერთიანებულ ჯგუფებს. სამიზდატებმა წამოიწყეს ჰორიზონტალური ურთიერთობები ხალხთან და ასევე, ისეთი საქმიანობა, რაც არ იყო მედირებული სახელმწიფოს მხრიდან.

ლამპერტის ხაზგასმით, ტრადიციულ შეხვედრებზე რედაქტორებთან გორბაჩოვი აცხადებდა, რომ ღიაობა სწორად უნდა იქნას გაგებული. ერთ-ერთ შეხვედრაზე მან, მაგალითად, განაცხადა:

„We are for glasnost' without any reservations, without restrictions. But for glasnost' in the interests of socialism. And to the question, are there limits to glasnost', criticism, democracy, we answer firmly, if glasnost', criticism, democracy are in the interests of the people, then they have no limits (გვ. 56).

ამით გორბაჩოვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ გარდაქმნაცა და საჯაროობაც ლიმიტირებულია.

პლურალიზმთან ერთად მედიაში ტაბუდადებული თემები გაიხსნა და სტატისტიკური მონაცემების დაშვება/წარმოჩენა შესაძლებელი გახდა. ცვლილებები მოხდა ე.წ. ცუდი ამბების გაშუქებაში. უბედური შემთხვევებისა და ბუნებრივი კატასტროფების რეპორტირება გაფართოვდა. მტკივნეული სიჩუმის შემდეგ ჩერნობილის კატასტროფა მასობრივად შუქდებოდა საბჭოთა პრესაში. არასასურველი და აუღიარებელი ფენომენი, როგორცაა მაგალითად, ნარკომანია და პროსტიტუცია, მნიშვნელოვანი მოცულობით გამოჩნდა.

საბოლოოდ ლამპერტი აკეთებს სამ მნიშვნელოვან დასკვნას. გლასნოსტი წარმოადგენს პრესის, როგორც პარტიის აპარატის საბაზისო ორგანოს გაძლიერების მცდელობას პოლიტიკური სისტემის ცენტრიფუგული ტენდენციების წინაშე. პროცესი გაფართოვდა საჯარო დებატების გაღრმავებით, კულტურული კონტროლის შესუსტებით, რაც აუცილებელი ელემენტები იყო რეფორმისტებისა და რეფორმაზე ორიენტირებული ინტელიგენციის თანამშრომლობაში. საჯაროობის წყალობითა და ზეწოლით მეტი ცუდი ამბავი გამოვიდა დღის სინათლეზე და გაიზარდა ინფორმაციის დინება საზოგადოებისაკენ.

დეკლარირებული საჯაროობა არის ცვლილებების ისტორიული და სადავო პროცესი, რომელშიც სოციალურ აქტორებს არჩევანის საშუალებას აძლევენ, მაგრამ მას ახლავს სირთულეები: “- These difficulties are not defined by reference to Western experience or to Western criteria of 'good' press behaviour

or cultural policy. The dilemmas are 'immanent' ones that arise from the relationship between conflicting stated goals“ (გვ. 60), – წერს ლამპერტი. ის 1988 წელსვე ვარაუდობდა სირთულეების გაგრძელებას.

მერი დეჟევსკის აზრით (Dejevsky, 1989), დასავლური გაგებისაგან განსხვავებით, გორბაჩოვი გლასნოსტში არ გულისხმობდა პრესის ნამდვილ თავისუფლებას. დეჟევსკი აქ ლამპერტის პოზიციას იზიარებს და აპელირებს მიხეილ გორბაჩოვის განაცხადით – გორბაჩოვი გლასნოსტის მომხრე კი იყო, მაგრამ სოციალიზმის ინტერესებიდან გამომდინარე. გორბაჩოვის კრიტერიუმი იყო გლასნოსტის, კრიტიციზმისა და დემოკრატიის ჩაყენება სოციალიზმისა და ხალხის ინტერესების სამსახურში.

დეჟევსკი ასევე აღნიშნავს, რომ 1987-88 წლები ტაბუთა მსხვრევისა და ისტორიის გადაფასების პერიოდი იყო. პრესამ დაიწყო თანამედროვეთა ნარატივში შენახული, ისედაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების, მათ შორის – ტყვეთა ბანაკებში გადასახლებების აღიარება საჯაროდ:

“Once given the green light, however, the press has moved further and faster in opening up new subjects for public discussion. Nowhere has the role of the press -or rather a section of it – been greater than in developing the discussion of Soviet history, especially in reappraising the role of Stalin and Stalinism. In the second half of 1987 and through 1988, the press raked over the past and uncovered facts and figures which were widely known, but had not been publicly acknowledged before in the Soviet Union“ (გვ. 27).

ლესლი ჰოლმის (Holmes, 2013) მიხედვით, თავდაპირველად გარდაქმნა ეკონომიკაზე ფოკუსირებული კონცეპტი იყო. მიხეილ გორბაჩოვის ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლება სურდა სტაგნაციიდან და სწორედ ამიტომ გამოაცხადა მან გარდაქმნა, საჯაროობა, დემოკრატიზაცია, დაჩქარება და ახალი პოლიტიკური აზროვნებაც, რამაც მძინარე დათვის გამოღვიძება გამოიწვია.

იმ დროს, როდესაც გორბაჩოვი მოვიდა ხელისუფლებაში, საბჭოთა კავშირს არ შეეძლო არათუ კონკურენცია გაეწია დასავლეთისათვის, არამედ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მას ეკონომიკურ განვითარებაშიც. უფრო მეტიც, არსებობდა საშიშროება, რომ მოქალაქეებს მოთმინების ფიალა ავსებოდათ.



სწორედ ეს იყო კონტექსტი, რომელშიც მიხეილ გორბაჩოვმა გარდაქმნა გამოაცხადა. დეკლარირებულმა გარდაქმნამ გამოიწვია საზოგადოების კრიტიციზმის ზრდა ბიუროკრატისადმი, დაიწყო არა მხოლოდ საბჭოთა ლიდერების, არამედ კომუნისტური სისტემის ბაზისის კრიტიკაც. ყველაზე საშიში სწორედ ეს იყო – საკუთრივ სახელმწიფოს კრიტიკა.

ჰოლმსი ხაზს უსვამს, რომ პერესტროიკის მნიშვნელობა წინააღმდეგობრივია:

„That the word perestroika can be translated in different ways—most commonly as either re-structuring or reconstruction—testifies to the fact that observers disagree on how radical it was or was intended to be, and what it represented. The term re-structuring is generally assumed to imply change that is less radical and comprehensive than reconstruction. Examining the ways in which Gorbachev himself used the term does not resolve this debate. At times, the General Secretary made it clear that he anticipated a number of policy changes, albeit some of them fairly radical. At other times, he went as far as to equate perestroika with revolution (გვ. 187)“.

ჰოლმსი, რომელიც გლასნოსტის შესახებ სხვადასხვა მეცნიერების შეხედულებების კომპილაციას ახდენს, აღნიშნავს, რომ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, გლასნოსტმა სახეცვლილება განიცადა და ნაციონალიზმად გარდაისახა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. და სწორედ ნაციონალიზმი გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რამაც საბჭოთა კავშირისა და შესაბამისად, კომუნისტური სისტემის დაშლა გამოიწვია. შედეგად მედიის როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ჰი ჟოუ (He Zhou, 1988), რომელმაც 1986-87 წლების გაზეთი „პრავდა“ შეისწავლა ახალი ამბების საბჭოთა კონცეპტში ცვლილებების დასადგენად, აღნიშნავს, რომ გარდაქმნის პერიოდის ცვლილებები მედიაში ლენინის დოქტრინის (პრესის სააგიტაციო, პროპაგანდისტული, საგანმანათლებლო და ორგანიზაციული როლი) მსუბუქი რევიზიით დაიწყო. საბჭოთა მედიას დაეკისრა ახალი ფუნქცია – ცხოვრებაზე დამკვირვებლის, აწმყოს აღმნუსხველისა და საზოგადოებრივი აზრის აკუმულატორის როლი.

ახალი ამბების კონცეპტის ცვლილების კიდევ ერთ-ერთი მანიშნებელია სტატიების ტონი. როგორც გამოცდილება უჩვენებს, საგაზეთო ამბების ტონის ცვლილება უფრო დრამატულ ცვლილებებზე მიუთითებს. ამ დრამატული ცვლილებების გამოსავლენად კვლევისთვის „პრავდის“ პუბლიკაციები კოდირებული იქნა ტონების/განწყობების მიხედვით. კვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ: ახალი ამბები უფრო დროულად ქვეყნდებოდა; მნიშვნელოვნად გაფართოვდა გაშუქების ფოკუსი და არეალი; გაიზარდა ფაქტობრივი ინფორმაციების, ადამიანური ისტორიების, გასართობი, ზომიერად ნეგატიური მასალების მოცულობა.

ჰი ჟოუს აზრით, გორბაჩოვმა საჯაროობა გამოიყენა საკუთარი ლიმიტირებული მიზნებისათვის – შეერყია ოპოზიცია და გამოეწვია ეკონომიკური რეფორმების მასობრივი მხარდაჭერა. დასავლელი პოლიტიკოსის მსგავსად, მან დაიქირავა მედია, რათა დაემლია ბიუროკრატია და ბიუროკრატიული ფილტრის გარეშე ჰქონოდა კომუნიკაცია ხალხთან.

ტოლცის (Tolz, 1990) აზრით, გარდაქმნის დროს საზოგადოებრივი აზრი საბჭოეთში გახდა უფრო მეტად მოქნილი, რამაც ხელი შეუწყო შეხედულებათა პოლარიზაციას – ეს ახალი ფენომენი იყო საბჭოთა საზოგადოებაში. მედიამ დაიწყო პოლიტიკურად აქტიური სეგმენტის აზრის გამოხატვა და საზოგადოებრივი აზრი გახდა უფრო გავლენიანი.

რეფორმა, რომელიც ჩაფიქრებული იყო ეკონომიკური არსის ცვლილებებად („ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება“) გამოხატვის თავისუფლების რეფორმად გადაქცა. მიუხედავად იმისა, რომ 80-იანი წლების შუა პერიოდში დეკლარირებულმა გარდაქმნამ და საჯაროობამ არ მოიტანა ის შედეგი, რის იმოლოდინიც არსებობდა საზოგადოებაში და რისი იმედიც ჰქონდა მის ავტორსა და ინსპირატორს, მიხეილ გორბაჩოვს, გარკვეული ცვლილებები აღნიშნულ ღონისძიებას მაინც მოჰყვა და შემდგომში თვითდინებით განვითარდა. სხვა ცვლილებებთან ერთად დაშვებული და აღიარებული გახდა სიტყვის შედარებითი თავისუფლება.

გორბაჩოვმა, როგორც პერესტროიკის ავტორმა, ადგილიდან დაძრა უმძიმესი ბიუროკრატიული მანქანა, რომელსაც მკაფიო მიმართულება არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, ეს მედიაზეც აისახა. რამდენიმეხნის სიფრთხილისა და გაურკვევლობის შემდეგ მედიამ გაუბედავად, მაგრამ მაინც დაიწყო ტაბუს ახსნა მანამდე აკრძალულ თემებზე (ძირითადად, საბჭოთა პერიოდში დახურულ ისტორიულ თემებზე), კრიტიკა, მათ შორის – ხელისუფლების, გააქტიურდა. თავიდან ეს ერთეული შემთხვევები იყო. თვითცენზორი ჯერ კიდევ მძლავრად მუშაობდა ყოველ ჟურნალისტში. ტაბუახსნილი თემების გამომზეურება დროთა განმავლობაში უცილობელ მოთხოვნად გადაიქცა და ისეთ თემებად დაიშალა, როგორებიცაა: სტალინიზმის რევიზია სტალინის დემისტიფიკაციის სახით, დისიდენტები, აკრძალული საბჭოთა ავტორები, 30-იანი წლების რეპრესიები, ეროვნული საკითხი, ეკოლოგია და ა.შ.

საბჭოთა სოციოლოგები, ვიქტორ ბრიტვინი და მიხეილ კარახანიანი (Бритвин, Караханян, 1991) ნაშრომში „საჯაროობა: მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები“ მიმოიხილავენ მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში გარდაქმნასა და საჯაროობასთან დაკავშირებით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგებს. რუსი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ საჯაროობის ცნების აღქმა ძალზე მრავალგვარია და თავისი შინაარსით, მიემართება როგორც ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე – სიტყვის თავისუფლებას. მაგრამ ყველაზე მეტად მის შინაარსში აქცენტირებულია თავისუფლება და სახალხოობა.

1989 წელს გამოკითხულთა უმეტესობას, 44%-ს საჯაროობა ესმის შესაძლებლობად გამოხატოს ნებისმიერი მოსაზრება (დასჯის საშიშროები სგარეშე); გამოკითხულთა 27 % საჯაროობის ფაქტორს საზოგადოებისათვის პოზიტიური როლის მატარებლად მიიჩნევს; თუმცა სჭარბობს შეფასებები (56%), რომელთა მიხედვითაც საჯაროობის როლი არაერთმნიშვნელოვანია. გამოკითხულთა დაახლოებით 10% (1990) ფიქრობს, რომ გარდაქმნის პროცესებზე საჯაროობას ნეგატიური გავლენა აქვს. ეს მაჩვენებელი 1989 წელს 9% იყო. 1990 წლისათვის საჯაროობის პოზიტიური შეფასების მაჩვენებლები კლებულობს ექსპერტთა შორისაც. 1990 წელს გამოკითხულ ექსპერტთა 8%

გარდაქმნაზე საჯაროობის გავლენას ნეგატიურად მიიჩნევს, ხოლო 12% ვერ ხედავს პირდაპირ კავშირს საჯაროობასა და გარდაქმნას შორის.

1989-90 წლებში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, საჯაროობა არის: ყველა სახელმწიფო გადაწყვეტილების სავალდებულო გამოქვეყნება; ღიაობა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა მოღვაწეობაში; პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების უცილობელ გამოქვეყნებასა და გათვალისწინებასთან. ადამიანის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაცია; სიტყვის თავისუფლება და პლურალიზმი.

გამოკითხვის მიხედვით, ექსპერტთა უმრავლესობა – 62% აღნიშნავს, რომ მედიის მოღვაწეობა გაუმჯობესდა.

საჯაროობის, როგორც სოციალური ფენომენის შეფასებისას ბრიტინი და კარახანიანი დასავლელი კოლეგების მსგავსად, ასკვნიათ, რომ საჯაროობის განვითარება წინააღმდეგობრივია, მას თან ახლავს არა მხოლოდ ობიექტური ინფორმაციის მოცულობის ზრდა, არამედ დეზინფორმაციაც, თუმცა საჯაროობა საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის ძირითადი იმპულსი გახდა.

„Развитие гласности противоречиво. Оно сопровождается не только ростом объективной информации, но и дезинформации. При отсутствии необходимой политической культуры, терпимости к инакомыслию, учета интересов различных социальных и национальных групп дезинформация может способствовать обострению конфликтных ситуаций, приводить к росту социальной напряженности в обществе. В обстановке углубившегося экономического и политического кризиса, больно ударившего по основной массе населения страны, наметились признаки своего рода «усталости» от гласности“ (გვ. 11).

ავტორები აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების გარემოში საზოგადოებაში გაჩნდა საჯაროობისაგან გადახრის ნიშნებიც. მედია, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი იყო, ხდება საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების იარაღიც. ბევრია შემთხვევა,

როდესაც მედიის უპრინციპო ექსპლუატაციის შედეგად აკრიტიკებენ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, ამახინჯებენ რეალობას.

ბრიტინი და კარახანიანი მიიჩნევენ, რომ 1990 წელს საბჭოთა კავშირმა შეაბიჯა განვითარების საშიშად კრიტიკულ სტადიაში. გარდაქმნისაგან სასწაულის მტანჯველი მოლოდინი მოქალაქეებს განხიზვლით შეეცვალათ. კრიზისის წინა მდგომარეობიდან კრიზისულ მდგომარეობაში ქვეყანამ სწრაფად შეაბიჯა. ამან კიდევ უფრო შეარყია ადამიანების რწმენა იდეალებისადმი, რომელთა ინტენსიური პროპაგანდირება ხდებოდა, დაანგრია სოციალური ინსტიტუტებისადმი შერჩენილი ნდობა.

„ბექედვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ საბჭოთა კავშირის კანონის“<sup>22</sup> მიღების შემდეგ გლასნოსტის პოლიტიკისადმი ინტერესი კლებულობს. კრიზისის გაღრმავებამ, რომელიც უკვე ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას შეეხო, საჯაროობა უკანა პლანზე დახია.

მაღალი სოციალური დამაბულობის პირობებში მოიმატა ხალხის დაინტერესებამ და მოთხოვნებმა მედიისადმი.

საბჭოთა კავშირის რღვევამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა მედიისათვის ახალი ფუნქციების (კლასიკური გაგებით – ჩვეული ფუნქციები) მინიჭების საკითხი და წარმოშვა ახალი მიზნები და ამოცანები – პროპაგანდისტული, აგიტაციური და მასების მართვის ფუნქციების მეტამორფოზა უნდა მომხდარიყო მედიის კლასიკური ატრიბუტიკით: ოპერატიულობით, დამოუკიდებლობით, გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. მედია უნდა გამხდარიყო ინფორმაციის წყარო მასებისათვის და ბიზნესი – კონკრეტული ადამიანებისათვის.

რუსულ მედიასთან მიმართებაში ბეკერი (Becker, 2004) აღნიშნავს, რომ გლასნოსტის პერიოდის დიდი იმედებისა და ენთუზიაზმის წყალობით, მედიისათვის უნიკალური გარემო ჩამოყალიბდა იმ თვალსაზრისით რომ, ერთის მხრივ, ის იღებდა დაფინანსებას მთავრობისაგან, ხოლო მეორეს

<sup>22</sup> 1990 წლის 12 ივნისი.

მხრივ, მთავრობა ნაკლებად ერეოდა კონტენტში. თუმცა იმედები, რომ რუსეთში მედიასისტემა დემოკრატიული გახდებოდა, გაცრუვდა. მიუხედავად ამისა, 90-ან წლებში რუსულმა მედიამ გარკვეული ნაბიჯები დემოკრატიზაციისაკენ გადადგა – მედიაკონტროლი შესუსტდა და მედიის მფლობელებიც გაჩნდნენ. ცვლილებები უდავოდ მოხდა, მაგრამ რუსეთმა ვერ შეძლო დემოკრატიულ სისტემად შეკავშირება. ბეჭდვითი მედია შედარებით თავისუფალი გახდა მაშინ, როცა კონტროლდებოდა ტელევიზია, კომუნიკაციის მძლავრი იარაღი. ნაშრომის ავტორი მიიჩნევს, რომ გორბაჩოვის დროინდელ პერიოდში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა.

რუსი მკვლევარი რენდალ სიმონიანი (Симонян, 2010) სამართლიანად აღნიშნავს, რომ სოციალურ გარდაქმნებში მონაწილეობის მზაობის მაღალი ხარისხი, რაც 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ფიქსირდებოდა, მოგვიანებით ინდიფერენტულობითა და საბჭოთა ნოსტალგიით შეიცვალა. რეფორმების შედეგად კი გაიზარდა გაუცხოება ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის.

დევისი (Davis, 1989) ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში გარდაქმნის გავლენის კვლევისას აღნიშნავს, რომ ღიაობამ მეტის სივრცე მისცა ბალტიისპირელებს, ხალხის სათქმელი შესმენილი იყო და სწორედ ამიტომაც, ისინი მხარს უჭერდნენ გორბაჩოვის რეფორმებს. ამასთან, მეცნიერი თვლის, რომ გარდაქმნა და საჯაროობა აძლიერებდნენ ერთმანეთს და ცალ-ცალკე ისინი წარმოუდგენელია:

„He [Gorbachev] began by gaining the support of the intelligentsia through glasnost'. Glasnost' is also part of the reason for Gorbachev's support among the Baltic Republics. Openness allows the Baltic peoples more room to maneuver and allows them to vent their frustrations with the current system. At the very least, their demands are now being heard. In addition to glasnost', a political reform, the Baltic peoples support Gorbachev due to his economic reforms [perestroika]. Glasnost' and perestroika reinforce one another. The latter is not possible in a meaningful way without the former (გვ. 67-68).“

პასილინას (Paasilinna, 1995) აზრით, გლასნოსტით წამლობა არ შედგა, პაციენტი გარდაიცვალა გადაჭარებებული მკურნალობისაგან.

ბრიკშე (Brikše, 2002) მიიჩნევს, რომ საბჭოთა ლატვიაში მედიის კონტენტის დემოკრატიზაციის პროცესი პერესტროიკის პერიოდში დაიწყო, როდესაც ტაბუირებული თემები გაიხსნა. შესაძლებელი გახდა ხელისუფლების კრიტიკა და ღია დებატები. 90-იანი წლების დასაწყისისათვის კი ქვეყნის ეროვნული აღორძინების საქმეში მედია აქტიური მონაწილე გახდა.

### 4.3. ქართველი ავტორები გარდაქმნის შესახებ

მაშინ, როცა 1986 წლის შემდეგ ცენტრალურ საბჭოთა მედიაში მოვლენები დულდა და უსწრაფესად ვითარდებოდა, მედია ადგილებზე მოლოდინის რეჟიმში იყო. განსაკუთრებული აქტიურობა ქართულ მედიასაც არ ეტყობოდა.

ქართველი მკვლევარი, ხათუნა მასაშვილი (2017) გვიანდელი გარდაქმნის პერიოდის დახასიათებისას ნაშრომში „ქართული მედია – ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიების ჩანაცვლების ძირითადი უბანი. გლასნოსტის ქართული შემთხვევა“, მიუთითებს, რომ 80-იანი წლების ბოლოს ორი ტიპის პოლიტიკური ელიტის (ნომენკლატურული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი) გავლენით საქართველოს მედიასისტემაში გლანსოტის გაორებული კონტენტი წარმოიშვა: ე.წ. პრო- (ოფიციალური მედია) და ანტიგლასნოსტი (ახალი დამოუკიდებელი მედია). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედიის კონტენტშიც ერეოდნენ. მკვლევრის აზრით, გლასნოსტის შინაარსზე პასუხისმგებელი ნომენკლატურა საქართველოში გაუცხოებული, მოწყვეტილი იყო საზოგადოებას, განუმტკიცებელი ძალაუფლებაში და ამდენად, ვერ იქცა დამოუკიდებელ მოთამაშედ გარდაქმნის პროცესში, როგორც ეს მაგალითად, რუსეთში მოხდა. პერესტროიკის პერიოდში წარმოშობილმა ახალმა მედიამ არ გაიზიარა გარდაქმნის ანტისტალინისტური დისკურსი. ოფიციალური

მედიისაგან განსხვავებით, არაფორმალურ მედიაში მიმდინარეობდა ისტორიის გადაფასება მარქსიზმის კრიტიკითა და ნაციონალისტური დისკურსით, რაც სულაც არ იყო გარდაქმნის დირექტივა. ამდენად, მეინსტრიმული მედიისაგან განსხვავებით, ისტორიის რევიზია არაფორმალურ მედიაში მოხდა.

„Two types of political elites influenced Georgia’s media system in 1989-1990s. Under the influence of these elites, twofold Glasnost content was created: pro- and anti Glasnost, that of nomenclature in the official media, and of the national liberation movement’s leaders in the media of newly emerging political unions. The boundaries of this influence over the media, however, were not delineated as clearly as in the case of superficial, formalized review. The leaders of the national liberation movement would not settle for influencing the media content created by the publications under their control. They would penetrate nomenclature-controlled outlets as well. This, among others, may have been due to the fetal state of the liberal-democratic Intelligentsia in Georgia (გვ. 120)“.

იგივე მასიშვილი ავტორთა ჯგუფთან ერთად შესრულებულ მონოგრაფიაში „საქართველოს გლასნოსტური ისტორიები“, აღნიშნავს, რომ საჯაროობამ ფასეულობათა გადაფასება განაპირობა და რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი კონსერვატორებად და რეტროგრადებად დაიყო. შესაბამისი პოლიტიკური პარალელიზმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემაშიც გამოიკვეთა. მედიის ნაწილი („მოსკოვსკიე ნოვოსტი“, „ოგონიოკი“, „იზვესტია“) რეფორმატორების იდეების პოპულარიზაციას ეწეოდა, ნაწილი კი („კრასნაია ზვეზდა“, „სოვეტსკაია როსსია“, „მოლოდაია გვარდია“) რეტროგრადულ პოზიციაზე რჩებოდა. გარდა აღნიშნულისა, საჯაროობის გავლენით საბჭოთა ცენტრალური გამოცემები ნახევრად ავტონომიურ ორგანოებად ჩამოყალიბდნენ. რაც შეეხება მოლოდინებს, საჯაროობის მიმართ სხვადასხვა მოლოდინები არსებობდა და ისინი განსხვავებული იყო მმართველ ძალაში – პარტიულ ელიტაში, დასავლურ სამყაროში, საიდანაც ენთუზიაზმით შეჰყურებდნენ საბჭოთა კავშირში დეკლარირებულ რეფორმებს. განსხვავებული იყო მოლოდინები ბალტიისპირეთსა და საქართველოში, სადაც დამოუკიდებლობის მოთხოვნა არსებობდა.



მაისაშვილი ხაზს უსვამს, რომ მედიის შინაარს კმნიდა ე.წ. ელიტის „ორგანზომილებიანი ფენომენი“, რომელშიც წარმოდგენილი იყო საბჭოთა ნომენკლატურა, შესაბამისად – ოფიცოზში და არაფორმალთა ლიდერები – ახალ, დამოუკიდებელ მედიაში: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები არ სჯერდებოდნენ გავლენას იმ მედიურ შინაარსზე, რომელიც მათ დაქვემდებარებაში მყოფ გამოცემებში იქმნებოდა. ისინი იჭრებოდნენ ნომენკლატურის მიერ კონტროლირებად გამოცემებშიც. ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ საქართველოში ჩანასახოვან მდგომარეობაში არსებობდა ლიბერალურ-დემოკრატიული ინტელიგენცია,“<sup>23</sup> – წერს ავტორი.

ავტორი ფასეულად შენიშნავს, რომ არაფორმალთა მედიაში საინტერესოდ წარმოჩინდა რეპრესირებულთა ისტორია:

„რეპრესირებული პარტიული ნომენკლატურისა თუ ინტელიგენციის მედიური პორტრეტის შექმნისას ქართული მენისტრიმული მედია მიჰყვებოდა ერთ მნიშვნელობით შაბლონს – ეს იყო ბრალის გარეშე ბრალეულთა ტრაგედია, ნიჭიერი, პატრიოტი ადამიანების ტრაგედია, რომელთა ცხოვრებაც „ბოროტმა რეჟიმმა“ შეიწირა... არაფორმალთა ლიდერები და მათი პრესა თითქოს ცდილობდნენ, დასწოდნენ წარსულ დროს, წარსულში დაშვებულ შეცდომებს და აწმყოში გამოესწორებინათ ისინი – არა მსხვერპლთა სამართლებრივი რეაბილიტაციით, როგორც ეს მენისტრიმულ პრესაში ხდებოდა, არამედ ხვალინდელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საძირკველის შექმნით.“<sup>24</sup>

რადიოსა და ტელევიზიის მკვლევარი, ელდარ იბერი საქართველოს ტელევიზიის გარდაქმნას სამ ეტაპად ყოფს<sup>25</sup>: 1. 1986-89 წლის აპრილი; 2. 1989 წლის აპრილი – 1990 წლის ნოემბერი; 3. 1990-91 წლები. ამასთან, სხვა მკვლევართა მსგავსად, ისიც მიიჩნევს, რომ „გარდაქმნამ საქართველოში გვიან ჩამოაღწია.“ 1986-88 წლებში ტელევიზია ძველი ინერციით მოძრაობდა და კვლავაც საბჭოთა ჟურნალისტიკის პრინციპებზე დაყრდნობით

<sup>23</sup> მაისაშვილი, ხ. „საქართველოს გლახნოსტური ისტორიები“, თსუ, გვ. 104.

<sup>24</sup> იქვე., გვ. 105.

<sup>25</sup> იბერი, ე. „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, 2016, თსუ, გვ. 200.

აპელირებდა, განსაკუთრებით, უკვე გაძლიერებული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან მიმართებაში. თუმცა, იმავედროულად ინტენსიურად ეწეოდა „გარდაქმნის“ პროპაგანდას სკკპ 27-ე ყრილობისა და მე-19 პარტიული კონფერენციის ფონზე. სწორედ როგორც ამ პროპაგანდის ნაწილი 1987 წლიდან საქართველოს ტელევიზიაში დაიბადა გადაცემათა და რუბრიკათა ჯგუფი („გარდაქმნის კურსით,“ „გარდაქმნის გზით“), რამაც თითქმის 1990 წლის ბოლომდე გასტანა. როგორც იბერი აღნიშნავს, საქართველოს ტელევიზიაში გარდაქმნა დისიდენტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისადმი ერთგვარი შემწყნარებლობით გამოიხატა. კვლევები ადასტურებს, რომ დაახლოებით იგივე პროცესები განვითარდა ბეჭდურ მედიაშიც.

9 აპრილის ტრაგედიის (1989) შემდეგ მოვლენათა დინება მნიშვნელოვნად შეიცვალა. როგორც იბერი აღნიშნავს, 9 აპრილმა გარდაქმნის მხარდამჭერებს შეახსენა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც იყო პოლიციური სახელმწიფო და მკაფიოდ უჩვენა იდეოლოგიური კრახი. აპრილის ტრაგედიამ დაასრულა ისტორიის ერთი, 70-წლიანი ეტაპი და დაიწყო ახალი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეტაპი. ამ დროიდან საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში მოიხსნა შეზღუდვები რელიგიურ და ეროვნულ თემებზე. იმავე წლის მაისში საქართველოს ტელევიზიამ პირველად აღნიშნა 26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე და სახელმწიფოებრიობის აღდგენას რამდენიმე გადაცემა მიუძღვნა. ამავე პერიოდში ტელევიზია ცდილობს მიმართოს აზრის დივერსიფიცირების პრაქტიკას და ხელს უწყობს ეკრანებზე პლურალიზმის წარმოჩენას. ინფორმაციის მთავარი რედაქციის საქმიანობა უფრო დატვირთული შეიქნა – ახალ ამბავს მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებისათვის, რომლითაც ეროვნული ხელისუფლება მოვიდა სათავეში, ტელევიზია სრულად და ყოვლისმომცველად აშუქებდა ქვეყნის არცთუ მარტივ პოლიტიკურ ცხოვრებას.

მკვლევარი მიიჩნევს, რომ 1986-91 წლებში საქართველოს ტელევიზიამ სახე იცვალა და გაიარა მნიშვნელოვანი და რთული გზა ლიბერალური მედიისაკენ.

იბერი აღნიშნავს: „თავიდან იგი [გარდაქმნა] მართლაც დამაიმედებელი დემოკრატიული გარდაქმნებით დაიწყო, რაც, პირველ რიგში, მედიის საქმიანობაზე აისახა.“<sup>26</sup>

მეცნიერი იმავე ნაშრომში საუბრობს, გარდაქმნის მიერ მოტანილ სავალალო შედეგებზეც: „დღემდე არ არსებობს ერთგვაროვანი შეფასება, თუ რა იყო „გარდაქმნა“ – საბჭოთა სისტემის დემოკრატიზაციის ცდა თუ თანამედროვე პოლიტიკური ტექნოლოგიების მეშვეობით სოციალისტური სისტემის დაშლა და კაპიტალიზმის რესტავრაცია, რაც ქვეყნის ხელმძღვანელობის უცხოეთთან გარიგების შედეგად მოხდა. „გარდაქმნა“ რომ მართლაც არ წარმოადგენდა ზოგადსაკაცობრიო იდეალებისაკენ მისწრაფებას, ეს ნათლად აჩვენა მისმა თანმდევემა მოვლენებმა – 1989 წლის 9 აპრილის საპროტესტო აქციის დარბევამ, ოსური სეპარატიზმის მხარდაჭერამ (ცხინვალიდან ქართული მოსახლეობის პირველმა გამოდევნამ), აფხაზეთში მდგომარეობის უკიდურესმა გამწვავებამ (ქართველების პირველმა მკვლელობებმა), სამხედრო რეპრესიებმა ვილნიუსში, „მოკავშირე“ რესპუბლიკების სუვერენული უფლებების კიდევ უფრო შეკვეცის ცდამ და ა.შ.“<sup>27</sup>

ნატო თათარაშვილი, რომელიც ქართულ ტელევიზიას შეისწავლიდა (2003), 1985-91 წლებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და მიიჩნევს, რომ სწორედ ამ პერიოდში მოხდა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურის რადიკალური ცვლილება, მათ შორის – მედიისაც. პროცესი ორმხრივი იყო – სახელმწიფომ ითამაში უდიდესი როლი მედიის განვითარებაში, ხოლო მედიამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სახელმწიფოს დემოკრატიზაციას. დემოკრატიზაცია და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა – სწორედ ეს იყო საქართველოს ტელევიზიის საკვანძო როლი გარდამავალ პერიოდში, როდესაც საქართველოში მოვლენები კატაკლიზმების ფონზე მიმდინარეობდა. თათარაშვილიც ობიექტურად იზიარებს უცხოელ მკვლევრებში გაბატონებულ მოსაზრებას, რომ გარდაქმნა ცენტრში განვითარდა, პერიფერიები კი დიდხანს იყვნენ მოლოდინის

<sup>26</sup> იქვე, გვ.120.

<sup>27</sup> იქვე.

რეჟიმში და ხაზს უსვამს, რომ 1989 წლის აპრილის ტრაგედიამდე საქართველოს ტელევიზიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა თავისუფალი მედიის პრინციპების თვალსაზრისით: „1985 წლიდან 1989 წლის აპრილამდე საქართველოს ტელემაუწყებლობის სტრუქტურა ერთპარტიული პროპაგანდისტული ხასიათისაა.“<sup>28</sup> საქართველოს ტელევიზიის პროპაგანდისტული ბუნება დეკლარირებული გარდაქმნის პერიოდში თვალშისაცემია, ამასთანავე „საჯაროობის ტექნოლოგია რომელიც რუსეთში დაახლოებით 1986 წლიდან (სკკპ ცკ-ის იანვრის ცნობილი პლენუმის შემდეგ) იწყებს მოქმედებას, საქართველოში 70-იანი წლების ბოლოს დამუშავდა (მხედველობაში გვაქვს ღია ეთერი, გადაცემებში საზოგადოებრივი აზრის ფართოდ ჩართვა, მასობრივი ღონისძიებების ტელეეკრანზე გამოტანა, საჯარო მოხელეთა მიწვევა სტუდიებში და სხვ.).“<sup>29</sup> ავტორი ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული ტექნოლოგიები არ განვითარდა დემოკრატიული მიმართულებით და 1989 წლამდე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ეროვნულ-პატრიოტული მოტივები შესაბამისი გადაცემებით ტელევიზიაში გაძლიერებას იწყებს 1988 წლის მიწურულიდან, როდესაც სხვადასხვა არაფორმალური ჯგუფების, მათი ლიდერებისა და ახალგაზრდობის ძალისხმევით ძლიერდება ზეწოლა ხელისუფლებაზე ე.წ. ქართული საკითხების, უპირველესად კი, დავით გარეჯის მონასტრის პრობლემის დღის წესრიგში დასაყენებლად. ჭეშმარიტი გარდატეხა დგება სწორედ 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. სხვა მრავალი ცვლილების პარალელურად საქართველოს ტელევიზია ააქტიურებს კომუნიკაციას აუდიტორიასთან, აღრმავებს დიალოგურობასა და უკუკავშირს მაყურებელთან. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სარედაქციო ფოსტის მოცულობა და შესაბამისად, გადაცემები, რომელიც მაყურებელი-ტელევიზია-მაყურებლის კომუნიკაციურ ციკლებს ეყრდნობოდა. დაიწყო ტელევიზიის დეცენტრალიზაცია.

<sup>28</sup> თათარაშვილი, ნატო (2003). „ტელეჟურნალისტიკის საკითხები“. თსუ; გვ. 200.

<sup>29</sup> იქვე.

## თავი 5. „ლიტერატურული საქართველო“ და „ქართული ფილმი“ (საკვლევი პოპულაციის ზოგადი მიმოხილვა)

ზოგადად, 1985-86 წლების ქართულ პერიოდიკაში არ შეიმჩნევა რაიმე განსაკუთრებული დაინტერესება გარდაქმნისადმი და აქტივობა ამ მიმართულებით. გარდაქმნის, პარტიის ახალ პოლიტიკასთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოქვეყნება, ძირითადად, რუტინა და ტრადიციული მოვალეობის მოხდაა, იდეოლოგიური ანგარიშვლადებულების, პარტიული სუბორდინაციის ერთგვარი აქტი.

„ლიტერატურული საქართველო“ (საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო) 1985 წლისათვის, გარდაქმნის დეკლარირების პერიოდისათვის, არსებობის 50 წელზე მეტს ითვლიდა. 1985-1986 წლებში გაზეთი მკაფიოდ ჩამოყალიბებულია, როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი და იდეური თვალსაზრისით, რუბრიკები მრავალფეროვანია, თემატიკა – განსაზღვრული: კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება. გარდაქმნის ადრეული ეტაპი გაზეთის ფურცლებზე განსაკუთრებულ ცვლილებებს არ უჩვენებს. გაზეთი ისევე, როგორც მთლიანად რესპუბლიკური პრესა, მოლოდინის რეჟიმშია – როგორ მოიქცევა ცენტრალური/რუსულენოვანი პრესა.

გაზეთი თვისებრივ ცვლილებებს იწყებს 1987 წლიდან. ეს ორი ფაქტორითაა განპირობებული. იცვლება მენეჯმენტი (1987 წლის იანვრიდან გაზეთს ჰყავს ახალი რედაქტორი, ელიზბარ ჯაველიძე) და გარდაქმნა სიჩქარეს იკრებს. სწორედ ამ პერიოდიდან, ახალი მენეჯმენტის პირობებში იწყება გაზეთის შინაარსის დივერსიფიცირება, ჩნდება გარდაქმნასა და საჯაროობასთან დაკავშირებული ახალი რუბრიკები, იწყება გაზეთის თემატური გაფართოება. 1987 წლიდან „ლიტერატურულ საქართველოში“ დაწყებული თემატური გაფართოება 1989 წლისათვის განვითარდა გაზეთის გასვლით დარგობრივი ჩარჩოდან. 1987 წლისათვის „ლიტერატურული საქართველოს“ ტირაჟი 27 000 იყო, 1990 წლის ბოლოსათვის კი ტირაჟმა

365 000-ს მიაღწია. მაშინდელი რედაქტორის, ელიზბარ ჯაველიძის მოსაზრებით, ეს მოხდა ეროვნული იდეის აღორძინების შედეგად.

„ქართული ფილმი“ (ვ. ი. ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია "ქართული ფილმის" პარტიული პროფკავშირის, კომკავშირის კომიტეტებისა და დირექციის ორგანო) „ლიტერატურული საქართველოსაგან“ განსხვავებით, დაიბადა 1987 წელს, გარდაქმნის პერიოდში. ის გარდაქმნის პირშოა, მისი თანადროული, მისი პროდუქტი. გაზეთი ჩაფიქრებული და განხორციელებული იყო შედარებითი თავისუფლების ეპოქაში, გარემოში (კინემატოგრაფისტებს შორის), სადაც თვითგამოხატვის ხარისხი ყოველთვის ფართო, საზღვრის არმქონე, მეტი იყო სხვა საბჭოთა ინსტიტუციებთან შედარებით. „ქართულ ფილმს“ არ აქვს ხანგრძლივი საბჭოთა ისტორია და წარსული, ის არ ყოფილა დამძიმებული ლენინური პრესის თეორიის პოსტულატების აქცენტირებით, პარტიულ ხელმძღვანელობასა და ცენზურასთან ურთიერთობის ტრადიციებით. ამიტომაც მისი მეტამორფოზა იმდენად მკვეთრი და ხელშესახები არ არის, როგორც „ლიტერატურული საქართველოსი.“ „ქართული ფილმი“ თავიდანვე განსხვავებულად იყო ჩაფიქრებული, თუმცა პირველ ხანებში მაინც იყო დაცული ე.წ. საბჭოთა პრესის თეორიის „ეტიკეტი“ – პარტიის წარმმართველი როლის დომინანტობის ხაზგასმა.

გაზეთის პირველი ნომერი 1987 წლის 21 იანვარს გამოვიდა. ეს არის ე.წ. გარდაქმნის განვითარება-აჩქარების პერიოდი, როდესაც პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის დეკლარირების სტადიიდან გარდაქმნის დოქტრინამ „დაშვება“, საზოგადოებისაკენ სვლა დაიწყო, როდესაც გარდაქმნის დისკურსი გაფართოვდა და ცნებები „გარდაქმნა“ და „საჯაროობა“ დამკვიდრებას იწყებს საზოგადოების, პროფესიული ჯგუფების, რიგითი მოქალაქეების რიტორიკაშიც.

„ქართული ფილმის“ პირველ სარედაქციო წერილში მითითებულია: „დღეს, ჩვენი ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვან ეტაპზე, როცა სრული გარდაქმნა, გადაწყობა მოითხოვა დრომ, განუზომლად იზრდება ხელოვნების როლი, როგორც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანის, ხალხის

იდეურ და ესთეტიკურ აღზრდაში“ („კეთილი იყოს ჩვენი ფეხი...“, „ქვ“, 21.01.1987).

დასაწყისისათვის წმინდა პროფესიული, კინონდუსტრიაში მიმდინარე პროცესების გაშუქების პარალელურად გაზეთის ფურცლები ინტენსიურად ეთმობოდა საკავშირო, ცენტრალურ და ლოკალურ პარტკომებში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენებისა და დოკუმენტების ასახვა-გაშუქებას.

დროთა განმავლობაში (1989 წლიდან) „ქართული ფილმი“ ხდება არაფორმალური ლიდერების კონკრეტული ფრთის (უმეტესად გიორგი ჭანტურას, ე.წ. ეროვნული კონგრესის ფრთა) ტრიბუნა მაშინ, როცა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე უფრო მეტად „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლებს ვხვდებით.

ამ ორი დარგობრივი გაზეთის ფურცლებზე უკვე 1989 წლისათვის აისახება ყველა თემა და მოსაზრება შეუზღუდავად. გააქტიურებული კომუნიკაციის ამ პროცესმა თავისი როლი ითამაშა საზოგადოების მობილიზებაში. გაზეთის გადასხვაფერება საზოგადოების ინტერესით დეტერმინირებული შედეგი გახდა. მკითხველი ჩაერთო პროცესებში და თვითონ დაიწყო მონაწილეობა გაზეთის შექნაში.

რედაქცია თავად მოუწოდებდა მკითხველებს, უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ პრობლემური საკითხების განხილვაში. მაგალითად, „ლიტერატურული საქართველოს“ რუბრიკა „ზოგჯერ თქმა სჯობს“ (1989) მოიცავს ფართო ამპლიტუდის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ თემატიკას: ტაქსით მგზავრობის გაძვირება, ბოშების არასანქცირებული ვაჭრობა ქუჩებში, ქუჩის ტელეფონ-ავტომატების გაუმართაობის პრობლემა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა, საკვები პროდუქტის დეფიციტი, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, ეროვნული მოძრაობის კრიტიკა და ა.შ. თემატური და ჟანრობრივი დიაპაზონი ძალზე ფართოა და გადის დარგობრივი გაზეთების არეალიდან.

საზოგადოებრივ აზრსა და განწყობაზე ელვისებური ეფექტი იქონია 9 აპრილის ტრაგედია. რეფერენციულობა 9 აპრილის ტრაგედიასა და საზოგადოების გააქტიურებას შორის უეჭველია და ამას არაერთი ავტორი

აღნიშნავს. გარდამტეხი მომენტის, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გაზეთებისათვის აღარ არსებობს ტაბუდადებული თემა. აღნიშნულს ადასტურებენ ექსპერტებიც.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ სარედაქციო პოლიტიკა „ქართულ ფილმშიც“ იცვლება და „ლიტერატურული საქართველოშიც“. ისინი სრულად უგულებელყოფენ დარგობრივ ჩარჩოს და ყალიბდებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტრიბუნად, ერთგვარ განმსჯელ პლატფორმად, სოციალურ „საფიხვნოდ“, რომელიც აშუქებს არა მხოლოდ ლიტერატურასა და კინოში მიმდინარე მოვლენებს, არამედ პოლიტიკური დღის წესრიგის ძალზე საჭირობოროტო საკითხებს.



## თავი 6. შედეგები და მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი

როგორც ჰიპოთეზების შესახებ ქვეთავში აღვნიშნეთ, საკვლევ ნიმუშზე დაყრდნობით მოხდა ოთხი ჰიპოთეზის ფორმულირება.

1. „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „ქართულ ფილმში“ მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებები არ მომხდარა გარდაქმნის დასაწყისში (1985-1987);
2. 9 აპრილის (1989) ტრაგედიის შემდეგ მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგაზეთო თემებისა და კონტენტის დივერსიფიცირებით, ტაბუს ახსნით, გამოიხატა საჯაროობა;
3. გარდაქმნის დეკლარირებას მოჰყვა დიალოგური ჟანრების ხვედრითი წილის ზრდა „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „ქართულ ფილმში“;
4. გარდაქმნისადმი პოზიტიური მიდგომა გარდაისახა მისდამი ჯერ ინდიფერენტულ, მოგვიანებით – ნეგატიურ დამოკიდებულებაში.

შესაბამისად, მოხდა მათი ტესტირება.

### 6.1. ჰიპოთეზების ტესტირება

#### *ჰიპოთეზები N1 და N2*

- „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „ქართულ ფილმში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა გარდაქმნის დასაწყისში (1985-1987);
- 9 აპრილის (1989) ტრაგედიის შემდეგ მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგაზეთო თემებისა და კონტენტის დივერსიფიცირებით, ტაბუს ახსნით, გამოიხატა საჯაროობა;

ცხრილი N1. შინაარსობრივი კატეგორიები („გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ კონოტაცია/ანალოგი ტექსტში ორი წყაროს გაერთიანებული რეპრეზენტატიული მასალიდან)

შინაარსობრივი კატეგორიები / წლები	1985	1986	1987	1988	1989	1990	ჯამი
ა	0	0	1(1+0)	10(7+3)	10 (8+2)	15(11+4)	36
ბ	0	0	1(1+0)	4(4+0)	2(2+0)	7(7+0)	14
გ	2	0	5(3+2)	1(1+0)	0(0+0)	3(3+0)	11
დ	0	0	0(0+0)	3(2+1)	18(7+11)	46(27+19)	67
ე	8	0	69(29+40)	46(6+40)	15(8+7)	12(8+4)	150
ვ	0	0	26(26+0)	44(38+6)	76(48+28)	53(29+24)	199
ზ	10	37	52(27+25)	78 49+29)	108(59+49)	69(48+21)	354
თ	0	2	1(0+1)	4(1+3)	0(0+0)	4(0+4)	11
ჯამი	20	39	155	190	229	209	842

*\*შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული სიდიდეებიდან პირველი წარმოადგენს მასალას „ლიტერატურული საქართველოდან“, მეორე – „ქართული ფილმიდან“.*

## ცხრილი N2. ხი კვადრატის ტესტი (1)

### Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	299.883 <sup>a</sup>	35	.000

სტატისტიკური მნიშვნელოვნება, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე ( $p < 0,05$ ) მიუთითებს, რომ წლების მიხედვით განსხვავება შინაარსობრივ კატეგორიებში არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალით დასტურდება ჰიპოთეზა.

ცხრილი N3. შინაარსობრივი კატეგორიები „ლიტერატურული საქართველოდან“ (519)

შინაარსობრივი კატეგორიები / წლები	1985	1986	1987	1988	1989	1990	ჯამი
ა	0	0	1	7	8	11	27
ბ	0	0	1	4	2	7	14
გ	2	0	3	1	0	3	9
დ	0	0	0	2	7	27	36
ე	8	0	29	6	8	8	59
ვ	0	0	26	38	48	29	141
ზ	10	37	27	49	59	48	230
თ	0	2	0	1	0	0	3
<b>ჯამი</b>	<b>20</b>	<b>39</b>	<b>87</b>	<b>108</b>	<b>132</b>	<b>133</b>	<b>519</b>

ცხრილი N4. ხი კვადრატის ტესტი (2)

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	211.751 <sup>a</sup>	35	.000

სტატისტიკური მნიშვნელოვნება, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე ( $p < 0,05$ ) მიუთითებს, რომ წლების მიხედვით განსხვავება შინაარსობრივ კატეგორიებში არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალით დასტურდება ჰიპოთეზა.

## ცხრილი N5. შინაარსობრივი კატეგორიები „ქართული ფილმიდან“ (323)

შინაარსობრივი კატეგორიები / წლები	1987	1988	1989	1990	ჯამი
ა	0	3	2	4	9
ბ	0	0	0	0	0
გ	2	0	0	0	2
დ	0	1	11	19	31
ე	40	40	7	4	91
ვ	0	6	28	24	58
ზ	25	29	49	21	124
თ	1	3	0	4	8
ჯამი	68	82	97	76	323

## ცხრილი N6. ხი კვადრატის ტესტი (3)

## Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	150.842 <sup>a</sup>	18	.000

სტატისტიკური მნიშვნელოვნობა, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე ( $p < 0,05$ ) მიუთითებს, რომ წლების მიხედვით განსხვავება შინაარსობრივ კატეგორიებში არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალით დასტურდება ჰიპოთეზა.

როგორც ვხედავთ, ჰიპოთეზები N1 და N2 დადასტურდა, როგორც წყაროების გაერთიანებული სტატისტიკური მასალით, ასევე ცალკე აღებული თითოეული წყაროსათვის. ამდენად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საჯაროობა, როგორც გარდაქმნის პროდუქტი (საგაზეთო თემებისა და კონტენტის დივერსიფიცირება, ტაბუს ახსნა) მეტად გამოიხატება 1987 წლიდან და მკვეთრად გამოხატულია გარდაქმნის მეორე ეტაპზე – 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ.

### ჰიპოთეზა N3

- გარდაქმნის დეკლარირებას მოჰყვა დიალოგური ჟანრების ხვედრითი წილის ზრდა „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „ქართულ ფილმში“.

ცხრილი N7. ჟანრობრივი კატეგორიები (ორი წყაროს გაერთიანებული რეპრეზენტატიული მასალიდან)

ჟანრობრივი კატეგორიები / წლები	1985	1986	1987	1988	1989	1990	ჯამი
ა	1	1	19(0+19)	10(2+8)	12(7+5)	7(0+7)	50
ბ	4	16	71(57+14)	86(65+21)	78(60+18)	100(67+33)	355
გ	0	0	2(1+1)	20(5+15)	22(10+12)	11(6+5)	55
დ	0	0	15(6+9)	17(10+7)	31(24+7)	17(11+6)	80
ე	0	0	7(6+1)	10(8+2)	9(7+2)	13(11+2)	39
ვ	1	3	2(1+1)	0 (0+0)	2(0+2)	0(0+0)	8
ზ	3	14	16(7+9)	36(10+26)	46(14+32)	41(29+12)	156
თ	11	5	23(9+14)	11(8+3)	29(10+19)	20(9+11)	99
ჯამი	20	39	155	190	229	209	842

\* შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული სიდიდეებიდან პირველი წარმოადგენს მასალას „ლიტერატურული საქართველოდან“, მეორე – „ქართული ფილმიდან“.

### ცხრილი N8. ხი კვადრატის ტესტი (4)

#### Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	134.000 <sup>a</sup>	35	.000

სტატისტიკური მნიშვნელოვნობა, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე ( $p < 0,05$ ), მიუთითებს, რომ წლების მიხედვით განსხვავება ჟანრობრივ კატეგორიებში არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალით დასტურდება ჰიპოთეზა.

## ცხრილი N9. ჟანრობრივი კატეგორიები „ლიტერატურული საქართველოდან“

ჟანრობრივი კატეგორიები / წლები	1985	1986	1987	1988	1989	1990	ჯამი
ა	1	1	0	2	7	0	11
ბ	4	16	57	65	60	67	269
გ	0	0	1	5	10	6	22
დ	0	0	6	10	24	11	51
ე	0	0	6	8	7	11	32
ვ	1	3	1	0	0	0	5
ზ	3	14	7	10	14	29	77
თ	11	5	9	8	10	9	52
ჯამი	20	39	87	108	132	133	519

## ცხრილი N10 – ხი კვადრატის ტესტი (5)

## Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	143.232 <sup>a</sup>	35	.000

სტატისტიკური მნიშვნელოვნობა, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე ( $p < 0,05$ ), მიუთითებს, რომ წლების მიხედვით განსხვავება ჟანრობრივი კატეგორიებში არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალით დასტურდება ჰიპოთეზა.

## ცხრილი N11. ჟანრობრივი კატეგორიები „ქართული ფილმიდან“

ჟანრობრივი კატეგორიები/წლები	1987	1988	1989	1990	ჯამი
ა	19	8	5	7	39
ბ	14	21	18	33	86
გ	1	15	12	5	33
დ	9	7	7	6	29
ე	1	2	2	2	7
ვ	1	0	2	0	3
ზ	9	26	32	12	79
თ	14	3	19	11	47
ჯამი	68	82	97	76	323

## ცხრილი N12. ხი კვადრატის ტესტი (6)

## Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	67.719 <sup>a</sup>	21	.000

სტატისტიკური მნიშვნელოვნობა, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე ( $p < 0,05$ ) მიუთითებს, რომ წლების მიხედვით განსხვავება ჟანრობრივ კატეგორიებში არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალით დასტურდება ჰიპოთეზა.

როგორც ვხედავთ, ჰიპოთეზა N3 დადასტურდა, როგორც წყაროების გაერთიანებული სტატისტიკური მასალით, ასევე ცალკე აღებული თითოეული წყაროსათვის. ამდენად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ გარდაქმნის დეკლარირებას მოჰყვა დიალოგური ჟანრების ხვედრითი წილის თანდათანობითი ზრდა, რაც გაზეთსა და მკითხველს შორის კომუნიკაციის გააქტიურებაზე მიუთითებს.

### ჰიპოთეზა N4

- გარდაქმნისადმი პოზიტიური მიდგომა გარდაისახა მისდამი ჯერ ინდიფერენტულ, მოგვიანებით – ნეგატიურ დამოკიდებულებაში.

ცხრილი N13. „გადაქმნისა“ და „საჯაროობის“ შეფასებითი ასპექტები ორი წყაროს გაერთიანებული რეპრეზენტატიული მასალიდან

შეფასება / წელი	1985	1986	1987	1988	1989	1990	ჯამი
დად.	6	25	72(29+43)	73(26+47)	26(20+6)	15(12+3)	217
უარყ./სკეპტ.	0	0	2(0+2)	0 (0+0)	12(2+10)	7(2+5)	21
ნეიტრ.	14	14	81(58+23)	117(82+35)	19 (110+81)	187(119+68)	604
ჯამი	20	39	155	190	229	209	842

\* შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული სიდიდეებიდან პირველი წარმოადგენს მასალას „ლიტერატურული საქართველოდან“, მეორე – „ქართული ფილმიდან“.

### ცხრილი N 14. ხი კვადრატის ტესტი (7)

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	152.484 <sup>a</sup>	10	.000

სტატისტიკური მნიშვნელოვნობა, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე ( $p < 0,05$ ) მიუთითებს, რომ წლების მიხედვით განსხვავება თვისებრივ კატეგორიებში არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალით დასტურდება ჰიპოთეზა.

ცხრილი N15. „გადაქმნისა“ და „საჯაროობის“ შეფასებითი ასპექტები „ლიტერატურული საქართველოდან“

შეფასება / წელი	1985	1986	1987	1988	1989	1990	ჯამი
დადებითი	6	25	29	26	20	12	118
უარყოფითი/სკეპტიკური	0	0	0	0	2	2	4
ნეიტრალური	14	14	58	82	110	119	397
ჯამი	20	39	87	108	132	133	519



## ცხრილი N 16. ხი კვადრატის ტესტი (8)

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	155.749 <sup>a</sup>	12	.000

სტატისტიკური მნიშვნელოვნობა, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე ( $p < 0,05$ ) მიუთითებს, რომ წლების მიხედვით განსხვავება თვისებრივ კატეგორიებში არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალით დასტურდება ჰიპოთეზა.

ცხრილი N17. „გადაქმნისა“ და „საჯაროობის“ შეფასებითი ასპექტები „ქართული ფილმიდან“.

შეფასება/წელი	1987	1988	1989	1990	ჯამი
დადებითი	43	47	6	3	99
უარყოფითი/ სკეპტიკური	2	0	10	5	17
ნეიტრალური	23	35	81	68	207
ჯამი	68	82	132	133	323

## ცხრილი N18. ხი კვადრატის ტესტი (9).

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	118.089 <sup>a</sup>	6	.000

სტატისტიკური მნიშვნელოვნობა, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე ( $p < 0,05$ ) მიუთითებს, რომ წლების მიხედვით განსხვავება თვისებრივ კატეგორიებში არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალით დასტურდება ჰიპოთეზა.

ჰიპოთეზა N4-იც დადასტურდა, როგორც წყაროების გაერთიანებული სტატისტიკური მასალით, ასევე ცალკე აღებული თითოეული წყაროსათვის. ამდენად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ გარდაქმნისადმი დამოკიდებულება დადებითიდან ნეგატიურისაკენ შეიცვალა გარდაქმნის განვითარებასთან ერთად.

აქვე წარმოდგენილია გარდაქმნისა და საჯაროობის შეფასებით ასპექტების აღწერითი სტატისტიკა წლების მიხედვით:

ცხრილი N 19. საშუალო, მოდა, მედიანა (1)

	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა	მინიმუმი	მაქსიმუმი
<u>დადებითი</u>	62.00	26.00	6	73.321	6	217
<u>უარყოფითი</u>	4.29	0.00	0	7.804	0	21
<u>ნეიტრალური</u>	172.57	117.00	14	203.487	14	604
<u>ჯამი</u>	240.57	190.00	20*	277.492	20	842

გარდაქმნისა და საჯაროობის შეფასებით ასპექტების აღწერითი სტატისტიკა წყაროების მიხედვით:

ცხრილი N 20. საშუალო, მოდა, მედიანა (2)

	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა	მინიმუმი	მაქსიმუმი
<u>დადებითი</u>	144.67	118.00	99	63.359	99	217
<u>უარყოფითი</u>	14.00	17.00	4	8.888	4	21
<u>ნეიტრალური</u>	402.67	397.00	207	198.561	207	604
<u>ჯამი</u>	561.33	519.00	323	262.077	323	842

## 6.2. გარდაქმნისა და საჯაროობის აღქმა/შეფასება

საკვლევი გაზეთების ფურცლებზე გარდაქმნა სახელდება საყოველთაოდ აუცილებელ და გარდაუვალ რეკვიზიტად ყოფით, პროფესიულ, პარტიულ, ადმინისტრაციულ დონეზე, ნებისმიერ ურთიერთობებში, როგორც ყოფიერებისა და ცნობიერების განუყრელი ნაწილი, როგორც თავისთავად განპირობებული რამ პარტიის მითითებებიდან გამომდინარე. გარდაქმნის/საჯაროობის ატრიბუცია კი ბეჭდვით მედიისათვის ავტორებმა და რესპონდენტებმა შეიმუშავეს.

### 6.2.1. „ლიტერატურული საქართველო“

1985 წელს „ლიტერატურული საქართველო“ ისევე, როგორც რესპუბლიკაში გამომავალი გაზეთების უმეტესობა მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობდა, „გარდაქმნაზე“ ძირითადად, პარტიულ დოკუმენტებსა და კომპარტიის ღონისძიებების ანგარიშებში საუბრობდნენ. ამ პერიოდში ორიგინალური პუბლიკაციები გარდაქმნის თემას თითქმის არ ეძღვნება. მწერლები დუმდნენ ამჯობინებენ, ჯერ კიდევ ბუნდოვანია გარდაქმნის რაობა. გარდაქმნის საწყის ეტაპზე ფიქსირდება ერთგვარი ტრენდი – ყველა მოვლენისა და ღონისძიების გარდაქმნასთან მიზმა და დაკავშირება, ძირითადად მექანიკურად. „გარდაქმნას“ მოიხსენიებენ არაკონტექსტუალურად, ფატიკურად. ეს სოციალური კონტაქტის ილუზიის შექმნას უფრო ემსახურება.

1986 წელს გარდაქმნისადმი მიმართული ყურადღება პრესის ფურცლებზე კვლავ დაბალია, თუმცა აქტიურდება მობილიზაცია – გარდაქმნის მიღმა არავინ უნდა დარჩეს, გარდაქმნა საყოველთაოა: „მიმდინარე ფსიქოლოგიური განვითარება – გარდაქმნები და დემოკრატიზაცია ჩვენს პროფესიულ მუშაობაში უპირველესად სტერეოტიპის უკუგებას გულისხმობს“ (გიორგი ხუხაშვილი, „ლს“, 25.07.1986); „ჭეშმარიტ მხატვარს ისიც ევალება, ჩაერიოს სინამდვილის გონიერ გარდაქმნაში, იყოს თანამედროვეთა ორიენტირი, დაეხმაროს

ადამიანს რთულ ვითარებათა აღქმასა და შეფასებაში“ (სერგი ჭილაია, „ლს“, 08.08.1986); „ახლა ჩვენი დიადი სამშობლო გარდაქმნის პროცესშია და ეს პროცესი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს“ (რომან მიმინოშვილი, „ლს“, 31.10.1986); იმავდროულად, იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება სკეფსისი. „თუ ეს პროპაგანდისტული რიტორიკა არ არის, ახალი საბჭოთა სამშვიდობო წინადადებები მშვენიერი საფუძველი იქნება ასეთი გარდაქმნისათვის“ (სოსო ცინცაძე, „ლს“, 14.02.1986).

გარდაქმნის პირველ ეტაპზე (1985-88) რესპონდენტები/ავტორები საჭიროდ მიიჩნევენ ახსნას, რა არის/როგორ ესმით გარდაქმნა; ხაზს უსვამენ, რომ იზიარებენ, ემხრობიან და სრულად უჭერენ მხარს გარდაქმნის პოლიტიკას. ასეთი მიდგომა გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე ფიქსირდება: „ყველა მოვლენისთვის თავისი სახელის დარქმევის, სრული საჯაროობის, უკომპრომისობისა და კომპეტენტურობის ბრძნული პოლიტიკა იმარჯვებს დღეს საქართველოში“ (შოთა ნიშნიანიძე, „ლს“, 31.01.1986); „რესპუბლიკაში აღმავლობა სუფევს, დიდი გარდაქმნის მოლოდინშია ჩვენი ხალხი“ (მორის ფოცხიშვილი, „ლს“, 1986 წლის 16 მაისი); „გარდაქმნა გულისხმობს ძიებას, შეცვლას, სისხლის გადასხმას, ექსპერიმენტს, გადაადგილებებს, კადრების გადახალისებას, ახალგაზრდების დაწინაურებას... გარდაქმნა და უკეთესობისკენ შემობრუნება არასდროს არ არის გვიანი“ (ჯანსუღ ჩარკვიანი, „ლს“, 19.09.1986); „გარდაქმნა“ ლიტონი სიტყვა არ არის, იგი ხანგრძლივი, მაგრამ შეუქცევადი პროცესია (დავით მჭედლოური, „ლს“, 30.01.1987); „საჯაროობა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ნორმა ხდება, სადღაც ზემოდან არავის მოურთმევია ჩვენთვის ცისფერარშიანი ლანგრით. ეს საჯაროობა სიმწრით მოვიპოვეთ“ (ევგენი ევტუშენკო, „და წმინდა იყო ჩვენი ზრახვები“, „ლს“, 24.04.1987); „გარდაქმნა კოსმეტიკური ღონისძიება როდია, რომ ცხოვრება გარედან შევალამაზოთ, შიგნით კი არსებითად ყველაფერი უცვლელად დავტოვოთ“ (ტარიელ კვანჭილაშვილი, „ლს“, 10.06.1988); „გარდაქმნის წარმატება თუ წარუმატებლობა ჩვენშია, ხალხშია, ჩვენს მონდომებაშია“ (გურამ გვერდწითელი, „ლს“, 26. 08.1988).

კინემატოგრაფისტები, მწერლები თავს მოვალედ თვლიან საკუთარი წვლილი შეიტანონ საყოველთაო გარდაქმნაში, გარდაქმნან თვითონ,

გარდაქმნან საკუთარი შემოქმედება, გარდაქმნაში დაეხმარონ სხვებს: „ჩვენ ახლა დიდი გარდაქმნის ზღურბლზე ვდგავართ და ამიტომაც მთელი ჩვენი ნიჭი და უნარი, ჩვენი ძალისხმევა უნდა მივმართოთ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა უთუოდ შესასრულებლად, ჩვენც უნდა გარდავქმნათ ჩვენი მუშაობის სტილი, უფრო ქმედითი და საქმიანი გავხადოთ იგი“ (გიორგი ციციშვილი, „ლს“, 01.05.1986); „გრანდიოზული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული პროცესები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დღეს დგას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული პროცესი, რითაც არის ნიშანდობლივი ჩვენი დღევანდელი ცხოვრება – აი, რა უნდა იყოს საბჭოთა მწერლობის დაკვირვების, შესწავლის, გააზრების საგანი“ (გურამ გვერდწითელი, „ლს“, 16.05.1986); „სრული საჯაროობა, ფართო დემოკრატიული განსჯა ყველა საკითხისა და კანდიდატურისა, აი, რა შექმნის გარანტიას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ“ (თენგიზ ბუაჩიძე, „ლს“, 21.11.1986).

1988 წლისათვის „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ კონცეპტი უფრო მეტ კონკრეტიკას იძენს მკითხველისა და ავტორის ცნობიერებაში. ამორფული, ბუნდოვანი აზრობრივი სხეულიდან უფრო კონკრეტულ ჟურნალისტურ სახედ ყალიბდება. ეს პრობლემებზე ღიად საუბარი და გადაჭრის გზის დასახვა – ტაბუ ახსნილია, არსებობს კომპლექსებისაგან გათავისუფლების მზაობა. ამ თვალსაზრისით ჟურნალისტური ტექსტები/დამოკიდებულებები განსხვავებულად გამოიყურება ამ ეტაპზე. „ლიტერატურული საქართველო“ და „ქართული ფილმი“, ე.წ. დარგობრივი გაზეთები გადადიან პროფესიულ, თემატურ მიჯნას (ლიტერატურა, ხელოვნება) და იწყებენ დისკუსიას პრობლემებზე: დამნაშავეობა, ეროვნული ცნობიერება, ჩრდილოვანი ეკონომიკა, ეთნოკონფლიქტი... მაგალითად: „საჯაროობისა და დემოკრატიზაციის დამკვიდრების ამ ეტაპზე ძალზე გააქტიურდა ჩვენი პრესა, რაც მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობასთან მის დამოკიდებულებაში იჩენს თავს (ვახტანგ რაზმაძე, „ლს“, 08.05.1988); „ნაციონალური გაღვივების მიზეზი, ზოგიერთის აზრის საპირისპიროდ, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ატმოსფერო როდია: ახალ სიტუაციაში მხოლოდ აშკარად იჩინა თავი წლების განმავლობაში

დაგროვილმა პრობლემებმა, რომელთა გადაჭრა, სწორედ რომ დემოკრატიის პირობებში ხდება შესაძლებელი“ (გიორგი ნოდია, „ლს“, 20.05.1988); „გარდაქმნამ ახლებურად დააყენა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის – ეროვნული პრობლემაც“ (არმაზ გრძელიძე, „ლს“, 24.06.1988); „ერთა შორის ურთიერთობის საბოლოოდ მოგვარებულად მიჩნევა და შელამაზებულ ფერებში ხატვა რომ სინამდვილეს არ ასახავდა, ეს დღევანდელმა საჯაროობამ გამოაშკარავა“ (გურამ გეგეშიძე, „ლს“, 04.10.1988); „1988 წელს საგრძნობლად გააქტიურდა ქართული პრესა, ბევრი უსამართლოდ ტაბუდადებული შემოქმედის, მეცნიერის, პოლიტიკური მოღვაწის სახელი გაცოცხლდა, დაუბრუნდა მშობლიურ ხალხს“ (მოწინავე, „ლს“, 06.01.1989).

1988-89 წლებისათვის საკუთრივ კონცეპტი „გარდაქმნა“ უკანა პლანზე გადადის. 1989 წლისათვის უკვე სახეზეა „გარდაქმნილი“, გათავისუფლებული მედია მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისათვის მთავლიტი – საბჭოთა ცენზურა ოფიციალურად კვლავ ფუნქციონირებს. მოხდა გარდამტეხი მოვლენა – 9 აპრილის ტრაგედია, რის შემდეგაც მედიაში დადგა სინამდვილე, რომელშიც ტაბუდადებული თემა პრაქტიკულად აღარ არსებობს.

1989-90 წლებში კი გარდაქმნას უკვე ეჭვის თვალთ უყურებენ. გაზეთების ფურცლებზე დასაშვები ხდება არა მხოლოდ პარტიისა და იდეოლოგიის კრიტიკა, არამედ იმ ე.წ. ლენინური საწყისების კრიტიკაც, რომელთა სახელითაც მიხეილ გორბაჩოვი ეცადა საბჭოთა იმპერიის გადარჩენას: „ნამდვილი, ღრმა გარდაქმნა შეუძლებელია იმ იდეოლოგიის კრიტიკული გააზრების გარეშე, რომლითაც ჩვენი საზოგადოება ათწლეულების განმავლობაში ხელმძღვანელობდა (ელდარ შენგელაია, „ლს“, 10.03.1989); „დღეს კომპარტიას იმით უნდა გადაირჩინოს ავტორიტეტი, რომ აცხადებს, კომპარტიამ დაიწყო გარდაქმნა. გარდაქმნა კომპარტიას არ დაუწყია, ეს იყო ობიექტური გარდაუვალობა“ (კარლო გოგსაძე, „ლს“, 07.09.1990); „დემოკრატიული საქართველოს“ შეუძლებლად მიაჩნია კომუნისტური რეჟიმის გარდაქმნა, მან უნდა შეწყვიტოს არსებობა“ („დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური დეკლარაცია, „ლს“,

26.10.1990); „მქონდა იმედი, რომ სკკპ, რომელმაც გამოაცხადა გარდაქმნისა და განახლების კურსი, უარს იტყოდა ველიკოდერჟავულ, იმპერიალისტურ მიზნებზე, ჩემი ეს იმედი არ გამართლდა“ (ოლეს გონჩარი, „ლს“, 82.10.1990).

### 6.2.2. „ქართული ფილმი“

„ქართული ფილმი“ „ლიტერატურული საქართველოსაგან“ განსხვავებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად გარდაქმნის პირმშოდ შეიძლება ჩაითვალოს. მისი პირველი ნომერი 1987 წელს გამოვიდა, გარდაქმნის იდეის შესატყვისი მიზნებითა და ამოცანებით – დახმარებოდა კინოსა და კინომოდვანეებს თვისებრივ მეტამორფოზაში, პრობლემების გამოაშკარავებასა და მათ გადაჭრაში. „ქართული ფილმის“ პუბლიკაციებშიც ხაზგასმულია გარდაქმნის საყოველთაოობა, აუცილებლობა, დროულობა.

გარდაქმნის არსსა და მის ამოცანებს გაზეთის ფურცლებიდან განმარტავს კინოსტუდიის ხელმძღვანელობა: „გარდაქმნის გზაზე სრული მნიშვნელობით უნდა მოხდეს დემოკრატიზაცია – მმართველობის ფორმა ხელოვნებაში უნდა იყოს თავისუფალი“ (რეზო ჩხეიძე, „ქგ“, 08.07.1987); „უნდა გარდაიქმნას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ფინანსური მდგომარეობა, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა“ (ჯუმბერ კერესელიძე, „ქართული ფილმი“, 08.07.1987).

გამოსვლის პირველ წელს, 1987-ში გამუდმებით ფიქსირდება ხაზი – გარდაქმნის, როგორც პარტიის დირექტივისადმი ერთგულება და თანაზიარობა, გარდაქმნის მხარდაჭერა შემოქმედებითი ინტელიგენციის მხრიდან: „ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დიდი რევოლუციური გარდაქმნები, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს სრულყოფა, დემოკრატია, საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა ყოველდღიურად უფრო და უფრო მკვეთრ გამოხატულებას პოულობს „ქართული ფილმის“ მთელ კოლექტივში“ (სარედაქციო სტატია, „ქგ“, 03.06.1987).

როგორც სარედაქციო სტატიებში, ისე ცალკეულ ავტორთა პუბლიკაციებში ისმის მოწოდება ჩართულობის, პროცესში აქტიური მონაწილეობის შესახებ – გარდაქმნა, როგორც პარტიის ღონისძიება

ხალხისათვის, ხალხის ნებითა და ხალხის მონაწილეობით: „მოგმართავთ, თხოვნით აქტიურად მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები გარდაქმნის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე“ (სარედაქციო სტატია, „ქვ“, 03.06.1987); „გარდაქმნის პერიოდი იმასაც გვავალებს, რომ გავაანალიზოთ წარსული და საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობა და მასზე სიმართლე ვილაპარაკოთ“ (ა. მახარაძე, „ქვ“, 23.12.1987); „გარდაქმნა დღეს მოითხოვს, ასევე, მტკიცე და აქტიურ მოქმედებას, სოციალური და შემოქმედებითი აზროვნების განახლებას“ (კინემატოგრაფისტთა დიდი საბჭოს ოქმიდან, „ქვ“, 16.12.1987).

გარდაქმნის პროცესის აქცენტირება, გარდაქმნა-გადაწყობაზე მაქსიმალური ფოკუსირება-კონცენტრაცია გაზეთის გამოსვლის პირველ წელს, 1987-ში არის უფრო ნიშნული და მნიშვნელოვანი.

უცხოელ ხელოვანთა შორის მოწონებასა და აღფრთოვანებას იწვევს „პერესტროიკა,“ როგორც შემოქმედებითი თავისუფლება, უცენზურობის პირობებში მოქმედი გამოხატვის შეუზღუდავობა. ამ მხრივ საინტერესოა „ქართული ფილმის“ ფურცლებზე მოხვედრილი ის პუბლიკაციები, რომლებშიც კინემატოგრაფიის მეტრების დადებითი დამოკიდებულებაა დაფიქსირებული. აღნიშნული პუბლიკაციები არ არის ორიგინალური, უმეტესად საკავშირო პრესიდანაა გადმობეჭდილია და საინტერესოა ტენდენციის თვალსაზრისით – მსოფლიოს შემოქმედებითი ელიტის დიდი პოზიტიური მოლოდინი გარდაქმნისადმი: „რაც შეეხება თქვენ ახალ პოლიტიკას და საჯაროობას, რომელსაც დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს მთელი ევროპა და მსოფლიო, ბადებს იმედს და სიმპათიებს თქვენი ქვეყნის მიმართ“ (ტონინო გუერა, „ქვ“, 08.07.1987); „ხდება რაღაც მნიშვნელოვანი, მასში აქტიურად მონაწილეობს ხალხი და ის განსაზღვრავს მოვლენების შედეგს“ (გრეგორი პეკი, „ქვ“, 24.06.1987); „მივესალმები საბჭოურ კინოში მიმდინარე იმ ღრმა პროცესებს, რომელსაც თქვენი საზოგადოება მოუცავს და რომელთა ასახვა და მხარდაჭერა კინოს მოწოდებაა“ (ჯუზეპე დე სანტისი, „ქვ“, 30.07.1987); „ძალიან მახარებს ის, რაც თქვენთან ხდება, არც ისე ძველად, ასე 10 წლის წინათ თქვენი სცენარისტები თუ რეჟისორები ლაპარაკობდნენ უფრო მეტი უფლებების, მეტი



შემოქმედებითი თავისუფლების, განსჯისა და გაკრიტიკების მეტი შესაძლებლობების მიღების აუცილებლობაზე. ახლა მათ წინაშე ამდენი ხნის პერსპექტივები იშლება (ფედერიკო ფელინი, „ქვ“, 02.09.1987); „მიხეილ გორბაჩოვმა ისეთი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა გააჩაღა, რომ ჩვენც გვინდა წვლილი შევიტანოთ მის განხორციელებაში“ (მარჩელო მასტროიანი, „ქვ“, 30.09.1987). აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ მოხმობილი ციტატა 1987 წელს ამოიკრიბა, გარდაქმნის პირველ ეტაპზე. შემდეგში მსგავსი პოზიციები თითქმის აღარ გვხვდება.

ურთულესი საკითხი, რომელიც გარდაქმნამ კინონდუსტრიის წინაშე დააყენა, სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე გადასვლა იყო. ცენტრალური სახელმწიფო დაფინანსებით განებივრებული კინემატოგრაფი თვითრეგულირებადი ბაზრის წინაშე პირისპირ დარჩენის მოლოდინის შიშითაა მოცული. უცნობია, რას უქადის გეგმიურ საბჭოთა ეკონომიკაზე მორგებულ კინემატოგრაფს საკუთარი თავის რჩენის ვალდებულება. ამ პერსპექტივას, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, შფოთვითა და შიშით უყურებენ კინემატოგრაფიაში. სამეურნეო ანგარიში გარდაქმნის თანმდევა, თვითდაფინანსების დამკვიდრება შეუქცევადია: „ქვეყნის ყველა სტუდია სამეურნეო ანგარიშზე გადადის. ფინანსური დამოუკიდებლობა საბჭოთა კინემატოგრაფიის აუცილებელი პირობა ხდება“ (კინემატოგრაფისტთა დიდი საბჭოს ოქმიდან, „ქვ“, 16.12.1987); „ახალი მოდელის ეკონომიკურმა გაანგარიშებამ, მისი კვანძების, მოდულების, ელემენტების „გაჟღერიალებამ“ განსაკუთრებით, გაქირავებასთან ურთიერთდამოკიდებულებაში, იმდენი თავსატეხი ამოატივტივა, რომ საეჭვო ხდება – გამოგვივა კი სამეურნეო ანგარიში?“ (ვ. პოლოჟი, „ქვ“, 23.09.1987); „მოდის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პერიოდი, რომლის შესახებ, ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა. ახლა სახელმწიფო გვამღევს ყველაფერს, მერე როგორ ვირჩინოთ თავი?“ (თეიმურაზ ბაბლუანი, „ქვ“, 08.07.1987).

თუკი 1987 წლისათვის გაზეთის ფურცლებზე აისახება საყოველთაო შემართება, იმედი, მაღალი მოლოდინები, მოწოდება დარაზმულობისაკენ, აქტიურობა და ჩართულობა-მონაწილეობა მიმდინარე პროცესებში, 1988

წლისათვის განწყობები გრილდება, საგაზეთო ნარატივი უფრო საქმიანი და კონკრეტული ხდება. იკლებს პათეტიკა გარდაქმნასთან მიმართებაში. ამას ხელი შეუწყო 1989 წლის 1-ლი იანვრიდან სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის მოლოდინმა და მზადებამ, ერთის მხრივ, და მეორე მხრივ, შესაძლებლობის გაცნობიერებამ, რომ სათქმელი შესაძლოა ღიად, დაუბრკოლებლად ითქვას.

თენგიზ აბულაძის ფილმის, „მონანიების“ წარმატებამ საერთაშორისო ასპარეზზე, თავად ფილმის შინაარსობრივმა მხარემ და მასში ასახულმა ეპოქამ აქტუალური გახადა „სათქმელის“ საკითხი. ფილმი საერთაშორისო თანამეგობრობაში აღიქმებოდა, როგორც გარდაქმნის მონაპოვარი და საჯაროობის განსხეულება, ხოლო ფილმის ავტორი, თენგიზ აბულაძე გარდაქმნის თანაავტორად შერაცხეს. „მონანიება“ გახდა გარდაქმნის ერთგვარი ჰიპოსტასი. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი შიდა და საერთაშორისო გამოხმაურებები ფილმის მისამართით: „ეს ფილმი [„მონანიება“] პირველი მერცხალია იმ რევოლუციური ცხოვრებისა, რომელსაც ვუწოდებთ გარდაქმნა, იგულისხმება დემოკრატიზაცია, ე. ი. ადამიანი დღეს ლაპარაკობს იმას, რასაც ფიქრობს, ეს სულის, სიტყვის თავისუფლებაა, და არა, უბრალოდ, მექანიკური ბრძანებების შესრულება“ (მიხეილ ქვლივიძე „ქვ“, 04.05.1988); „საჯაროობის დადგომის პერიოდში სულ უფრო მეტი საბჭოელი რეჟისორი პოულობს თავის ხმას, ხოლო ხმასთან ერთად – საკუთარ თვალებს, ყურებს და ბოლოს თავის სულს“ („ნიუს უიკი“ „მონანიების შესახებ“, „ქვ“, 07.09.1988). „მონანიება“ ქართული კინოს საფირმო ნიშანი ხდება.

1988 წლიდან იწყებს მომწიფებას გარდატეხა, რაც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დააგვირგვინა.

1989 წელი გზაგასაყარია არა მხოლოდ „ქართული ფილმის“ ისტორიაში. 9 აპრილის ტრაგედიამ საზოგადოებას ღირებულებათა საყოველთაო გადაფასებისაკენ უბიძგა. „ქართული ფილმის“ ფურცლებზე ეს ეტაპი ნიშანდობლივია გარე ავტორების გააქტიურებითა და თემატური დივერსიფიცირებით. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ აქტუალიზდება საკითხების მთელი პალიტრა: ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა,

საქართველოს შემდგომი მოწყობა-განვითარება, ერთა თვითგამორკვევა, ისტორიის ხელახლა წაკითხვა.

ამ პერიოდისთვის კრიზისი ცენტრისა და პერიფერიის დამოკიდებულებაში გაღრმავდა. ცენტრალური ხელისუფლებისადმი მიმართული პროტესტისა და აღშფოთების გამომხატველ ტექსტებში მშვიდობიანი აქციის დარბევა შერაცხულია გარდაქმნის იდეალების პირდაპირ ხელყოფად და გარდაქმნის მტრების მიერ განხორციელებულ პროვოკაციად: „გარდაქმნის პოლიტიკამ საფუძველი მოგვცა საბოლოოდ გვერწმუნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო მოელო უკანონობას და თვითნებობას... ვფიქრობთ, რომ იგი [აქციის დარბევა] მოფიქრებული პროვოკაციაა, მიმართული გარდაქმნის საფუძვლებისა და მიზნების დასათრგუნად“ (საქართველოს ინტელიგენციის მიმართვა მ. გორბაჩოვს, „ქვ“, 19.04.1989); „ვთვლით, რომ უდიდესი საფრთხეა გარდაქმნისათვის, თუმცა ნაწილობრივ ეს იმის ბრალიცაა, რომ გარდაქმნას ჯერ კიდევ არა აქვს დასრულებული სახე, ის ამორფულია“ (9 აპრილის შეფასება, „ქვ“, 19.04.1989); გარდაქმნის, დემოკრატიზაციის რეალურ ნაყოფს, სამწუხაროდ, იღებს მხოლოდ ცენტრი და არა რესპუბლიკები – (9 აპრილის შეფასება, „ქვ“, 19.04.1989).

ისევე, როგორც „ლიტერატურულ საქართველოში“, „ქართულ ფილმშიც“ დგება სკეფსისა და კრიტიკული გადაფასებების პერიოდი 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. დასაშვებია ხდება არა მხოლოდ გარდაქმნის ღირებულებებისადმი მიმართული ეჭვი და უნდობლობა, არამედ კრიტიკაც და ნეგატიური შეფასებაც. პუბლიკაციების ავტორებად გვევლინებიან ე.წ. ახალი ლიდერები და ექსპერტები, ეროვნული აღორძინების იდეაზე ორიენტირებული მოღვაწეები. ავტორები არ უფრთხიან ბრალი დასდონ ცენტრს იმპერიალიზმსა და ტოტალიტარიზმში, განაცხადონ გარდაქმნის ღირებულებების უფასურობისა და სიყალბის შესახებ: „ხომ არ გარდავქმნიით საბჭოთა ფედერაციას, რომელიც ფაქტობრივად არის იდეოლოგიური ნიღბის ქვეშ აღორძინებული რუსული ტოტალიტალისტური იმპერია საერთო სახლის მოდელზე?“ (ლოვარდ ტუხაშვილი, „ქვ“, 10.01.1990); „პარტიას შეუძლებლად მიაჩნია დღეს არსებული საბჭოური გარდაქმნა,

სამართლებრივი ნორმებით მისთვის ეს სისტემა არ არსებობს“ (ირაკლი შენგელაია, „ქვ“, 31.01.1990).

გარდაქმნამ ვერ გაამართლა მოლოდინი და ვერ მოუტანა საცნაური ნაყოფი ხალხს. ის ცენტრის მიერ ინსპირირებული ღონისძიება გამოდგა ცენტრისავე იმიჯის გასაფერადებლად, მისი რეპუტაციის ასამაღლებლად. დაიწყო გადაფასების პერიოდი: „გარდაქმნა საბჭოთა კავშირში უფრო სტრატეგიული და პოლიტიკური ხასიათისაა“ („ქვ“, 26.05.1990); „გარდაქმნას მსოფლიოში წარმატება ჰქონდა უმეტესად საგარეო პოლიტიკის ხარჯზე“ (ამირან დოლიძე, ილია თუმანჯანოვი, „ქვ“, 26.05.1990); „გარდაქმნის შემდეგ შევრჩით კანონების შემუშავებას და გამოცხადებას კანონებისა, რომლებიც ათეულ გვერდებს შეიცავენ და არავითარ კონკრეტულ განსაზღვრებას რეალურად არ იძლევიან“ (გივი ელიავა, „ქვ“, 15.08.1990).

1990 წლისათვის გარდაქმნისადმი პოზიტიური მოლოდინი აღარ არსებობს, ქრება გარდაქმნის საყოველთაობისა და გარდუვალობის განცდა, გარდაქმნა აღარ არის საინტერესო, მკითხველი და ავტორი გამოდიან „ჩართულობიდან“, განზე მდგარნი, დისტანციიდან აფასებენ განვითარებულ მოვლენებს და ღიად აფიქსირებენ განხიზვლას: „ამ ბოლო დროს ნაკლებად ლაპარაკობენ გორბაჩოვის „პერესტროიკის“ მიერ მოტანილ საბჭოთა ღირებულებებზე. უფრო ხშირად ხმარობენ „პერესტროიკას“ გარდაქმნის მაგიერ და დღითიდღე ბრჭყალები სულ უფრო მეტ სიმბოლურობას იძენს“ (ლანა ლოლობერიძე, „ქვ“, 17.10.1990); „უნდა დაინგრეს იმპერია, რომელმაც „რწმენის ბალავარზე“ შეკრა სხვადასხვა ერები. ინგრევა კიდეც, „პერესტროიკა“ (ლაზარე ზაქარიაძე, „ქვ“, 14.10.1990); „ჩვენს მიმართ გორბაჩოვის ჩვეული დაშაქრული მოფერების ნაცვლად, მოვისმინეთ გაღიზიანებული, აგრესიული ტონით ნათქვამი მუქარისა და დაპირისპირების სიტყვები: ნუ გვაშინებენ სუვერენიტეტებისთვის ახალმოვლენილი მებრძოლები, რომ აი, ხალხმა გამოხატა... ხალხს ჯერ კიდეც უნდა შევეკითხოთ“ (ალექსანდრე მახარაძე, „ქვ“, 05.12.1990).

გარდაქმნისა და საჯაროობის შეფასების დინამიკა (იხ. ცხრილი N13) გვიჩვენებს, რომ დასაწყისისთვის (1985-86) საკვლევად შერჩეული მედიის

ყურადღება ამ ახალი პოლიტიკისადმი უმნიშვნელო იყო. ყურადღება გარდაქმნის კონცეპტის მიმართ მატულობს 1987-88 წლებში და პიკს აღწევს 1989 წლისათვის, როდესაც დგება გარდამტეხი მომენტი (9 აპრილის ტრაგედია, როგორც მიჯნა). აპრილის ტრაგედიის შედეგად დგება საჯაროობა, როგორც გარდაქმნის შედეგი – ყველა ტაბუ ახსნილია, მიზანი მიღწეულია და შესაბამისად, ინტერესი საკუთრივ გარდაქმნისადმი, როგორც კონცეპტისადმი, სახელმწიფო პოლიტიკისადმი კლებულობს. გარდაქმნის პერიოდის პიკზე (1989) მოდის ასევე, ნეგატიური შეფასებების მაქსიმალური რაოდენობა, რაც განპირობებულია მედიებში 9 აპრილის ტრაგედიის გაშუქების დიდი მოცულობით. თუკი 1987-88 წლებში გარდაქმნისადმი ინტერესთან ერთად იზრდება მისი დადებითად აღქმა და მნიშვნელოვნად სჭარბობს ნეგატიურს. 1989 წლიდან კლებულობს გარდაქმნისა და საჯაროობის კონცეპტის დადებითად აღქმა ნეგატიური დინამიკის ხარჯზე. ეს დინამიკა შედეგია, დიდი ინტერესისა 9 აპრილისადმი, როგორც ფაქტისადმი, რომლის მეშვეობით გამიშვლდა სახელმწიფოს ფსევდოდემოკრატიული დაპირებების უშინაარსობა, ორმაგი სტანდარტი, იდეოლოგიური სიდუხჭირე.

ამდენად, გარდაქმნის აღქმა/შეფასება „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ქართული ფილმის“ ფურცლებზე გარდაქმნის განვითარებასთან ერთად ვითარდება დადებითიდან უარყოფითისაკენ.

### 6.3. ფაქტორული ანალიზი

#### 6.3.1. შინაარსობრივი კატეგორიები წლების მიხედვით

წლების მიხედვით აღრიცხული შინაარსობრივი კატეგორიების ფაქტორული ანალიზი განხორციელდა. 8 დებულებაზე ჩატარდა principal component analysis (PCA) ორთოგონალური როტაციული მატრიცით (varimax). სამ კომპონენტს ჰქონდა კაიზერის კრიტერიუმ 1-ზე მაღალი მაჩვენებელი, შესაბამისად გამოვყავით სამი ფაქტორი.

#### ცხრილი N21. ბარტლეტის ტესტი

KMO and Bartlett's Test

Kaiser-Meyer-Olkin Measure of Sampling Adequacy.	.602
Bartlett's Test of Sphericity	Approx. Chi-Square
	105.084
	df
	21
	Sig.
	.000

#### ცხრილი N22. შინაარსობრივი ფაქტორების ვარიაცია

Total Variance Explained

Component	ფაქტორების ვარიაცია			ფაქტორების ვარიაცია		
	ვარიაცია	% ვარიაციის პროცენტი	ვარიაციის დაგროვილი პროცენტი	ფაქტორების ვარიაცია	ფაქტორების ვარიაცია	ფაქტორების ვარიაცია
1	2.475	35.360	35.360	2.475	35.360	35.360
2	2.329	33.272	68.631	2.329	33.272	68.631
3	1.002	14.319	82.950	1.002	14.319	82.950
4	.474	6.769	89.719			
5	.344	4.917	94.636			
6	.292	4.174	98.811			
7	.083	1.189	100.000			

ცხრილი N23. როტაციული კომპონენტების მატრიცა (1)

	კომპონენტები		
	1	2	3
<u>გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია</u>	.788	.589	-.062
<u>გარდაქმნა – ცუდი ახალი ამბისთვის ტაბუს ახსნა</u>	.895	.320	.133
<u>გარდაქმნა და საჯაროობა, როგორც საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმული</u>	.223	-.317	.009
<u>გარდაქმნა – როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი</u>	.957	.181	-.101
<u>გარდაქმნა – მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტისთვის ან ჯგუფისთვის</u>	-.236	.297	.914
<u>ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება</u>	.449	.868	.033
<u>პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა</u>	.257	.956	-.027

შესაბამისად, ფაქტორები შემდეგი სახით დაჯგუფდა:

ცხრილი N24. შინაარსობრივი ფაქტორები წლების მიხედვით

ფაქტორი 1	ფაქტორი 2	ფაქტორი 3
<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია;</u></li> <li>• <u>გარდაქმნა – ცუდი ახალი ამბავი;</u></li> <li>• <u>გარდაქმნა – როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი.</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება;</u></li> <li>• <u>პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა.</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>გარდაქმნა – მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ჯგუფისათვის.</u></li> </ul>

შინაარსობრივი კატეგორიების სიხშირეების საშუალო მაჩვენებლები წლების მიხედვით ასე განაწილდა:

1. გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია/ახალი ისტორიისა და წერის სტიმული/ სტალინის დემისტოფიკაციის პოლიტიკური კამპანია – 10.29;
2. გარდაქმნა – ცუდი ახალი ამბისთვის ტაბუს ახსნა – 4;
3. გარდაქმნა და საჯაროობა, როგორც საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმული; – 3.14;
4. გარდაქმნა – როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი / მრავალპარტიულობა – 19.14;
5. გარდაქმნა – მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტისთვის ან ჯგუფისთვის – 42.86;

6. ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება, დამოუკიდებლობის იდეა – 56.86;

7. პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა – 101.14;

8. სხვა – 3.14;

9. ჯამი – 250.37.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია შინაარსობრივი კატეგორიების მონაცემები წლების მიხედვით, სადაც შედის საშუალო, მოდა, მედიანა, სტანდარტული გადახრა, მინიმუმი და მაქსიმუმი.

**ცხრილი N25. საშუალო, მოდა, მედიანა (2)**

	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა	მინიმუმი	მაქსიმუმი
<u>გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია</u>	10.29	10.00	0	12.790	0	36
<u>გარდაქმნა – ცუდი ახალი ამბისთვის</u>	4.00	2.00	0	5.066	0	14
<u>ტაბუს ახსნა</u>						
<u>გარდაქმნა და საჯაროობა, როგორც საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმული</u>	3.14	2.00	0	3.891	0	11
<u>გარდაქმნა – როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი</u>	19.14	3.00	0	26.996	0	67
<u>გარდაქმნა – მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტისთვის ან ჯგუფისთვის;</u>						
<u>ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება</u>	56.86	44.00	0	68.519	0	199
<u>პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა</u>	101.14	69.00	10	115.750	10	354
<u>სხვა</u>	3.14	2.00	0	3.848	0	11
<b>ჯამი</b>	<b>250.57</b>	<b>190.00</b>	<b>20</b>	<b>278.265</b>	<b>20</b>	<b>842</b>



### 6.3.2. შინაარსობრივი კატეგორიები წყაროების მიხედვით

წყაროების მიხედვით აღრიცხული შინაარსობრივი კატეგორიების ფაქტორული ანალიზი განხორციელდა. 8 დებულებაზე ჩატარდა principal component analysis (PCA) ორთოგონალური როტაციული მატრიცით (varimax). ორ კომპონენტს ქონდა კაიზერის კრიტერიუმ 1-ზე მაღალი მაჩვენებელი, შესაბამისად გამოვყავით ორი ფაქტორი.

ცხრილი N26. როტაციული კომპონენტების მატრიცა (2)

	კომპონენტები	
	1	2
<u>გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია</u>	.986	-.164
<u>გარდაქმნა – ცუდი ახალი ამბისთვის ტაბუს ახსნა</u>	.878	-.478
<u>გარდაქმნა და საჯაროობა, როგორც საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმული</u>	.960	-.281
<u>გარდაქმნა – როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი</u>	.913	.408
<u>გარდაქმნა – მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტისთვის ან ჯგუფისთვის</u>	.620	.785
<u>ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება</u>	.997	-.077
<u>პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა</u>	.998	.070

შესაბამისად, ფაქტორები შემდეგი სახით დაჯგუფდა:

ცხრილი N27. შინაარსობრივი ფაქტორები წყაროების მიხედვით

ფაქტორი 1	ფაქტორი 2
<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია</u></li> <li>• <u>გარდაქმნა – ცუდი ახალი</u></li> <li>• <u>გარდაქმნა – როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის</u></li> <li>• <u>ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება</u></li> <li>• <u>პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>გარდაქმნა – მისი მნიშვნელობა კონკრეტულ სოციალური ჯგუფისთვის</u></li> </ul>

სხვადასხვა წყაროებში შინაარსობრივი კატეგორიების სიხშირეების საშუალო მაჩვენებლები შემდეგნაირად განაწილდა:

1. გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია/ახალი ისტორიის და წერის სტიმული/ სტალინის დემისტოფიკაციის პოლიტიკური კამპანია – 24;
2. გარდაქმნა – ცუდი ახალი ამბისთვის ტაბუს ახსნა – 9.33;
3. გარდაქმნა და საჯაროობა, როგორც საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმული; – 7.33;
4. გარდაქმნა – როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი / მრავალპარტიულობა – 44.67;
5. გარდაქმნა – მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტისთვის ან ჯგუფისთვის – 100;
6. ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება, დამოუკიდებლობის იდეა – 132.67;
7. პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა – 236;
8. სხვა – 24;
9. ჯამი – 9.33.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სხვადასხვა წყაროებში შინაარსობრივი კატეგორიების მონაცემები, სადაც შედის საშუალო, მოდა, მედიანა, სტანდარტული გადახრა, მინიმუმი და მაქსიმუმი.

**ცხრილი N28 საშუალო, მოდა, მედიანა (3)**

	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა	მინიმუმი	მაქსიმუმი
<u>გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია</u>	24.00	27.00	9 <sup>a</sup>	13.748	9	36
<u>გარდაქმნა – ცუდი ახალი ამბისთვის ტაბუს ახსნა</u>	9.33	14.00	14	8.083	0	14
<u>გარდაქმნა და საჯაროობა, როგორც საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმული</u>	7.33	9.00	2 <sup>a</sup>	4.726	2	11
<u>გარდაქმნა – როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი</u>	44.67	36.00	31 <sup>a</sup>	19.502	31	67
<u>გარდაქმნა – მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტისთვის ან ჯგუფისთვის</u>	100.00	91.00	59 <sup>a</sup>	46.163	59	150
<u>ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება</u>	132.67	141.00	58 <sup>a</sup>	70.868	58	199
<u>კლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა</u>	236.00	230.00	124 <sup>a</sup>	115.117	124	354
<b>სხვა</b>	24.00	27.00	9 <sup>a</sup>	13.748	9	36
<b>ჯამი</b>	<b>9.33</b>	<b>14.00</b>	<b>14</b>	<b>8.083</b>	<b>0</b>	<b>14</b>

## თავი 7. განხილვა/ინტერპრეტაცია

ვინაიდან შინაარსობრივი კატეგორიების, როგორც ცვლადების დატვირთვა და მათი ანალიზი უმნიშვნელოვანესია მედიაგარდაქმნის სურათის შესაფასებლად, განხილვისას ყველაზე დიდი ყურადღება სწორედ მათ დავუთმეთ.

### 7.1. ტაბუს ახსნა

მასალის სტატისტიკური დამუშავებისას, როგორც მივუთითეთ, დაჯგუფდა სამი შინაარსობრივი ფაქტორი. ერთიანობაში ისინი შეიძლება დავახასიათოთ და განვაზოგადოთ, როგორც „ტაბუს ახსნა“. სწორედ ტაბუს ახსნა კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ძირითადი არსი, ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი და განმსაზღვრელი დამახასიათებელი თვისება გარდაქმნის დროინდელი მედიატექსტებისათვის. ტაბუახსნილობის ქოლგის ქვეშ ერთიანდება ყველა ის თემა და იდეა, რომელიც უშვებს არა მხოლოდ საბჭოთა სისტემით განპირობებული ყოველდღიური ყოფითი პრობლემების კრიტიკა-გამომზეურებას, არამედ სკეფსის საკუთრივ ორთოდოქსული მარქსისტულ-ლენინური დოქტრინისადმი. მკვეთრი მიჯნის გავლება ფაქტორების შიგნით კატეგორიებს შორის ხშირად რთულია.

#### 7.1.1. ფაქტორი 1: სხვა რაკურსი

ფაქტორი 1-ლი, რომელშიც გაერთიანდა კატეგორიები: „ა“, „ბ“ და „დ“ (გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია/ახალი ისტორიის დაწერის სტიმული/ სტალინის დემისტიფიკაციის პოლიტიკური კამპანია; გარდაქმნა – ცუდი ახალი ამბისთვის ტაბუს ახსნა; გარდაქმნა – როგორც კომუნისტური პარტიის რღვევის დასაწყისი), მოიცავს ისეთი შინაარსობრივი დატვირთვის მქონე ტექსტებს, რომლებსაც ყოველთვის აკავებდა ცენზურის ფილტრი, ფილტრი, რომელიც უშვებდა მოვლენის, ფაქტისადმი მხოლოდ ერთადერთ,

დოგმატურ, მარქსისტულ-ლენინურ პრიზმაში გატარებულ მიდგომას. პირველ ფაქტორში დაჯგუფებულ ფრეიმებს ამიტომაც, პირობითად ვუწოდეთ „სხვა რაკურსი“, რაც ნიშნავს, რომ ფაქტორში გაერთიანებული მახასიათებლები მედიატექსტებში მოვლენების, საგნებისა და ადამიანების მიმართ განსხვავებული პოზიციის არსებობის შესაძლებლობას უშვებს, რაც ჩვეულებრივი პრაქტიკა არ იყო კომუნისტურ ეპოქაში.

**ცხრილი N29. ფაქტორ N1-ში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „ა“- გარდაქმნა, როგორც ისტორიის რევიზია**

1987	1988	1989	1990	ჯამი
1	10(7+3)	10(8+2)	15(11+4)	36

*\* შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული სიდიდეებიდან პირველი წარმოადგენს მასალას „ლიტერატურული საქართველოდან“, მეორე – „ქართული ფილმიდან“.*

**ცხრილი N30. ფაქტორ N1-ში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „ბ“ – გარდაქმნა, როგორც ცუდი ახალი ამბავი**

1987	1988	1989	1990	ჯამი
1	4	2	7	14

*\* შენიშვნა: ცხრილში N30 წარმოდგენილი სტატისტიკა მხოლოდ „ლიტერატურული საქართველოდან“ „ამოვიდა“.*

**ცხრილი N31. ფაქტორ N1-ში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „დ“ – გადაქმნა, როგორც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის რღვევის დასაწყისი**

1988	1989	1990	ჯამი
3(2+1)	18(11+7)	46(27+19)	67

*\* შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული სიდიდეებიდან პირველი წარმოადგენს მასალას „ლიტერატურული საქართველოდან“, მეორე – „ქართული ფილმიდან“.*

პირველ ფაქტორში გაერთიანებული პუბლიკაციების რაოდენობრივი დინამიკა სტაბილურად მზარდია, იწყება 1987 წლიდან (საჯაროობის

პრინციპების პირველი ტესტები, გარდაქმნის დასაწყისი მედიაში) და მათი არეალი სულ უფრო ფართოვდება გარდაქმნის განვითარებასთან ერთად.

კატეგორია „ა“, რომელიც პირველ ფაქტორში დაჯგუფდა (გარდაქმნა – როგორც ისტორიის რევიზია/ახალი ისტორიის დაწერის სტიმული/სტალინის დემისტიფიკაციის პოლიტიკური კამპანია) აერთიანებს ისეთ თემებს, როგორებიცაა: საბჭოთა ბელადებისა და ლიდერების დემისტიფიკაცია ისტორიის რევიზიის გზით, საბჭოთა რეპრესიების ზოგადი კონტექსტი, ერთა თვითგამორკვევა და ეთნოკონფლიქტები.

„პერესტროიკის“ დროინდელი ცენტრალური პრესა კვლავაც მასობრივი რეპრესიების თემების „გადამუშავებითა“ და სტალინის ნეგატიური როლის აქცენტირებით ცდილობდა ისტორიის განსხვავებული ვერსიის წარმოჩენას. ქართულ მედიაში ფიქსირდება საკითხის ღრმა განხილვისა და ობიექტური სურათის შექმნის მცდელობა. ამ ფონზე ბელადის პიროვნებით დაინტერესება იზრდება. სტალინის ბიოგრაფიის დაფარული ფაქტები, კოლექტივიზაცია და სტალინური პროპაგანდა, სტალინი და საქართველო, სტალინის კულტი ქართულ ლიტერატურაში, დესტალინიზაცია – ამ თემებით და ინტერესება დიდია როგორც „ქართული ფილმის“, ისე – „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. დიდი ინტერესი ვლინდება ჩამოთვლილი თემების განსხვავებული რაკურსით დანახვა-აღქმისადმი. სტალინის დემისტიფიკაციის საკითხისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების საკვანძო შეტყობინებების არსია: სტალინის ეთნიკური კუთვნილების გამო ქართველ ერს არავითარი ბენეფიტი არ ჰქონია; ხაზგასმულია სტალინის, როგორც „მაოხრებელი მკვდრის“ ეფექტი საქართველოსათვის. ამის საუკეთესო მაგალითია ქვემოთ მოხმობილი ციტატა: „ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილშიც ხშირად იგრძნობა გაუცნობიერებელი სწრაფვა – როგორმე „ობიექტური მიზეზებით“, გარემოებათა ფატალური დამთხვევით ახსნან (ანუ შეარბილონ) სტალინის დანაშაული არამარტო ქართველი ერის, არამედ კაცობრიობის წინაშე! ასეთი ტენდენცია არ აიხსნება არც სტალინის „ქართული წარმომავლობით“ და არც ბოლშევიკური იდოლოგიის გავლენით – ბევრი მათგანი, ვისაც ძალიან უჭირს სტალინზე ძვირის თქმა, სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი

მორიდების გარეშე აკრიტიკებს მის თანამებრძოლებსა და თანამოაზრეებს: ლენინს, მერჟინსკის, ორჯონიკიძეს, ბერიას, ხრუშჩოვს და ძმათა მისთა... როგორი მოკადროებული უნდა იყო ადამიანი, რომ მათხარი და მტარვალი გულწრფელად შეიყვარო და მისთვის სიცოცხლაც არ გენანებოდეს? (დავით ზურაბიშვილი, „საქართველოს უკანასკნელი მეფე ანუ რამდენიმე მოსაზრება საქართველოში ტოტალიტარიზმის ფესვების შესახებ“, „ქვ“, 06.06.1990). იგივე პრობლემატიკას ეძღვნება ჟურნალ „ოგონიოკში“ სტალინისა და ბერიას ლანძღვა-გინებისა და ქართველი ერისადმი აგებული დამოკიდებულების პასუხად გამოქვეყნებული ღია წერილი (გურამ ფანჯიკიძე, ღია წერილი ვიტალი კოროტიჩს... სხვებსაც“, „ლს“, 21.10.1988). აღსანიშნავია ასევე, სტატიები: „კონსპექტი კორიფეს მიხედვით – რა წვლილი შეიტანა მეცნიერებაში სტალინის სტატიებმა ენათმეცნიერებაზე“ (მიხეილ გორბანევსკი, „ლს“, 08.07.1988); „რაიონულმა სასამართლომ უარჰყო ამხანაგ სტალინის დასაცავად აღძრული მეჩვიდმეტე სარჩელი“ (პაველ გუტიონოვი, „ქვ“, 05.10.1988); „სტალინიზმის სათავეები“ (ალექსანდრ ციპკო; „ლს“, 24.02.1989); „სტალინის ფენომენის ფსიქოლოგიური ასპექტი“ (შოთა ნადირაშვილი, „ლს“, 15.12.1989); „სული ბოროტი, ქართულ გენში განცხადებული“ (ზურაბ ტატიშვილი, „ლს“, 25.08.1990).

სტალინთან შედარებით ინტერესი ნაკლებია სხვა საბჭოთა ლიდერების: ლენინის, ტროცკის, მერჟინსკის, ბერიას მიმართ ((ა. სკოროხოლოვი, „როგორ გვამზადებდნენ „ბერიასთან ომისათვის“, „ლს“, 19.08.1988); (ფელიქს კოჟიაშვილი, „ლენინი ლენინის შესახებ“, „ქვ“, 04.04.1990); (ფელიქს კოჟიაშვილი, „სიტყვა სერგოზე“, „ლს“, 23.02.1990)).

გარდაქმნამ დღის წესრიგში დააყენა ერთა თვითგამორკვევის საკითხიც ერთა შორის კონფლიქტების გამწვავების ფონზე. მათ შორისაა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მოპოვების გარდაუვალობისა და საყოველთაო, ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელების იდეა: „გარდაქმნამ, დაჩქარებამ, დემოკრატიულობის დაფუძნებამ საშუალება მოგვცა უფრო თავისუფლად ვილაპარაკოთ ჩვენი საზოგადოების ჭირზე“ (ავთანდილ გველესიანი, „სიმართლე ეს არის გამარჯვება“, „ლს“, 29.09.1987); „იქნება თუ არა გარდაქმნა შეუქცევადი

პროცესი – ამაზე უნდა გასცეს პასუხი მე-19 პარტიულმა საკავშირო კონფერენციამ (რომან მიმინოშვილი, „დღეს ან არასოდეს“ „ლს“, 24.06.1988); „დღეს კი საჯაროობის ამინდი დგას და ბევრი წინანდელი სიძნელე მოიხსნა“ (თენგიზ ბუაჩიძე, „1956 წლის მარტის ტრაგედია“, „ლს“, 08.04.1988); „დასავლეთში ტაშს უკრავენ პერესტროიკას და მზად არიან პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა კავშირს, რათა მან თავი დააღწიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს“ (ზურაბ აბაშიძე, „მიზნები და რეალობა“, „ლს“, 08.09.1989); „გარდაქმნის პროცესში ჩვენს ქვეყანაში და მის პარლამენტში მიმდინარეობს ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს უნიტარული სახელმწიფოს ლიკვიდაციასთან და მის ნანგრევებზე ნამდვილად თავისუფალი, სუვერენული თანასწორუფლებიანი სახელმწიფოების თანამეგობრობის შექმნასთან“ (ვალერიან ადვაძე, „ჭეშმარიტება: ისტორიული და დღევანდელი“, „ლს“, 26.01.1990); „შეგნებისა და შეხედულებების გამოცვლა შედარებით სწრაფად შეიძლება, გრძნობების აღმოფხვრა და გარდაქმნა კი ხანგრძლივი პროცესია“ (ავთანდილ ჯოხაძე, „ნიჰილიზმის ეპიდემია საქართველოში“, „ლს“, 30.03.1990).

ისტორიკოსები ხაზს უსვამენ დამახინჯებული ისტორიის გადაწერის აუცილებლობას საჯაროობის პირობებში: „დღევანდელი საჯაროობის ვითარებაში, მადლობა ღმერთს, ყველას მოგვენიჭა სიტყვის თქმის უფლება“ (ალექსანდრე აბდალაძე, „ამჟამინდელ ქართველ მეისტორიეთა მოვალეობა სამშობლოს წინაშე“, „ქფ“, 10.02.1988).

დაპირისპირება მუშათა კლასსა და ინტელიგენციას შორის, საზოგადოების ყველა ფენის გაერთიანების აუცილებლობა სამშობლოს ინტერესების დასაცავად, სამშობლოს არსი, ეროვნული საკითხი, ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრობლემა – თემები ღია დისკუსიებისათვის გაიხსნა.

ვახტანგ ხარჩილავას პუბლიკაციათა სერია „სისხლიანი ქრონიკები“, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა 1988 წელს, საბჭოთა რეპრესიების მიმოხილვის მცდელობაა. ხარჩილავა წერს ისეთ მტკივნეულ თემებზე, როგორებიცაა: მწერლების მიერ ადამიანების



ფიზიკურად განადგურების მოწოდება, ტროცკისტულ-ჯაშუშურ-მავნებლური ტერორისტული ცენტრის „საქმიანობა“, საბოტაჟი პირუტყვისა და მოსავლის განადგურების სახით, სტალინისა და ორჯონიკიძის როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციაში, 1924 წ. აჯანყების მონაწილეთა მიმართ გამოჩენილი სისასტიკე, ქართული მიწების – ლორესა და საინგილოს გაჩუქება, ტაო-კლარჯეთის მიწების საქართველოსთვის შემოერთების საკითხის დღის წესრიგში დაყენება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ლავრენტი ბერიასა და ფილიპე მახარაძის ანტიქართული საქმიანობა. ჩამოთვლილი თემები სრულად დახურული იყო პერესტროიკამდე. ავტორი ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს საკუთარ „უმაღურ შრომას“: „ამ წერილს რომ ვწერ, ვიცი, რა ცეცხლშიც მაქვს თავი შეყოფილი – რა დასამალია და დღესაც კი, ზოგიერთმა ქართველმა სტალინის აუგად მოხსენება ლამის არის, ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის შელახვად მიიჩნიოს. მე კარგად მესმის ამ ქართველისა, მესმის და გულახდილად რომ ვთქვა, პატივსაც ვცემ და ამავე დროს მებრალება კიდევ... მებრალება 1956 წლის მარტში ასე უმიზნოდ და უაზროდ დაღვრილი ქართული სისხლი, მებრალება და მუხლს ვიყრი მის წინაშე, რადგან ის სისხლი საქართველოს სახელით დაღვრილი სისხლია, იმათი სისხლია, ვინც მისი ყოფილი თანამემამულის შეურაცხყოფა საკუთარი ერის შეურაცხყოფად, ერის ღირსების ხელყოფად მიიჩნია (ვახტანგ ხარჩილავა, „სისხლიანი ქრონიკები“, „ლს“, 08.07.1988). ხარჩილავას პუბლიკაციათა სერია ერთ-ერთი პირველი მცდელობათაგანია, სისტემური ცოდნა მიაწოდოს მკითხველს რეპრესიების თაობაზე გაზეთის ფურცლებიდან. რეპრესიების თემატიკას ეძღვნება მრავალი სხვა პუბლიკაციაც, მათ შორის: „1934 წელს გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ იბეჭდება ნიკოლო მიწიშვილის წერილი „ოცდაათიანი წლების მწერლობა“. ის, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი პირველი წერილია, რომელშიც დაუფარავად, პირდაპირ ჟღერს მოწოდება ფიზიკურად გაუსწორდნენ „ეგრეთ წოდებულ არაპოლეტარულ და თანამგზავრულ მწერლობას“ (თამაზ ჭილაძე, „სფინქსის აჩრდილი“, „ლს“, 14.07.1989); „1924 წლის მაისში ზაკჩეკაში აწამეს არსენალის მუშა გიორგი კასრაძე. კასრაძე ჭკუიდან შეიშალა... ჩეკა არ მომკვდარა, მოიხსნა მისი

სახელწოდება, მისი შავბნელი საქმე კი მხოლოდ მაშინ აღმოიფხვრება, როცა მის მემკვიდრეს ტირანთა ბატონობის განმამტკიცებელ პოლიტიკურ სამმართველოს იმსხვერპლებს ქართველი ხალხის სამართლიანი რისხვა“ (უავტორო, „ჩეკა და პოლიტიკური სამმართველო“, „ქვ“, 21.02.1990).

ამავე პერიოდში ძალზე დიდი ყურადღება ეთმობა საბჭოეთის ერთა თვითგამორკვევის პრობლემატიკას. რუსულ ცენტრალურ პრესაში დაფიქსირებული ანტიქართული ტენდენციის პასუხად მიმდინარეობს საგაზეთო პოლემიკები კონკრეტული გამოცემების ფურცლებზე, გამოცემებს შორის, ცენტრალურ რუსულ და ადგილობრივ მედიას შორის: „აკადემიკოს ა. სახაროვის მიხედვით, უნდა მოხდეს საქართველოს პოლიტიკური დემონტაჟი არა მხოლოდ აფხაზეთისა და ოსეთის, არამედ საქართველოში შემავალი სხვა ნაციონალური გაერთიანებების მიხედვითაც... თუ ამ ლოგიკას გავყვებით, საქართველო უნდა დაიშალოს მინიმუმ 80 პოლიტიკურ და სუვერენულ კონფედერაციულ შენაერთად. თუ როგორ აიკინძება ამ „ნამსხვრევებისაგან“ რაღაც მთელი, ამ საიდუმლოს აკადემიკოსი სახაროვი არ გვიმხელს. მთავარი სხვა რამეა, მთავარია საქართველოს მთლიანობის დამსხვრევის მიღწევა! სამწუხაროდ. ა. სახაროვის პროგრამა არის რუსეთის იმპერიის ძველი ოცნების გამოწყობა ახალ სამოსელში („ძველი იდეების ახალი სამოსელი“, გიორგი გაჩეჩილაძე, „ლს“, 15.09.1989); „1989 წელს მსოფლიო მასშტაბით დაიწყო სოციალიზმის, როგორც სატანისტური ეკლესიის ნგრევა. ეს არის უმთავრესი და ეს არის იმედის საფუძველი... იმ თოკის გადაჭრის უფლებას არ მოგვცემენ, რომლითაც რუსეთი საქართველოს მიათრევს. არადა, თუ ეს თოკი არ გადავჭერთ, კატასტროფა გვემუქრება. რუსეთი თავკუდმოგლეჯილი მიექანება უფსკრულში და ჩვენც გადაგვიტანს... დრო ისეთი ელვის სისწრაფით გარბის, რომ ვერავინ იწინასწარმეტყველებს, როდის მოგვიკაკუნებს კარზე დამოუკიდებლობა და თავისუფლება“ (ამირან გომართელი, „გაერთიანება აუცილებელია“, „ლს“, 19.01.1990).

გარდაქმნამ ტაბუ ახსნა „ცუდ ახალ ამბავს“. კატეგორია „ბ“ – ცუდი ახალი ამბებისთვის ტაბუს ახსნა – მრავლისმომცველი და პირობითია იმ თვალსაზრისით, რომ „ცუდი ახალი ამბავი“, როგორც ასეთი, 80-იანი წლების

მეორე ნახევარში შეიძლება ყოფილიყო ყველა ახალი და ძველი ამბავი, რომელმაც მანამდე ცენზურის ფილტრი ვერ გაიარა. ცუდ ახალ ამბავში იგულისხმება ყველანაირი ნეგატიური სტატისტიკა, მათ შორის, ისეთი დახურული თემების შესახებ, როგორებიცაა: ნარკომანია, კრიმინალი, დემოგრაფიული ვითარება, ერთა შორის შუღლი, პროდუქტების დეფიციტი მაღაზიებში, კრიმინალის მატება, საყოფაცხოვრებო სერვისების დაბალი ხარისხი, ეთნოკონფლიქტი, როგორც ერთა თვითგამორკვევის არშემდგარი კომუნისტური დოქტრინის რეზულტატი. ცუდი ახალი ამბავი ნიშნავს ისეთ ცუდ ამბავსაც, რომლის არსებობის შესახებ ისედაც ყველამ იცის, მაგრამ ოფიციალურად გამომხეურებით ის ახალ, ლეგიტიმურ სტატუსს იძენს. შესაბამისად, „ბ“ კატეგორიის დიაპაზონი ძალზე ფართოა.

„გარდაქმნა საკუთარი თავით უნდა დავიწყოთ“ (ფილიპე მახარაძე, „პოტიომკინის სოფელი“ „ლს“, 17.06.1988) – აღნიშნულია პუბლიკაციაში, რომელიც გარდაქმნისა და საჯაროობის პერიოდში მოჩვენებითი ფასადური კეთილდღეობის მიღმა არსებული სიმართლისთვის თვალის გასწორებისა და პრობლემებზე ხმამაღლა საუბრის საჭიროებაზე მიუთითებს.

კონფლიქტის, როგორც ცუდი ახალი ამბის გაშუქებისას ხშირია ე.წ. ღია წერილები. მაგალითად, რესპუბლიკის მაშინდელ მთავარ პროკურორს, ვახტანგ რაზმაძეს ღია წერილში ადანაშაულებენ, რომ მან ობიექტურად არ გამოიძია 1989 წლის 15 აპრილს აფხაზებსა და ქართველებს შორის მომხდარი შეტაკება: „სამწუხაროდ, აფხაზეთში ჩვენი ძმები წამოეგენ პროვოკაციაზე და საშუალება მისცეს ქართველებს სახელი გაეტეხათ იმ პოლიტიკისა და მიზნებისთვის, რომელსაც ისინი აყენებდნენ გარდაქმნის პერიოდში... მეორე მნიშვნელოვანი გაკვეთილი ჩვენ ჩავუტარეთ ქართველებს და არა მარტო ქართველებს, არამედ იმ რეგიონის მთელ საზოგადოებას, სადაც ლაპარაკობდნენ გარდაქმნის ძალდაუტანელ მეთოდებზე, მაგრამ პრაქტიკულად მიმართავდნენ ნრეალურ ძალადობას“ (გელა გელაძე, თამაზ საჯეური, „ალან ჩოჩიევის ალანური მელოდიები“, „ლს“, 28.09.1990).

ერთა თვითგამორკვევისა და ეთნოკონფლიქტების პრობლემატიკის მრავალწახნაგიანობის გამო აღნიშნული თემატიკა გამოიკვეთა როგორც „ბ“, ასევე „ვ“ კატეგორიაში იმ აქცენტების გათვალისწინებით, რაც იყო დასმული

კვლევისათვის შერჩეულ ერთეულებში. შესაბამისად, თემა გვხვდება, როგორც პირველ, ისე – მეორე ფაქტორებში – ეთნოკონფლიქტი, როგორც ცუდი ახალი ამბავი და ეთნოკონფლიქტი, როგორც წლების მანძილზე მედიისათვის დახურული თემა.

კატეგორია „ბ“ უკავშირდება ასევე, სამართალდამცავი სტრუქტურების მაღალჩინოსანთა გამოჩენას პრესის ფურცლებზე. მაგალითად, იგივე ვახტანგ რაზმაძე ინტერვიუში საუბრობს დამნაშავეობასთან ბრძოლაში არსებულ პრობლემებზე, ლოთობასა და ნარკომანიაზე, ახლად მიღებულ კანონზე, რომელიც თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეების უფლებების შემლახავი არამართლზომიერი ქმედების სასამართლოში გასაჩივრების საშუალებას იძლევა: „გარდაქმნის პროცესი პროკურატურის ორგანოებში ადამიანის ფაქტორის გააქტიურებით, ჩვენი კადრების გაჯანსაღებით დაიწყო... გარდაქმნის ვითარება კატეგორიულად მოითხოვს, რომ სახელმწიფო დოვლათის ხელყოფასთან, მექრთამეობისა და უშრომელი შემოსავლის მიღების სხვა დანაშაულობებთან ბრძოლის ხერხები და ფორმები ძირფესვიანად უნდა შეცვალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებასა და სპეკულაციასთან მეზრძოლმა სამსახურმა“ (ჯუმბერ თითმერია, „ინტერვიუ რესპუბლიკის პროკურორთან“, „ლს“, 06.05.1988); ასევე: „გარდაქმნა, შინაგან საქმეთა ორგანოებში დღევანდელი მოთხოვნათა შესაბამისად მიმდინარეობს“ (უჩა შერაზადიშვილი, „სიკეთისა და პატიოსნების დამკვიდრებისათვის“, „ლს“, 08.07.1988). სტატიაში შს მინისტრი შოთა გორგოძე საუბრობს ნარკომანიის, პროსტიტუციისა და არასრულწლოვან დამნაშავეთა პრობლემებზე, ციხეებსა და კოლონიებში არსებულ მდგომარეობაზე, რაც გარდაქმნამდე დახურული თემები იყო.

კატეგორია „დ“ (გარდაქმნა, როგორც კომუნისტური პარტიის რღვევის დასაწყისი) საკვლევ მასალაში დაფიქსირდა, როგორც „ქართული ფილმიდან“, ისე – „ლიტერატურული საქართველოდან“. კატეგორიაში „დ“ გაერთიანდა უმეტესად ისეთი პუბლიკაციები, რომლებშიც დაშვებულია თავად გარდაქმნის იდეისა და აქედან გამომდინარე, საზოგადოების სოციალისტური მოწყობის კრიტიკა, ასევე ახლად წარმოშობილ პარტიათა

პოლიტიკური დოქტრინები და პლატფორმები საქართველოს მომავლის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, საჯაროობის პერიოდში დასაშვები ხდება კრიტიკა. თუკი ადრე განიხილებოდა ქვეყნის მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებრივი მოწყობა, ახლა თამამად დაიწყო მსჯელობა სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის, ერის თვითგამორკვევის იდეაზე. აქ გაერთიანდა პუბლიკაციები, რომლებშიც გაშლილია მსჯელობა საქართველოს მომავლის შესახებ. „ლიტერატურული საქართველოც“ და „ქართული ფილმიც“ უთმობენ ტრიბუნას სხვადასხვა პარტიებსა და არაფორმალურ ლიდერებს. მიმდინარეობს დისკუსია, თუ როგორ მოეწყობა საქართველო კომუნისტური რეჟიმის მიღმა: „ვთქვათ, გორბაჩოვი დამარცხდა და კონსერვატორებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. ოთხმოცდაათიანი წლების შუა პერიოდში საბჭოთა კავშირი დაყვანილი იქნება ეთნიკური რუსეთის დონემდე რამდენიმე სხვა არარუსული რეგიონის შენარჩუნებით. მაშინ უკვე შესაძლებელია უკრაინა თავისი აღმოსავლეთ რეგიონების გარეშე და შუა აზიის რესპუბლიკებიც გახდნენ დამოუკიდებელი“ (პიტერ რადაუეი, „ვარაუდი უფრო მცირე მოცულობის საბჭოთა კავშირის მომავალზე“, „ქვ“, 14.02.1990).

ეს ეტაპი შეიძლება საჯაროობის, როგორც გარდაქმნის პროდუქტის დასკვნით ეტაპად მივიჩნიოთ – სახეზეა არა შედარებითი თავისუფლება, არამედ, სიტყვის სრული გათავისუფლება.

საზოგადო მოღვაწეები, პარტიები და არაფორმალური ლიდერები არათუ აცხადებენ პრეტენზიებს ხელისუფლებაზე, არამედ ასაბუთებენ, რომ მათ ეთნოკონფლიქტების მოგვარება, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოწყობა და მართვა შეუძლიათ: „დემოკრატიულ საქართველოს“ შეუძლებლად მიაჩნია კომუნისტური რეჟიმის გარდაქმნა, მან უნდა შეწყვიტოს არსებობა“ (უავტორო, „დემოკრატიული საქართველო“, „ლს“, 26.10.1990); „ნუთუ დღემდე ვერ მივხვდით, ბატონებო, რომ სოციალიზმი მიუღებელია ქართული ხასიათისა და ეროვნული იდეალებისათვის ისევე, როგორც რევოლუციის იდეა... საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა ნაწილია მთელისა და სრულყოფილი ვერ იქნება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარეშე“ (ზურაბ მაისურაძე, „საქართველოს

რესპუბლიკა: ნეოკონსერვატიზმი თუ სოციალ-დემოკრატია“, „ქვ“, 18.04.1990); „პარტიას შეუძლებლად მიაჩნია დღეს არსებული საბჭოური გარდაქმნა, სამართლებრივი ნორმებით მისთვის ეს სისტემა არ არსებობს“ (ირაკლი შენგელაია, „პოზიცია“, „ქვ“, 31.01.1990); „მიხეილ გორბაჩოვის პიროვნება ტრაგიკულია, რამეთუ ჩანასახშივე განწირულია მისი ყველა იდეა. სატანამ ნიღაბი მოიხსნა, კომუნისტურმა „რწმენამ“ თავისი ზეციური მისია ამოწურა... „პერესტროიკა“ იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად დაქუცმაცდა“ (ლაზარე (გელა) ზაქარიაძე, „ჯერაც ართქმული“, „ქვ“, 14.11.1990); „მათ [დასავლეთის სამყაროს] არ სწამთ გარდაქმნის, მაგრამ ისეთ სახეს იღებენ, თითქოს სჯერათ, რადგან ემინიათ, რომ უფრო მკაცრი სახე არ მიიღოს ტოტალიტარიზმმა“ (გიორგი ჭანტურია, „საჭიროა პროპაგანდა“, „ლს“, 13.10.1989).

ე.წ. განვითარებული გარდაქმნის (1989 – 1990 წ.) პერიოდში, როდესაც შესაძლებელი გახდა მრავალპარტიულობის იდეის ხორცშესხმაზე საუბარი, მედია დიდ ადგილს უთმობს პოლიტიკური ცხოვრების, ე.წ. არაფორმალური ლიდერებისა და პარტიათა საქმიანობის ასახვას. „ლიტერატურულმა საქართველომ“ სპეციალური რუბრიკაც კი მიუძღვნა ახლად წარმოშობილ და იატაკქვეშეთიდან გამოსულ პარტიებს. რუბრიკაში „100 პარტია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია“ წარმოდგენილია ინფორმაცია პარტიის ლიდერთა, პარტიათა გეგმების, მათი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პლატფორმების შესახებ. დიდ დაინტერესებას იჩენს პარტიებისა და ე.წ. არაფორმალური ლიდერებისადმი „ქართული ფილმიც“.

მედიებში მეთოდურად ქვეყნდება პარტიების პლატფორმები და სტრატეგიები, როგორც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ისე – მის გარეშე, ჩნდებიან ახალი ინდივიდუალური და კოლექტიური აქტორები: ეროვნული ხსნის კავშირი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მონარქისტული პარტია, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, მწვანეთა პარტია, ასევე: ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, მერაბ კოსტავა, ნოდარ ნათაძე. შემოდის სრულიად ახალი თემები და პოლემიკები: „ეროვნული პარლამენტარიზმი“ (ზაზა ფირალიშვილი, „ლს“, 11.03.1989);

„საუბარი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრთან თამარ ჩხეიძესთან“ (უავტორო, „ქვ“, 07.06.1989); „გვესაუბრებიან ფრონტელები“ (უავტორო, 11.08.1989); „რასა იქმს „აქტიურად ურჩი“ (სოსო ცისკარიშვილი, 21.07.1989); „საუბარი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გია ჭანტურიასთან“ (უავტორო, „ქვ“, 26.07.1989); „ინტერვიუ ავთანდილ იმნაძესთან“ (რეზო გამცემლიძე, „ქვ“, 09.08.1989); „ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან“ (მზია ბაქრაძე, „ქვ“, 16.08.1989); „საუბარი საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე პროფესორ ნოდარ ნათაძესთან“ (უავტორო, „ქვ“, 23.08.1989); „გამოღვიძების ეტაპი“ (მერაბ კოსტავა, „ლს“, 06.10.1989); „ჩვენი გზა თავისუფლებისკენ მიდის“ (ირაკლი შენგელაია, „ლს“, 20.10.1989); „პიროვნების, ქართველის სულისა და გონების სრულყოფისაკენ“ (ვიქტორ რცხილაძე, „ლს“, 27.10.1989); „საუბარი პირველი: საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის თავმჯდომარე ირაკლი შენგელაიასთან“ (ნატო ციციშვილი, „ქვ“, 30.08.1989); „საუბარი მეორე: მერაბ კოსტავასთან“ (უავტორო, „ქვ“, 30.08.1989); „ღია წერილი ბატონ არჩილ გოგელიას“ (გიორგი ჭანტურია, „ქვ“, 13.12.1989); „უმნიშვნელოვანესი ფორუმი“ (უავტორო, „ქვ“, 31.01.1990); „მწვანეები“ პარლამენტში“ (ნანა ლომიძე, „ქვ“, 04.04.1990); „საქართველოს მონარქისტული პარტია“ (უავტორო, „ქვ“, 25.04.1990); „გიორგი ჭანტურია ეროვნული ყრილობის მუშაობის შესახებ: „საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა“ (უავტორო, „ქვ“, 30.05.1990); „სრულიად კავკასიის მომავლისათვის“ (უავტორო, „ქვ“, 06.06.1990); „საუბარი ეროვნული კონგრესის შესახებ“, (გიორგი ჭანტურია, „ქვ“, 29.08.1990); „ვიბრძვით რეალური დამოუკიდებლობისათვის“ (უავტორო, „ლს“, 14.09.1990); „ეროვნული კონგრესის არჩევნები“ (უავტორო, „ლს“, 14.09.1990); „გარდაუვალი აუცილებლობა“ (უავტორო, „ლს“, 27.09.1990); „ჩვენ თავიდან უნდა გავიცნოთ ერთმანეთი“ (ოთარ ნოდია, „ქვ“, 06.06.1990).

პირველი დამოუკიდებელი არჩევნების მოლოდინში (1990) „ლიტერატურულმა საქართველომ“ მკითხველს გააცნო დეპუტატობის ყველა კანდიდატის პლატფორმა, საარჩევნო პროგრამა და ბიოგრაფია, მათ შორის არიან: რევაზ მიშველაძე, გურამ ფანჯიკიძე, რეზო ჭყიშვილი, თამაზ

კვაჭანტირაძე, სოლომონ ხუციშვილი, ნუგზარ წერეთელი, რომან მიმინოშვილი, ნოდარ წულეისკირი, ტარიელ ჭანტურია და სხვები ((რევაზ მიშველაძე, „ლს“, 09.03.1990); (გურამ ფანჯიკიძე, „ლს“, 16.03.1990); (რეზო ჭეიშვილი, „ლს“, 16.03.1990); (თამაზ კვაჭანტირაძე, „ლს“, 16.03.1990); (სოლომონ ხუციშვილი, „ლს“, 16.03.1990); (გრიგოლ ჯულუხიძე, „ლს“, 16.03.1990); (ნუგზარ წერეთელი, „ლს“, 16.03.1990); (რომან მიმინოშვილი, „ლს“, 09.03.1990); (ნოდარ წულეისკირი, „ლს“, 09.03.1990); („ტარიელ ჭანტურია“, „ლს“, 09.03.1990)).

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1-ლი ფაქტორის მდგენელი კომპონენტებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშან-თვისებაა: ფაქტების, მოვლენებისა და პერსონების დემისტიფიკაცია მკითხველისათვის ახალი ნარატივებისა და ვერსიების შეთავაზებით; ღია დებატები საქართველოს მომავლის შესახებ საბჭოთა კავშირის მიღმა; ნეგატიური სტატისტიკის – ცუდი ამბის გასაჯაროება, კომუნისტური და გარდაქმნის იდეების კრიტიკა, მრავალპარტიულ მოწყობაზე ღიად საუბარი. 1-ლი ფაქტორის მდგენელი კომპონენტები ე.წ. განვითარებული საჯაროობის პერიოდის პროდუქტია. თემატურ დივერსიფიცირებას, მკითხველსა და რედაქციას შორის კომუნიკაციის ინტენსიფიცირებას მოჰყვა სრული საჯაროობა და მედიის სრული გათავისუფლება, რაც პრობლემატიკათა აბსოლუტურ ღიაობამდე მივიდა და ზემოთ მითითებული თემები საგაზეთო დღის წესრიგში დააყენა.

### **7.1.2. ფაქტორი 2: პრესის „გასოციალურება“**

ფაქტორ 2-ში დაჯგუფდა კატეგორიები: „ვ“ და „ზ“ – პუბლიკაციები, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოთ ქოლგაში „პრესის გასოციალურება“. ფაქტორის ეს პირობითი სახელი გამომდინარეობს პრესის ოთხი თეორიიდან ერთ-ერთის – „პრესის სოციალური თეორიის“ განმარტებიდან, რომელიც უშვებს ცენზურის გარეშე პრესის არსებობს, ოღონდ – საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ. ფაქტორ 2-ში დაჯგუფებული პუბლიკაციები სწორედ ამ ნიშნით გაერთიანდა. ამ კატეგორიაში და ჯგუფდა ისეთი ქვეკატეგორიები/თემები, როგორებიცაა: აკრძალული და რეპრესირებული



ავტორები შესაბამისი ისტორიული კონტექსტით, ეკლესია/ეროვნული მოძრაობა/დამოუკიდებლობა/ეთნიკური კონფლიქტი, 9 აპრილის ტრაგედია.

**ცხრილი N32.** ფაქტორ N2-ში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „ვ“ – ისტორიული მემკვიდრეობისა და აკრძალული ავტორების დაბრუნება, დამოუკიდებლობის იდეა

1987	1988	1989	1990	ჯამი
26 (26+0)	44(38+6)	76(48+28)	53(29+24)	199

\* *შენიშვნა:* ცხრილში N32 ფრჩხილებში მოცემული სიდიდეებიდან პირველი წარმოადგენს მასალას „ლიტერატურული საქართველოდან“, მეორე – „ქართული ფილმიდან“.

**ცხრილი N33.** ფაქტორ N2-ში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების დინამიკა – „ზ“ – პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა

1985	1986	1987	1988	1989	1990	ჯამი
10	37	52(27+25)	78(49+29)	108 (59+49)	69(48+21)	354

\* *შენიშვნა:* ცხრილში N33 ფრჩხილებში მოცემული სიდიდეებიდან პირველი წარმოადგენს მასალას „ლიტერატურული საქართველოდან“, მეორე – „ქართული ფილმიდან“.

კატეგორია „ვ“ საკვლევ პოპულაციაში ასოცირდება ეროვნულთან, განკერძოებულთან, ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებისაკენ მიმართულთან. პუბლიკაციების შინაარსობრივი სივრცე სპეციფიკურია, კონკრეტულ თემებსა და ისტორიულ პერიოდებს უკავშირდება: 1-ლი რესპუბლიკა და მისი პერსონაჟები, მათ შორის – ემიგრანტული მემკვიდრეობა და 1924 წლის აჯანყება, 30-იანი წლების რეპრესიები. შემდეგ კი თემატიკა გადმოდის თანამედროვეობაში და რეპრეზენტირებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმიანობისა და დისკუსიით დამოუკიდებლობის იდეის სახით. კატეგორია „ვ“ საკვლევ პრესის ფურცლებზე „გაფორმებას“ იწყებს 1987 წლიდან.

რუბრიკა „დაბრუნებული სახელები“, ერთ-ერთი პირველი და ცვლილებების დასაწყისის ნიშანია, ის 1987 წლიდან იღებს სათავეს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. სარედაქციო სტატია აუწყებს მკითხველს, რომ რუბრიკაში ე.წ. აკრძალულ ავტორებს გამოაქვეყნებენ. სარედაქციო გადაწყვეტილება მოტივირებული და ახსნილია საბჭოთა სივრცეში მიმდინარე გარდაქმნის გლობალური პროცესით. აკრძალული ქართველი ავტორების რეაბილიტაციის აუცილებლობის მტკიცებულებად საკავშირო რუსულ პრესაში დაფიქსირებული ტენდენცია – ახალი რეალობის პირობებში რუს ემიგრანტ ავტორებზე ტაბუს ახსნა და მათი გამოქვეყნებაა მოხმობილი. რედაქციის დამოკიდებულება შემდეგია: „ყველასთვის ცხადია, რომ იგი [გარდაქმნა] უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ადამიანის შინაგან, პიროვნულ გარდაქმნას, საგანთა და მოვლენათა ახლებურ ჭვრეტას, რისი განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ახალი საზოგადოებრივი შეგნების, დემოკრატიისა და საჯაროობის განვითარების საფუძველზე... ყველასათვის ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი პროცესის მოწმენი ვართ. ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში ხდება დიდი მოვლენა, რომელსაც ლიტერატურის მომავალი მეისტორიე უთუოდ ჭეშმარიტ ჰუმანურ აქტად მიიჩნევს („დაბრუნებული სახელები“, „ლს“, 24.04.1987); ასევე: „თანდათან თავიანთ ქვეყანას უბრუნდებიან დაკარგული სახელები. რუსეთმა პირველმა მოგვცა ამისი დიდებული მაგალითი (ვასილ კიკნაძე, „ლამარას დაბრუნება“, „ლს“, 05.06.1987).

„ლიტერატურული საქართველოს“ რუბრიკებში („დაბრუნებული სახელები“, „მწერლის არქივიდან“, „ახლო წარსულიდან“, „საარქივო ზანდუკი“, „ისტორიის ფურცელი“...) მკითხველი ეცნობა არა მხოლოდ ავტორებს, რომელთა შესახებაც ცოდნა კოლექტიურ მეხსიერებაში ცოცხლობდა, არამედ ნაკლებად ცნობილ პერსონებსაც, ადამიანებს, რომლებიც გარკვეულ გარემოებათა გამო სამშობლოს მოწყვეტილები აღმოჩნდნენ და უცხოეთში შექმნეს საკუთარი ბიოგრაფია და ინტელექტუალური მემკვიდრეობა, ასევე 30-იან წლებში უსამართლოდ რეპრესირებულნი.

„ლიტერატურულ საქართველოს“ არც „ქართული ფილმი“ ჩამორჩება, თუმცა ამ უკანასკნელში თემის გაშლის მოცულობა ნაკლები მასშტაბისაა და ეს ბუნებრივია გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე. „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ქართული ფილმის“ (1987-90) მიერ რეაბილიტირებულთა შორის არიან: გრიგოლ რობაქიძე, თამარ და გიორგი პაპავეზი, მიხაკო წერეთელი, ირაკლი წერეთელი, კალისტრატე სალია, არჩილ ჯორჯაძე, ვიკტორ ნოზაძე, გიორგი ნანეიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, ალექსანდრე ჭეიშვილი, ისიდორე მანწყავა, შალვა ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ევგენი მიქელაძე, ანდრია გუგუშვილი, გიორგი ყიფიანი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, გიორგი გამყრელიძე, დიმიტრი ამილახვარი, ვახტანგ კოტეტიშვილი – ემიგრანტი და 30-იან წლებში რეპრესირებული ავტორებისა და მოღვაწეების მთელი სპექტრი. მათ მოღვაწეობას არა ერთი პუბლიკაცია მიეძღვნა ((გურამ შარაძე, „მიხაკო წერეთელი“, „ლს“, 25.09.1987); (თეიმურაზ მაღლაფერიძე, „არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი“, „ლს“, 30.10.1987); (ჰენრიკ პაპროსკი, „არქიმანდრიტი გრიგოლფერაძე“, 22.05.1987); (მზია ბაქრაძე, „კაცი, რომელმაც ლეგიონი გააოცა“, „ლს“, 18.09.1987); (ნიკო ჭავჭავაძე, თამაზ ბუაჩიძე, „კეთილი საქმის მაუწყებელი“, „ლს“, 18.12.1987); (ქეთევან დოღობერიძე, „სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს“, „ლს“, 30.03.1988); (გივი ზალდასტანიშვილი, „ქართველი ქართველად უნდა დარჩეს“, „ქვ“, 21.09.1988); (დავით აბაშიძე, „გიორგი დეკანოზიშვილი“, „ლს“, 08.04.1988); (გურამ შარაძე, „ისიდორე მანწყავა“, „ლს“, 10.06.1988); (ალექსანდრე ბარამიძე, „საარქივო ზანდუკიდან“, 17.06.1988); (ირინე აბესაძე, გია სისორდია, „დამინისლიანდა სული“, „ლს“, 05.08.1988); (ლუარსაბ იაშვილი, „ევგენი მიქელაძე – აქ მე ვარ უფროსი“ „ლს“, 12.08.1988); (სოსო კორინთელი, „სადაურსა სად წაიყვან... ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში“, „ლს“, 27.05.1988); (ვახტანგ ბერიძე, „ძვირფასი ბატონი საშა“, „ქვ“, 15.06.1988); (ვახტანგ ჭელიძე, „კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“, „ლს“, 26.08.1988); (აკაკი სურგულაძე, დურმიშხან ცინცაძე, „1918 წლის 26 მაისის აქტი“, „ქვ“, 01.06.1988); (გერონტი ქიქოძე, „თანამედროვის ჩანაწერები“, „ლს“, 07.10.1988); (გივი ზალდასტანიშვილი, „ჩემი სურვილია ვემსახურო საქართველოს“, „ქვ“,

14.06.1989); (ჯაბა იოსელიანი, „სერგო ამდლობელი – 90“, „ლს“, 06.10.1989); (ლალი მიქელაძე, „აკაკი ხომტარია“, „ლს“, 06.10.1989); (აკაკი სურგულაძე, „ფიქრები საქართველოზე“, „ლს“, 27.10.1989); (დავით აბაშიძე, „1924 წლის აგვისტოს ტრაგედია“, „ლს“, 25.08.1989); (გრიგოლ ლორთქიფანიძე, „დამოუკიდებელი საქართველო“, „ლს“, 03.11.1989); (ნოე ჟორდანიას, „ოცი წლისთავზე“, „ქვ“, 24.05.1989); (გურამ შარაძე, „ირაკლი წერეთელი“, „ლს“, 24.03.1989); (გურამ შარაძე, „აკაკი და თამარ პაპავები“, „ლს“, 28.04.1989); (გურამ შარაძე, „ერთი ქართველი პოეტი პარიზში“, „ლს“, 22.09.1989); (დავით ქარცივაძე, „დღეს მეტეხიც მოიგონებს“, „ლს“, 22.09.1989); (ნონა კუპრეიშვილი „სტეფანე კასრაძე“, „ლს“, 02.06.1989); (ნოდარ კაკაბაძე, „გერმანიაში მოღვაწე ქართველოლოგი“, „ქვ“, 17.01.1990; (ალექსანდრე სულხანიშვილი, „გამარჯვება, ჩემო ძვირფასო მეგობარო!“ „ქვ“, 14.11.1990); (გურამ შარაძე, „ალექსანდრე მანველიშვილი“, „ლს“, 02.02 1990); (ედიშერ გიორგაძე, „გვარდიის წინამძღოლი – ვალიკო ჯუღელი“, „ლს“, 21.12.1990); (ედიშერ გიორგაძე, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ნიკოლოზ ზანდუკელი“, „ქვ“, 09.05.1990); (იოსებ მეგრელიძე, „ანდრია გუგუშვილი“, „ლს“, 11.05.1990); (მერაბ კვიციანი, „თეირანის კონფერენცია“, „ლს“, 14.09.1990); (ტარიელ ჯოგლიძე, „კოტე, შალვა და კიდევ თხუთმეტი თავგანწირული“, „ლს“, 05.10.1990); (ვარლამ შალამოვი; „ჩემი რამდენიმე სიცოცხლე“, „ლს“, 24.08.1990)).

საბჭოთა პერიოდში აკრძალულ ავტორთაგან უდიდესი ყურადღება ეთმობა გრიგოლ რობაქიძეს. „რობაქიძე“ აკრძალული ლიტერატურის კრებითი სახელია. გრიგოლ რობაქიძეა ტაბუირებული ავტორების დაბრუნების, ისტორიული მემკვიდრეობის თეთრი ლაქების „გაფერადების“ მცდელობის ძირითადი ლოკომოტივი და გამწევი ძალა, პირველი აგური, ქვაკუთხედი და სიმბოლო იმ საკითხში, რასაც ტაბუს ახსნა ჰქვია. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ მისი არქივი შედარებით დიდი და მოწესრიგებული იყო. და გარკვეულ გარემოებათა გამო გრიგოლ რობაქიძის ხსოვნა კოლექტიურ მეხსიერებაში დიდხანს ინარჩუნებდა სასიცოცხლო ძალას, მის მიმართ დაინტერესება ყოველთვის დიდი იყო ((კობა იმედაშვილი, „მეტს არას ვთხოვ საქართველოს“, „ლს“, 29.05.1987); (ვასილ

კიკნაძე, „დავით კლდიაშვილის მემუარებიდან“, „ლს“, 12.06.1987); (სერგი ჭილაია, „ლონდას“ გარშემო“, „ლს“, 18.06.1987); (აკაკი ვასაძე, „ქართველი – უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“, „ლს“, 02.10.1987); (გრიგოლ რობაქიძე, „წერილი ჟენევიდან“, „ლს“, 11.10.1987); (გრიგოლ რობაქიძე, „ორი წერილი“, „ლს“, 26.06.1987); (გრიგოლ რობაქიძე, „ქართველ მწერლებს“, „ლს“, 25.06.1987); (რუდოლფ კარმანი „რობაქიძე და მითის აღორძინება“, „ლს“, 15.04.1988); (გრიგოლ რობაქიძე, „მოგონებათა ბარდული“, „ქვ“ 21.05.1989)).

ორი წლის მანძილზე, 1987-89 წლებში „ლიტერატურული საქართველო“ და „ქართული ფილმი“ სისტემატურად აცნობდნენ მკითხველებს ე.წ. აკრძალულ ავტორებსა და მათ შემოქმედებას, ამ ხნის მანძილზე ტაბუირებული ავტორების ნუსხა და ძირითადი სათქმელი მათ შესახებ ამოიწურა და შესაბამისად, ამ თემატიკის ინტენსიურობა 1989 წლისათვის შემცირდა.

მითითებულ პერიოდში გაიჟღერა ისეთმა თემებმა, როგორებიცაა: პირველი რესპუბლიკა, 1924 წლის აჯანყება, 30-იანი წლების რეპრესიები: „სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის 70 წლის მანძილზე გარდაქმნისა და საჯაროობის დროს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა საზოგადოებას, ქართველ კინემატოგრაფისტებსაც პირველად მიეცათ მოვლენათა შესახებ განსხვავებული აზრის გაცნობის საშუალება“ (უავტორო, „წარსულის ერთი ფურცელი“; „ქვ“, 01.03.1989); „ჩეკა არ მომკვდარა: მოიხსნა მისი სახელწოდება, მისი შავბნელი საქმე კი მხოლოდ მაშინ აღმოიფხვრება, როცა მის მემკვიდრეს, ტირანთა ბატონობის განმამტკიცებელ პოლიტიკურ სამმართველოს იმსხვერპლებს ქართველი ხალხის სამართლიანი რისხვა“ („ჩეკა და პოლიტიკური სამართალი“ (ჟურნალი „ბრძოლა“ N26, 1927 წელი (გადმოხეჭდილია პარიზში 1953 წელს გამოცემული ვ. ჩუბინიძის წიგნიდან „მოგონება“), „ქვ“, 21.02.1990); ასევე: „საფლავები“ (თამაზ კვაჭანტირაძე, „ლს“, 11.03.1988); „დრო ყველაფერს როდი კურნავს“ (გიზო ზარნაძე; „ლს“, 10.06.1988); „ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი“ (მიხეილ მგალობლიშვილი, „ლს“, 04.03.1988); „გლოვის ზარი“ (მზია ბაქრაძე, „ლს“, 21.05.1989); „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921 წ.წ.)“ (ალექსანდრე ზაქარიაძე, „ლს“, 01.06.1990).

ამავე პერიოდში გახდა შესაძლებელი დღის სინათლე ეხილა კიტა ბუაჩიძის იატაკქვეშა, ე.წ. შავ წიგნს, რომელიც 80-იანი წლების მეორე ნახევარამდე არალეგალურად, საბეჭდ მანქანაზე ადალებული ასლების სახით ვრცელდებოდა საზოგადოებაში. მისი გამოქვეყნება „ლიტერატურულმა“ საქართველომ“ ითავა: „საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთ კაცს აქვს აზროვნების უფლება, დანარჩენებს გვაქვს ტაშის დაკვრის უფლება (კიტა ბუაჩიძე, „ხალხის მტრის“ ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე“, „ლს“, 13.01.1989);

ამავე, „ვ“ კატეგორიის ტიპის პუბლიკაციებში ჯგუფდება თემები: ეთნოკონფლიქტები, ერთა თვითგამორკვევა, დამოუკიდებლობის იდეა, ეროვნული მოძრაობა. მათში ძნელად იძებნება ან საერთოდ არ იძებნება პირდაპირი მიმართება გარდაქმნისადმი, მაგრამ ისინი ჭეშმარიტად საჯაროობის პროდუქტია, მათი დღის სინათლეზე გამოსვლა შეუძლებელი იქნებოდა, მაგალითად, 1981 ან 1969 წელს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან პირობითი საზომია, რადგან მას არ გააჩნია მკაფიო საზღვრები. ამიტომაც, პუბლიკაციათა შერჩევასას განსაზღვრული კრიტერიუმების გარდა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მკვლევრის ინტუიციამ და ისტორიული კონტექსტის გააზრებამ. საგაზეთო პუბლიკაციათა ავტორები დეკლარირებულ საჯაროობას ხედავენ არა მხოლოდ როგორც მიმდინარე პროცესების განხილვა-გაანალიზების, არამედ, როგორც ისტორიის ლაქების „ამოყვანის“ საშუალებას: „იქნებ მოვიდა იმის დროც, რომ ამ საჯაროობის პერიოდში დაიწეროს 1921-1924 წლების შესახებაც“ (მზია ბაქრაძე, ბელა წვერაძე, „სისხლიანი დროის რამდენიმე ამბავი“, „ლს“, 11.11.1988); „საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში საშუალება გვეძლევა შევაფასოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის თეთრი ლაქები, გავაანალიზოთ და ობიექტურად შევაფასოთ ყველა ის ფაქტი და მოვლენა, რომელიც სახავს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს“ (მარინე ბულეიშვილი, „ახლო წარსულის ერთი ფურცელი“, „ლს“, 17.02.1990); ასევე „ისტორიის შეუსწავლელი ფურცლები“ (გურამ ყორანაშვილი, „ლს“, 24.02.1989).

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებსა და დამოუკიდებლობის იდეის პრომოციას ფართო სივრცე დაუთმო როგორც „ლიტერატურულმა

საქართველომ“, ისე – „ქართულმა ფილმმა“. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ 1989-90 წლებში გაზეთი ხდება ფართო ტრიბუნა ეროვნული მოძრაობის ლიდერებისათვის.

9 აპრილის შემდეგ შესაძლებელია „უფროსი ძმის“ კრიტიკაც და მისი ზრახვების მხილება: „დღევანდელი საჯაროობა და დემოკრატიზმი სტალინისა და სტალინიზმის კრიტიკით შემოიფარგლება... ნამდვილი საჯაროობა და დემოკრატიზმი მაშინ დამყარდება, როდესაც ხალხს უფლებას მისცემენ კრიტიკული შენიშვნები გამოთქვან ლენინისა და გორბაჩოვის მიმართაც“ (ლია არჩვაძე, „ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ!“, „ქვ“, 17.05.1989); „დამპყრობლური იმპერიული პოლიტიკა დემაგოგიური ინტერნაციონალიზმით იყო გამყარებული და განმტკიცებული... ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ილიას გზას, რომლიდანაც ისტორიული ბედუკუღმართობის გამო გადაგვახვევენ“ (ლია არჩვაძე, ინტერვიუ ვახტანგ ხარჩილავასთან, „ქვ“, 14.03.1990); „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეიქმნება მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორიას დატოვებს უკანასკნელი ოკუპანტი, როცა როგორც ფაქტიურად, ისე იურიდიულად გაუქმდება სახელმწიფოებრივი მართვის ყველა ის სტრუქტურა, რომლებიც ოკუპანტებმა შემოიტანეს საქართველოში“ (ირაკლი წერეთელი; „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, „ქვ“, 21.03.1990); „რატომ არ გარდავექმნით საბჭოთა ფედერაციას, რომელიც ფაქტობრივად არის იდეოლოგიური ნიღბის ქვეშ აღორძინებული რუსული ტოტალისტური იმპერია საერთო სახლის მოდელზე?“ (ლოვარდ ტუხაშვილი, „არჩევანის თავისუფლების უნივერსალური პრინციპი“, „ქვ“, 10.01.1990).

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ „ქართული ფილმი“ უკვე არის არა იმდენად კინოს მოღვაწეთა, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მათი ლიდერების პლატფორმა. გაზეთის ფურცლებზე გაიშალა არაერთი პოლემიკა საქართველოს მომავალთან, მის მოწყობასთან, ეთნიკურ და ეთნოკონფლიქტების საკითხებთან დაკავშირებით. „ქართულ ფილმსა“ და „ლიტერატურულ საქართველოს“ შორის გაჩაღებულმა პოლემიკამ ასახა ეროვნული მოძრაობის შიგნით არსებული აზრთა

სხვადასხვაობა და დაპირისპირება, ეროვნულ ფორუმში არსებული განხეთქილებაც. ზვიად გამსახურდიას აზრით, „ქართულ ფილმში“ იბეჭდება ეროვნული საქმიანობისთვის საზიანო პუბლიკაციები. ის აკრიტიკებს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერს, თამარ ჩხეიძესა და მწერალ ნაირა გელაშვილს მათი პოზიციებისა და პუბლიკაციებისათვის (ზვიად გამსახურდია, „ღია წერილი გაზეთ „ქართული ფილმის“ რედაქციისადმი“, „ქვ“, 15.11.1989). თამარ ჩხეიძის პოზიციით, აქციებისა და გაფიცვებისას საჭიროა სიფრთხილე, რათა მსხვერპლი არ მოყვეს ეროვნული მოძრაობის მოქმედებებს, ბოლშევიზმიდან ნეობოლშევიზმში არ გადაიზარდოს სიტუაცია (თამარ ჩხეიძე, „გაფიცვები და პოლიტიკური რეალიზმი“, „ქვ“, 04.10.1989). არსებულ ვითარებასა და პოლემიკას კარგად ასახავს ორივე გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. ზვიად გამსახურდიას პასუხობენ კოლექტიური და ინდივიდუალური პუბლიკაციებით ((სარედაქციო სტატია, „ერთი წერილის გამო“, „ქვ“, 29.11.1989); 1990 წლისათვის „ქართული ფილმის“ საგაზეთო სივრცის დიდი ნაწილი სწორედ ამ პროცესებს ასახავს, დაპირისპირებას ეროვნული მოძრაობის ორ ფრთას შორის: „...საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია უდიდესი მოვლენაა. მან ფაქტიურად წერტილი დაუსვა საბჭოური ცხოვრების წესს, მოახდინა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები... კონფერენციამ მიიღო უმნიშვნელოვანესი დადგენილება, რომლის ძალითაც საქართველოში, როგორც ოკუპირებულ ქვეყანაში დე ფაქტოდ არსებული საბჭოთა ხელისუფლება ცხადდება უკანონოდ (გიორგი ჭანტურია, „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“, „ქვ“, 21.03.1990).

იკვეთება, რომ „ქართული ფილმი“ ეროვნული მოძრაობის კონკრეტული ფრთის (ჩხეიძე, წერეთელი, ჭანტურია) პოზიციის მოზიარე უფროა. ეროვნული მოძრაობის ლიდერები აკრიტიკებენ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ფორუმის დატოვების გამო<sup>30</sup> (ირინა სარიშვილი, „სანამ გვიან არ არის“, „ქვ“, 18.07.1990 წელი).

<sup>30</sup> 1990 წლის მარტში თბილისში სხვადასხვა პარტიათა კონფერენციის მიერ დაფუძნებული გაერთიანება, რომლის დანიშნულებას ეროვნული მოძრაობის კოორდინაცია იყო.



დამოუკიდებლობის იდეა და ეთნიკური საკითხიც „ვ“ კატეგორიაში ჯგუფდება. გარდაქმნის დეკლარირებამდე პრესის ფურცლებზე არასდროს განხილულა ერის თვითგამორკვევის ისეთი ვერსია, რომელიც განსხვავდებოდა მარქსისტული-ლენინური დოქტრინისაგან. ამის საწინააღმდეგოდ გარდაქმნა განხილვება როგორც შანსი მცირე ერებისათვის: „გადასინჯული უნდა იქნეს ეროვნული საკითხის თვითგანხილვის კუთხე, ის მორალური სტატუსი, რომელიც „უმცროს ძმებს“ აქვთ ტრადიციულად მიკუთვნებული... ისტორია არასდროს ყოფილა ისეთი კეთილგანწყობილი მცირე ერების მიმართ როგორც დღეს... ერის თვითგანხორციელების უმთავრესი განზომილება რაციონა და არა მხოლოდ ნება. ეს კი ზუსტად კვალიფიციურ, ეკონომიკურ თუ იურიდიულ ანალიზს გულისხმობს, ჩვენი ეპოქის ისტორიული პროცესები წარმოუდგენელია ამგვარი ფუნდამენტის გარეშე“ (ზაზა ფირალიშვილი, „მცირე ერი და ისტორიული პერსპექტივა“, „ლს“, 08.09.1989); „სსრ კავშირში გარდაქმნის პროცესებთან დაკავშირებით დაიწყო სხვადასხვა ერების თვითშეგნების მკვეთრი გამლიერება“ (შოთა ნადირაშვილი, „ერი, ეროვნული ურთიერთობანი და ერის უფლებები“, 09.10.1990); „ამჟამად, როდესაც ისტორიულმა გარდაუვალობამ, ღვთის წყალობით, დღის წესრიგში დააყენა ღირსეულ წინაპართა, მათ შორის, სოლომონ იმერთა მეფის ოცნება – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, ჩვენ ყველა, განსაკუთრებით კი ახლად დაარსებული საქართველოს მონარქისტული საზოგადოება, ამ საკითხის გადასაწყვეტად უპირველესად და ძირითადად უნდა დაეყრდნოს 1783 წლის რუსეთ-საქართველოს მიერ დადებული ხელშეკრულების დარღვევისა და 1801 წლის რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოს ანექსიის უცილობელ ფაქტს“ (ვახტანგ გურგენიძე, „ჩრდილი დამპყრობელისა ანუ იმერეთის მეფის სოლომონ მეორის უკანასკნელი წერილი“, „ლს“, 14.09.1990);

ეთნიკური თემის განხილვის რაკურსი და თემატიკაც მრავალგვარია. აქცენტები და საკვანძო შეტყობინებები დივერსიფიცირებულია: ე.წ. აფხაზური და ოსური საკითხები, ე.წ. თურქი მესხების რეპატრაციის თემა, კონფლიქტების ინსპირაცია, მეგობრობის, თანშეზრდილობის სენტიმენტებით აპელირება ((ნოდარ შამანაძე, „ანატოლ და სერგეი

„ზუხბებს“, „ლს“, 11.08.1989); (რევაზ ჯაფარიძე, „მოყვარე მტრად თუ მტერი მოყვარედ?“, „ლს“, 03.02.1989); (რევაზ თვარაძე „არა ვიცი რა, რას მედავით მე“, „ლს“, 17.02.1989); (მიხეილ ჩაჩუა, „დედიჩემის გაზრდილი ხარ, მისი ძუძუ გიწოვია“, „ლს“, 28.07.1989); (თედო ბექიშვილი, ზაურ კალანდია, ვახტანგ ხარჩილავა, მამუკა წიკლაური, „ჟამი უმკაცრესი გამოცდისა“, „ლს“, 04.08.1989); (როლანდ თოფჩიშვილი, „ისტორიის შეგნებული გაყალბება თუ...“, „ლს“, 26.01.1990)).

ამავე პერიოდში, 1989 წლის ცნობილი ქართულ-აფხაზური ინციდენტის შემდეგ გახშირდა საგაზეთო პოლემიკები და ღია წერილები იგივე თემაზე: ((პავლე თოფურია, „ღია წერილი ვ. არძინბას ანუ ზოგი რამ ეროვნული საკითხის შესახებ“, „ლს“, 14.07.1989); (ზურაბ ლომიძე, „ღია წერილი გიორგი ბესთაუთს“, „ლს“, 17.11.1989); (დავით გოგოჭური, „ღია წერილი კოლეგებს// ცხინვალის – ზარა აბაევას და სხვებს; სოხუმი – სერგეი ზუხბას და სხვებს“, „ლს“ 15.12.1989)).

9 აპრილის ტრაგედიის თემატიკა ფიქსირდება ორივე კატეგორიებში: „ვ“ და „ზ“. 9 აპრილის ტრაგედია და ტრაგედიის შედეგად ინსპირირებული თემები ზემოაღნიშნული ორივე კატეგორიის ერთგვარი თანაკვეთაა. ტრაგედია იყო ის გადალახული ზღვარი, რომლის შემდეგ შესაძლებელი გახდა თვით გარდაქმნის იდეის კრიტიკაც კი: „დემოკრატია“, რომელიც დღეს სსრკ-შია, შეიძლება დავახასიათოთ იმანუელ კანტის სიტყვებით – „იმსჯელეთ რამდენიც გნებავთ, იმსჯელეთ რაზეც გნებავთ, ოღონდ მორჩილი იყავით... მორჩილის დემოკრატია კი არ არის დემოკრატია... მორჩილების „დემოკრატია“ კიდეც ერთხელ მოგვატყუა. მაგრამ მომხდარმა ტრაგედიამ ჩვენ არც უნდა დაგვაზნოს და არც უნდა შეგვაშინოს... პროცესი, რომელიც ამჟამად სსსრკ-ში მიმდინარეობს, ადრე იქნება თუ გვიან დამთავრდება ერთი შედეგით – საბჭოეთის ხალხების სრული თავისუფლებით“ (ზურაბ ბერიძე, „ეს არ უნდა მომხდარიყო“ (ინტერვიუ აკაკი ბაქრაძესთან, „ლს“, 06.10.1989); „ქართველები გულუბრყვილო ხალხია – ყველაზე ადრე დაიჯერეს „პერესტროიკის“ და „გლასტნოსის“; ქუჩაში გამოვიდნენ და ხმამაღლა გამოთქვეს თავისი აზრი, რასაც ჩვენი სახელმწიფოს გარკვეულმა ძალებმა ტანკები და იარაღი დაუპირისპირეს“

(ზურაბ ასკანელი, „მამუკა კიკაღვიშვილის ორი ინტერვიუ გაბროვოში“, „ქვ“, 07.06.1989); „ნუთუ არ იქნებოდა რეალური, რომ საჯაროობისა და დემოკრატიზაციის წამოწყების პერიოდში ჩემნაირი უბრალო ადამიანის უფლებები ჩვენს ქვეყანაში ამაღლებულიყო იქამდე, რომ იგი გატოლებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ძაღლებისა და კატების უფლებების დონეს?!“ (ონისე გოგილაშვილი, „წადილი“, „ქვ“, 25.10.1989); „გარდაქმნა, საჯაროობა და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია ჩვენს ქვეყანაში რომ ძნელად და მტკივნეულად იკაფავს გზას, ამაზე დღეს ორი აზრი არ არსებობს“ (გიორგი გასიტაშვილი, „ხევისბერი გოჩა“ უნდა დაგვიბრუნდეს!“, „ქვ“, 13.09.1989); „ამ ბოლო დროს ნაკლებად ლაპარაკობენ გორბაჩოვის „პერესტროიკის“ მიერ მოტანილ საბჭოთა ღირებულებებზე. უფრო ხშირად ხმარობენ „პერესტროიკას“ გარდაქმნის მაგიერ და დღითიდღე ბრჭყალები სულ უფრო მეტს იმბოლურობას იძენს... ხშირად ისმი სეკონომიკის გაძლიერების შესახებ მსჯელობა, მაგრამ სტრიქონებსა და სიტყვებს შორის ახალი აშკარა ტენდენცია წამოვიდა – ფულის შოვნის, ფულის კეთების პროპაგანდა“ (ქეთევან ლოღობერიძე, „დავფიქრდეთ“ (ინტერვიუ ლანა ლოღობერიძესთან), „ქვ“, 17.10.1990).

მხოლოდ აპრილის ტრაგედიის შემდეგ ფიქსირდება მედიაში თვალშისაცემად ნეგატიური დამოკიდებულება/შეფასება გარდაქმნა-საჯაროობისა და მისი კოსმეტიკური ნიღბისადმი. 1989 წლის აპრილ-მაისში მედია და საზოგადოება იბრძოდა ჭეშმარიტების აღიარებისთვის და ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ოფიციალური ვერსიის – თითქოს 9 აპრილის ღამეს ხალხმა და არა ჯარმა დახოცა მშვიდობიანი აქციის მონაწილეები – მხილება და გაცამტვერება. აპრილის ტრაგედიის რეფრაქციის ისტორია და განხილვის დიალექტიკა ძალზე ენათესავება ჩერნობილის კატასტროფის ისტორიას: ტრაგედია – დუმილი – ოფიციალური ვერსია – ბრძოლა ჭეშმარიტებისათვის – სიმართლე. 9 აპრილის შემთხვევაში არ დაფიქსირებულია ე.წ. დუმილის ეტაპი, რადგან ეს შეუძლებელი იყო საზოგადოების ჩართულობისა და იმ რეზონის წყალობით, რომელიც აპრილის აქციებს მოჰყვა. თანაც ამ ტრაგედიებს შორის სამი წელია. სამი

წლის მანძილზე კი მნიშვნელოვნად გააქტიურდა სამოქალაქო საზოგადოებაც და მედიაც. ამან შეუძლებელი გახადა დუმილი.

საპროგრამო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს „ქართული ფილმის“ მიერ კინოსტუდიის კოლექტივისა და გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“<sup>31</sup> რედაქციის წარმომადგენელთა შეხვედრის სტენოგრამის გამოქვეყნება. შეხვედრა შედგა 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ და რეალურად ეს იყო ჭიდილი სიმართლესა და სიცრუეს, ჭეშმარიტებასა და ოფიციალის პოზიციას შორის: „ – აქ შეკრებილთ არავითარი დირექტივები არა გვაქვს, გამოვდივართ როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, თქვენ კი იგრძნობა, რომ რაღაც დირექტივები გაქვთ. ჩვენ შევეცდებით ამ დირექტივების გარღვევას ყველა დონეზე... საქმე ისაა, რომ ჩვენი ცხოვრება სიცრუის გზით მიდის, იმ გზით, რომლითაც 1924 წელს სტალინმა აიღო ხელისუფლება. გარდაქმნა საფრთხეშია... როდესაც თქვენ გაზეთის იმ სიცრუით სავსე ნომერს უფასოდ ავრცელებდით სტუდენტებში, ეს პროვოკაცია იყო... იქვე ხომ ტანკები იდგნენ... ახლა ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია სიმართლის აღიარება“ (რეზო ჩხეიძის გამოსვლიდან); “- მე ვამტკიცებ, რომ გაზეთში სრული სიცრუეა. მიუხედავად ავტორის მტკიცებისა, რომ გაზი გამოყენებული არ ყოფილა, ხალხი მოწამლულია გაზეთით, აქვთ ჩეხილი ჭრილობები, მიყენებული მჭრელი საგნით, არა ხანჯლით... (გელა ლეჟავას გამოსვლიდან); “- საქართველოს ბევრი ჯალათი ჰყავდა, ერთ-ერთი ასეთი ჯალათია გენერალი როდიონოვი, თქვენი გაზეთი კი მისი საყვირია“ (გიგა ლორთქიფანიძის გამოსვლიდან); “- ყველამ უნდა გაიგოს, რომ შეიცვალა დრო და აღარავინ იქცევა სხვისი მითითებების მიხედვით... თქვენ დაწერეთ თავზარდამცემი სიცრუე და კიდევ ირონიულად იღიმებით“ (ლანა ლოლობერიძის გამოსვლიდან). ციტატები წარმოდგენილია სარედაქციო სტატიიდან, „სიმართლე სიცრუის წინააღმდეგ“ („ქვ“, 26.04.1989).

იგივე პათოსის მატარებელია „ქართულ ფილმსა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაცია: „გარდაქმნის მტერ-მოყვარენი საერთო ფერხულში ჩართულან აშკარად

<sup>31</sup> რუსული საბჭოთა გაზეთი, გამოდიოდა 1932 წლიდან.

გამოხატულ ანტიქართულ განწყობილებათა გასაჩაღებლად“ (უავტორო, „ქვ“, „რეპორტაჟი საავადმყოფოდან“, 10.05.1989); „ჩვენს უპირველეს ვალად ვთვლით მთელი ძალით შევუწყობთ ხელი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას, რევოლუციურ გარდაქმნას... გარდაქმნის პოლიტიკამ საფუძველი მოგვცა საბოლოოდ გვერწმუნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო მოედო უკანონობას და თვითნებობას... ვფიქრობთ, რომ იგი [9 აპრილი] მოფიქრებული პროვოკაციაა, მიმართული გარდაქმნის საფუძვლებისა და მიზნების დასათრგუნად“ (ავტორთა ჯგუფი, „სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს“, „ქვ“, 19.04.1989); „ჩვენთან რომ „მოსკოვს ცრემლების არ ჯერა“ – ეს თემა ხელოვნების დონეზეა დამუშავებული და ეკრანიდანაც ვნახეთ!... ვინც 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, იმათ ადამიანურობის არაფერი ეცხობთ!.. საქართველოში ქრისტეს ტირილი იდგა, საკავშირო ხელისუფლების ზოგი ჩინოსანი კი ამ დროს ნიანგის ცრემლებს ღვრიდა! ეს რა დაგვემართა, გარდაქმნას ზურგიდან ჩასცეს მახვილიო! – დამნაშავენი თუ ახალავე არ ვამხილეთ და არ დავსაჯეთ, წესიერი მსოფლიოს თვალში თავი მოგვეჭრებაო! მაშინვე დაფაცურდნენ – ზოგი კომისია თვითონ შექმნეს, ზოგიც ჩვენ შეგვაქმნევინეს... საბედნიეროდ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხმა დღეს მთელ ქვეყანას კიდით კიდემდე მოედო“ (თამაზ წივწივაძე, „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!..“ „ლს“, 08.09.1989).

ამ კატეგორიის პუბლიკაციებში აქცენტირებულია არა მხოლოდ 9 აპრილის ტრაგედია, როგორც ფაქტი, არამედ: 9 აპრილი, როგორც მოქალაქის ჩართულობა, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, როგორც კარტლანში საბჭოთა სინამდვილის გასაკრიტიკებლად, შეკითხვების დასასმელად, როგორც მოწოდება ბრძოლისათვის: ვინ აიღებს მომხდარზე პასუხისმგებლობას? ვინ არის დამნაშავე. მშვიდობიანი აქციის დარბევა ლახვარია გარდაქმნის ზურგში; საჯაროობამ შესაძლებელი გახადა საზოგადოების ინფორმირებულობა ტრაგედიის ყველა დეტალის შესახებ; 9 აპრილის ტრაგედიამ ერი გამოაღვიძა; ფართო სოლიდარობა საქართველოს; დაიწყო ახალი ეტაპი – ესენია საკვანძო შეტყობინებები, რომლებიც

ფიქსირდება ქვეკატეგორიაში „9 აპრილის ტრაგედია“. 9 აპრილის, როგორც ეტაპის მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ გარდაქმნის ნეგატიური შეფასება 9 აპრილამდე არ ფიქსირდება საკვლევ მასალაში. გარდაქმნის ნეგატიური შეფასება პრესაში სწორედ ტრაგედიის შემდეგ იწყება. თემატურ დივერსიფიცირებასთან ერთად ესეც შეიძლება ჩაითვალოს საჯაროობის საზომად: „აგვჩეხეს უმოწყალოდ. ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებებით მოწამლეს საქართველო, დიახ, მთელი საქართველო... ხომ არ გაგვიტაცა ეგრეთ წოდებულმა „გარდაქმნის პროცესებმა? დემოკრატია და საჯაროობამ? ბრმად ხომ არ მივენდეთ ქუჩას და ხომ არ უარვყავით მთავარი – დიალოგი, გზა პარლამენტარული, კონსტიტუციური?“ (ჯანსუღ ჩარკვიანი, „თავისუფლება ლომთა ხვედრია!“, „ლს“, 24.11.1989); „ამა წლის 9 აპრილს ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედია არანაკლებ აყენებს ექვის ქვეშ ჩვენს ცივილიზაციის არსებობას, ვიდრე ჩერნობილის ავარია... ჩვენ მოვითხოვთ: საჯაროდ, იქნეს განხილული, მათ შორის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც, ვის ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა სამხედრო და სპეცნაწილებში მსგავსი ბარბაროსული „ეთიკის“ ჩამოყალიბებისათვის, დადგინდეს, ვინაა პასუხისმგებელი ყოველგვარი საჭიროების გარეშე ჯარის ნაწილებმა გამოიყენონ იმგვარი საშუალებები, რასაც ადგილი ჰქონდა თბილისში“ („მოსკოვის საზოგადოებრიობის მიმართვა სახალხო დეპუტატებს, სსრკ გენერალურ პროკურორს, მთავრობას, პარტიას“, „ლს“, 28.04.1989); „ამავე დროს ეს დემოკრატია და საჯაროობა ზემოდან „მოგვართვეს“ და თან გაგვაფრთხილეს, რომ ეს თავისუფლება გარკვეულ ჩარჩოებში კერძოდ, სოციალური სისტემის საზღვრებში დაეტიოს... დემოკრატიისა და საჯაროობის შესახებ ერთხელ კარგად თქვა აკაკი ბაქრაძემ: ჩვენ გვაძლევენ სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ ამასთანავე მორჩილები უნდა ვიყოთ“ (ლია არჩვაძე, „პოზიცია“ (ინტერვიუ ელიზბარ ჯაველიძესთან), „ქფ“, 06.12.1989); „გარდაქმნის შემდეგ შევრჩით კანონების შემუშავებას და გამოცხადებას კანონებისა, რომლებიც ათეულ გვერდს შეიცავს და არავითარ კონკრეტულ განსაზღვრებას რეალურად არ იძლევა“ (გივი ელიავა, „მარტვილი შველას ითხოვს“, „ქფ“, 15.08.1990).

მთლიანად კომუნიზმის იდეაა გაკრიტიკებული თამაზ წივწივადის საპროგრამო სტატიაში, რომელიც ორთოდოქსი მარქსისტების საპასუხოდ დაიწერა. სტატია შეიძლება გამოხატვის თავისუფლების გვირგვინად ჩაითვალოს: „ახლა აუცილებელია, ეროვნული პოლიტიკის განახლება... გადაჭარბებული ცენტრალიზმის აღმოფხვრა და რესპუბლიკების სუვერენული უფლებების გაფართოება, მათთვის მეტი ინიციატივიანობისა და დამოუკიდებლობის მიცემა... და აგერ ახლა, როცა კომუნიზმი, ზოგი „ბრძენი“ ხელმძღვანელის დაპირებით, კარგა ხნის აშენებული უნდა გვექნდეს, ქვეყანას არა აქვს პური, ყველი, კარაქი, შაქარი... ჩაცმა-დახურვას რომ თავი დავანებოთ, კომუნიზმის მშენებელი ხალხი საპნის, მარილისა და ასანთის გარეშე დავრჩით!... ამნაირი ქვეყნის აშენებას კი 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა...“ (თამაზ წივწივადე, „გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!//ახალი ციკლიდან: სალამი, მარქსისტებო!“ „ლს“, 26.01.1990).

**რელიგიური თემატიკაც** აქვე უნდა განვიხილოთ. რწმენა, ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა, ავტოკეფალია, ეკლესიის როლი და ფუნქცია ის საკითხებია, რომლებიც არათუ ტაბუდადებული იყო, უბრალოდ არც კი ფიქსირდებოდა მედიაში, როგორც შესაძლებლობა საგაზეთო თემატიკისათვის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრამდე. 1988-90 წლებში კი ქვეყნდება საეკლესიო კალენდრები, ქრისტიანულ დღესასწაულთა რაობა-განმარტებანი, ასევე, თემები: მართლმადიდებლობა, როგორც მხსნელი და გადამრჩენელი, საკულტო ნაგებობათა მდგომარეობა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია: „მომავალში ვერავინ შეეხება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას. მადლობა ღმერთს, ჩვენი ეროვნული გათავისუფლება სულიერი გათავისუფლებით იწყება“ (ციტატა საქართველოს პატრიარქის, ილია მეორეს გამოსვლიდან, „ქვ“, 28.04.1990); ასევე: „საუბარი ჩვენი დამოუკიდებლობის დამადასტურებელ საბუთზე, რომლის მისაღებადაც ძნელი გზა გაიარა ქართულმა ეკლესიამ“ (ქეთევან ლოლობერიძე, „ქვ“, 21.03.1990).

გაზეთის ფურცლებიდან ისმოდა არა მხოლოდ დისკურსისა და ნარატივის ფუნდამენტური ცვლილებების აუცილებლობის, არამედ მცირე,

კოსმეტიკური „შელამაზება-შეკეთების“ შესახებაც, ისეთის, რაც არ ცვლიდა არსს, მაგრამ საჯაროობის მონაპოვრად უნდა ჩათვლილიყო. მაგალითად, საბჭოთა ტოპონიმის (მათ შორის – ქუჩების სახელწოდებების შეცვლა და საბჭოთა ლიდერთა ძეგლების აღება), სიმბოლიკის, მცირე არქიტექტურის ჩანაცვლება, მისი დაცლა საბჭოთა შინაარსისაგან, მომსახურების სფეროში არსებული წვრილმანი პრობლემები და ა.შ.

შინაარსობრივი კატეგორიებიდან უდიდესი ხვედრითი წილი მოდის კატეგორიაზე „ზ“ (პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა) კატეგორია „ზ-ს“ დინამიკა სტაბილურად მზარდია 1985 წლიდან 1989 წლის ჩათვლით (იხ. ცხრილი N33 ). კატეგორია „ზ“ ძალზე ფართო ცნებაა. მისი შინაარსი ყველანაირია. კატეგორიაში „ზ“ – პლურალიზმი, მოქალაქის ჩართულობა, სათქმელის თქმა – დაჯგუფდა ძირითადად ის პუბლიკაციები, რომლებსაც ტაბუახსნილი თემატიკის გარდა, აერთიანებთ ავტორობის საკითხიც – ეს არის რიგითი მოქალაქე, როგორც ავტორი, რომელიც საჭიროდ თვლის და ითხოვს საკუთარი წილი ტრიბუნის გამოყენებას. თუ გარდაქმნამდელ პერიოდში უმეტესად მკითხველის აქტიურობის სიმულაცია და სტიმულაცია ხდებოდა, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამის საჭიროება აღარ არის. გადამდები მაგალითის ძალით ინსპირირებული მკითხველი აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და აქედან გამომდინარე – მედიის ცხოვრებაში. საჭიროდ თვლის სამოქალაქო აქტიურობას, წერს გაზეთს, ელოდება პასუხს. პრობლემატიკის დიაპაზონი უფართოესია. გარე ავტორებისა და რიგითი მკითხველების ჩართულობის ამაღლება მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში საჯაროობის რეალიზაციის საზომია. მკითხველის ჩართულობის გაძლიერება უფრო მეტად „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ფიქსირდება ისეთ რუბრიკებში, როგორებიცაა: „ზოგჯერ თქმა სჯობს“, „კრიტიკა“, „პოლემიკა“, პოზიცია“, „სადღეისო დიალოგი“, საზოგადოება და პიროვნება“, „წერილები რედაქციას“, „გარდაქმნის ორიენტირი“, გარდაქმნის წინა ხაზზე“, „მთის პრობლემები“ და სხვ. განსაკუთრებული თემატური დივერსიფიცირებით გამოირჩევა რუბრიკა „ზოგჯერ თქმა სჯობს“.



კატეგორიაში „ზ“ 9 აპრილის ტრაგედიის გარდა იმიჯნება ისეთი ქვეკატეგორიებიც, როგორებიცაა: **სარედაქციო წერილები/ედიტორიალები და ე.წ. მისასალმებელი პუბლიკაციები/გამოხმაურებები, ასევე – ეკოლოგიასთან დაკავშირებული თემატიკა.**

„მისასალმებელი პუბლიკაციები/გამოხმაურებები“, პირობითი სახელია ჟურნალისტური ტექსტის იმ ფორმისათვის, რაც საკმაოდ ხშირი იმულებითი პრაქტიკა იყო პარტიის რომელიმე გრანდიოზული ღონისძიების წინ ან შემდეგ, რომელიმე მნიშვნელოვანი კამპანიისას, მაგალითად, პარტიის ყრილობა, პლენუმი, საყოველთაო მობილიზაცია ალკოჰოლიზმთან საბრძოლველად, ეკონომიკური ზრდის დაჩქარების კამპანია და ა.შ. ეს იყო უმეტესად საზოგადოების ცნობილი სახეების, ლიტერატორების, ხელოვნების მოღვაწეების ერთგვარი ხარკის გადახდა, გამოხმაურება, თანამოაზრეობის სოციალური ვალდებულების დაფიქსირება, როგორც სოლიდარობის სიტყვიერი და აღიარებული დასტური პარტიის მიერ გამოცხადებულ ახალ ტრენდებზე. მათ მობილიზაციას თავად რედაქცია ახდენდა, ეს მიღებული იყო. ასეთი ტიპის „სავალდებულო“ პუბლიკაციები, როგორც წესი, პოზიტიური განწყობისაა. სათქმელი და მოლოდინი დადებითია, მაგრამ შინაარსისაგან დაცლილი, ზოგადი, ფატიკური. მაშინ კი, როდესაც გარდაქმნა გაურკვეველი, მკაფიო კონტურების არმქონე პარტიული დოქტრინა იყო, მწერლები, ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწეები საჭიროდ თვლიდნენ პატივი მიეგოთ მისთვის საკუთარი ინტერპრეტაციის დაფიქსირებით. ასეთი „მობილიზება“ გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე ფიქსირდება: „ადამიანის ბუნების ცვლილება-გარდაქმნა ერთი და ორი დღის საქმე არ გახლავთ“ (ელგუჯა ამაშუკელი, „სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად“ „ლს“, 12.07.1985); „ეპოქამ მოითხოვა კიდევ უფრო აჩქარებული, თავისი შესატყვისი რიტმი“ (მარიკა ბარათაშვილი, „ხვალინდელ დღეზე ფიქრით“, „ლს“, 27.12.1985); „პარტიამ დაიწყო ახალი, ფართო და ენერგიული ლაშქრობა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს განახლებისა და მძლავრი აღმავლობისათვის“ (ერემია ქარელიშვილი, „დიად გარდაქმნათა მანიფესტი“, „ლს“, 27.12.1985); „ყრილობის დელეგატობა ზრდის მწერლის, ხელოვანის პასუხისმგებლობას

კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანოს იმ გარდაქმნებში, რომელსაც პარტია და ხალხი ახორციელებს“ (გრიგოლ აბაშიძე, „გვესაუბრებიან ყრილობის დელეგატები“, „ლს“, 24.01.1986); „დელეგატი მძაფრი მხატვრული სიტყვითა და ენერგიული, პრაქტიკული მოღვაწეობით უნდა მონაწილეობდეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების გარდაქმნაში“ (ხუტა ბერულავა, „გვესაუბრებიან ყრილობის დელეგატები“, „ლს“, 24.01.1986); „ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების პროცესი, ბრძოლა ყველაფერთან, რაც ხელს უშლის დაჩქარებულ წინსვლას. დარწმუნებული ვარ, რომ კომუნისტური პარტიის ყრილობა ამ გზაზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცევა. ამჟამად ახლის მოლოდინი, ახალი იმედები გვაქვს“ (ირაკლი აბაშიძე, „ახალი შემართებით“, „ლს“, 07.03.1986); „გასული წლის აპრილის პლენუმიდან მოყოლებული მთელი ჩვენი ქვეყანა განახლების, გარდატეხის სულისკვეთებით ცხოვრობს“ (გიგა ლორთქიფანიძე, „დიდი სამომავლო გეგმები“, „ლს“, 14.03.1986); „სკკპ 27-ე ყრილობის მიმდინარეობა განახლებისა და გარდაქმნის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული... ამიტომაც აღვიქვამთ ამ დიდ მოვლენას, როგორც უმნიშვნელოვანესი გარდაქმნის დასაწყისს ჩვენს ცხოვრებაში“ (დავით მჭედლოური, „განმაახლებელი სულისკვეთება“, „ლს“, 14.03.1986); „ჩვენი ქვეყანა მტკიცედ დაადგა სოციალურ-საწარმოო ურთიერთობათა განახლებისა და გარდაქმნის გზას... გარდაქმნა ეხება არა მხოლოდ სახალხო მეურნეობის დარგებს, არამედ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს, ბუნებრივია, ლიტერატურასა და ხელოვნებას“ (რომან მიმინოშვილი, „მრომის სუფევა“, „ლს“, 14.11.1986); „ახლად არჩეულმა სამდივნომ მკვეთრად უნდა გარდაქმნას მუშაობა – თითოეული ხელმძღვანელი უნდა წარმოგვიდგეს მოღვაწედ, საერთო სახალხო სამწერლო საქმეთათვის თავდადება უნდა გადაიქცეს მუშაობის მთავარ პრინციპად“ (დავით კვიციანიძის სიტყვა საქართველოს მწერალთა X ყრილობაზე, „ლს“, 20.06.1986); „ამჟამად დღის წესრიგში დასმული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პრობლემა ბუნებრივად ფსიქოლოგიურ ასპექტსაც შეიცავს. ეს გარემოება მოითხოვს მხატვრული აზრის დროულ რეაგირებას... საქმე ეხება, როგორც ეს ყრილობაზე სამართლიანად იყო აღნიშნული, შემოქმედებითი რიტმის

გარდაქმნას, სრული დატვირთვით მუშაობას, ინტენსიფიკაციას, რომლის მუდმივი სამიზნე უნდა იყოს მაღალი ხარისხი“ (გიორგი მერკვილაძე, „პიროვნების სულიერი სამყაროს შემდგომი გამდიდრებისათვის“, „ლს“, 21.03.1986); „კომუნისტთა პარტიის პროგრამა მიზნად ისახავს თავიდან ავირიდოთ ომი, მშვიდობიანად ვიარსებოთ ერთმანეთთან... სადაც დემოკრატიზმი და სიტყვის თავისუფლება არ არსებობს, იქ მწერლობაზე ლაპარაკი ზედმეტია“ (ჯანსუღ ჩარკვიანი, „პასუხისმგებლობაც მთავარია“, „ლს“, 25.04.1986); „ჩვენმა ხალხმა ამ მოკლე დროში (იგულისხმება დარჩენილი 14 წელი 1986-2000 წლამდე) იმდენივე უნდა გააკეთოს, რამდენიც საბჭოთა წყობილების არსებობის ყველა წლის, ანუ მთელი 70 წლის მანძილზე. სწორედ ეს გახლავთ დაჩქარების სტრატეგია, რომელიც დაჟინებით მოითხოვს რადიკალურ გარდატეხასა და ძირეულ გარდაქმნას“ (გიორგი ციციშვილის გამოსვლა სსრკ მწერალთა მე-8 ყრილობაზე, „ლს“, 04.07.1986); „მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით წინ მივყავართ დაჩქარების სტრატეგიას პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, მაგრამ თუ მწერალმა ეს გაიგო – ერთის მაგიერ სამი ნაწარმოები უნდა ვწერო, მაშინ პირდაპირ უბედურებაში გადავვარდებით“ (გიორგი ჯიბლაძის სიტყვა საქართველოს მწერალთა ყრილობაზე, „ლს“, 04.07.1986); „27-ე ყრილობიდან უსაზღვროდ ბევრს მოელის არამართო ჩვენი ქვეყანა, არამედ დღევანდელი მსოფლიოს მთელი პროგრესული კაცობრიობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკკპ ახალი პროგრამის პროექტი – ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების რევოლუციურად დაჩქარების გრანდიოზული პროგრამა“ (ირაკლი აბაშიძე, „დიდი ფორუმის მონაწილე“, „ლს“, 21.02.1986); „ჩვენ გვჯერა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და გვწამს, რომ ამ [გარდაქმნის] პროცესს მაღალი ზნეობის ადამიანები წარმართავენ“ (თემურ ჩხეიძე, „ყველაფერს მაღალი ზნეობის ადამიანი წარმართავს“; 01.08.1986); „ქვეყნად გარდაქმნის და რევოლუციურ ცვლილებათა დადგომასაც საზოგადოების სოციალური წონასწორობის რღვევა განაპირობებს“ (დავით მჭედლოური, „ადამიანი! – ამაყად ჟღერს“, „ლს“, 15.05.1987); „გარდაქმნა ყველას უნდა შეეხოს, რადგან ყველაზე სპეტაკი და ბეჯითი ადამიანიც აქამდე

ძალაუნებურად ურიგდებოდა არასწორ ურთიერთობას, რადგან ყველაფერი მარტო მის გულმოდგინეობაზე არ იყო“ (რომან მიმინოშვილი, „გარდაქმნა ადამიანებზეა დამოკიდებული“, „ლს“, 05.06.1987); „მთავარი კი საკუთარი შეგნების გარდაქმნაა. ახლა სიტყვა მხოლოდ ჩვენზეა“ (იგორ დიშელი, „გარდაქმნა გრძელდება“, „ქვ“ 01.04.1987). ამ ტიპის პუბლიკაციების უმეტესობას „ლიტერატურული საქართველო“ აორგანიზებს. პუბლიკაციები ნიშანდობლივია ავტორთა მრავალფეროვნებითა და სიმულაციურად დადებითი განწყობით.

ე.წ. ედიტორიალებშიც იგივე, „მისასალმებელი“ განწყობაა შენარჩუნებული, თუმცა ედიტორიალების რაოდენობა მცირეა. სარედაქციო სტატიები და სარედაქციო მინაწერები უფრო 1986 წლის მეორე ნახევრიდან ჩნდება პრესის ფურცლებზე, როგორც პოზიციის დივერსიფიცირების ფაქტობრივი დასტურის ახალი ტრენდი: „ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გარდაქმნა დღეს ყველაზე პოპულარული სიტყვაა ჩვენს ქვეყანაში... გარდაქმნა აუცილებელია ჩვენთვის, ჩვენი ბედნიერებისთვის, საზოგადოების მორალური სიწმინდისა და განუხრელი წინსვლისთვის – ამგვარად ესმის გარდაქმნის აუცილებლობა დღეს ყველა საბჭოთა ადამიანს... განახლებისა და გარდაქმნის გზაზე ისეთი სუბიექტური და ობიექტური სიძნელეები იგულისმება, რომელთა დამლევაც იოლად არ ხდება... უკვე გამოვიდნენ ადამიანები, რომელთაც გარდაქმნა იმგვარად სურთ, რომ არაფერი გარდაქმნან, რომელთაც სურთ მექანიკურად მოერგონ შექმნილ სიტუაციას... ჩვენ უნდა ვაჩვენოთ სოციალისტური წყობილების ჰუმანისტური ბუნება, გარდაქმნები ადამიანის შრომის შინაარსში... მხატვრული ნაწარმოების უპირველესი მიზანი სწორედ საზოგადოების ცხოვრების სულიერი გარდაქმნაა, ადამიანის წრთობაა და არა შეგუება უკვე არსებულის მიმართ“ (სარედაქციო სტატია, „გარდაქმნა“, „ლს“, 07.11.1986); „ჩვენი ქვეყანა დიდი გარდაქმნებისა და გარდატეხის წინაშე აღმოჩნდა, გარშემო იცვლება ყველაფერი. იმსხვრევა მოძველებული და სტერეოტიპული შეხედულებები. გარდაქმნები შეეხო თეატრსაც და ეს გარდაუვალი მოთხოვნაა დროისა“ (უავტორო, „თეატრი – ზეიმი“, „ლს“, 26.09.1986); „1986 წელი იყოს ღრმა დაფიქრების, მოვლენათა განსჯისა და

ანალიზის წელი. გარდაქმნათა და ნაკლოვანებათა მძაფრი მხილების წელი“ (სარედაქციო სტატია, „მრავალჟამიერ, ჩვენო ქვეყანავ!“ „ლს“, 03.01.1987); „მომავლის რეალური იმედები სწორედ იმ ახალ კურსშია, იმ გარდაქმნის პროგრამაშია, იმ სულისკვეთებაშია, რასაც კონფერენციაზე საერთო, ერთსულოვანი აღიარება, მხარდაჭერა ხვდა წილად... ცხადია, რომელი მწერალი ან მოქალაქე შეიძლება იყოს იმით უკმაყოფილო, რომ ჩვენში ახლა ასეთი საჯაროობა და დემოკრატიზაციაა... გარდაქმნის წარმატება თუ წარუმატებლობა ჩვენშია, ხალხშია, ჩვენს მონდომებაშია“ (გურამ გვერდწითელი, „ახლისგან არ გავირიყოთ“, „ლს“, 26.08.1988); „კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქცია ატარებს პროფილაქტიკურ მუშაობას, ყველაფერს აკეთებს ადამიანთა შეგნებისა და ფსიქოლოგიის სრული გარდაქმნისათვის“ (სარედაქციო სტატია, „პრესაში გამოქვეყნდა...“ „ქფ“, 10.06.1987); „დემოკრატის სწავლა უნდა... პირველად დაინახა საზოგადოებამ, რომ სამართალს მხოლოდ დასჯის ფუნქცია არ აკისრია და კონსტიტუცია, თუკი იგი სათანადო დონეზეა მიღებული, შეიძლება ემსახურებოდეს ეროვნულ ინტერესებს და იცავდეს მას“ (უავტორო, „დღეს ყველაფერი სერიოზულ განსჯას მოითხოვს“, „ქფ“, 28.12.1988); „რა გარდაქმნაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ გაზეთს აუკრძალავ იყოს ჩვენი სამყაროს ამსახველი სარკე... არა ძვირფასო მეგობრებო, თუ გარდაქმნას ვაპირებთ, უნდა გარდავქმნათ ჩვენი დამოკიდებულებაც გაზეთისადმი“ (უავტორო, „პრესის პრესტიჟულობისათვის“, „ქფ“, 06.07.1988).

კატეგორიაში „ზ“ ჯგუფდება, ასევე უამრავი, სხვადასხვა მცირე თემა და სტატია, რომელთა ინიციაციას გარე ავტორები ახდენენ. პუბლიკაციები ერთიანდება ისეთი რუბრიკებში, როგორებიცაა: „სარედაქციო ფოსტიდან“, „მოსაზრება“, „წერილები რედაქციას“... თემატიკის დიაპაზონი აქაც ფართოა: ბიუროკრატიული აპარატის, ქაღალდომანიის კრიტიკა, საბინაო პრობლემები, სტიქიის შედეგად მიღებული ზარალი, ეკოლოგია, კონფლიქტები, უგზოობა, დემოგრაფია, ქართული ენის სიწმინდე, საინგილო, საუნივერსიტეტო რეფორმების აუცილებლობა. ამასთან, პრობლემათა განხილვის სტილი განსხვავდება მანამდე დამკვიდრებული პრაქტიკისაგან. პრობლემა განიხილება მრავალმხრივი რაკურსით,

ექსპერტების ჩართულობით, ალტერნატიული მოსაზრებებით, გახანგრძლივებული საგაზეთო პოლემიკებით, მხარეებისათვის გამოხატვის თანაბარი შანსის მინიჭებით, უკუკავშირით, რაც კლასიკურად თავისუფალი მედიის დამახასიათებელი ნიშნებია.

**ეკოლოგიის თემატიკაც** გარდაქმნის პირშშოა. სწორედ გამოცხადებული საჯაროობის პერიოდში გახდა შესაძლებელი ღიად საუბარი ამ პრობლემაზე. ყველაზე მეტად აქცენტირებული საკითხი ამ თემატიკაში ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალია. რკინიგზის ეს პროექტი ძალზე რეზონირებული საკითხია ორივე მედიის ფურცლებზე. საუკუნის პროექტად წოდებული, ის გახანგრძლივებული განხილვის საგანია არაერთი წლის მანძილზე, მსგავსი მოცულობითი პრესა არცერთ ეკოლოგიურ საკითხს არ ჰქონია. არგუმენტები მრავალგვარია: საფრთხე არაგვის ხეობისა და ჩეჩენ-ინგუშეთის კულტურული ძეგლებისათვის, დემოგრაფიისათვის, ეკოსისტემისათვის. საკითხის განხილვაში მონაწილეობენ არქიტექტორები, მშენებლობები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, ექსპერტები, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები ((აკაკი ბაქრაძე, „ჩვენ?“, „ლს“, 20.04.1987); (ვახტანგ ლიჩელი, „ერთად განვსაჯოთ“, „ლს“, 27.03.1987); (ელიზბარ ჯაველიძე, „რკინიგზა და არქეოლოგიური ძეგლები“, 05.06.1987); (რევაზ სიგუა, ნიკოლოზ სვანიშვილი, ომარ ქუცნაშვილი, „საუღელტეხილო რკინიგზა – საუკუნის პრობლემა“ „ლს“, 17.04.1987); (ვ. ალექსანდროვი, „შპალგადავლილი ძეგლები“, 25.09.1987); (კობა არაბული, „ქართველ საზოგადოებას – ღია წერილი არაგვის ხეობიდან“, ქფ“, 14.09.1988); (საქინფორმი, „კავკასიონის საუღელტეხილო: შეცდომის უფლება არა გვაქვს“, „ქფ“, 02.08.1988)).

გარდა აღნიშნული საკვანძო საკითხისა, ორივე მედიის ფურცლებზე განიხილება სხვა ტიპის ეკოლოგიური პრობლემატიკაც, რომელიც პირდაპირ არ მიემართება მოცემულ დარგობრივ გაზეთებს და მედიის გასოციალურების, მისი თემატური დიაპაზონის გაფართოების დასტურია ((უჩა შერაზადიშვილი, „რაჭას წასვლა მირჩვენია“, „ლს“, 15.05.1987); (გიორგი ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ლაშა თაბუკაშვილი, კობა იმედაშვილი, „სადაც საქართველოს მკვიდრს უჭირს“, 20.03.1987); (გრიგოლ მარგიანი,

„სვანეთი რომ სვანეთობდეს“, 11.12.1987); (ვახტანგ ჩხუმანი, „არა! ანუ არასპეციალისტის პასუხის პეციალისტთა წერილზე „ვაშენოთ თუ არა ხუდონჰესი?“ „ლს“, 30.12.1988); (უავტორო, „თბილის სწყალი სჭირდება! რას მოგვცემს თრიალეთის წყალსადენი?“ „ლს“, 29.07.1988); (მიხეილ ლოლობერიძე, „ყოველ შემთხვევაში, დღეს არაფერს“, „ლს“ 29.07.1988)).

ეთნიკური საკითხი (ეთნოკონფლიქტები, აფხაზებთან, ოსებთან ურთიერთობის პრობლემატიკა, აზრთა სხვადასხვაობა ე.წ. თურქი მესხების რეპატრიაციაზე, ქართული მიწების მითვისება უცხოტომელთა მიერ) იმ თემათა თანრიგს განეკუთვნება, რომელთა დღის სინათლეზე გამოფენა საჯაროობას უკავშირდება. ამ თემაზე პრაქტიკულად არ იწერებოდა და საკითხი საბოლოოდ მოგვარებულად ითვლებოდა, ვიდრე საზოგადო მოღვაწეებმა ღიად არ დაიწყეს პრობლემის განხილვა. აღნიშნული თემატიკა იმიჯნება როგორც კატეგორიაში „ვ“, ასევე კატეგორიაში „ზ“: „ერთა შორის ურთიერთობის საბოლოოდ მოგვარებულად მიჩნევა და შელამაზებულ ფერებში ხატვა რომ სინამდვილეს არ ასახავდა, ეს დღევანდელმა საჯაროობამ გამოააშკარავა“ (მანანა გიგინეიშვილი, გურამ გეგეშიძე, ვახტანგ როდონაია, „ზღვარი“, „ლს“, 04.11.1988); „მე პირადად მგონია, რომ შემოჰკრა სიმართლის ზარმა, და თუ გვინდა, რომ ვიყოთ მომსწრენი სამართლიანი საზოგადოებისა, ყველამ მხარი უნდა დავუჭიროთ გარდაქმნის კურსს... გარდაქმნის დროს საინტერესოდ დგება ეროვნული საკითხი“ (რეზო ჩხეიძე, „სიმართლე“, „ქფ“, 15.06.1988); „მატერიალისტურ-ათესიტურმა სახელმწიფომ მხოლოდ სრული ეკონომიკური კატასტროფის პირისპირ მდგარმა აღიარა ძალზე მტკივნეული „რევოლუციურ გარდაქმნათა“ აუცილებლობა“ (თედო პაატაშვილი, „სტუმარ-მასპინძლის წესი“, „ლს“, 16.06.1989); „პერესტროიკა“ არც „პერეკროიკა“ და არც გადანაწილ-გადმონაწილება სხვისი მიწისა და მამულისა“ (ამირან გომართელი, „...ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“, 03.10.1989); „დღეს გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში საშუალება მოგვეცა მოურიდებლად, საქვეყნოდ ვილაპარაკოთ ერისთვის მტკივნეულ საკითხებზე“ (ოთარ ფაცაცია, „რა გავაკეთეთ, რა უნდა გავაკეთოთ“, „ლს“, 25.08.1989).

ეთნოპრობლემატიკასთან დაკავშირებული პუბლიკაციები ინტენსიური 1988 წლიდან ხდება ორივე მედიის ფურცლებზე. ე.წ. თურქი მესხების რეპატრაციის საკითხი უმეტესად ნეგატიურ ჭრილში განიხილება ((მერაბ ბერიძე, „მაჰმადიანები ტომით ქართველნი“, „ლს“, 25.03.1988); (გიორგი მარჯანიშვილი, „მონანიება მონანიებად უნდა იქცეს“, „ქვ“, 03.05.1989); (ალექსანდრე მახარაძე, „მწარე ნაყოფი აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გამო“, „ქვ“, 26.07.1989); (უავტორო, „თურქი მესხების“ შესახებ“ (ინტერვიუ გიორგი ხაინდრავასთან), „ქვ“, 16.08.1989); (ლევან ჭილაშვილი, „ისევ საინგილოს შესახებ“, „ლს“, 13.01.1989); (მედეა კახიძე, „სოფლის სახელით“, „ლს“ 31.03.1989); (ჯუმბერ თითმერია, დავით ბიწაძე, „როცა დუმილი ოქრო არ არის“, „ლს“, 19.05.1989); (ავტორთა ჯგუფი, „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა...“, „ლს“, 19.05.1989); (ვაჟა გუჯაბიძე, „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“, „ლს“, 13.01.1989); (გივი ბოსტოლანაშვილი, „სამუხის ველი შველას ითხოვს“, „ლს“, 21.07.1989); (ზვიად გამსახურდია, „საქართველოს ყოფნა-არყოფნა – შობადობის პრობლემა“, „ლს“, 08.06.1990); (ნოდარ გრიგალაშვილი, „დიდება მოთმინებასა ჩვენსა...“ 13.04.1990).

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მე-2 ფაქტორში სახეზეა სწორედ პრესის სოციალური თეორიის თამაშის წესების დამკვიდრების ნიშნები. ამკარაა ცენზურის როლის შესუსტება/უგულებელყოფა, თემატიკის დივერსიფიცირება მანამდე აკრძალული თემების ხარჯზე, ასევე – უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის კრიტიკა – მანამდე გაუგონარი რამ. მითითებული თემატიკის გააქტიურება უმეტესად ე.წ. განვითარებული გარდაქმნის ეტაპს (1988 – 1990) უკავშირდება. პუბლიკაციები გაერთიანებულია რუბრიკებში, რომელთა გაჩენა გარდაქმნას უკავშირდება და რომლებიც გამოცხადებული საჯაროობის პროდუქტად შეიძლება ჩაითვალოს. პუბლიკაციათა თემატური დივერსიფიცირების დიაპაზონი ძალზე ფართოა: 1-ლი რესპუბლიკა, 30-იანი წლების რეპრესიები, აკრძალული/ემიგრანტული ინტელექტუალური მემკვიდრეობა, მიწების მიტაცება, ერთა თვითგამორკვევა, რუსეთის იმპერიული ზრახვები, საბჭოთა ტოპონიმიკისა და სიმბოლიკის შეცვლის აუცილებლობა, ეროვნულ-



განმათავისუფლებელი მოძრაობა და დამოუკიდებლობის იდეის რეალიზაცია, მიწების მიტაცება, ეკოლოგია, დემოგრაფია, სარწმუნოება, სტალინი და სტალინიზმი. აღნიშნული პერიოდი ხასიათდება ავტორთა მნიშვნელოვანი დივერსიფიცირებითაც – გარე ავტორების ჩართვითა და მკითხველის, როგორც ავტორისა და აქტიური კომუნიკატორის მნიშვნელოვანი გააქტიურებით.

### **7.1.3. ფაქტორი 3: ინტერაქცია//მოლოდინების გადანაცვლება და ჩანაცვლება**

შინაარსობრივი კატეგორიების ფაქტორული ანალიზისას ფრეიმი – „გარდაქმნა და მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ჯგუფისათვის“ – ცალკე ფაქტორად (ფაქტორი 3 (კატეგორია „ე“)) ჩამოყალიბდა. საყურადღებოა ფაქტორის მდგენელის დინამიკა, რომელიც კლებადია საკვლევი პერიოდის წლების მიხედვით.

**ცხრილი N34. ფაქტორ N3-ში გაერთიანებული შინაარსობრივი კატეგორიების მოცულობის დინამიკა – „ე“ – გარდაქმნა – მისი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტის ან ჯგუფისთვის**

1985	1986	1987	1988	1989	1990	ჯამი
8	0	69 (29+40)	46 (6+40)	15 (7+8)	12 (8+4)	150

\* *შენიშვნა:* ცხრილში N34 ფრჩხილებში მოცემული სიდიდეებიდან პირველი წარმოადგენს მასალას „ლიტერატურული საქართველოდან“, მეორე – „ქართული ფილმიდან“.

ფაქტორი 3-ის მოცულობა მეორე საკვლევ წყაროში („ქართული ფილმი“) სჭარბობს პირველ საკვლევ წყაროს („ლიტერატურული საქართველო“). ეს შეიძლება აიხსნას როგორც ზოგადი, ისე – კონკრეტული მიზეზებით.

ზოგადი მიზეზი: როდესაც გარდაქმნის დეკლარირება მოხდა, კარგა ხანს ის აღიქმებოდა, როგორც პარტიის მორიგი ნომინალური დოქტრინა.

მედია პერიფერიაზე მოლოდინის რეჟიმში იყო და ცენტრის აქტიურობას ადევნებდა თვალს. ამიტომაც 1985-86 წლების ქართულ მედიაში გარდაქმნის შესახებ და მისგან გამომდინარე, ბევრი არაფერი ქვეყნდებოდა. სწორედ ამით აიხსნება საკვლევი მასალის „სიცარიელე“ 1985-86 წლების პერიოდში. 1987-88 წლები ე.წ. სიჩქარის აკრეფის პერიოდია, ლოდინის რეჟიმმა გადაიარა, მედია დარწმუნდა, რომ შესაძლებელია შედარებითი თავისუფლება და ხარზად დაეწაფა სიახლეს, „გარდაქმნის“ სახელითა და მოტივაციით ცდილობდა აეხსნა ყველა შესაძლო მეტამორფოზა საზოგადოებაში და ამ პროცესების ასახვა გაზეთების ფურცლებზე. ე.წ. გარდაქმნის პიკის (1989) გადავლის შემდეგ მედია იწყებს მუშაობას ჩვეულ რიტმსა და რეჟიმში – ტაბუირებული აღარაფერია, საჯაროობა ნორმა ხდება, მიზანი მიღწეულია, გარდასაქმნელი გარდაიქმნა ან გარდაქმნის პროცესშია და შესაბამისად, გარდაქმნისადმი, როგორც ინსტრუმენტისადმი ინტერესი კლებულობს. ეს ეხება ზოგადად, ქართულ მედიას და არა მხოლოდ კონკრეტულ საკვლევ მოცულობასა და კონკრეტულ ფრეიმს.

შემოქმედებითი ინტელიგენციის (ლიტერატორების, კინომოღვაწეების) ლოდინის პოლიტიკაც იგივე მოტივით შეიძლება აიხსნას. დასაწყისში გარდაქმნას გაზეთის ფურცლებზე მარტივად უხდიან ხარკს – ქვეყნდება სავალდებულო პარტიული დოკუმენტები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, უშუალოდ არცკი მიემართება ლიტერატურასა და კინოსაქმეს. შემდეგ კი (1987) ნათელი ხდება, რომ გარდაქმნა შეიძლება გახდეს სერიოზული ინსტრუმენტარიუმი შემოქმედებითი ინტელიგენციის ხელში. ამიტომაც სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ გარდაქმნაზე მწერლები, კრიტიკოსები, რეჟისორები და კინომცოდნეები, საუბრობენ იმაზე, რომ გარდაქმნის საჭიროება დიდი ხანია იდგა და ეს გააქტიურებული შესაძლებლობა ახალ სივრცეს უხსნის შემოქმედებით ინტელიგენციას – სადღაც, ზევით, შესმენილია ქვედა ფენიდან წასული შეტყობინება და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პასუხიც კი არის მოსალოდნელი. ამიტომაც, ფაქტორ 3-ს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ **ინტერაქცია** – პარტია შემოქმედებით ინტელიგენციას უგზავნის შეტყობინებას გარდაქმნის შესახებ, ჩვენ ის გვესმის, ვაღიარებთ მას, ვხედავთ საკუთარი

თვალთახედვით და გიდასტურებთ მზაობასა და ჩართულობას პროცესებში, ეს არის შანსი კომუნიკაციის ასაწყობად, გამართულად სამუშაოდ. გარდაქმნის მეორე ეტაპზე ინტერაქცია ხდება ძალზე დინამიური და მას მოაქვს მოლოდინების ჩანაცვლება.

ფრეიმით გაერთიანებული პუბლიკაციების უმეტესობა პოზიტიური შეფერილობისაა. გარდაქმნის დადებითი შეფასება უფრო პირველ ეტაპზე სჭარბობდა. დადებითი შეფასებების უმეტესობა ფიქსირდება პოზიტიური მოლოდინის ხარჯზე და არა, როგორც შემდგარი ფაქტი: იქნება! უნდა! საჭიროა! მოხდება! შეტყობინების არსია – ყველაფერი კარგად იქნება, თუ გარდაქმნა განხორციელდება. გარდაქმნა, როგორც პოზიტიური შედეგი მყოფობს მომავალში, მას შემდეგ, რაც აწმყოში გამალებული ღონისძიებები მიმდინარეობს მის აღსასრულებლად.

ამ ფრეიმში სამი თემატური ქვეკატეგორია გამოიკვეთა: **ლიტერატურისა და კინოს გარდაქმნისა უცილებლობა, კინოწარმოების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა, კინოფილმი „მონანიება“**. ლიტერატურისა და კინოს გარდაქმნის, ლიტერატორებისა და კინომოდვაწეების სულიერი განწმენდის აბსტრაქტული მოვლენის მიღმა ორი უკანასკნელი კატეგორია მეტი კონკრეტულობით გამოირჩევა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გარდაქმნის საბოლოო მიზანი ამგვარად ფორმულირდა: „ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარის ღრმა განახლება; ჩვენი წყობილების ჰუმანისტური ხასიათის რაც შეიძლება სრულად გამოვლენა; გარდაქმნამ სიკეთე უნდა მოიტანოს: ჩვენი დღევანდელი საზოგადოება გარდაქმნაზე ფიქრით ცხოვრობს“ (უავტორო, „რთული სულიერი ცხოვრება“, „ლს“, 20.02.1987).

ფრეიმ „3-ში“ გაერთიანებულ ტექსტებში ხშირია ფატიკური კომუნიკაცია ან მისი მცდელობა პარტიასა და შემოქმედებით ინტელიგენციას, პარტიასა და საზოგადოებას შორის, განსაკუთრებით – პირველ ქვეკატეგორიაში – ლიტერატურისა და კინოს გარდაქმნის აუცილებლობა. ფრეიმ „3-ში“ დაჯგუფებული ამ ტიპის პუბლიკაციების უმეტესობა აბსტრაგირებულია, მოკლებულია კონკრეტულ შინაარსსა და ფაქტობრივ მასალას. ხდება ენის ფატიკური ფუნქციის მაქსიმალური

ექსპლოატაცია. საკომუნიკაციო დერეფანი კი ყოველთვის ღიაა, როგორც საშუალება პარტიის წიაღში დასაბრუნებლად შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის: „ჩვენ მხურვალედ ვიწონებთ პარტიის გეზს – სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გეზს, რომელიც აისახა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტში... ახლა კიდევ უფრო აქტიური მოქმედების დრო დადგა“ (უავტორო, „საქართველოს მწერალთა კავშირში“, „ლს“, 20.12.1985); „კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! შექმენით რევოლუციური ცვლილებების, გარდაქმნის პათოსის შესატყვისი ნაწარმოებები! აქტიურად შეუწყვეთ ხელი საზოგადოების სულიერ გამდიდრებას!“ („სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან“, „ქვ“, 04.11.1987); „გარდაქმნა და საჯაროობა გულისხმობს ტალანტების ღია შეჯიბრს ადმინისტრაციულ, საწარმოო თუ ხელოვნების სფეროში... ჩვენი ქვეყანა განუხრელად განაგრძობს დემოკრატიისა და საჯაროობის განვითარებას ყველა სფეროში ხელოვნების ჩათვლით (ევეგენი ევტუშენკო, „უფლება მრავალმნიშვნელოვნებისა“, „ლს“, 09.01.1987); „გარდაქმნა-განახლების პროცესი დაიწყო და მას შეუნელებელი გაგრძელება სჭირდება... ჩვენი დღევანდელი ყრილობა თავისი გარდაქმნილი შემოქმედებითი სულისკვეთებით უერთდება ჩვენი სამშობლოს ტიტანური ძალით განახლება-გარდაქმნისაკენ დაძრულ ცხოვრებას, რომელიც სკკპ XXVII ყრილობაზე დაისახა“ (გიგა ლორთქიფანიძე, „საქართველოს თეატრალური საზოგადოების X ყრილობა“, „ლს“, 30.01.1987); „დემოკრატიზაცია გარდაქმნის გადამწყვეტი პირობაა“ (ჯანსუღ ჩარკვიანი, „მეტი სოციალიზმი, მეტი დემოკრატია“, „ლს“, 17.07.1987); „თანამედროვე საბჭოთა კინო დგას სრულიად ახალ რელსებზე, იგი ასახავს თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე ძირფესვიანი გარდაქმნის პროცესებს, იგრძნობა გასული წლების კრიტიკული ანალიზისაკენ მიდრეკილება“ (ხათუნა თოფურია, „ლონდონის ექო“, „ქვ“, 18.11.1987); კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პარტიული ორგანიზაცია, მთელი კოლექტივი ერთსულოვნად უჭერს მხარს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს რესპუბლიკისათვის

სასიცოცხლო მნიშვნელობის გარდატეხების განხორციელებაში, რომელიც დასახულია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამით“ (უავტორო, „კინოსტუდიის ღია პარტიულ კრებაზე“, „ქვ“, 09.12.1987).

ისმის მოწოდებები პარტიის მოთხოვნათა შესატყვისი პროფესიული მობილიზაციისათვის: „საბჭოთა საზოგადოება დიდი გარდაქმნების წინაშეა. ამ გარდაქმნებს ადამიანი განახორციელებს“ (გივი ვარდოსანიძე, „თავისუფალი შრომის ადამიანი“, „ლს“, 06.12.1985); „ამ დიადი გარდაქმნების და ძვრების პერიოდში სრულიად განსაკუთრებული და გამორჩეული როლი აკისრია ქართულ მწერლობას“ (ზაურ კალანდია, „ფიქრები ლიტერატურულ ცხოვრებაზე“, „ლს“, 31.07.1987); „ჩვენს ქვეყანაში ახლა საჯაროობის, დემოკრატიზაციისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამალგების პერიოდია. გარდაქმნა, რა თქმა უნდა, ეხება, ჩვენი კულტურის ყველა სფეროს და მათ შორის, თეატრალურ ხელოვნებასაც. ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრება უნდა გარდაიქმნას ისე, რომ ქართულ თეატრში უდიდესი ხვედრითი წილი ჰქონდეს ქართულ დრამატურგიას“ (უავტორო, „თეატრი და დრამატურგია“, „ლს“, 26.06.1987); „უკეთესია მოხდეს ეკრანზე გმირების თანდათანობით გარდაქმნა. აუცილებელია ეროვნული ხასიათის შენარჩუნება“ (უავტორო, „სადადგმო პროექტის დაცვაზე“, „ქვ“, 23.03.1988).

ქართველი პროზაიკოსები აღნიშნავენ მეტამორფოზის სირთულეს, „გარდაქმნის“ მათეული შინაარსი გაცილებით ღრმაა, მეტია, ვიდრე პარტიის მოწოდება: „გარდაქმნის ფორმულა რთული ფორმულაა, იგი ადამიანის სულიერ სამყაროს ეხება, მის აზროვნებას, მის რწმენას, ქცევას, განცდას, ადამიანის ადამიანთან, აგრეთვე, საქმესთან დამოკიდებულებას და ამიტომ ძნელი დასაძლევია... გარდაქმნა საფუძველშივე მოითხოვს ყოველი ჩვენთაგანის, სულიერ განწმენდას. ახლა გარდაქმნა უნდა დაიწყოს არა სხვისგან, არამედ შენგან“ (არჩილ სულაკაური, „ზნეობრივი გარდაქმნის ფორმულა“, „ლს“, 01.05.1987); „გარდაქმნის პროცესში მთავარია, კვლავაც თავი არ მოვიტყუოთ (აკაკი ვასაძე, „ღირსებისა და სიმართლის გზით“, „ლს“ 22.06.1987); „გარდაქმნა, დემოკრატიზაცია, საჯაროობა ყოველმა ჩვენთაგანმა ჩვენივე სახლიდან უნდა დავიწყოთ (ჯემალ ქირია, „როცა მატარებელი უკვე

დაძრულია“, „ლს“, 03.07.1987); „მე, როგორც მწერალს, მემამყება, რომ ქართული მწერლობა წელში გამართული შეხვდა ამ გარდაქმნებს... გარდაქმნა და დაჩქარება აცუნდრუკებას და ატაცებას როდი ნიშნავს“ (გურამ ფანჯიკიძე, „გოლი სასტვენის შემდეგ“ „ლს“, 24.07.1987); „დღევანდელი ჩვენი მწერლობის ნაკლოვანებებზე საჯარო მსჯელობა საჭიროც არის და აუცილებელიც... გარდაქმნის იმპულსი უნდა მოვიძიოთ არა მარტო ჩვენს გარეთ, არამედ ჩვენში“ (ზურაბ ჭავჭავაძე, „რას ვაკეთებთ?! რას ვმვრებიტ?!“, „ლს“, 11.09.1987); „დღეს ჩვენ გარდაქმნათა ეპოქაში ვცხოვრობთ... ძალზე ტევადი სიტყვაა გარდაქმნა, მას ჩვენი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა უკავშირდება“ (ტარიელ კვანჭილაშვილი, „მხოლოდ სიმართლე“, „ლს“, 13.03.1987); „ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დიდი რევოლუციური გარდაქმნები, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს სრულყოფა, დემოკრატია, საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა ყოველდღიურად უფრო და უფრო მკვეთრ გამოხატულებას პოულობს „ქართული ფილმის“ მთელ კოლექტივში“ („ქართული ფილმის“ რედაქცია, „კინოსტუდიის სამხატვრო საბჭოს სხდომაზე“, „ქგ“, 03.06.1987). „გარდაქმნის პირობებში ჩვენი წარმოება შემოქმედების უკიდვანო სივრცეების დასალაშქრად გამიზნულ იმ ხომალდს ემსგავსება, რომელიც ისე უნდა იყოს ნაგები, რომ მისი მექანიზმის ყველა კვანძი და შემადგენელი ნაწილი პასუხობდეს კანონს: „არაფერი ზედმეტი, ყველაფერი აუცილებელი“ (უავტორო, „წინადადება, მოსაზრება“, „ქგ“, 05.08.1987); „კინოსტუდია „ქართულ ფილმში,“ ისე როგორც მთელ ქვეყანაში, რესპუბლიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და სულიერ სფეროში არსებობს ძირფესვიანი გარდაქმნისადმი ღრმა დაინტერესება“ (უავტორო, „სიახლე, ინიციატივა“, „ქგ“, 09.04.1987); „გარდაქმნამ ერთი უჩვეულო სიტუაცია წარმოქმნა: გეუბნებიან – წარმოადგინეთ თემები, ჩანაფიქრები, აკეთეთ, დადგით, რაც გსურთ. ამ დროს კი ყველა როდია მზად თავისუფალი არჩევანისთვის... ვერავითარი წარმოების გარდაქმნა ვერ მოგვცემს ეფექტს, თუ არ გარდაიქმნება ხელოვანის აზროვნება, თუ ის ვერ მოძებნის ჩვენი დროით შობილ ახალ თემებს“ (თამაზ გიორგაძე, „გარდაქმნა: კინოსტუდიები და მათი პრობლემები“, „ქგ“, 15.07.1987); „მეტად ეფექტური გზით სარგებლობდა

ჩვენი პარტია, როცა ქვეყანა გარდაქმნის გზაზე დააყენა“ (მერაბ სარალიძე, „ვინ გინდათ იყოს თქვენ დირექტორი?“, „ქვ“, 27.07.1988); გარდაქმნა გარდაქმნისთვის კი არა, საბოლოო შედეგისთვისაა“ (დიანა გრიშინი, ზაირა თოფურია, „მართონი სტარტზევე რომ არ წავაგოთ“ , „ქვ“, 07.09.1988); „სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის 70 წლის მანძილზე გარდაქმნისა და საჯაროობის დროს, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა საზოგადოებას, ქართველ კინემატოგრაფისტებსაც პირველად მიეცათ მოვლენათა შესახებ განსხვავებული აზრის გაცნობის საშუალება“ (უავტორო, „წარსულის ერთი ფურცელი“, „ქვ“, 01.03.1988).

მოხმობილი მაგალითები ცხადყოფს, რომ გარდაქმნის მნიშვნელობის განცდა კონკრეტული სოციალური, ამ შემთხვევაში პროფესიული ჯგუფისთვის (ლიტერატორები, კინომოღვაწეები) აბსტრაქტული და ამორფულია, თუმცა აღიარებულია, როგორც აუცილებელი და გარდაუვალი.

გაცილებით კონკრეტულია ამ ფრეიმში დაჯგუფებული კიდეც ერთი ქვეკატეგორია – **სამეურნეო ანგარიშგება**. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ გარდაქმნა მხოლოდ არამატერიალური ღირებულება არ არის, შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის დღის წესრიგში დადგა საკუთარი პროდუქციის გაყიდვით თავის რჩენის საკითხი: „მაღე ჩვენი ქვეყნის ყველა სტუდია გადავა სრულ სამეურნეო ანგარიშზე ანუ თვითდაფინანსების სისტემაზე“ (გიზო გაბესკირია, „წინადადება, მოსაზრება“, „ქვ“, 29.07.1987); „გარდაქმნის გარშემო აზრთა ნამდვილი კორიანტელია, ასეა თუ ისე, ჩვენი ეკონომიკა მართლაც რომ გლობალური ცვლილებების წინაშე დგას. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ურთულესი ამოცანების გადაჭრა მოგვიხდება, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე ძნელი, ალბათ, ჩვენი რესპუბლიკის კინემატოგრაფიის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა იქნება“ (ვალერიან კვაჭაძე, „წინადადება, მოსაზრება – საჭიროა თუ არა კიდეც ერთი – მესამე გაერთიანება?“, „ქვ“, 12.08.1987); „კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საქმიანობაში დადგა ე.წ. გარდამავალი პერიოდი – სტუდია უნდა გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე. უნდა გარდაიქმნას მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსური მდგომარეობა, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა“ (უავტორო, „პარტიული ცხოვრება“, „ქვ“, 21.10.1987);

სამეურნო ანგარიშზე კინოწარმოების გადასვლას, როგორც გარდაქმნის სიახლეს, დიდი ყურადღება ეთმობა გაზეთ „ქართული ფილმის“ ფურცლებზე. კინომოდერნიზაციები ერთგვარი შფოთვით მოელიან გარდაქმნის ამ კომპონენტის აღსრულება-განხორციელებას. სამეურნო ანგარიში არის გარდაქმნის მატერიალური შედეგი და მიზანი: „გარდაქმნის ძირითადი მიზანი მაინც ის არის, რომ კეთდებოდეს კარგი ფილმები. სხვა აზრი აქ არ არის. ის, რომ რამდენიმე კარგი ფილმი ზურგით ათრევს საშუალო და სუსტი ფილმების გარკვეულ ნაწილს, სამეურნო ანგარიშზე გადასვლისას სრულიად გამოირიცხება“ (ჯ. კერესელიძე, „კინოსტუდიის პარტიულ კომიტეტში“, „ქვ“, 15.07.1987); „[სამონტაჟო] საამქროს ყველა მუშაკმა ახლებურად უნდა შეხედოს გარდაქმნას, არ დაუშვას წუნი და საკუთარი მიზეზით საქმის დაგვიანება“ (უავტორო, „დროის მოთხოვნების შესაბამისად“ „ქვ“, 18.03.1987); „მეურნეობის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, აუცილებელია ჩატარდეს კადრების ატესტაცია. ატესტაციის მაღალ დონეზე ჩატარება იქნება უმნიშვნელოვანესი პირობა გარდაქმნის დიდი საქმის გასაკეთებლად“ (უავტორო, „აქტუალური ინტერვიუ“, „ქვ“, 22.07.1987); „კინოწარმოებისა და კინოგაქირავების გარდაქმნის გარეშე კინოხელოვნებაში არაფრის შეცვლა არ შეიძლება. შემუშავებულია ახალი მოდელი, რომლის მთავარი აზრია კინოსტუდიის სამეურნო ანგარიშზე, შემოქმედებითი და ორგანიზაციული დამოუკიდებლობის პრინციპზე გადასვლა, რაც საბოლოოდ 1989 წლის 1 იანვრიდან მოხდება“ (ე. კლიმოვი, „ხვალინდელი დღის კინო“, „ქვ“, 23.12.1987); „მოდის სამეურნო ანგარიშზე გადასვლის პერიოდი, რომლის შესახებ, ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა. ახლა სახელმწიფო გვაძლევს ყველაფერს, მერე როგორ ვირჩინოთ თავი?“ (თ. ბაბლუანი, „კინოსტუდიის პარტიულ-სამეურნო აქტივის კრებაზე“, „ქვ“, 08.07.1987); „ახალ რელსებზე გადასვლა უნდა იყოს მკაცრად დიფერენცირებული... თუ სრული სამეურნო ანგარიშის პირობებში, ე.ი. დოტაციების გარეშე, კავშირის მაყურებელი ისევე ეპიზოდურად ნახავს ქართულ ფილმს, როგორც ახლა, ჩვენ ელემენტარულად შევწყვეტთ არსებობას... სამეურნო ანგარიში რომ რეალობად იქცეს, ძირეულად უნდა შეიცვალოს კინოგაქირავების მუშაობა... ჩვენი საზოგადოების



დემოკრატიზაცია, საჯაროობა და გარდაქმნა, რომლებმაც ცხოვრების ყველა სფერო მოიცვეს, ჩვენი მუშაობის საიმედო ორიენტირი გახდა. გვჯერა, რომ ქართული კინემატოგრაფია იპოვის ოპტიმალურ გზას სამეურნეო ანგარიშის ახალი მეთოდისაკენ“ (ლ. გაგუა, „სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის წინა დღეს“, „ქვ“, 27.04.1988); „სამეურნეო ანგარიშზე გადავალთ მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მივიღებთ იმის ნამდვილ საფასურს, რასაც გავყიდით“ (უავტორო, „საუბარი საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანთან, ელდარ შენგელიასთან“, „ქვ“, 14.12.1988); „საქართველოს კინოსტუდიები, ისევე როგორც სხვა მცირერიცხოვანი რესპუბლიკების კინოსტუდიები, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის საწყის ეტაპზე უნდა სარგებლობდნენ სახელმწიფო დოტაციით“ (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივი, „მე-19 საკავშირო პარტიულ კონფერენციას! ასლი – სსრკ სახკინოკომიტეტს – ა. ი. კამშალოვს“, „ქვ“, 29.06.1988); „როგორც ჩანს, გარდაქმნის სიო თანდათანობით ყველაფერს ეხება... სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ არაერთი პრობლემა წარმოქმნა“ (უავტორო, „აქტუალური ინტერვიუ“, „ქვ“, 08.03.1988); „ჩვენს ქვეყანაში თანდათან ძლიერდება და კონკრეტული ხდება კინოსაქმის გარდაქმნის ტემპი... ცხადია, რომ საზოგადოებრივი ნდობის მნიშვნელოვანი კრედიტი, რაც კინომატოგრაფისტებმა მიიღეს, პირველ რიგში მოითხოვს აქტიურ მონაწილეობას რევოლუციურ გარდაქმნებში, რაც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა... ბევრი შორს მიმავალი გეგმა, რაც გარდაქმნის დროს აისახა, მხარდაჭერის ღირსი ბევრი მნიშვნელოვანი განზრახვა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ნათელ, დასამახსოვრებელ, ძლიერ მხატვრულ ნაწარმოებად“ (ალექსანდრე კამშალოვი, „დამოუკიდებლობა ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა“, „ქვ“, 27.04.1988).

ფრეიმში „3“ თემატურ ქვეკატეგორიად დაჯგუფდა საბჭოთა კლასიკოსის, თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიებასთან“ დაკავშირებული პუბლიკაციებიც. „მონანიება“ შეფასებულია, როგორც გარდამტეხი მომენტი, როგორც შემობრუნების წერტილი დოგმატური ერთფეროვნების წინააღმდეგ, როგორც დასტური ცვლილებებისადმი მზაობისა და თანხმობისა, როგორც პერესტროიკის ჰიპოსტასი. ეს პოზიცია ფიქსირდება არაერთ ორიგინალურ და ნათარგმნ პუბლიკაციაში ორივე საკვლევ წყაროში

და ზოგადად, სოვიეტოლოგებისა და პერესტროიკის მკვლევართა პოზიციაც ამ თემისადმი ერთგვაროვანია – ის დეკლარირებული გარდაქმნის უცილობელ პროდუქტადაა მიჩნეული, როგორც განსხვავებული საჯაროობა, როგორც ცენზურის მიღმიერი ხელოვნება. მაგალითად: „ამ ფილმის [„მონანიების“] ეკრანზე გამოსვლა მოწმობს ადამიანებისადმი ნდობას, ადამიანის პოლიტიკურად სულიერ სიმწიფეს, მის შესაძლებლობას აღიაროს სიმართლე და ხელი შეუწყოს მის დამკვიდრებას“ (უავტორო, „იგავი და სიმართლე“, „ქვ“, 04.02.1987); „საჯაროობის დადგომის პერიოდში სულ უფრო მეტი საბჭოელი რეჟისორი პოულობს თავის ხმას, ხოლო ხმასთან ერთად – საკუთარ თვალებს, ყურებს და ბოლოს – თავისთავს“ (უავტორო, „აშშ-ის „ნიუს უიკი“ „მონანიებაზე“, „ქვ“, 07.09.1988); „თქვენი ფილმი „მონანიება“ გახდა დაწყებული გარდაქმნის ერთ-ერთი პირველი ნიშანი, როცა ბევრს მისი შეუქცევადობის დაჯერებისაც კი ეშინოდა“ (ედუარდ შევარდნაძე, „აღიარება//ძვირფასო თენგიზ ევგენის ძევი“, „ქვ“, 27.04.1988); „მე არ ვიდგებოდი თქვენს წინაშე, რომ არა გარდაქმნა, საჯაროობის ახალი პოლიტიკა და ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაცია“ (თენგიზ აბულაძე, „სიტყვა, თქმული ლენინური პრემიის გადაცემისას“, „ქვ“, 25.05.1988); „დემოკრატიზაციის, გარდაქმნის პროცესი ღრმა პროცესია არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ადამიანების ფსიქოლოგიაში; ეს კი, ჩვენგან, თვითულისაგან მოითხოვს მოთმინებას და ერთმანეთის მიმართ ნაზ, ფაქიზ დამოკიდებულებას“ (თენგიზ აბულაძე, „ეს სიხარული, მღელვარება, სიამაყე, ეკუთვნის ყველას“, „ქვ“, 04.05.1988); „ეს ფილმი [„მონანიება“] პირველი მერცხალია იმ რევოლუციური ცხოვრებისა, რომელსაც ვუწოდებთ გარდაქმნა, იგულისხმება დემოკრატიზაცია, ე.ი. ადამიანი დღეს ლაპარაკობს იმას, რასაც ფიქრობს, ეს სულის, სიტყვის თავისუფლებაა, და არა, უბრალოდ, მექანიკური ბრძანებების შესრულება“ (ნანა ლომიძე, „ასე ერთხმად და ასე ერთბაშად“, „ქვ“, 04.05.1988).

თუ „მონანიების“ განხორციელება განიხილება გარდაქმნის დასტურად პროფესიულ საქმიანობაში, კონკრეტულად კი კინოსაქმეში, „ქართული ფილმი“, როგორც „მონანიების“ ადგილწარმოშობის კინოსტუდია, განიხილება ადგილად, სადაც შესაძლებელია შემოქმედებითი

აზრის სრულფასოვნად განხორციელება: „კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ერთადერთი კინოსტუდიაა, რომელიც გარდაქმნილი შეხვდა გარდაქმნას“ (უავტორო, „დისკუსია გრძელდება“, „ქვ“, 06.04.1988); გარდაქმნა იმით დავიწყეთ, რომ ეკრანზე გამოვუშვით წარსული წლების არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები“ (თამაზ ებანოძე, „მაძიებელი კინოსთვის“, „ქვ“, 06.07.1988); „მონანიება“ სწორედ იმ იდეებს ქადაგებს, რაც ჩვენი საზოგადოების გაწმენდას და გარდაქმნას ეხება“ (ნატო ციციშვილი „კინოკრიტიკა კინოს სინდისია?“ „ლს“ 03.07.1987).

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრეიმ „სამში“ დაფიქსირებული სამი ქვეკატეგორიიდან პირველი – **ლიტერატურისა და კინოს გარდაქმნის აუცილებლობა** – აბსტრაგირებულია, მოკლებულია კონკრეტულობას. მეორე და მესამე ქვეკატეგორია კი კონკრეტულია, კონკრეტულ პრობლემატიკას მიემართება. ამასათან, აბსტრაგირებულიდან კონკრეტულისაკენ მოძრაობასთან ერთად, ხდება მოლოდინების ჩანაცვლება/გადაადგილება. კლებულობს გარდაქმნით „აღფრთოვანება“ და დამოკიდებულება უფრო მიწიერი, პრაგმატული ხდება.

ქვეკატეგორიები ლაგდება ლოგიკური დროითი ჩარჩოს მიხედვით/თანმიმდევრობით. პარადიგმა ასეთია: 1. ხელოვანმა იცის, რომ მეტამორფოზა აუცილებელია და გრძნობს ამას კარგა ხანია. მაგრამ რეცეპტი ამისათვის არ არსებობს. პარტია მხოლოდ მოგიწოდებს და არ გთავაზობს გზამკვლევს. 2. მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ინტუიციასა და ოსტატობაზე დაყრდნობით გზა გაიკვლია – გადაღებული იქნა ფილმი „მონანიება“, რომელიც ნებსით თუ უნებლიედ შეიქნა ინსპირაცია უდიდესი ცვლილებებისათვის – გამოცხადდა ცვლილებები (ზოგადი მიზნებით – საყოველთაო მეტამორფოზა შემოქმედებაში); 3. დაიწყო კონკრეტული ცვლილებების განხორციელება (კონკრეტული მიზანი – სამეურნეო ანგარიში), რომელმაც გამოკვეთა საზომი ერთეული მხატვრული ნაწარმოებისათვის – გაყიდვადობა. ეს სამი მომენტი ქმნის მთლიან ფრეიმს, კონკრეტული სოციალური/პროფესიული ჯგუფისათვის მნიშვნელობის მქონე შინაარსს.

## 7.2. ჟანრობრივი კატეგორიები

ჟანრობრივი კატეგორიების სიმრავლეში პირველ ადგილებს იკავებს სტატია/ნარკვევი, შემდეგ კი მოდის ისეთი დიალოგური ჟანრები, როგორებიცაა: ინტერვიუ, მონოლოგი, ანკეტა. ანალიტიკური სტატიების ხვედრითი წილი ძირითადად, მოდის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოზე“ და ეს განპირობებულია შედარებითი თავისუფლების პირობებში გამოქვეყნებული ისეთი პუბლიკაციებით, რომლებიც საბჭოთა პერიოდში აკრძალული ავტორებისა და ისტორიის ხელახალი წაკითხვის მცდელობას უკავშირდება. მანამდე ეს ნიშა სრულიად აუთვისებელი იყო. რაც შეეხება დიალოგური ჟანრების მომრავლებას, ეს არის გააქტიურებული კომუნიკაციის, შეცვლილი სარედაქციო პოლიტიკისა და მკითხველის მზარდი ინტერესის შედეგი არა მხოლოდ მოვლენისადმი, არამედ ადამიანის, როგორც ინფორმაციის ცოცხალი წყაროსადმი.

წლების მიხედვით აღრიცხული ჟანრობრივი კატეგორიების ფაქტორული ანალიზი განხორციელდა. 8 დებულებაზე ჩატარდა principal component analysis (PCA) ორთოგონალური როტაციული მატრიცით (varimax). კაიზერის კრიტერიუმის მიხედვით ფაქტორების ჯგუფები არ გამოვლენილა, შესაბამისად, ამ ანალიზის თანახმად შვიდივე დებულება ერთ ფაქტორს წარმოადგენს.

ჟანრობრივი კატეგორიების სიხშირეების საშუალო მაჩვენებლები წლების მიხედვით ასე განაწილდა:

- საინფორმაციო შენიშვნა – 14.29;
- ნარკვევი//სტატია – 101.43;
- ღია წერილი – 15.71;
- წერილი რედაქციას/რეპლიკა/გამოხმაურება/მოსაზრება – 22.86;
- საგაზეთო პოლემიკა – 11.14;
- ედიტორიალი/სარედაქციო სტატია/მოწინავე – 2.29;
- ინტერვიუ/ანკეტა/მონოლოგი – 44.57;
- სხვა – 28.29;
- ჯამი – 250.57.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჟანრობრივი კატეგორიების მონაცემები წლების მიხედვით, სადაც შედის საშუალო, მოდა, მედიანა, სტანდარტული გადახრა, მინიმუმი და მაქსიმუმი.

ცხრილი N35 – საშუალო, მოდა, მედიანა (4)

	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა	მინიმუმი	მაქსიმუმი
<u>საინფორმაციო</u>	14.29	10.00	1	16.968	1	50
<u>შენიშვნა</u>						
<u>ნარკვევი/სტატია</u>	101.43	78.00	4 <sup>a</sup>	117.476	4	355
<u>ღია წერილი</u>	15.71	11.00	0	19.602	0	55
<u>წერილი რედაქციას/რეპლიკა/გამოხმაურება/მოსაზრება</u>	22.86	17.00	0 <sup>a</sup>	27.407	0	80
<u>საგაზეთო პოლემიკა</u>	11.14	9.00	0	13.234	0	39
<u>ედიტორიალი/სარედაქციო სტატია/მოწინავე</u>	2.29	2.00	0 <sup>a</sup>	2.752	0	8
<u>ინტერვიუ/ანკეტა/მონოლოგი</u>	44.57	36.00	3 <sup>a</sup>	51.613	3	156
<u>სხვა</u>	28.29	20.00	11	32.242	5	99
<u>ჯამი</u>	250.57	190.00	20 <sup>a</sup>	278.265	20	842

წლების მიხედვით აღრიცხული ჟანრობრივი კატეგორიების ფაქტორული ანალიზი განხორციელდა. 8 დებულებაზე

ჩატარდა principal component analysis (PCA) ორთოგონალური როტაციული მატრიცით (varimax). ორ კომპონენტს ჰქონდა კაიზერის კრიტერიუმ 1-ზე მაღალი მაჩვენებელი, შესაბამისად, გამოყავით ორი ფაქტორი.

## ცხრილი N36. როტაციული კომპონენტების მატრიცა (3)

	კომპონენტები	
	1	2
<u>საინფორმაციო შენიშვნა</u>	.511	.860
<u>ნარკვევი/სტატია</u>	.895	-.447
<u>ღია წერილი</u>	.826	.563
<u>წერილი რედაქციას/რეპლიკა/ გამოხმაურება/მოსაზრება</u>	.984	-.179
<u>საგაზეთო პოლემიკა</u>	.837	-.548
<u>ედიტორიალი/სარედაქციო სტატია/მოწინავე</u>	.990	-.143
<u>ინტერვიუ/ანკეტა/მონოლოგი</u>	.959	.283

შესაბამისად, ფაქტორები შემდეგი სახით დაჯგუფდა:

## ცხრილი N37. ჟანრობრივი ფაქტორები წლების მიხედვით

ფაქტორი 1	ფაქტორი 2
<ul style="list-style-type: none"> <li>• ედიტორიალი/სარედაქციო სტატია/მოწინავე/ნარკვევი/სტატია</li> <li>• ღია წერილი</li> <li>• წერილი რედაქციას/რეპლიკა/გამოხმაურება/მოსაზრება</li> <li>• საგაზეთო პოლემიკა/ინტერვიუ/ანკეტა/მონოლოგი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საინფორმაციო შენიშვნა</li> </ul>

ჟანრობრივი კატეგორიების სიხშირეების საშუალო მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

- საინფორმაციო შენიშვნა – 33.3;
- ნარკვევი/სტატია – 236;
- ღია წერილი – 36.67;
- წერილი რედაქციას/რეპლიკა/გამოხმაურება/მოსაზრება – 53.33;
- საგაზეთო პოლემიკა – 26.67;
- ედიტორიალი/სარედაქციო სტატია/მოწინავე – 5.33;
- ინტერვიუ/ანკეტა/მონოლოგი – 104;
- სხვა – 66;
- ჯამი – 561.33.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჟანრობრივი კატეგორიების მონაცემები წლების მიხედვით, სადაც შედის საშუალო, მოდა, მედიანა, სტანდარტული გადახრა, მინიმუმი და მაქსიმუმი.

ცხრილი N38. საშუალო, მოდა, მედიანა (5)

	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა	მინიმუმი	მაქსიმუმი
<u>საინფორმაციო შენიშვნა</u>	33.33	39.00	11 <sup>a</sup>	20.108	11	50
<u>ნარკვევი/სტატია</u>	236.00	268.00	86 <sup>a</sup>	136.836	86	354
<u>ღია წერილი</u>	36.67	33.00	22 <sup>a</sup>	16.803	22	55
<u>წერილი რედაქციას/რეპლიკა/გამოხმაურება/მოსაზრება</u>	53.33	51.00	29 <sup>a</sup>	25.580	29	80
<u>საგაზეთო პოლემიკა</u>	26.67	33.00	7 <sup>a</sup>	17.388	7	40
<u>ედიტორიული/სარედაქციო სტატია/მოწინავე</u>	5.33	5.00	3 <sup>a</sup>	2.517	3	8
<u>ინტერვიუ/ანკეტა/მონოლოგი</u>	104.00	79.00	77 <sup>a</sup>	45.044	77	156
<b>სხვა</b>	66.00	52.00	47 <sup>a</sup>	28.688	47	99
<b>ჯამი</b>	561.33	519.00	323 <sup>a</sup>	262.077	323	842

ცხრილი N39. აქტუალიზებული ჟანრების დინამიკა

გაზეთი	„ქართული ფილმი“			„ლიტერატურული საქართველო“		
	ღია წ./ /მიმართვა	ინტ./ მონოლოგი ი/ ანკეტა	წერ.რედ.	ღია წ./ /მიმართვა	ინტ./ მონოლოგი /ანკეტა	წერ.რედ.
1985	0	0	0	0	14	1
1986	0	0	0	0	42	0
1987	3	69	7	2	28	82
1988	14	42	15	11	40	109
1989	21	52	17	49	39	124
1990	20	20	15	38	42	125
<b>ჯამი</b>	<b>58</b>	<b>193</b>	<b>54</b>	<b>100</b>	<b>205</b>	<b>441</b>

### 7.2.1. ჟანრობრივი მეტამორფოზა

საჯაროობამ რიგითი მკითხველისათვის შესაძლებელი გახადა არა უბრალოდ სათქმელის თქმა, არამედ სათქმელის მიტანა ადრესატამდე და უკუკავშირი. განცდამ, რომ სათქმელი შესმენილი იქნება, ძალზე გაააქტიურა. ამის გამო გაჩნდა აზრებისა და პოზიციების გაცვლა-გაზიარების მანამდე არნახული მოთხოვნილება. კომუნიკაციის ეს პროცესი შესაბამისად აისახა სარედაქციო ფოსტაზეც და დიალოგური ჟანრების ინტენსიურობაზეც. გაზეთები გაცილებით მეტ სივრცეს უთმობენ დიალოგურ ჟანრებს: ინტერვიუს, ანკეტას, მრგვალ მაგიდას, დიალოგსა და მონოლოგს. 1988 წლიდან მატულობს, ასევე, მიმართვების, წერილებისა და ღია წერილების რაოდენობა.

კომუნიკაცია, როგორც ორმხრივი პროცესი, გააქტიურდა მასში მკითხველის აქტიური ჩართულობით. მკითხველი გახდა არა მხოლოდ რეციპიენტი კომუნიკაციის პროცესში, არამედ თავად შეიქნა ინფორმაციის წყარო და საინფორმაციო საბაზი. დაირღვა ტრადიციული საბჭოთა საგაზეთო კომუნიკაციის ე.წ. ვერტიკალური მოდელის პრაქტიკა, როდესაც ინფორმაცია ძირითადად მიედინებოდა მხოლოდ ერთ არხში, ერთი მიმართულებით.

დიალოგიური ჟანრების გააქტიურება, ასევე, ინდივიდუალური და კოლექტიური წერილები, გამოხმაურებები, მიმართვები, საგაზეთო პოლემიკები და რეპლიკები და ე.წ. პასუხის პასუხები გააქტიურებული კომუნიკაციის საზომად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი გააქტიურებული კომუნიკაციის მეშვეობით ხდებოდა ფართო, მანამდე ტაბუდადებული ცოდნის გადაცემა საზოგადოებისათვის.

ინფორმაცია თოვლის გუნდის პრინციპით განაგრძობს ფორმირებას მხარეთა ჩართულობით ფაქტი, შეფასება, გამოხმაურება, პასუხი, პოლემიკა, პასუხის პასუხი. გაზეთი ახდენს არა მარტო მკითხველის ინფორმირებას, არამედ აიძულებს მას ჩაერთოს პროცესში – ინფორმაცია მოძრაობს, მიმოივლება. ადამიანთა და ინსტიტუციათა შორის დიალოგი მედიის მეშვეობით (მესამე პირის დასწრების ეფექტი) ნორმა გახდა.



დიალოგური ჟანრების ხვედრითი წილის ზრდა ადასტურებს, რომ ფართოვდება მკითხველისა და გაზეთის კომუნიკაციის მოცულობა, საკომუნიკაციო არხში „მომრაობა“ დატვირთული ხდება. დისკურსი ხდება მრავალპლანიანი და მრავალასპექტიანი.

### 7.3. რუბრიკები

ორივე გაზეთი შესაბამისი რუბრიკებით გამოეხმაურა გარდაქმნის დეკლარირებას. თუმცა, „ქართული ფილმი“ „ლიტერატურული საქართველოსაგან“ განსხვავებით, რუბრიკათა დიდი მრავალფეროვნებით თავიდანვე არ გამოირჩეოდა. 1989 წლიდან რუბრიკათა რაოდენობა ორივე გაზეთში მცირდება და/ან ჩანაცვლდება, ხოლო 1990 წლისათვის „ლიტერატურულ საქართველოში“ ნახევრდება, ქართულ ფილმში კი – თითქმის ქრება. ორივე გაზეთში ტრადიციული თემატური მოცემულობა ფართოვდება, გაზეთები იტოვებენ დარგობრივ ფუნქციას, მაგრამ იმატებენ ასევე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პლატფორმის, პლურალისტური ტრიბუნის ატრიბუტს. ინფორმაციის მოცულობის მასშტაბები 1989 წლიდან იმდენად გაიზარდა და იმდენად მრავალფეროვანი გახდა, რომ მისი მოწესრიგება-დალაგება-ადგილის მიჩენის აუცილებლობა აღარ დგას. სავარაუდოდ, სწორედ ამით აიხსნება რუბრიკათა რაოდენობის შემცირება როგორც „ქართული ფილმის“, ისე „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე 1989-90 წლებში, განსაკუთრებით – 1990 წელს. 1987-88 წლებში წარმოშობილმა ახალმა რუბრიკებმა „საქმე შეასრულა“, 1990 წლისათვის კი, თემატიკა იმდენად დივერსიფიცირებული და გასულია დარგობრივი გაზეთის მოცემულობიდან, რომ პუბლიკაციათა სისტემატიზაცია რთულდება და აზრს კარგავს, ამიტომაც აქცენტი გაკეთდა შინაარსზე, განსხვავებული აზრის ხილვაზე და არა ჟურნალისტურ ხერხებსა და საგაზეთო გაფორმების დახვეწილობაზე. რუბრიკათა რაოდენობის შემცირება გაზეთების მნიშვნელოვანი თემატური დივერსიფიცირების არაპირდაპირი მტკიცებულებაა.

## ცხრილი N40. რუბრიკების დინამიკა „ქართულ ფილმში“

წელი	1987	1988	1989	1990
რუბრიკები	25	23	14	4

## ცხრილი N41. რუბრიკების დინამიკა „ლიტერატურულ საქართველოში“

წელი	1985	1986	1987	1988	1989	1990
რუბრიკები	79	73	75	59	58	54

1989 წლიდან ტექსტების შინაარსი, ხასიათი და კომპოზიცია განლაგების ფორმალური, ტექნიკური საგაზეთო წესრიგის მიღმა გავიდა და გახდა ყველანაირი. სტატია აღარ საჭიროებს ნიშას და შესაბამისად, ნებისმიერ ადგილას, „თაროს“ მითითების გარეშე შეიძლება მოთავსდეს ისეთ შემოუსაზღვრელ სივრცეში, როგორცაა უბრალოდ, „სათქმელის თქმა“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთრივ ლექსმა „გარდაქმნა“ გარდაქმნის მთელი პერიოდის მანძილზე „ლიტერატურული საქართველოს“ ერთადერთ რუბრიკაში ფიქსირდება – „გარდაქმნის პრობლემები“. „ლიტერატურული საქართველო“ უშვებს თეზას/იდეას გარდაქმნის პრობლემურობის შესახებ. „პრობლემის“, როგორც სიგნიფიკატის ნეგატიური სემანტიკა, ინფორმაციული ასპექტი არის არათუ მინიშნება, არამედ ღია მითითება, რომ გარდაქმნა საჭირობოროტია, მტკივნეულად მიდის, რომ მას თან ახლავს რიგი მოუგვარებელი და გადასაჭრელი საკითხებისა.

„ქართულ ფილმში“ კი „გარდაქმნასთან“ დაკავშირებული რუბრიკების შინაარსი შედარებით ნეიტრალური შეფერილობისაა („გარდაქმნის კურსით“, „გარდაქმნა“, „გარდაქმნის წინა ხაზზე“).

გარდაქმნასთან ერთად წარმოშობილი ახალი რუბრიკები მკითხველს სთავაზობენ ყველაფერს ახალს, მათ შორის – კარგად დავიწყებულ ძველს, მანამდე აკრძალულს, კრიტიკულს. გარდა ამისა, გარდაქმნის პერიოდში

წარმოიშვა თემატური რუბრიკები, როგორც გარდაქმნის საგაზეთო პროდუქტი, როგორც საჯაროობის, ღიაობის მტკიცებულება და რომლებიც უშუალოდ არ მიემართება გარდაქმნის კონცეპტს. ასეთებია: აკრძალული, ემიგრანტი ავტორების შემოქმედებისა და ბიოგრაფიის, ისტორიის რევიზიისა და ნეგატიური ამბის გასაჯაროების განმაზოგადებელი თემების ქოლგა-რუბრიკები, თემები ლიტერატურისა და კულტურის მიღმა.

ორი წლის მანძილზე, 1987-89 წლებში რედაქცია მიზანმიმართულად აცნობდა მკითხველებს ე.წ. აკრძალულ ავტორებსა და მათ შემოქმედებას, ამ ხნის მანძილზე ტაბუირებული ავტორების ნუსხა ორივე გაზეთმა ძირითადად ამოიწურა.

გარდაქმნის სახელით გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული აკრძალული ავტორების გამოქვეყნების პასუხისმგებლობას სარედაქციო მენეჯმენტი ხშირად საკუთარ თავზე იღებდა და ცენზურას ეურჩებოდა. ელიზბარ ჯაველიძე, „ლიტერატურული საქართველოს“ იმჟამინდელი რედაქტორი იხსენებს: „ცენზურის გამო გრიგოლ რობაქიძეს ვერ ვბეჭდავდით. ვითომ, ჰიტლერის მიმართ სიმპათიას გამოხატავდაო. ცეკას მდივანს, ჯუმბერ პატიაშვილს ვეუბნებოდი, რუსებმა ყველა ავტორი გამოაქვეყნეს, ყველას აპატიეს, ჩვენც ვცადოთ, უნდა დავბეჭდო რობაქიძე-მეთქი. დავურეკავ ინაურსო [ალექსი ინაური, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე 1954-86 წლებში], არ გინდათ-მეთქი. ინაური როგორ დაგვრთავდა ნებას! ჩემს თავზე ვიღებ-მეთქი. ავაწყვეთ ტექსტი, მოვამზადეთ ნომერი. პირველი საათია დაწყებული, ვსხედვართ რედაქციაში, ველოდებით მთავლიტის ვიზას. გაჩერდა გაზეთი, მთავლიტი არ აწერდა ხელს. ვახტანგ როდონაიამ [რედაქტორის მოადგილე] – ჩვენ თვითონ მოვაწეროთო! საკუთარ თავზე ავიღეთ, ავდექით და გავუშვით გაზეთი ბეჭდვაზე. 1987 წელი იყო. ის ღამე თეთრად გავათენეთ მე და ვახტანგ როდონაიამ სიხარულისაგან“<sup>32</sup>.

<sup>32</sup> ნაწყვეტი სტრუქტურირებული ინტერვიუდან კვლევის თვისებრივი ნაწილისათვის.

## თავი 8. კვლევის თვისებრივი ნაწილი

### 8.1. თვისებრივი კვლევის სტატისტიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. ქვეთავი „კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი“), კვლევის თვისებრივი ნაწილისათვის შედგა ინტერვიუ დარგის რვა ექსპერტთან. ინტერვიუები დამუშავდა შესაბამისი პროტოკოლით.

#### ცხრილი N42. ინტერვიუების სქემატირება

კითხვა/რესპონდენტი	N1	N2	N3	N4	N5	N6	N7	N8
1. პარტიის ცენტრალური ორგანოების მიერ გარდაქმნისა და საჯაროობის დეკლარირება როგორა ისახა მედიის მუშაობაზე ა. – 1985-86 წლებში? ბ. – მოგვიანებით?	ა. შენელდა პარტიის გავლენა  ბ. პარტიის გავლენა სწრაფად მცირდება.	ტელევიზიაში ცვლილებები გარდაქმნის დეკლარირებამდე დაიწყო	ა. გ-ს დეკლარირებამდე მედიაში საჯაროობა უკვე იყო ბ. მედია უფრო მეტად ღია გახდა 1988 წლიდან.	ა. დასაწყისში ვითარება უცვლელი იყო.  ბ. 9 აპრილის შემდეგ დაიწყო გარდაქმნა.	ცვლილებები თვალსაჩინო გახდა 1987 წლიდან.	ა. პირველად სიტუაცია თვითდინები თ მიდიოდა ბ.ცვლილებები თვალსაჩინო გახდა 88-დან.	წყალგამყოფი გახდა თენგიზ აბულაძის ტრილოგიის დასრულება.	ა.ცვლილებები უცხად არ მომხდარა.  ბ. ცვლილებები თვალსაჩინო გახდა 9 აპრილის შემდეგ.

<b>2. აისახა თუ არა მედიის ტირაჟზე (გადაცემების მოსმენადობასა და ყურებაზე) გამოცხადებული გარდაქმნისა და საჯაროობის შედეგად მიღებული თვისებრივი ცვლილებები?</b> <b>ა. – 1985-86 წლებში?</b> <b>ბ. – მოგვიანებით?</b>	ა. არა.	დასაწყისში – ნაკლებად.	ა. არც იმდენად.	ა.არა.	ა.85-86 წლებში „ლ/ს-ს“ ტირაჟი იყო 28 000.		ა.არა.	1985-86 წლებში ტირაჟები იგივე იყო.
	ბ. ოფიციალური გამოცემების ტირაჟმა იკლო, რადგან პარტიის გავლენა შესუსტდა.	ბ. 9 აპრილის შემდეგი ინტერესი მედიისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა.	ბ. გაზეთებზე მოთხოვნა გაიზარდა, მოხდა – ტირაჟების რყევა.	ბ.მედიისადმი ინტერესი გაიზარდა 87-88 წლიდან.	ბ. ტირაჟი გაიზარდა 375 ათასამდე.	ბ.ოფიციალური გამოცემების ტირაჟი შემცირდა, გაიზარდა ახალი გამოცემების ტირაჟი და რადიოს მოსმენადობა.	ბ. „ქვ-ის“ ტირაჟი 150 000-ზე ავიდა.	გაიზარდა ახალი გამოცემების ტირაჟები.
<b>3. მოჰყვა თუ არა რაიმე მითითება 1985 წლის აპრილის პლენუმს მედიისათვის?</b>  <b>ა. – 1985-86 წლებში?</b> <b>არა</b> <b>ბ. – მოგვიანებით?</b>	ა. არა	ა. არა	ა. არა, პროცესები სპონტანურად განვითარდა	ა. არა	ა. არა	არანაირი	არა	არა
	ბ. არა	ბ. არა	ბ. არა, მედია თავად ირეგულირებდა თავს	ბ. არა,	ბ. არა	არანაირი	არა	არა

<p><b>3. როგორ შეაფასებდით 1985-1990 წლების დინამიკას საჯაროობის რაკურსით?</b></p>	<p>უფრო მეტი საჯაროობა 1988 წლის ბოლოსთვის დაიწყო.</p>	<p>ტელევიზია იმთავითვე საჯაროობის ავანგარდში იდგა.</p>	<p>მედიამ თავად დაიწყო გათავისუფლება უკვე 80-იანების დასაწყისში – ნ.</p>	<p>საჯაროობის წინაპირობები დაფიქსირდა 80-იანი წლების დასაწყისში – „მონანიების“ გადაღება, სრული საჯაროობა დადგა 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ</p>	<p>დაიწყო აკრძალული ავტორების გამოქვეყნება, 1990 წლისათვის ტაბუდადებული თემები აღარ არსებობდა. პარტიის ცეკაშიც იყვნენ ღიაობის მოსურნენი.</p>	<p>1986 წლიდან გაზეთებს ველარავინ იმორჩილებდა.</p>	<p>ყველაფერი ცალკეულ მამაც ადამიანებზე იყო დამოკიდებული.</p>	<p>1985-86 წლებში სიტუაცია გაზოგადიანდაც ეთებისათვის უკვე გალაღებულ იყო. 89-დან კი სრული თავისუფლება.</p>
<p><b>5. როგორ შეაფასებდით მთავლიტის/ცენზურის მუშაობას?</b>  <b>ა. – 1985-86 წლებში?</b>  <b>ბ. – მოგვიანებით?</b></p>	<p>ა. ცენზურა უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა სამხედრო თემებს.           ბ. დაიშვა რეპრესიების თემის გაშუქება.</p>	<p>ა. რედაქტორი იღებდა პასუხისმგებლობას.           ბ. არ ერეოდა</p>	<p>ა. არ ერეოდა           ბ. არ ერეოდა</p>	<p>ა. მთავლიტმა ტელევიზიას უჩივლა დაუმორჩილებლობისათვის.          ბ. 89 წლიდან მთავლიტი აღარ ერეოდა</p>	<p>ა. მინიმალურად ერეოდა.           ბ. არ ერეოდა</p>	<p>ა. არა           ბ. არ ერეოდა</p>	<p>ა. თავიდან დიდი წინააღმდეგობები გვქონდა ცენზორებთან, შინაგანად მხარს გვიჭერდნენ. ბ. აღარ ერეოდნენ.</p>	<p>ა. ჟურნალისტები ამას ვერ ვგრძობდით.           ბ. არ იყო საგრძნობი.</p>

6. 1985-90 წლების პერიოდში როდის გახდა მედიის შინაარსის ცვლილება შესამჩნევი?	1989	1989	შინაარსის ცვლილება შესამჩნევი გახდა უფრო 1989-90 წლებში	1989 წლიდან	1989 წლიდან	1986 წლიდან	1988-დან – ვაქევენები თ ყველაფერს, რასაც კი ჩავთვლიდი თ საჭიროდ.	1989 წლიდან
7. რა იყო ის განტაბუებული თემები გარდაქმნის პერიოდში: ა) 1918-21 წლების საქართველო, ბ) 30-იანი წლების რეპრესიები, გ) სტალინიზმი/ დესტალინიზაცია, დ) ემიგრანტული ლიტერატურა, ე) ე.წ. ცუდი ამბები; ვ) თვითგამორკვევა და დამოუკიდებლობა, ზ) ეკოლოგია, თ) ხელისუფლების კრიტიკა, ი) სხვა.	ა) 1918-21 წლების საქართველო. ბ) 30-იანი წლების რეპრესიები,	ტაბუ აღარ არსებობდა.	დესტალინიზაცია, რეპრესიები, ოფიციალური ისტორიების განსხვავებული ვერსიები	ყველა თემა გაიხსნა	ტაბუ აღარ არსებობდა.	ტაბუ აღარ არსებობდა.	ყველა თემა შუქდებოდა.	ტაბუ აღარ არსებობდა.

8. რა დარჩა ისევ ტაბუირებულიად?	პარტიის როლი და პოლიტიკა	არაფერი	ხელისუფლების კრიტიკა	არაფერი	პრაქტიკულად არაფერი	არაფერი	არაფერი	ყველაფერზე შეიძლება ღიად.
9. რომელი თემები იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს?	ცვლილებები პარტიის ხელმძღვანელობაში, გორბაჩოვის მოსვლა, ჩერნობილის ავარია.	ნარკომანია, დავით გარეჯი, ქართული ენის სწიმიანდის საკითხი.	საიდუმლო მასალების გასაჯაროება. სტერეოტიპების რღვევა. ღია პოლემიკები.	ნარკომანია, პროსტიტუცია, მიწის მიტაცება, დამოუკიდებლობა.	ტრანსკავკასიური მაგისტრალი, ეკოლოგია, მიწების დატაცება.	ყველაფერი, რაც მანამდე აკრძალული იყო, სტალინი.	ე.წ. თურქი მესხების საკითხი, დისიდენტური მოძრაობა.	ყველაფერი, რაც მანამდე აკრძალული იყო, მაგალითად, სტალინის თემა.
10. როგორ შეაფასებდით 1985-90 წლების პერიოდს მედიისათვის: გამოიკვეთა თუ არა ახალი როლი და ფუნქცია?	მედიისათვის გაიხსნა ახალი შესაძლებლობები.	ტელევიზიამ და რადიომ გარდაქმნა ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო.	საჯაროობა და თავისუფლება იყო ბიძგი მედიისთვის, რომ ორიენტირებ მოეხდინა ახალი ეპოქის სტანდარტებზე.	ვითარება მთლიანად ამოყირავდა. საზოგადოებამ დაიწყო ხელისუფლების კონტროლი მედიით.	9 აპრილმა ადამიანებში გარდატეხა მოახდინა. სამშობლო უწმინდესი გახდა. ეს რწმენა ყველაში გაჩნდა.	ხელისუფლების კრიტიკა შესაძლებელი შეიქნა მამაცი ადამიანების ხელში.	ცეკამ, პარტიულმა ხელმძღვანელობამ დაიწყო გაზეთის მხარდაჭერა. შეზღუდვა არ არსებობდა.	80-იანი წლების ბოლოსათვის მწელი იყო გარკვევა, სად და როგორ გამოგვეკვეთა საკუთარი ჟურნალისტური როლი და ფუნქცია.



<p><b>10. რა თვისებრივი ცვლილებები მოუტანა მედიას საჯაროობამ/გარდაქმნამ ?</b></p>	<p>მედია გახდა საინტერესო, ზეპარტიული.</p>	<p>დაიწყო ახალი გადაცემები, რომლებშიც ხელისუფლების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას, მათ აკრიტიკებდნენ.</p>	<p>მედიაში შესაძლებელი გახდა ნებისმიერი აზრის დაფიქსირება . პლურალიზმი.</p>	<p>შესაძლებელი გახდა კრიტიკა, როგორც საზოგადოების კონტროლის საშუალება ხელისუფლებაზე.</p>	<p>9 აპრილმა ადამიანებში გარდატეხა მოახდინა. სამშობლოსათვის სიკვდილი გახდა შესაძლებელი. ეს რწმენა ყველაში გაჩნდა.</p>	<p>შიშის ფაქტორი ნაკლები იყო, მაგრამ მუხრუჭის შეგრძნება ყველას ჰქონდა.</p>	<p>რეჟიმის დანატოვარი იგრძნობოდა, მაგრამ დაიწყო დისიდენტების გამოქვეყნება.</p>	<p>მწელი იყო გარკვევა და საკუთარი ადგილის პოვნა.</p>
<p><b>12. როგორ აისახა საჯაროობა-გარდაქმნა საგაზეთო თემების დივერსიფიცირებაზე?</b></p>	<p>გაზეთი გახდა უფრო საინტერესო საკითხავი, ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში.</p>	<p>ყველა ტაბუ აიხსნა.</p>	<p>გაზეთი გაიხსნა პიკანტური თემებისათვის.</p>	<p>აღარ არსებობდა ტაბუდადებული თემები.</p>	<p>ყველა ტაბუ აიხსნა.</p>	<p>აღარ არსებობდა აკრძალული თემები.</p>	<p>„ქვ“ გავიდა პროფესიული ჩარჩოდან და იქცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთად.</p>	<p>გარდაქმნის მეორე ეტაპზე აქტუალური გახდა ახალი ცხოვრება და საქართველოს მოწყობის საკითხი.</p>
<p><b>13. რომელ კონკრეტულ კაზუსს გაიხსენებდით ჟურნალისტური პრაქტიკიდან?</b></p>								

<p><b>14. როგორ შეაფასებდით ზოგადად 1985-90 წლების პერიოდს მედიის განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით?</b></p>	<p>გაჩნდა ახალი გაზეთები, ძალიან გამოიკვეთა 1918-21 წლების თემები</p>	<p>ტელევიზიის მუშაობაში ვერავინ ერეოდა</p>	<p>საჯაროობა და თავისუფლებ ა იყო ბიძგი მედიისთვისა ხალი ეპოქის სტანდარტებზე ორიენტირება ა მოეხდინა...</p>	<p>სრული საჯაროობა დადგა 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. ყველაზე დემოკრატიული პერიოდია 9 აპრილიდან 1990 წლის ნოემბრამდე.</p>	<p>გაზეთს ჰქონდა მაშინ აზრი, რადგან რეაგირება არსებობდა. გაზეთი იყიდებოდა სწრაფად და კარგად და თავისთავს აფინანსებდა.</p>	<p>ეროვნულმა მოძრაობამ კომუნისტური იდეოლოგია დათრგუნა. ეროვნული მოძრაობა ზვავივით დაეცა თავს მედიას.</p>	<p>დავუშვით რეჟიმის მხილება.</p>	<p>ყველანი მივექანებოდით თავისუფლებ ისაკენ, სიტუაცია აირია. დაიწყო დუდილის პროცესი</p>
<p><b>15. მოახდენდით თუ არა რაიმე ტიპის დაყოფას/პერიოდიზაციას 1985-90 წლების ქართული მედიის განვითარებაში?</b></p>	<p>მომზადდა ნიადაგი ეროვნული ხელისუფლების მოსასვლელად,</p>	<p>9 აპრილამდე</p>	<p>9 პრილამდე</p>	<p>9 აპრილის ტრაგედიამდე და შემდეგ.</p>	<p>9 აპრილამდე და შემდეგ.</p>		<p>9 აპრილამდე და 9 აპრილის შემდეგ</p>	<p>9 აპრილამდე</p>
		<p>9 აპრილის შემდეგ</p>	<p>9 აპრილის შემდეგ</p>			<p>9 აპრილამდე და 9 აპრილის შემდეგ.</p>		<p>9 აპრილის შემდეგ</p>

შეკითხვები, რომლებზეც ერთგვაროვანი პასუხები დაფიქსირდა, არის შემდეგი:

**შეკითხვა N3:** ყველა რესპონდენტი შეჯერდა, რომ 1985 წლის აპრილის პლენუმს, სადაც გარდაქმნის დეკლარირება მოხდა, არ მოჰყოლია რაიმე კონკრეტული მითითება ან რეგულაცია მედიისათვის.

**შეკითხვა N5:** ყველა რესპონდენტი შეჯერდა, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევარში ცენზურა/მთავლიტი მედიის მუშაობაში პრაქტიკულად აღარ ერეოდა. მეტი თავისუფლება და პროფესიული დამოუკიდებლობა ფიქსირდებოდა რადიოსა და ტელევიზიაში.

**შეკითხვა N6:** ექვსი რესპონდენტი შეჯერდა, რომ მედიის შინაარსის ცვლილება 1989 წლიდან თვალშისაცემი გახდა.

**შეკითხვა N9: განსაკუთრებული ინტერესის თემები საჯაროობის პირველი ეტაპისათვის:** ნარკომანია, პროსტიტუცია, დავით გარეჯი, ქართული ენის სიწმინდის საკითხი, საიდუმლო მასალების გასაჯაროვება, სტერეოტიპების რღვევა, ღია პოლემიკები, ეროვნული დამოუკიდებლობა, ტრანსკავკასიური მაგისტრალის პროექტი, ეკოლოგია, მიწების დატაცება, სტალინი, საქართველოში ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლების საკითხი, დისიდენტური მოძრაობა, ჩერნობილის კატასტროფა.

**შეკითხვა N12:** 7 რესპონდენტი შეჯერდა, რომ 1989 წლისათვის მედიაში ყველა ტაბუ დაიმსხვრა.

**შეკითხვა N15:** ყველა რესპონდენტი შეჯერდა, რომ საჯაროობა/გარდაქმნა ქართულ მედიასივრცეში იყოფა ორ ეტაპად:

**\* 9 აპრილის ტრაგედიაამდე;**

**\* 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ.**

## ცხრილი N 43. საკვანძო შეტყობინებები ექსპერტთა ნარატივში

რესპონდენტი	საკვანძო შეტყობინება
N1	1985 წლიდან შესუსტდა პარტიის გავლენა. გარდაქმნამ მედიისათვის ახალი შესაძლებლობები გახსნა. მედია გახდა საინტერესო, ზეპარტიული.
N2	9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ აღარაფერი იყო ტაბუდადებული. გარდაქმნა შეიძლება დავყოთ ჩერნობილის კატასტროფამდე და შემდეგ. გარდაქმნა ტელევიზიასა და რადიოში დაიწყო პროგრამა „პიკის საათით“ ჯერ კიდევ 70-იანი წლების ბოლოს.
N3	პარტიის მიერ გარდაქმნისა და საჯაროობის დეკლარირება განწირული სისტემის თვითგადარჩენის უშედეგო მცდელობა იყო. ღია, საჯარო დაპირისპირებები და პოლემიკები ამ პერიოდის მედიის ყველაზე დიდი მონაპოვარია. 9 აპრილი გახდა ზღვარი.
N4	დათბობა შევარდნამის მმართველობის დროს მოხდა ძირითადად, 80-იანიწლების დასაწყისში. საქართველოში გარდაქმნა არ იყო 9 აპრილამდე, მთავარი მოვლენები ცენტრში ვითარდებოდა. 9 აპრილის ტრაგედიიდან 1990 ბოლომდე ყველაზე დემოკრატიული პერიოდი საქართველოს ისტორიაში.
N5	ტაბუდადებული თემები აიხსნა პარტიული ხელმძღვანელობისა და მთავლიტის შინაგანი მხარდაჭერით. 9 აპრილმა ადამიანებში გარდატეხა მოახდინა, სამშობლო უწმინდესი გახდა. „ლიტერატურული საქართველოს“ ძალისხმევით ტრანსკავკასიური მაგისტრალის პროექტი ჩაიშალა.
N6	პარტიული ხელმძღვანელობა გაურკვეველობაში იყო, სიტუაცია მიშვებული იყო თვითდინებაზე. ხელისუფლები სკრიტიკა შესაძლებელი შეიქნა მამაცი ადამიანების ხელში. აკრძალული თემები პრაქტიკულად აღარ იყო 1989 წლისათვის.
N7	თენგიზ აბულაძის ტრილოგია გახდა წყალგამყოფი. თავიდან თბილისში არ იგრძნობოდა პერესტროიკისა და საჯაროობის დეკლარირება, ყველაფერი ადამიანებზე იყო დამოკიდებული.
N8	1985-86 წლებში განსაკუთრებული გარდატეხა არ ყოფილა, გარდატეხა 88-89 წლებში მოხდა. საოცარი თავისუფლება დადგა უკვე 9 აპრილის შემდეგ. რიგითი ჟურნალისტები ცენზურის მუშაობას ვერ გრძნობდნენ.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ: ცენზურა, ე.წ. მთავლიტი უკვე დასუსტებული იყო 80-იანი წლების დასაწყისისათვის. მედიის შინაარსის ცვლილება კი თვალშისაცემი გახდა 1989 წლიდან, კერძოდ, კი 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, რაც დაადასტურა კიდევ კვლევის რაოდენობრივმა მდგენელმა. ამ დროისათვის ყველა მედიატაბუ დაიმსხვრა. რაც შეეხება საჯაროობის ეტაპებად დაყოფას, როგორც „სამეცნიერო ლიტერატურის

მიმოხილვაშიც“ აღვნიშნეთ, საქართველოს მედია სინამდვილეში უნდა განვიხილოთ ორი ეტაპი:

- \* 9 აპრილის ტრაგედიამდე (შედარებითი თავისუფლება);
- \* 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ (სრული თავისუფლება).

## 8.2. განზოგადება კვლევის თვისებრივი ნაწილისათვის

საინტერესოა გამოკითხული რესპონდენტების ინტერპრეტაცია, თუ როგორ დაიწყო გარდაქმნა. სამი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ საჯაროობისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო 70-იანი წლებიდან. სიტუაცია მიედინებოდა კალაპოტში, როდესაც ყველა – ხელმძღვანელობაც და საზოგადოებაც ხვდებოდა, რომ ცვლილებები საჭირო და აუცილებელი იყო. წყალგამყოფად, შემობრუნების ეტაპად სახელდება ისეთი წინარე ფაქტორები და ფაქტები, როგორებიცაა: გადაწყობის/გადასხვაფერების/რეალობის შეცვლის აუცილებლობის განცდა მმართველ ეშელონებსა და ინტელექტუალურ ელიტებში, ასევე, ევროპული ტიპის საინფორმაციო-მუსიკალური რადიოპროგრამა „პიკის საათის“ დაარსება ჯერ კიდევ 70-იანი წლების მიწურულს, ხოლო მოგვიანებით – თენგიზ აბულაძის ფილმის, „მონანიების“ გადაღება (1984). „მონანიებას“ ბევრი დასავლელი სოვიეტოლოგი მიიჩნევს საეტაპო ნაწარმოებად. ცვლილებები კიდევლარირებული გარდაქმნის ფონზე ინტენსიური გახდა 1988 წლიდან (2 რესპონდენტი), რადიკალური ცვლილება დადგა 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ.

### 8.3. გარდაქმნის ადრეული ეტაპი (1985-87 წლები)

ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ 1985 წლის აპრილისა და შემდგომ პლენუმებს, რომლებზეც მოხდა გარდაქმნის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გაფორმება, არ მოჰყოლია რაიმე განსაკუთრებული/კონკრეტული დოკუმენტური მითითებები მედიისათვის. რესპონდენტები, რომლებიც 1980-იან წლებში მედია მენეჯერების პოზიციებზე მუშაობდნენ, აცხადებენ, რომ სახელმძღვანელო დოკუმენტი თავად პლენუმის მასალები იყო და მედია მენეჯერები ადგილზე იღებდნენ გადაწყვეტილებებს სტრატეგიის შემუშავების შესახებ. კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების ძირითადი ნაწილი აცხადებს, რომ 1985-86 წლებში სიტუაცია კვალავაც თვითდინებით მიდიოდა და საჯაროობაზე მოთხოვნამ მედიაში გააქტიურება 1988 წლიდან დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში დაეტყო მედიის შინაარსს ცვლილებები. ტაბუს რღვევის ავანგარდში იდგა „ლიტერატურული საქართველო“, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო პროფესიული საზღვრებიდან გასვლა, თემატური გამრავალფეროვნება, იქცა სამოქალაქო ტრიბუნად. პრაქტიკოსი ჟურნალისტები ხაზს უსვამენ, რომ სწორედ „ლიტერატურული საქართველო“ იყო ის გაზეთი, რომელიც მისაბაძი შეიქნა სხვა მედიაერთეულებისათვის. გარდამტეხი გახდა 9 აპრილის ტრაგედია (1989). საჯაროობის ეტაპების კლასიფიკაციისას ყველარ ესპონდენტი შეჯერდა ერთ პოზიციაზე – 1-ლი ეტაპი 1989 წლამდე; მე-2 ეტაპი – 9 აპრილის ტრაგედიის (1989) შემდეგ. მოსამზადებელი პერიოდი მეორე ეტაპისათვის, შედარებითი დათბობა – 1988 წელი იყო.

ხაზი უნდა გაესვას, რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუები ძალზე საინტერესოა არა მხოლოდ ფაქტობრივი, არამედ – შეფასებითი თვალსაზრისით, როგორც პერსონალურად ინტერპრეტირებული კაზუსების ერთობლიობა, როგორც უახლესი ისტორიის ნაწილი, რომელმაც თვითმხილველის, სუბიექტური ადამიანური ოპერატიული მეხსიერების პრიზმაში გამოიარა.

**რესპონდენტი N2**-ის მონათხრობი ნათლად მეტყველებს, როგორი წინააღმდეგობრივი იყო გარდაქმნისადმი დამოკიდებულება საკუთრივ ხელმძღვანელ ორგანოებში:

„– ვერავინ იტყვის, რომ გარდაქმნა უცებ აისახა საზოგადოებაზე. გარდაქმნის პოზიციები აბსოლუტურად განსხვავებული ჰქონდათ თვით საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პირველ პირებს: გორბაჩოვი, შევარდნაძე, იაკოვლევი, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ – ძირფესვიანი დოქტრინისტები, მეორე ფრთა – კონსერვატორები. იყო დაპირისპირება შიგნით.

საქართველოს ტელევიზიაში ითქვა, რომ ახლა დაგვიდგა კარგი დრო – ეს იყო 1985 წლის მეორე ნახევარი, შემოდგომა. ცეკადან მოვიდა მითითება, გააკეთეთ ისეთი ახალი გეგმები, როგორც მიზანშეწონილად მიგაჩნიათ. გავაკეთეთ! სულ ცოტა ხანში მოვიდა დირექტივა – შეაჩერეთ! ძველებურად გააგრძელეთ! ორ კვირაში ერთხელ დირექტივები იცვლებოდა. ვარდნები ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში დამახასიათებელი იყო.“

**რესპონდენტი N3**-ის მონათხრობი ადასტურებს, რომ გარდაქმნის აუცილებლობას ღიად თუ ფარულად ყველა აღიარებდა, როგორც გამოსავლის ერთადერთობას, როგორც უალტერნატივობას:

“– ქართული საზოგადოება ნაკლები ენთუზიაზმით შეხვდა მოცემული რეფორმების "ზემოდან დაშვებას". 1985-86 წლებში პრაქტიკულად თავად პარტიული ნომენკლატურა დადგა ერთგვარი ამოცანის წინაშე – როგორ განეხორციელებინა დეკლარირებული ამოცანები... მასთან ერთად მედიაც შეეცადა გარკვეული სახეცვლილებისთვის მიემართა, თუმცა უხარისხოდ და ნაჩვევი რიტორიკით... გარდაქმნის პერიოდი, თვითონ ატარებდა დამყოლ პრინციპს (ჩათრევას ჩაყოლა სჯობია) და იგი არათუ განსაზღვრავდა მედიასაშუალებების შემდგომ პოლიტიკას, არამედ თვითონ იყო უკვე მედიასაშუალებებისა და სხვა მასთან დაახლოებული საინფორმაციო ველის შედეგი. გარდაქმნის ეს პოლიტიკა უკვე მომხდარის დეკლარირება იყო... პარტიის მიერ გარდაქმნისა და საჯაროობის დეკლარირება, უკვე

განწირული სისტემის ერთგვარი, თვითგადარჩენის უშედეგო მცდელობა იყო. საჯაროობის პროცესი უკვე სახეზე არსებობდა და მისი უმართაობის აღიარებას სისტემამ მოჩვენებითი რეფორმატორობა არჩია. ამ პერიოდისთვის მედიასივრცე პრაქტიკულად სისტემის ნაწილია და ნაკლებად მოსალოდნელი იყო მისგან რეალური და ხელშესახები ცვლილებები.

ცხადია, არსებობდა რამდენადმე გამორჩეული ცალკეული მედიასაშუალება თუ ინდივიდები, მაგრამ მათი მცდელობა ვერანაირად იქნებოდა საზოგადოებისთვის სარწმუნო, რამდენადაც მან, საზოგადოებამ შესანიშნავად იცოდა მისი, მედიასაშუალებების ენაც, განწყობაც და პოზიციაც.

არც მოგვიანებით მომხდარა ძირეული ცვლილებები. დამოუკიდებელი მედია პრაქტიკულად აღმოცენდა მანამდე სისტემაზე დამოკიდებული მედიის წიაღში და მან არათუ მოიტანა ახალი სიტყვა... უბრალოდ, შეუდგა ახალი ენის, ფორმების, მიწოდების ხერხების შტუდირებას... ნელ-ნელა, ფრთხილი ნაბიჯებით.“

**რესპონდენტი N4**-იც საუბრობს გარდაქმნის დეკლარირების წინა პირობებსა და ცვლილების გარდუვალობაზე, ცალკეული პერსონების როლზე გარდაქმნაში:

“- მთავარი მოვლენები ცენტრში ვითარდებოდა, მოსკოვში, ლენინგრადში. პროვინციებში იყო ჭაობი. მიხეილ გორბაჩოვი წავიდა იმაზე, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა ეგინებინათ. შევარდნაძე ძალიან მოქნილი ადამიანი იყო, მისი ძალისხმევით „მონანიება“ ჩუმად გადაიღეს, ტელევიზიამდ. საჯაროობა საბჭოთა პერიოდში წამოიწყო საქართველოს ტელევიზიამ. ისე მოხდა, რომ მთავლიტმა ტელევიზიას უჩივლა 1984 წელს – ჩვენს მითითებებს არ ემორჩილებიანო, აცხადებდა ცენზორი ემა ქოჩარიანი. დათბობა შევარდნაძის მმართველობის დროს მოხდა ძირითადად, 80-იანი წლების დასაწყისში. შევარდნაძე კი ბევრ რამეს იღებდა საკუთარ თავზე. საჯაროობა მისი ინიციატივა იყო 80-იანი წლების



დასაწყისიდან... გარდაქმნა საქართველოში არ იყო 1989 წლამდე. მისი საფუძვლები შევარდნამემ მოამზადა 1980-85 წლებში.“

**რესპონდენტი N7** ასევე, საეტაპოდ მიიჩნევს თენგიზ აბულაძის ფილმს „მონანიებას“:

“- ყველა ამბობდა, რომ „მონანიებას“ ეკრანზე არ გაუშვებდნენ. ფილმი გაკეთდა ედურად შევარდნაძის თანადგომით – ფინანსური და მორალური მხარდაჭერით. შევარდნაძე პირდაპირ ჩაერია – ფილმი უნდა გასულიყო ეკრანებზე და გავიდა კიდეც. გაბედულება შევარდნაძეს არ აკლდა. ამ ტრილოგიამ ბევრი რამ გააკეთა, ეს იყო წყალგამყოფი.“

**რესპონდენტი N5**-იც ადასტურებს რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის ჩუმ თანხმობასა და სოლიდარობას ცვილებებისადმი:

„ – „ამერიკის ხმის“ ტექსტების გამოქვეყნება დავიწყეთ. მოაზროვნე ხალხი იჯდა ცეკაში, შეიგნეს, რომ არდაბეჭდვა უარესი იქნებოდა. ზვიად გამსახურდიაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ პირველად. ტელეფონი არ ჩერდებოდა რედაქციაში. ცენზურა იყო, ამას ვერ გაეცეოდა კაცი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათი

დავბეჭდეთ – რომელიღაც აქციის ფოტო იყო და აქციის მონაწილეს ხელში ეკავა ქაქუცას დიდი ფოტო. დამიბარეს მთავლიტში, ეს რა გიქნია, ვისი ფოტოაო? როგორ არ ვიცოდი, ვინც იყო, მაგრამ ვუპასუხე: აქციის ფოტო დავბეჭდეთ, და მე რა ვიცი, ვისი ფოტო მოაქვთ-მეთქი. ასეთი ამბებიც ხდებოდა. შეეძლოთ, რომ გავემეტებინეთ, მაგრამ არ გააკეთეს. ტაბუდადებული თემები აიხსნა პარტიული ხელმძღვანელობისა და მთავლიტის შინაგანი მხარდაჭერით. „გაიღვიძე, გრიშა ბიძა, დეპოში ვართ!“ – ეს იყო საოცრად გაბედული წერილი. კომუნისტები მეუბნებოდნენ, უნიჭიერესი კაციაო [თამაზ წივწივაძე], ასეთი აზრები ჰქონდათ. მოსკოვში რა ხდებოდა, რა ზეწოლას განიცდიდნენ, ეს ჩვენთვის უცნობია.“

**რესპონდენტის N6**-ის მონათხრობიც ცხადყოფს, რომ გარდაქმნა სათანადო შეფასებებისა და სტრატეგიების გარეშე დაიწყო:

„– კრემლში კი დაიწყეს რეფორმები, მაგრამ ბერკეტები არ ჰქონდათ. რადიოში შეიცვალა ატრიბუტიკა, მათ შორის – სარეკები. დილის პირველი გადაცემა, რომელიც რუსული იყო, ამოვიღეთ. ეს არავის გაუპროტესტებია და არც შეუმჩნევია. ეს 1988 წელს მოხდა. სარედაქციო თათბირები კი ამ დროისათვის უკვე მხოლოდ პროფესიული ხასიათისა იყო.“

იგივე **რესპონდენტი N6** აცხადებს:

“- რადიო იყო ოაზისი იმ პერიოდში. შიშის ფაქტორი ნაკლები იყო, მაგრამ მუხრუჭის შეგრძნება ყველას ჰქონდა. ხელისუფლების კრიტიკა შესაძლებელი შეიქნა მამაცი ადამიანები ხელში. ცვლილებები უკავშირდებოდა პარტიული ლიდერების პირად ინიციატივას. ცეკაში არავინ იყო მედიის წინააღმდეგ მიმართული... პროცესი 1989 წლამდე ბუნებრივად მიედინებოდა, ზემოდან, პარტიული ორგანოებიდან ზეწოლა არ იყო. შემდეგ ეროვნული მოძრაობა გააქტიურდა. დაიწყო ეროვნული მოძრაობის კრიტიკაც. საზოგადოების ნაწილს ეშინოდა ეროვნული მოძრაობის“.

**რესპონდენტი N8** მიიჩნევს, რომ „1985-86 წელი – ამ პერიოდში განსაკუთრებული გარდატეხა არ ყოფილა, თუმცა 1985 წლისათვის სიტუაცია უკვე გალალეებული იყო ზოგადად“.

ეს გარდაქმნის ადრეული ეტაპის შეფასებისას თვისებრივი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის აზრია.

#### 8.4. 9 აპრილის ტრაგედია – გარდაქმნის მეორე ეტაპი

რესპონდენტთა ნარატივში 9 აპრილის ტრაგედიას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. როგორც ცნობილია, ოფიციალური პროპაგანდისტული მანქანა ცდილობდა წარმოეჩინა სურათი ისე, თითქოს მსხვერპლი 9 აპრილის ღამის აქციაზე მომიტინგეების ჭყლეტამ გამოიწვია. ოფიციალური უარყოფდა ასევე, სპეცრაზმის მიერ მომწამვლელი აირის გაშვებას. სწორედ მედიის, ჟურნალისტების პროფესიულმა ბრძოლამ შეიტანა უმნიშვნელოვანესი წვლილი 9 აპრილის ტრაგედიის ობიექტურად შეფასების საქმეში.

##### რესპონდენტი N2:

“- 9 აპრილი მართო გამარჯვება არ იყო, დიდი ტრაგედია იყო. ამას წინ მოსამზადებელი პერიოდი ჰქონდა. აღარავის უკვირდა ის, რაც ხდებოდა... მთელი ეს პროცესები გადაიღო საქართველოს ტელევიზიამ, პე-ტე-ესით. ეს არავის გაუკეთებია... როგორც კი მოხდა 9 აპრილი, გაქრა ეს ფირები. წაიღო სავარაუდოდ, უშიშროებამ მოსკოვში... 9 აპრილის მერე არავინ და აღარაფერი არ იყო ტაბუდადებული. თავდაპირველად სხვანაირი ინფორმაცია ვრცელდებოდა. კოლოსალური სამხედრო მანქანა მუშაობდა ჩვენს წინააღმდეგ. ცრუ ფაქტებს გადასცემდნენ, თითქოს ხალხმა ერთმანეთი დახოცა, ჭყლეტაში დაიხოცა. კარგი ექიმები დადგნენ სიმართლის მხარეს, მაგალითად, ქალბატონი თამარ დეკანოსიძე.“

##### რესპონდენტი N4 აღნიშნავს:

“- 9 აპრილს აღშფოთება უდიდესი იყო, ცდილობდნენ საქმე წარმოეჩინათ ისე, თითქოს, ხალხმა ერთმანეთი დახოცა. სამი დღის მანძილზე ხდებოდა ეს. მაგრამ აღშფოთება იმხელა იყო, რომ შეცვალეს მიდგომა და ადგილობრივ ხელისუფლებას დააბრალეს ყველაფერი... 9 აპრილის მერე ხელისუფლება აღარც არსებობდა, ყველაფერი ეროვნულ მოძრაობას მიყავდა. ცეკაში ყველაფერზე ეთანხმებოდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, არაფერში ეწინააღმდეგებოდნენ. არაფერში ერეოდნენ. ოპოზიციას გაუხსნეს გადაცემა „კვირიაკე“. ოპოზიციას ჰქონდა

თავისი საეთერო დრო... კომუნისტური ელიტა გაიხრწნა ისევე, როგორც რომი.“

**რესპონდენტი N5:**

“- 9 აპრილმა ადამიანებში გარდატეხა მოახდინა. სამშობლო უწმინდესი გახდა. სამშობლოსათვის სიკვდილი გახდა შესაძლებელი. ეს რწმენა ყველაში გაჩნდა.“

**რესპონდენტი N7:**

“- 9 აპრილი ჩვენ ავსახეთ სრულად. „სიმართლე სიცრუის წინააღმდეგ“ – ამ სტატიაში საბჭოთა ჯარს „გადავუარეთ“, ყველაფერი ვთქვით პირდაპირ.“

**რესპონდენტი N8:**

“- სწორად მიმაჩნია გარდაქმნის დაყოფა 9 აპრილამდე და 9 აპრილის შემდეგ. 9 აპრილის შემდეგ კომუნისტებმა ძალზე დაიხიეს უკან. იგრძნობოდა, რომ იწყებოდა ახალი ცხოვრება. საოცარი თავისუფლება იყო. კომუნისტებს ებრძოდნენ, თუმცა ისინიც ქართველები იყვნენ და კარგად ესმოდათ სიტუაცია. ეს ყველაფერი აისახებოდა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. 9 აპრილი ისეთი თარიღია და ისეთი რამ მოხდა, როგორ შეიძლებოდა ამას ცვლილებები არ მოეტანა.“

**რესპონდენტი N2:**

“- 9 აპრილი დიდი ზღვარი გახდა... მიუხედავად ჯერ კიდევ შემორჩენილი პარტიული კონტროლისა, მედიასაშუალებებმა პრაქტიკულად გაითავისუფლეს თავი მარწუხებისაგან.“

## 8.5. ვითარება 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ

9 აპრილის ტრაგედიის შედეგად დადგა რეალობა, როცა ყველა ჩარჩო, შეზღუდვა მოიხსნა, როდესაც ცრუ და პროპაგანდისტული ნიუსის გავრცელების წინააღმდეგ პროფესიული ბრძოლა გაჩაღდა – შეიქმნა „ყოველგვარი დაფარულის გაცხადების“ გარემო: “- სრული საჯაროობა დადგა 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ“ (რესპ. N4).

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ თემატური ტაბუ, როგორც ასეთი, ქართულ მედიაში უკვე აღარ არსებობს და ამას ერთხმად მიუთითებენ გამოკითხული რესპონდენტები. ამ პერიოდს პრაქტიკოსები ახასიათებენ, როგორც: „მედიისათვის გახსნილ ახალ შესაძლებლობებს“, „ბიძგს, ახალი ეპოქის შესაბამის სტანდარტებზე გადასავლელად“.

რესპონდენტი N4 სიტუაციას 9 აპრილის შემდეგ ასე აფასებს: “- ვითარება მთლიანად ამოყირავდა, თუ აქამდე ხელისუფლება ცდილობდა საზოგადოების გაკონტროლებას მედიის მეშვეობით, ახლა საზოგადოებამ დაიწყო ხელისუფლების გაკონტროლება მედიის საშუალებით“. გარდა ამისა, “- შესაძლებელი გახდა ხელისუფლების კრიტიკა“ (რესპ. N6). განვითარებული საჯაროობის პერიოდში „მედია გახდა საინტერესო, ზეპარტიული“ (რესპ. N1), „ცეკამ, პარტიულმა ხელმძღვანელობამ დაიწყო გაზეთის მხარდაჭერა (რესპ. N7).

რიგითი ჟურნალისტებისათვის არ იყო მარტივი ვითარება: “- ძნელი იყო გარკვევა და საკუთარი ადგილის პოვნა“ (რესპ. N8); “- შიშის ფაქტორი ნაკლები იყო, მაგრამ მუხრუჭის შეგრძნება ყველას ჰქონდა“ (რესპ. N6); “- რეჟიმის დანატოვარი იგრძნობოდა, მაგრამ დაიწყო დისიდენტების გამოქვეყნება“ (რესპ. N7); “- გაზეთი გახდა საინტერესო საკითხავი, ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში“ (რესპ. N1); “- მედია გაიხსნა პიკანტური თემებისათვის“ (რესპ. N3); “- აქტუალური გახდა საქართველოს შემდგომი მოწყობის საკითხი“ (რესპ. N8).

მედიის წინაშე ახალი შესაძლებლობები გადაიშალა: “- გაჩნდა ახალი გაზეთები“ (რესპ. N1); “- ტელევიზიის მუშაობაში ვერავინ ერეოდა“ (რესპ.

N2); „– ეროვნულმა მოძრაობამ კომუნისტური იდეოლოგია დათრგუნა“ (რესპ. N6).

რესპონდენტი N6 მიუთითებს იმ სირთულეებზე, რაც მოჰყვა საჯაროობის კარიბჭის სრულად გახსნას ქართულ მედიასივრცეში: „– 1987-89 წლები ჯოჯოხეთი იყო, რადგანაც გამუდმებით გვიხდებოდა ურთიერთობა ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან, რომელთა ნაწილი რადიკალიზებული იყო. ცუდი იყო ის, რომ დისტანცია მოირღვა ადამიანებს შორის. მედია თავისსავე ქვაბში მოიხარშა.“ ასევე: „– ცეკაში კეთდებოდა გაზეთების ანალიზი. 1988-99 წლებში შეფასებები უკვე იყო რბილი და აღარ კეთდებოდა რეკომენდაციები ზემდგომი პარტიული ორგანოებიდან. ზოგს ეშინოდა ეროვნული მოძრაობის. ეროვნულმა მოძრაობამ კომუნისტური იდეოლოგია დათრგუნა. ეროვნული მოძრაობა ზვავივით დაეცა თავს მედიას. კრიტიკული მასალის გადაცემა თავისუფალი გახდა“ (რესპ. N6).

## თავი 9. შემაჯამებელი დასკვნა

საკვლევი ემპირიული მასალის საბოლოო შეჯერებით სტატისტიკური ასოციაცია გვიჩვენებს კავშირებს დეკლარირებულ გარდაქმნასა და საჯაროობის ხარისხს, დეკლარირებულ გარდაქმნასა და გაზეთების თემატურ/ჟანრობრივ დივერსიფიცირებას შორის, კავშირი მიზეზ-შედეგობრივია. კორელაცია დეკლარირებულ გარდაქმნასა და სიტყვის თავისუფლებას შორის პირდაპირი და აშკარაა. ის ინტენსიური ხდება 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც დგება გარდამტეხი ეტაპი. ამ რეალობის დადგომის ფასი მძიმე და დიდი იყო.

ტრაგედიის შემდგომ საგაზეთო თემატიკა უაღრესად დივერსიფიცირებულია და გასულია დარგობრივი გაზეთის მოცემულობიდან, ჟანრობრივი ჩარჩოებიდან. აქცენტირებულია ნარატივი, ამბავი, განსხვავებული აზრი და რაკურსი და არა იმდენად ამბის განთავსება ჟურნალისტური ხერხებისა და წესრიგის კანონიზებულ ჩარჩოებში. საგაზეთო ტექსტი კარგავს საბჭოთა ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელ, მკაფიო ჟანრობრივ ზღვარსა და წყობას, მასში ყველაფერია: ფაქტი, შეფასება, ემოცია, ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულება, ალუზია თუ ასოციაცია. ტექსტი ხდება ჟურნალისტური და მხატვრული ხერხების სიმბიოზი. მედია ხდება თავისუფალი ზეწოლისაგან და შესაბამისად – სინამდვილის ობიექტურად ამსახველი.

გარდაქმნის დეკლარირებამ მოახდინა ჯერ ცენზურის როლის შესუსტება და შემდეგ საბოლოო გაქრობა. მოხდა თემატიკის დივერსიფიცირება მანამდე აკრძალული საკითხების ხარჯზე და შესაძლებელი გახდა გაუგონარი რამ – უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის კრიტიკა. იმუშავა ბევრმა ახალი რუბრიკამ და თემამ, როგორც საჯაროობის პროდუქტმა.

მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ დეკლარირებული გარდაქმნის პერიოდში გააქტიურდა და გააქტუალურდა კომუნიკაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გზით. კომუნიკაციის ინტენსიურობით ამ პერიოდის ბეჭდური მედია ტელევიზიას არ ჩამორჩება.

გარე ავტორებისა და რიგითი მკითხველების ჩართულობის ამადლება საჯაროობის რეალიზაციის ერთგვარი საზომია.

გარდაქმნის პერიოდისათვის საბჭოთა მედია „აჯენდა სეთინგის“ მოცემულობაზე ირთავს ფრეიმინგის, როგორც პროპაგანდის კიდევ უფრო მძლავრი იარაღის მოცემულობას და სახეზეა სინთეზური პრაქტიკა – აჯენდა სეთინგისა და ფრეიმინგის ერთიანობა, ე.წ. გლასნოსტური ფრეიმი, რომელიც გვთავაზობს არა მხოლოდ იმას, თუ რის შესახებ იფიქროს საზოგადოებამ, არამედ იმასაც, თუ როგორ იფიქროს.

„ლიტერატურულ საქართველოსა“ და ქართულ ფილმის „აღნიშნული პერიოდი ხასიათდება გარე ავტორების ჩართვითა და მკითხველის, როგორც ავტორისა და აქტიური კომუნიკატორის მნიშვნელოვანი გააქტიურებით.

კინოფილმი „მონანიება“ მიჩნეულია წყალგამყოფად, გარდაქმნის ჰიპოსტასად, საჯაროობის მატერიალურ გამოხატულებად. „მონანიება“ ნებისთ თუ უნებლიედ შეიქნა ინსპირაცია უდიდესი ცვლილებებისათვის. „მონანიება“ დუალისტური საწყისის მატარებელია, გარდაქმნის ბიძგიც არის და შედეგიც ერთდროულად.

საკვლევი მასალის შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული სინამდვილეში საჯაროობამ, როგორც გარდაქმნის პროდუქტმა ჭეშმარიტი გამოხატულება ჰპოვა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ და დასაბამი მისცა ახალ, გამაშიშვლებელ, ე.წ. შეუფუთავ ეპოქას ფაქტების, მოვლენებისა და პერსონების დემისტიფიკაციით, მკითხველისათვის ახალი ნარატივებისა და ვერსიების შეთავაზებით. შემოქმედებითი ინტელიგენციის აღნიშნულმა ორმა ბეჭდვითმა ორგანომ – „ლიტერატურულმა საქართველომ“ და „ქართულმა ფილმმა“ – იტვირთა საზოგადოების მაკონსოლიდირებელი და მორგანიზებელი ფუნქცია.

საჯაროობის წყალობითა და ზეწოლით მეტი ცუდი ამბავი გამოვიდა დღის სინათლეზე და გაიზარდა ინფორმაციის მოცულობის დინება საზოგადოებისაკენ, რეაგირება, მოიტანა შედეგები. უკუკავშირი, გახანგრძლივებული პოლემიკა, საზრისის მაფორმირებელი სტიმულები ნორმა გახდა, ყალიბდებოდა ექსპერტ-ავტორების პლატფორმა, რაზეც



რედაქცია უარს არ ამბობდა და რაც მანამდე უცხო იყო საბჭოთა მედიისათვის.

გარდაქმნის საწყის ეტაპზე (1985-87) საგაზეთო კომუნიკაცია გარდაქმნის კონტექსტში (შეტყობინებების მისვლა ადრესატებამდე და უკუკავშირი) ხორციელდება უფრო ხელოვანის პარტიული ხელმძღვანელობის წინაშე ვალდებულების იძულებითი სტიმულირების და არა საკითხისადმი ჭეშმარიტი დაინტერესების საბაზით. ამ პერიოდში მოლოდინები ბუნდოვანია, გაურკვეველი. პუბლიკაციების შინაარსის მეტამორფოზა ცხადყოფს, რომ შემოქმედებით ინტელიგენციაში გარდაქმნისადმი ინტერესი და მოლოდინი ვითარდება სავალდებულო-იძულებითიდან (1986-87), გადის სარგებელ-გამორჩენის მოლოდინის (1987-88) გზას და ფრუსტრაციის შემდგომ (1989) ტრანსფორმირდება სრულიად დამოუკიდებელ და თვისებრივად განსხვავებულ მოლოდინად – მოლოდინად ქვეყნის განსხვავებული მოწყობის შესახებ (1990).

გარდაქმნის პერიოდის საგაზეთო კულტურაში 1988 წლის ბოლოდან გახშირდა და 1989 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალმხრივი კომუნიკაციის ფუნქციის წილი. მიუხედავად სემანტიკური და ფსიქოლოგიური შეფერხებებისა, სათქმელის თქმა გახდა ძალზე აქტუალური. შეტყობინებებმა დაიწყო ადრესატებამდე მისვლა ინტერესების მიხედვით, დაფიქსირდა უკუკავშირი არა მხოლოდ რიგითი მკითხველთან, არამედ სხვადასხვა არაფორმალურ გაერთიანებებთან, ინტერესებისა და გავლენის ჯგუფებთან.

მკითხველისა და გაზეთის კომუნიკაციის შინაარსის, ინფორმაციის ნაკადისა და სტრუქტურის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ გარდაქმნის მეორე (1989) ეტაპზე სოციალური პროცესების დუღილი მიმდინარეობდა.

გარდაქმნის განვითარების შემდეგ ეტაპზე (1989-90) მოხდა შემოქმედებითი ინტელიგენციის მოლოდინების ჩანაცვლება/გადანაცვლება. მოლოდინები განიცდის ე.წ. აზიმუტის ცვლილებას. შემოქმედებითი ინტელიგენცია განხილულია და აკრიტიკებს გარდაქმნის კონცეპტს, თუმცა სარგებლობს საჯაროობის ყველა სიკეთით, რომელიც გარდაქმნამ მოიტანა.

დგება განტაბუების – გათავისუფლების რეალობა და მედია იწყებს კლასიკური მახასიათებლების შექმნას – ოპერატიულობა, ობიექტურობა, სინამდვილის რეფრაქცია.

მედიადამოუკიდებლობის გაფორმების შეუქცევად სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ კლასიკური საბჭოთა საგაზეთო სლოგანის „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გაქრობა გაზეთებიდან და მათ ნაცვლად ეროვნული სლოგანების გამოჩენა უკვე 1989 წელს: „ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა, მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია“<sup>33</sup> („ქფ“, 29 ივნისი) და „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“<sup>34</sup> („ლს“, 1-ლი დეკემბერი).

საგაზეთო შინაარსის თვისებრივი ცვლილება მიუთითებს ფრუსტრაციასა და იდეოლოგიურ, ორიენტირებრივ შიფტინგს, რაც აისახა როგორც მკითხველის, ისე – ავტორების მიდგომებში. 1989 წელზე, გარდატეხის პერიოდზე მოდის გარდაქმნის, როგორც დოქტრინის ნეგატიურად შეფასების პიკი, 1990 წლისათვის კი გარდაქმნის მიმართ უკვე გულგრილობა ფიქსირდება, ინტერესი მისდამი კლებულობს და ქრება.

1989 წლის მეორე ნახევრიდან მიღწეულია სრული საჯაროობა. მედია გაჯერებულია სხვა, ახალი მნიშვნელოვანი თემებითა და ტრენდებით – დემოკრატიის, სახელმწიფოს სუვერენული მოწყობის იდეებით, რაც გარდაქმნის დაგეგმილი მიზანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ პოლიტიკურ შედეგად იქცა.

1989-ისა და შემდგომი წლის საგაზეთო ნომრები მთლიანად ე.წ. გლასნოსტური პროდუქტია. საგაზეთო შინაარსი და ფორმა გახდა მოთხოვნის შესატყვისი. საქართველოში დადგა თავისუფალი მედიის ეპოქა.

<sup>33</sup> გალაკტიონ ტაბიძე, „ჰე, მამულო!“.

<sup>34</sup> აკაკი წერეთელი, „ხატის წინ“.

## ბიბლიოგრაფია

1. თათრაშვილი, ნატო. (2003). *ტელეჟურნალისტიკის საკითხები*. თბილისი, თსუ;
2. იბერი, ელდარ. (2016). *საქართველოს ტელევიზიის ისტორია*. თბილისი, თსუ;
3. მაისაშვილი, ხათუნა თანაავტორებთან ერთად. (2016). „*საქართველოს გლასნოსტური ისტორიები*“. მონოგრაფია, თბილისი, თსუ;
4. მაისაშვილი, ხათუნა და სხვ. (2017). *ქართული მედია – ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიების ჩანაცვლების ძირითადი უბანი. გლასნოსტის ქართული შემთხვევა. 1987-1990*. თბილისი. ხელნაწერის უფლებით;
5. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1985 წლის 23 აპრილი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985;
6. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1987 წლის 27-28 იანვარი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987;
7. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1987 წლის 26 ივნისი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987;
8. საქართველოს სახელმწიფო არქივის ფონდი N301;
9. ფომიჩევა, ი. დ. (2011). *მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კვლევა: მეთოდოლოგია, მიდგომები, მეთოდები*. მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი;
10. Becker, Jonathan A. (1999). *Soviet and Russian Press Coverage of the United States Press, Politics and Identity in Transition*. Great Britain, Macmillan Press LTD, DOI: 10.1057/9781349273904;
11. Benn, David Wedgwood. (1990). *Glasnost' in the Soviet media: Liberalization or public relations?* Journal of Communication Studies. 3:3, 267-276, DOI: 10.1080/13523278708414876;
12. Bulsys, Joseph A. & Makay, John J. (1989). *Gorbachev's Rhetoric of Glasnost: How Openness Intersects with Freedom of Expression*. Free Speech Yearbook. Volume 27, 1989 – Issue 1, DOI: 10.1080/08997225.1989.10556093;
13. Cohen, Stephen F. and Heuvel, Katrina. (1989). *Voices of Glasnost: Interviews with Gorbachev's Reformers*. By New York: W.W. Norton;
14. Cooper, Leo. (1991). *Soviet Reforms and Beyond*. By New York: St. Martin's Press;

15. Dadabaev, Timur. (2016). *Evaluations of perestroika in post-Soviet Central Asia: Public views in contemporary Uzbekistan, Kazakhstan and Kyrgyzstan*. University of California;
16. Davis, Susan Faye. (1989). *The limits to openness: The impact of glasnost' and perestroika on the Baltic Republics*, University of Nevada, Las Vegas, Available at: <https://digitalscholarship.unlv.edu/rtds/27/>
17. Dejevsky, Mary. (1989). *Glasnost' and the Soviet Press*. In: Graffy J., Hosking G.A. (eds). *Culture and the Media in the USSR Today*. Studies in Russia and East Europe. Palgrave Macmillan, London. DOI: 10.1007/978-1-349-20106-8\_3;
18. Downing, John (1992). *Perestroika, Glasnost, and Soviet Media*. Arizona. Texas University;
19. Gibbs, Joseph. (1999). *Gorbachev's Glasnost/The Soviet Media in the First Phase of Perestroika*. Texas A&M University Press;
20. Grogin, Robert C. (2000). *Natural Enemies: The United States and the Soviet Unions in the Cold War, 1917-1991*. Lexington Books;
21. Haddix, Daugh. (1990). *Glasnost, the media and professionalism in the Soviet Union*, Indiana University;
22. Heinman, Monika. (2008). *Glasnost' in der sowjetischen Presse. Eine Analyse von Leserbriefen in der Komsomol'skaja Pravda*. Munchen, Osteuropa-Institut Regensburg;
23. Holmes, Leslie. (2013). *Perestroika: A Reassessment*. London, UK: Routledge. DOI: 10.1080/09668136.2012.759722;
24. Hopkins, Mark W. (1970). *Mass Media in the Soviet Union*, Pegasus, New York;
25. Hough, Jerry F. (1990). *Russia and West: Gorbachov and the Politics of Reform*, A Touchstone book;
26. Lagerspetz, Mikko. (1996). *Constructing Post-Communism. A study in the Estonian Social Problems Discourse*. Turku: Annales Universitatis Turkuensis;
27. Lampert, Nick (1988). *The Dilemmas of Glasnost'*, Journal of Communication Studies, 4:4, 48-63. DOI: 10.1080/13523278808414936;
28. Maisashvili, Khatuna (2018). *Media System and Re-evaluation of History in Glasnost-Period Georgia Media 1989-90*, European Journal of Political Science Studies – Volume 2/Issue1.

Available at:

[https://www.researchgate.net/publication/331345450\\_European\\_Journal\\_of\\_Political\\_Science\\_Studies\\_MEDIA\\_SYSTEM\\_AND\\_RE-EVALUATION\\_OF\\_HISTORY\\_IN\\_GLASNOST-PERIOD\\_GEORGIAN\\_MEDIA\\_1989-90;](https://www.researchgate.net/publication/331345450_European_Journal_of_Political_Science_Studies_MEDIA_SYSTEM_AND_RE-EVALUATION_OF_HISTORY_IN_GLASNOST-PERIOD_GEORGIAN_MEDIA_1989-90;)

29. Marranca, Bonnie and Dasgupta, Gautam. (1989). *The Culture of Perestroika*, by: Performing Arts Journal, Inc.;
30. Mason, David S. (1988). *Glasnost, Perestroika and Eastern Europe*, Published by: Wiley on behalf of the Royal Institute of International Affairs. Available at: <https://academic.oup.com/ia/article-abstract/64/3/431/2406427?redirectedFrom=fulltext>;
31. McNair, Brian. (1991). *Glasnost, Perestroika and the Soviet Media*. USA, Routledge;
32. McNair, Brian. (1989). *Glasnost and restructuring in the Soviet media*. UK, Ulster;
33. Mickiewicz, Ellen. (1988). *Changes in the media under Gorbachev: The case of television*, Journal of Communist Studies, 4:4, 35-47. DOI: 10.1080/13523278808414935;
34. Murray, John. (1991). Glasnost 1990. Irish Communication Review: Vol. 1: Iss. 1, Article 3. Available at: <https://arrow.tudublin.ie/cgi/viewcontent.cgi?article=1004&context=icr> ;
35. Oates, Sarah. (2014). *Glasnost 2.0*, Demokratizatsiya; Vol. 22, No. 2;
36. Powell, Nicolas (2012). *The Effect of Glasnost on the Dissolution of the Soviet Union*, The concord Review. Available at: [http://wordscapes.com/nick/bio/TCR\\_22\\_3\\_Spr\\_POWELL.pdf](http://wordscapes.com/nick/bio/TCR_22_3_Spr_POWELL.pdf) ;
37. Rakos, Richard F. (1991). *Perestroika, Glasnost and International Cooperation*, Behavior Analysis, USA, Department of Psychology, Cleveland State University. Available at: <https://pdfs.semanticscholar.org/e030/69af2e465c70d3b6a48640b59afd3a5ed894.pdf>;
38. Rogers, Rita R. (2010). *Glasnost and the emotional climate in eastern Europe*. Political Communication. DOI: 10.1080/10584609.1990.9962901;
39. Stevenson, Robert L. Childers, H. West, P. & S. Marschalk (1988). *Soviet media in the age of glasnost*, ECQUID NOVI, African Journalism Studies 9(1):5-32. DOI: 10.1080/02560054.1988.9652992;
40. Tarasulo, Isaac J. (1990). *Gorbachev and Glasnost: Viewpoints from the Soviet Press*. Hardback;
41. Taylor, Brett W. (2013). *Glasnost v. Glasnost?: A re-evaluation and reinterpretation of the Chernobyl disaster in Soviet media*, Dalhousie Journal of Interdisciplinary Management, Volume 9 – Spring 2013. DOI: 10.5931/djim.v9i1.3330;

42. Teague, Elizabeth. (2013). *Worker's Reaction to Perestroika and Glasnost, The Soviet Transition: From Gorbachev to Yeltsin*, Routledge, London and New York;
43. Tolz, Vera. (1990). *The USSR's Emerging Multiparty System: (The Washington Papers)*, Praeger;
44. Vidyarathi, K. (2016). *Glasnost and Perestroika: Did Gorbachev break the USSR?* India, National Law University, Dehli. DOI: [10.2139/ssrn.2755245](https://doi.org/10.2139/ssrn.2755245);
45. Wimmer, Roger D. and Dominick, Joseph R. (2014). *Mass Media Research: An Introduction*, Tenth Edition, Wadsworth, Cengage Learning;
46. Young, Marilyn J. and Launer, Michael K. (1991). *Redefining Glasnost in the Soviet Media: The Recontextualization of Chernobyl*, Journal of Communication 41(2), Spring. 0021-9916/91/b0.0+.05;
47. Zhoe, He. (1988). *Changes in the Soviet concept of news – to what extent and why?* Bloomington, USA;
48. Бритвин, В. Г. & Караханян М. А. (1990). *Гласность: состояние, проблемы, перспективы (По данным социологических опросов)*; Available at: [http://www.civisbook.ru/files/File/Britvin\\_1991\\_3.pdf](http://www.civisbook.ru/files/File/Britvin_1991_3.pdf);
49. Вяземский, Е. Е. & Стрелова О. Ю. (2003). *СССР – Россия. От М.С. Горбачева до В.В. Путина. 1985- 2002*, СТУПЕНИ, Москва;
50. Рассолов, М. & Шинкаренко, В. (1990). *Судьба гласности — судьба*. Москва. Юридическая литература.

## დანართები

### დანართი N1 – კითხვარი თვისებრივ კვლევაში მონაწილე ექსპერტებისათვის (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ)

1. პარტიის ცენტრალური ორგანოების მიერ გარდაქმნისა და საჯაროობის დეკლარირება როგორ აისახა მედიის მუშაობაზე (შიდა სამზარეულოზე)? – განმარტეთ რამდენიმე წინადადებით:

ა. – 1985-86 წლებში?

ბ. – მოგვიანებით?

2. აისახა თუ არა მედიის ტირაჟზე (გადაცემების მოსმენადობასა და ყურებაზე) გამოცხადებული გარდაქმნისა და საჯაროობის შედეგად მიღებული თვისებრივი ცვლილებები?

ა. – 1985-86 წლებში?

ბ. – მოგვიანებით?

3. მოჰყვა თუ არა რაიმე მითითება 1985 წლის აპრილის პლენუმს მედიისათვის?

ა. – 1985-86 წლებში?

ბ. – მოგვიანებით?

4. როგორ შეაფასებდით 1985-1990 წლების დინამიკას საჯაროობის თვალსაზრისით (ტაბუდადებული თემების გახსნა როდის დაიწყო?)?

5. როგორ შეაფასებდით მთავლიტის/ცენზურის მუშაობას?

ა. – 1985-86 წლებში?

ბ. – მოგვიანებით?

6. 1985-90 წლების პერიოდში როდის გახდა მედიის შინაარსის ცვლილება შესამჩნევი?

7. რა იყო ის ტაბუდადებული თემები, რომელთა გაშუქების საშუალებაც მოგეცათ გარდაქმნის/საჯაროობის ოფიციალურად აღიარების პერიოდში?

მაგალითად: ა). 1918-21 წლების საქართველო,

ბ) 30-იანი წლების რეპრესიები,

გ) სტალინიზმი/დესტალინიზაცია,

დ) ემიგრანტული ლიტერატურა,

ე) ე.წ. ცუდი ამბები (ნარკომანია, კრიმინალი, პროსტიტუცია),

ვ) ეროვნული თვითგამორკვევა და დამოუკიდებლობა,

ზ) ეკოლოგია,

თ) ხელისუფლების კრიტიკა,

ი) სხვა.

8. რა დარჩა ისევ ტაბუირებულად?

9. რომელი თემები იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს:

ა. – 1985-86 წლებში?

ბ. – მოგვიანებით?

10. როგორ შეაფასებდით 1985-90 წლების პერიოდს მედიისათვის: გამოიკვეთა თუ არა მედიის/ჟურნალისტის ახალი როლი და ფუნქცია?

11. რა თვისებრივი ცვლილებები მოუტანა მედიას საჯაროობამ/გარდაქმნამ?

12. როგორ აისახა საჯაროობა/გარდაქმნა საგაზეთო თემების დივერსიფიცირებაზე?

13. რომელ კონკრეტულ კაზუსს//კაზუსებს გაიხსენებდით თქვენი ჟურნალისტური პრაქტიკიდან, რომელიც ნიშანდობლივია/კარგად გამოხატავს 1985-90 წლების პერიოდში მიმდინარე ცვლილებების არსს?

14. როგორ შეაფასებდით ზოგადად 1985-90 წლების პერიოდს მედიის განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით?

15. მოახდენდით თუ არა რაიმე ტიპის დაყოფას/პერიოდიზაციას 1985-90 წლების (ე.წ. გლასნოსტური) ქართული მედიის განვითარებაში?



## დანართი N2 – თვისებრივ კვლევაში მონაწილე ექსპერტების

### ნუსხა

1. ალექო ასლანიშვილი
2. ელდარ იბერი
3. ციციხო მჭედლიშვილი
4. მალხაზ რაზმაძე
5. არმაზ სანებლიძე
6. ნატო ციციშვილი
7. რამინ ჭელიძე
8. ელიზბარ ჯაველიძე